

114  
1967/3



# მეოთხედი

1967

8

# მნათობი

საქართველოს  
საბჭოთა კავშირის

უმჯობესებული ლიტერატურულ-მხატვრული  
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შუარსები

წელიწადი 44-ე

№ 8

აგვისტო, 1967 წ.

საპარტველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

## შ ი ნ ა ა რ ს ი

გიორგი ლეონიძე — გამოუქვეყნებელი ლექსებიდან	3
ოტია იოსელიანი — შატა, მოთხრობა	6
ფრიდონ ხალვაში — ლექსები	12
ლადო ავალიანი — მოთხრობა პალატი, ნოველა	15
ნიკოლოზ ჩაჩავა — ლექსები	23
მიხეილ ქვლივიძე — ლექსები	24
ედუარდ ყიფიანი — წითელი ღრუბლები, რომანი, ნაწილი მეორე, დასასრული	25
სვანური ეპოსის ნიმუშები	60
რეი ბრედბერი — ორი მოთხრობა, ინგლისურიდან თარგმნეს ინგო კალაძემ და თენგიზ ბაღდასტაძის შვილმა	68
ელგუჯა მაღრაძე — ცხოვრება გრიგოლ ორბელიანისა, მხატვრულ-ისტორიული ნარკვევი, გაგრძელება	77

### ღიაღი 50 წელი

კ. ქავთარაძე — დიდი ოქტომბრის მომზადების ყრილობა	99
--	----

### კრიტიკა და ლიტერატურისმცოდნეობა

გიორგი კალანდაძე — გიორგი ლეონიძის პროზა	109
არჩილ ჩაჩიბაია — ქართული საბავშვო ლიტერატურის კრიტიკის ძირითადი პრობლემები	119
ოთარ ჭინორია — გაუგებრობა გოეთეს ერთი გაგების გამო	133



974.5.01



უწვრთმის კალტურის ღღევი

აღუქსანდრე ბარამიდე — უწვრთმის სიხალბო რესპუბლიკა . . . . . 149

შაკბევი, შოგონეხანი

შიხაკო ორბეველიდე — ინდოეთში . . . . .  
შიხეილ კვესელავე — ათასი ფუთი ბრალდებე, განედილი და გაგონილი. შირველი შიგ-  
ნის შეორე ნაწილის დასასრული . . . . . 158

წიგნების შიგონილვა

გიორგი ნატროშვილი — ოდიშური მოთხრობებე . . . . . 184  
გურამ კანკავა — „ქეთილი იმედის კონცხი“ . . . . . 187



0126600

შთავარი რედაქტორი გრიგოლ აბაშიდე

სარედაქციო კოლეგია:

დ. ბენაშვილი, თ. ბუაჩიდე, დ. გამეზარდაშვილი, გ. შარგველაშვილი, ე. შალრა-  
დე, ბ. უდენტი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ე. ყიფიანი (პ/შგ. შდივანი), ს. შან-  
შიაშვილი, ვ. წულუკიდე, გ. ჭიბლაძე.

ტიქრედაქტორი რ. ჩავეტაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/VIII-67 წ. ქა-  
ღაღდის ზოში 70x108. ანაწყობის ზოში  
7 1/4 x 12 1/2. ფიზიკურ ფორშითა რაოდენობე 12.  
პირობით ფორშითა რაოდენობე 16.  
უე 05508. ტირაჟი 7.900. შეკე. № 2825.

რედაქციის შიხამართი: თბილსი,  
რუსთაველბს პაროსექტი № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 8-55-11,  
პ/შგ. შდივანის — 8-55-13, განყოფილდე-  
ბის — 8-55-15, 8-55-17, 8-55-20.

საჭ. კბ ცყ-ის გამომცემლობის პ/კომბინატი,  
თბილსი, ლენინის ქ. № 14.



25.2.01

## გამოუქვეყნებელი დამსახიდან

\* \* \*

მე ერთი ძველი სახლი მიყურებს  
მუნჯ მოხუცივით ჩუმად მღიმარი...  
მისი ბუხარი გულს გამიხურებს  
ქონავს სარკმელი ცრემლით მწვიმარი.  
რას მანიშნებს და რას მომაგონებს  
ან რად მაშინებს სიჩუმე მისი?  
დამდნარ დღეების სვედით მალონებს  
ძველი სიზმრების მეხვევა ნისლი.  
გაჩუმებულა კაეშნიანი  
ვით ჩვენი საყდრის შემწყდარი ზარი,  
ალვის ხეს სვედით გააქვს შრიალი  
წყლულად აჩნია ძველ კედლებს ბზარი..  
მე მინდა ამ წყლულს ხელი შევახო,  
მინდოდა ლექსი და ვთქვი უგულოდ,  
დაბერებულხარ, ჰეი, ვენახო,  
დაბერებულხარ, ვაი, ბულბულო.  
შემომხუზუნებს შიშველი ტალა,  
დაკრფილ ვაზებს ქარი აჭანებს,  
გულის ძარღვებში ორქარი მჭვალავს,  
კედლებს უბზარავს ჩემს მეაკვანებს.  
მრავალ ოცნებამ გადიყვავილა,  
ამოიოხრა მთვარემ მრავალჯერ  
მწუხრს შემომძახა ირმის ყვირილმა,  
მოგონებების ვიბჯენ ყავარჯენს.  
არ მინდა ტიქა შევაჯანჯლარო,  
არ მინდა დავძრა მოგონებანი,  
შაემა ყორანმა სადღაც დამჩხავლოს  
და ამიშალოს ძველი ვნებანი.  
შეეყურებ ძველ სახლს... ვაჰ, მის ფანჯარას  
არ უსლებიან ცელოქი მერცხლები,  
ეზოში ბევრი ვარდი დამჭკნარა  
და სინანულით ჩამოვეცლები...



საქართველო

მთაზე ირემი კვდებოდა...  
 ბრუნავდა, რქაზე დგებოდა,  
 ხარბად ქხედავდა ხეობებს,  
 სიცოცხლე დამარცხებოდა...  
 ირმის ყვირილის ნახშევი  
 ხეობებს ეხეთქებოდა...  
 მზე ჩადიოდა წითლურად,  
 ამოსვლა ემკვებოდა...  
 ჩამავალი მზის ნაბრწყენი  
 თვალბზე ებეჭდებოდა,  
 უძახდა ვაჟა-ფშაველას  
 ბრუნავდა, რქაზე დგებოდა,  
 მთაწმინდის ცრემლის ნახშევი  
 ჩარგლის გორს ეხეთქებოდა  
 მთაზე ირემი კვდებოდა...

## შ ა ო რ ი

შორია შენი შაორი  
 ლურჯ-ცისფერ ხარისთვალათი,  
 დაგიგვიანე შაირი,  
 ნუ გეგონება ღალატი.  
 სხივი და ზვირთი შაორის  
 შენს წამწამებში ჩამდგარა,  
 დიღია დანაშაული, —  
 სურვილი შემიდანდგარა.  
 შორია შენი შაორი,  
 ახლოს ხარ, გულის ბუდეში,  
 გეძებ და გეძებ შაირით  
 რაჭის კლდის ღელე-ღუღეში,  
 ბუდეშურს მინდა მოვესწრო  
 ზეპქემზრის აბლაბუდებში...

• • •

მამინ ვარსკვლავი შემოსულიყო  
 სტუმრად ჩვენს სახლში ოქროს ქოშებით,  
 გათენებამდის არ წასულიყო,  
 კიდევ ემღერა შეზარსოშებულს, —

ასე მიაშებს მამიდებმა  
 და დეიდებმაც დასცეს დასტური,  
 ცხენი ჩვენს ფშატის ხეზე დაება,  
 — თითონ ყოფილა ბედი ნასტუმრი! —



და უბედობას ვინ იჩივლებდა,  
როდესაც ცეცხლი გულს მიხურებდა...  
...და ვიზრდებოდი მე ყვინჩილებთან,  
სოფლის ხბორებთან, მოლადურებთან...

რედაქციის ცენტრი

უძოზე ისევ მღერის ბუღბული,  
ისევ მაისის ჩახჩახებს ღამე,  
თქვენ კი, სადა ხართ გადაბუგულნი,  
გადაფერფლილნი, ძმებო, ხმა გამეთ!

თქვენმა სიმორემ გული დასერა,  
და უთქვენობა ვით არ მეძნელოს,  
თუ ღვინომ ყანწი ვერ გაასველა,  
ცრემლით აგავსებ თქვენ სადღეგრძელოს!

ნეტავ რა გქონდათ შესანდობარი,  
და რად გაწვევებ მე ბურზე ღვინოს!  
ჰეი, ტიცინან, სად ხარ მდუმარი,  
ჰეი, პაოლო, რათ ხარ ულხინოდ!



მ ა ტ ა

მ ო თ ხ რ ო ბ ა

აბა, გოგოები თუ გვძულდა, ჩვენ გვძულდა: ჭიბილო-ჭილიანს, ეუკურია-ყურშას, ამბაკო-პირალიას და მე ბუ-ხუტია-თავგასიებულს.

ბავშვობაში ბიჭებს გოგოები არ უყვართ, მაგრამ თქვენ ჩვენი უნდა გენახათ. არ ვიცი, ეს ზედმეტი სახელები მართლაც შეგვეფეროდა, თავს დაჩაგრულად ვგრძნობდით, სხვებსაც ათვალწუნებული ვყავდით, თუ... ვერ გიტყვით, არ ვიცი...

არიან ბიჭები, გოგოებს უდიერად ექცევიან, ხელიდან წიგნებს გააგდებინებენ, ჩანთას დაუმალავენ, თავსაფარს მოსტაცებენ და ეზოში დააფრიალებენ. უფრო უხეშები თითებზე წამოცმული რეზინით დაღეჭილ ქაღალდსაც კი ესერიან, თუმცა ცდილობენ საბეში არ მოახვედროს.

ჩვენი ამბავი სულ სხვა იყო. ჩვენ გოგოები გვძულდა, როგორც მტერი. მათთან შეხვედრის შემთხვევას კი არ ვუცდიდით — ვეძებდით, ვდარაჯობდით. გვეჭკვრებოდა ისინი კარგი სწავლისათვის, კომუნიზმისათვის, დაუთოებული კაბისა და თეთრი ზაფთისათვის (ერთ გოგოს ზაფთა თმაში ჩაეწნა და, რომ ვერ წავაძვრეთ, ნაწნავი წავაჭერი). გვძულდა, რომ თავის მართლებისას კი არ დაიგინებდნენ, — დედას იფიცებდნენ. გვძულდა, რომ სამეღწეები თავისივე ხელით ნაქსოვ, თეთრ ბადეებში ედოთ და სკოლისკენ კოხტად მიბაკუნობდნენ. მშობლების დაძახილ-

ზე „ბატონო“-თი პასუხობდნენ, როცა ჩვენ სულ არ „გვესმოდა“, ან თუ გავაგონებდით, ეს იყო ამობლადელება: — რა გინდა, რა!

ერთი სიტყვით, ნამეტანი გულძვირად ვიყავით გოგოებთან.

ჭიბილო ჭილიანს (ორი კბილი პირიდან მართლაც გადმოვარდნილი ჰქონდა და ვერაფრით დამალვას ვერ ახერხებდა) ჭიბეში მუდამ ბლომად ეყარა მოკლედ დაჭრილი მოხრილი მავთულები. ხომ არ გინდოდათ მისი შურდულიდან გაფრენილი „ტყვიან“ ან გულდაგულ დაკუმშული სველი თოვლას გუნდა მიზანს აცდენოდა! ქვეა სროლაც ზუსტად იცოდა. ნამეტანი მაკვარანცხი და მწარე ხელი ჰქონდა. სოფელში ძაღლი არ იყო, მის დანახვაზე თავჭუდმოგლეჯილს არ მოეცოცხა.

მამა აბრამის ბატონები არც სხვები გახლდით, მაგრამ ჭიბილოსთან ზმა არ ამოგვეღებოდა.

ნამეტანი რომ გაწამდნენ გოგოები, გაეშმაკდნენ, და რა დროს საღ ვიყავით, წინასწარ იცოდნენ. გვემალეობდნენ, ხელში ასე იოლად არ გვივარდებოდნენ. თუ რომელიმეს საღმე მანაც წავესწრებდით, მაშინვე მახლობელ მოსახლის ეზოს შეაფარებდა თავს. კლასში, გავეთილზე თუ ვიყავით ერთად, თორემ შესვენებაზე ჭგუფად იღგნენ, ან საამასწავლებლოს წინ, ან დირექტორის კაბინეტთან, ან მორიგე მასწავლებლის ახლოს ტრიალებდნენ, და ჭიბილოს

შურდულს „შიოლა“. სკოლიდან წასულელები ვინმე უფროსს, ხანში შესულს დაემგზავრებოდნენ. მერე, რაკი თავს ეზოში დაიგულებდნენ, ხომ არ გინდოდათ გადმოღმა გადმოგეტყუებინათ?!

— ბუბუტია! — მითხრა ერთ დღეს გულშემოყრილმა ჯიბილომ.

— რა გინდა, ქილიანო? — ვკითხე მე, თუმცა კარგად ვიცოდი, რაც აწუხებდა.

— გლახადაა საქმე!

— არაფერი არ გამოდის.—დავეთანხმე მეც.

— მერე მავსისხო თავი ტყუილა გაქვს? გაანძრე!

— რა უნდა გავანძრიო, სახლს თუ დავეწვავთ, არ ვიცი და, ისე ხომ ხედავ, გარეთ არავინ იხედება.

— კუქურია, მეძებარი ძალღივით რომ გაგიშვია მაგ ყურები, რას იტყვი? თავგასიებული ამბობს, სახლები დავუწვავთ „ჭინკებსო“ (გოგოებს არასოდეს სხვა სახელით არ ახსენებდა).

— რა ვიცი, დინამიტი რომ გვაშოვნია, ეზოში გადავუგდებდით.

ამბაკო პირალიაც უკეთესს ვერაფერს იტყოდა. მართლა სოფელს ხომ არ გადაქვავდით, ან ავაფეთქებდით.

ჯიბილო როცა ასეთ თათბირს გვიმართავდა, ვიცოდი, თვითონ უკვე რაღაც ჰქონდა მოფიქრებული.

— ქილიანო, თუ რამე იცი, თქვი!

— რავე ტყუილა დაათრევ მაგხელა თავს! დაქარი ქვა, იქნება გაინძრეს...

— რა გაინძრევა, თუ შიგ არაფერია! ამბაკოც მიხვდა, ჯიბილოს რაღაც ჰქონდა სათქმელი, უნდოდა დროზე ამოეშაქრა და მისი გულის მოსაგებად ლარ დამზოგა.

მეორე დღეს ყველას დასანახად დავტოვეთ სკოლის ეზო და „შინდაკენ“ გავეშურეთ. ქილიანს ყოველთვის უკუღმართული აზრები მოსდიოდა და მისი ამოცნობა გოგოებს კი არა, ჩვენც გვიპირდა, სანამ გულდასმით არ აგვიხსნიდა. ამჯერად კარგად უნდა დაგვეზერა ეზოები და რა წამს დროს ვიხელთებდით, ჭინკის ალაგედან ფეხის ჩასაბიჯებელ-

თან მახეები უნდა დაგვეგო. მახეები გულდაგულ დაგრეხილი თოკის მარყუეები იქნებოდა, იქვე, სარზე გამოშლილ, მარყუეი რომ მიწაზე დაგვეგდო, შეიძლება სულაც არ წამოდებოდნენ. ამიტომ წინდაწინ დამზადებულ მტკაველა სიმაღლის მავთულის სამფეხზე თოკს ჩამოვდებდით. როგორც კი ალაგედან ვინმე ფეხს გადაადგამდა, წინ თუ არ დაიხედავდა, მეორე ნაბიჯზე მარყუეი გაინასკვებოდა და მესამე ნაბიჯზე კისრის მოტება არ აცდებოდა. იმ ეზოსთან ერთ-ერთ ჩვენგანს მიწა უნდა გაეთხარა და სადმე დამალულიყო. როგორც კი „ჭინკა“ თავის ჭინკარს მიუახლოვდებოდა, საფარიდან უნდა გამოსულიყო და შეშინებული გოგო ეცდებოდა თავისთვის ეშველა, სახლისკენ მოეცოცხა, ამ დროს მაგრად გაებმებოდა და მტკივნეულადაც დაენარცხებოდა მიწას.

ყოველ ჩვენგანს, საღაც უნდოდა, იქ შეეძლო გამოება თოკი, მაგრამ ვაი მისი ბრალი, ვინც უყურადღებოდ და წინდაუხედავად მოიქცეოდა. მას ჯიბილოს მუშტი არ აცდებოდა, რომ სამერმისოდ მაინც ჰქუა ესწავლა.

ვითომ ყველა ჭინკა ერთნაირად გვძულდა, მაგრამ იყო მაინც განსხვავება. ვინც მეტი ფრთხილი იყო და ბევრი ოინი ჩაგვიშალა, რაღა თქმა უნდა, ის უფრო უნდა გავგემწარებინა. მე ხომ, ღმერთმანი, შავი დღე მადგა ერთი გზაგადღმა მეზობლისაგან. მატა ჩვენთან სწავლობდა. სულ ჩაჭიკჭიკებული ხუთები ჰქონდა და წიფნს ხელიდან არ უშვებდა, მაგრამ ნამდვილი ჭინკა იყო, ვერაფერს გამოაპარებდი. სულ მოძრაობდა, ცმუჯავდა, რომ მოგენდომებინა, თოფით ვერ ამოიღებდი ნიშანში. რაც არ უნდა გავემწარებია, იმისთანა უტეხი იყო, სული რომ გაძრომოდა ტკივილით, ხომ არ გგონიათ, შეამჩნევდით. ერთხელ თვითონ ჯიბილომ ესროლა მოკაუჭებული მავთული მუხლის სახსარში. არაფერი... ავიღე და თავში ჩავაფარე — დააცილე-მეთქი. მეორე დღეს შევნიშნეთ, „ნატყვიარი“ ვალურჯებო-

და“ და ქილიანმა უკან ორმაგად დამიბრუნა წინა დღის დაუმსახურებელი სასჯელი.

მატა ზოგჯერ ხის წვერზე აძვრებოდა წიგნით, კითხულობდა და თან მითვალთვალუბდა. რამდენი საგულდაგულოდ მოფიქრებული ოინი გამიგო, გოგოები გააფრთხილა და რამდენი ცხელ-ცხელი სილაქები მომხვდა ჩემი ამქრებისაგან, ვინ მოთვლის, მისთვის, აბა, რას დაეიშურებდი და მახე ყაპოს ძაფისაგან დაეწანი, გავსანთლე და, როცა საგულდაგულოდ დავაგე, ტყავი არ დავზოგე და კიშკრის ბოგირქვეშ შეეძვერი. ღვარის გასასვლელი იმდენად ვიწრო იყო, ძლივს შევატიე თავი. ნამეტანი მიჭირდა ბოგირქვეშ ტლაპოსა და ნესტში, პირდაპირ დავიტანე, სანამ ფრთხილი და წინდახედული „ქინკები“ ექვით უყურებდნენ ყოველ ქვას და ბალახს, რაკი იმ დღეს ისინი ასე „უყურადღებოდ“ მივატოვეთ. ბოლოს სახლში ხომ უნდა მისულიყვნენ და ის იყო ჩემს თავზე ფეხის ხმა გაისმა, რომ ვიღარიალე:

— მაიტ, სად წახვალ, ასე! — და წვალებით გამოეფორთხა. მატამ იწივლა და ალაგეს მიაშურა, კი არ გადავიდა, გადაფრინდა, ერთი კი მომხედა და სახლისკენ უნდა მოეცოცა, რომ მოწყვეტით ისეთი ზღართან მიიღო, ხელიდან გაეარდნილი, თუთარ ბადეში ჩამსული სამელნე შუა ეზომდე მიგორდა. ამჯერად მაგრად გაება.

მეორე დღეს ოთხი გოგო კოჭლობდა და ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

უკვე საულვაშე ბუსუსებიც კი გაგვიჩნდა, მაგრამ იმდენად გათიშულად და მტრულად ვიყავით გოგოებთან, ჩვენს შორის ხიდი არ გამრთელდა. ბოლო დროს ტანი აიყარეს, ზოგიერთი ქალაქუნა ბიჭი იმასაც კი ამბობდა, ეს გოგოები ყოველდღე ლამაზდებიანო. ჩვენ ისინი, როგორც ყოველთვის, ახლაც უშნოდ აკანჭულ პრანჭია ჰინკებოდ მიგვანხნდა და, ღმერთო კი მომკალი, გვერდით ისე როგორ უნდა ჩაველოთ,

რომ შიშის კანკალი არ ჰქონოდათ. და არ ვიცი, ეს კიდევ რამდენ წინაშე გავტრძელდებოდა!

იმ ზაფხულს „მტრები“ ნამეტანი დაქვიანდნენ, თუ რა იყო, თვალის დასანახად გაგვინატრულდნენ. ეს მატაც, დილით კი შევინაზავდი და მერე სად გადაიკარგებოდა, კაცმა არ იცოდა.

ერთ დღეს მისი უმცროსი ძმა დაეიშარტოხელე. ამოვიძვრე სული, კბილ-ჩაუტეხავი ყვირთელი სავარცხელი, საათის ლითონის სამაჯური მივეცი და ჩინურ ჯიბის ფარანს დავბირდი, ოღონდ გამიგე მატა და მისი დობილები რას ამბობენ, ან სად დადიან-მეთქი. ამ ბოლო დროს ჯიბილოც დუმდა და მით უფრო მინდოდა ახლა რაიმე ისეთი... ერთი სიტყვით, ნაღდი რამ მომეწყო, მთელ ზაფხულს რომ არ დაეიწყებოდათ.

მატას ძმისგან მალე მივიღე შესანიშნავი ცნობა. მართლა მივეცი ჯიბის ფარანი და დავფატურდი.

მეორე დღეს, შუადღეზე ქინკები თურმე გალაღვს აპირებდნენ მდინარეზე საბანაოდ, მაგრამ ჩვენ რომ არ გადაგვეკოვდნენ. ყანა-ყანა აპირებდნენ წასვლას წიქვილის სათავის ზევით. ჩვენ იმ სიშორეზე არასოდეს არ ვყოფილვართ. მდინარე იქვე გვექონდა და, აბა, სათავის ზევით რა გვესაქმებოდა. ის ადგილი, სადაც მათ უნდა ებანავათ, მე მაინც ვიცოდი. იქ მდინარე უხვევდა, ამ გაზაფხულზე აღიღებულმა წყალმა ნაპირს ძირი გამოუთხარა და ორი ნახელავი ტირიფის ფესვებს ძლივს ეჭირა მორევეზე განწირულღვით გადაკიდებული ბექობი. ყველაფერი რომ კარგად აეწონ-დაეწონე, ვიშვირე ფეხი და ბაბუა სამსონის სამეზობლო ღობეს გადავევლე. ვიცოდი, სამსონი შეუძლოდ იყო და ახლა ბებია ნინუცას კიდევაც რომ დავენახე, ხმას არ გაიღებდა. ისინი თითქოს ქალაქიდან შვილიშვილის ჩამოსვლას ელოდნენ, მაგრამ მაშინ ამაზე არც კი მიფიქრია.

სამსონს კარგი ხეხილიანი ეზო აქვს მწვეანე კოინდრით მოფენილი. გზის პირას, ღობის შიგნით თხილებია გარგული

და ძველი ჭიშკარი მუხის სქელი ფიც-  
რით მჭიდროდაა შეკედილი, ასე რომ,  
გზიდან ვაგლახად ეზოში ვერაგის დაი-  
ნახავ. დაბალი ოდის აივნის წინ ვარდ-  
ების და ოლეანდრების ტყეა და სახლი-  
დანაც ხეირიანად ეზოში არაფერი  
ჩანს. მე პირდაპირ გადავირბენდი ამ მა-  
ლალ კოინდარს, მერე ღობეს ქვევით  
ჩაფუყვებოდი, მეორე მუზობლის ვენა-  
ხებში გავეჭვრებოდი და იქედან ამბაკოს  
ეზოში გადავხტებოდი...

სიტყვა გამიგრძელდა. ის იყო გადა-  
ხტი, ხუთიოდე გაბუჩქული დაფნის ტო-  
ტებს გაგცდი და გავქანდი. მინდორი  
უნდა გადავირბინო, წინ არც კი ვიხე-  
დები, ღობეს ვუყურებ, იქეთ გადასას-  
ვლელს ვეძებ თვალით და უცებ მომიჩ-  
ვენა, რომ ამ მწვანე, ხასხასა მოლზე  
ერთგან თოვლი დაუყრიათ და კინაღამ  
მიშველი ფეხი არ დავადგი?

— ვაი! — აღმომხდა უნებურად: ახ-  
ლა ამ შუა ზაფხულში საიდან გააჩინეს-  
მეთქი აქ ეს ქათქათა თოვლი!

არ ვიცი, ახლაც არ მახსოვს, ქვევით  
მწვანე თუ ლურჯი რაღაც ეგო, ეს ვი-  
ცი, რომ მაშინ ბალახის ფერისაგან ვერ  
გავარჩიე; ამ ხშირ ხეხილის ტოტებიდან  
ასე, ერთი ნაბდის გაშლა მზე ჩამოპა-  
რულა და ეს ჩვენი მუზობლის სტუმარი,  
ალბათ მზის აბაზანების მისაღებად არ  
ვაწოლილა? რა ვითბრათ, ნაჩრდილავი  
იყო, თუ ჩვენი გოგოები მახსოვდა გატ-  
რუსულები, მართლა თოვლის ქალივით  
არ მომჭრა თვალი! წევს, ღია ვარდის-  
ფერი რაღაცნაირი პრიალა პერანგის  
ამარა და თვალეზზე თხელი, ცისფერი  
ხილაბანდი აქვს წაფარებული. უბეში  
თეთრი, მკვახე ვაშლებივით ძუძუები  
უჩანს. ზღაპრებს ჩვენც ვკითხულობ-  
დით, მაგრამ ჩვენი გოგოები ქაჯებად  
და ჭოჯოებად წარმოგვედგინა. ეს იყო  
მზეთუნახავი, ახლა რომ პირველად გა-  
მოსულყო სინათლეზე.

ქვად ვიქეცი. ვერც წინ წავდგი ნაბი-  
ჯი, ვერც უკან, გამიშრა ნერწყვი, არ  
ვსუნთქავ. ვუყურებ, ვუყურებ, არ ვი-  
ცი რატომ: მომწონს? მიყვარს? მძულს?  
არაფერი არ მესმის. ვარ ასე გაშუშებუ-

ლი. იღბალი ჩემი, ეძინა, თუ თავი/მო-  
იმძინარა, ვერ გეტყვი, რამდენ ხანს  
ვიდექი, ან რისთვის ვიდექი. მახსოვს  
მხოლოდ, რომ შეინძრა, თუ სადმე ხე-  
ზე ჩიტი გაფაჩუნდა, უეცრად უკან და-  
ვიხიე. რაკი ერთი გავინძერი და ჯადოს-  
ნური ხლართი გაწყდა, შევბრუნდი და  
უკან მოუხედავად მოვესვი, კინაღამ  
ღობის სარებს გადავეჩიე და დაღლილ-  
დაქანცული ეზოში ხის ჩრდილში მი-  
მეგდე.

მერე, სული რომ მოვითქვი, წამო-  
დექი და ქუჩაში გავვარდი. მინდა ბიჭე-  
ბი ენახო. გოგოები რომ საბანაოდ მი-  
დიან და ჩვენ ნაპირი უნდა გადავჭრათ  
და წყალში მოცურავე ჭინკებს ბექობი  
თავზე დაეაქციოთ, ვილას ახსოვს, რა-  
ღაც სხვა მინდა. ყოველთვის გვაკვირვე-  
ბდა ქილიანი და გვჯობნიდა გოგოების  
გამწარებაში, ახლა მე ვუპირებ გაკვირ-  
ვებას, გაოცებას თუ გადარევას. მივდი-  
ვარ თუ მივფრინავ, რაღაცას ბუმბუ-  
ლივით მივყავარ, არც კი ვფიქრობ თუ  
დავდივარ, ერთი სიტყვით, ამნაირი  
ქვეყანა არ მინახავს.

ჭიბილოს რომ შევხვდი, ყველაზე  
უფრო მაშინ ვიგრძენი, უკვე მასზე  
რამდენად მაღლა მიმაჩნდა თავი. ნაწ-  
ვიმარზე რომ ჰკაყვლას წააწყლები.  
იმაღ არ მომეჩვენა?

— ბიჭებს დაუძახე, შე საცოდავო! —  
გადავუგდე გაბრული ძვალავით.

— სად არიან?

ვიცოდი, გოგოებზე მეკითხებოდა.  
რაკი დარწმუნებულნი იყო, რომ ამჯე-  
რად მე მოვიფიქრე რაღაც სასწაული.

— ბიჭებს დაუძახე, რომ გელაპარა-  
კებთან! — ვთქვი და თუთის ძირში ერ-  
თი დაფეხვილი სკამლოგინი იდგა და  
იქით გაეწიო.

— ამ შუაღლისას რომ შუა გზას დად-  
გომიხარ, რაეა გგონია — ჭინკები...

— მაგას არ ვკითხავს შენ კაცი, რაც  
ვითხარი, ის ჰქენი! — დავიღრინე ისევ  
და სკამლოგინზე ხონთქარივით გავიჭი-  
მე. თვითონაც არ ვიცი, რა ჯანდაბა მე-  
მართება, რატომ მგონია ქვეყანა ჩემი.  
არა, კი არ მგონია, მართლა ჩემია. და-



ფიქრება ვერ მოვასწარი, რომ თავზე ჯერ აქლუბული კუკური წამოშადგა, მერე ამბაკომ დამანათა არეული თვალები და ბოლოს ჩემს ფეხებთან ჯიბილოც ჩამოჭდა.

მე ნამყენი თუთის ფართო ფოთლებში სადღაც ვიწრო გასახედი მოვქებნე და ერთი ციდა ცის ნაჭერს ვუყურებ.

— ჩამოყაპე! — არ მოუთმინა გულმა ჯიბილოს.

— რას გამხვართულა? — გაიკვირვა კუკურიმაც.

— ჰე, ჰე!..

ბიჭებს ერთი სული ჰქონდათ... თანაც ისე თავდაჭერებული ვიყავი, ფარსაგი რაღაც ეგონათ...

მე კი იმ ერთ ციდა ცას ვუყურებ და ვუყურებ.

ჯიბილომ არც აცივა, არც აცხელა, წამავლო ფეხებში ხელი და ძირს გადამოგდება დამიპირა.

— არ გააწყალა გული!

— ვის უბედავთ! — ვიყვირე მე და წამოვჩვიქი.

— ჰე, ჰე!.. — მომამახა კუკურიმ და ამბაკომ და ერთი ამ გვერდიდან მომიჭდა, მეორე იმ გვერდიდან.

გადავხედე ყველას და მინდა დავიწყო. სათქმელის მეტი რა მაქვს, მგონია, რაც დავინახე საღამომდე ვერ მოეყვები, მაგრამ პირი რომ დავალე, მაშინ მივხვდი, რომ ვერაფერს ვერ ვამბობ.

— ბიჭებო!.. — ეს კი ამოვილაპარაკე.

მიცადეს ერთ ხანს. ენას ვერ ვაბრუნებ. რა ვთქვა არც ვიცი... ის, რომ ჭინკები საბანაოდ აპირებდნენ წასვლას — მომკალი და — არ მახსოვს. არა, გოგოს თავზე ვადექი, რაღაცამ ფეხები დამიბორკა, მერე უკან ძლივს გავიქეცი და ახლა ჩემია ქვეყანა-თქვა, ამას ჯერ რა გათქმევიანებს, მერე სად გინდა რომ თავი გამოყო, ან ცოცხალს გავიშვებენ?

— რას უყდი?

— თავგასიებული!

— ვაი შენს პატრონს უბედურს!

— რას უჯავს ცხვირ-პირი!

— რა თვალეში იხედება!

— ქოთი, ბიჭებო მაგას! — დაიძახა ჯიბილომ და ერთი მართლაც ლაზათიანად ჩამაფარა, მაინც რა შუარე ხელი ჰქონდა იმ ჩემი ცოდვით საცესს!.. მაშინვე ვიგრძენი კიდევ ორი წათაქება, მაგრამ ვიცოდი, ამას არავინ დამაჭერებდა და ვიყვირე.

— გაჩერდით, თქვენი... გაჩერდით!

— ვაცალოთ, ამოღერლოს. — შეაჩერა აწეული ხელი ქილიანმა. გაჩერდნენ სხვებიც.

— რა გინდათ ჩემგან?

— რატომ დავცივებ?

— გვითხარი!

— რა გითხრათ, არაფერსაც არ გეტყვით.

„არ გეტყვითო?!“ დამიშინეს ისევ. დამდევს სკამლოგინზე და ნამეტანი რომ გამიჭირდა, ისევ ვიყვირე: — გეტყვით, გამიშვით და გეტყვით!

მივიხედ-მოვიხედე. ჯიბილომ მაშინვე ხელი საყელოში ჩამავლო.

— გაქცევას აპირებს ეს დედალი.

— კაი, რახან მასეა, წამოდით ჩემთან!

— სად?

— სად და რისთვის — ვერ გეტყვით, რომ მომკლათ ვერ გეტყვით, წამოდით და თქვენი თვალით ნახეთ!

— ხომ იცი, გაქცევა რომ ვაბედო, ცოცხალი ვერ გადამიჩრები, ეს ისე, წაგეთამაშეთ...

— კარგი, კარგი, თქვე ქილიანებო, ყრუებო და პირადიებო, კარგი! — დავემუქრე გამწარებული, — მომყევით!

ვაბიჯდეს წინ, მივდივარ ჯერ ჭიშკარი-საკენ. თავში ხათქუნისაგან ტვინი დაბნეული მქონდა და მერე მომაგონდა, რომ გზას არ უნდა დავდგომოდი, მაგრამ ბოლოს მაინც შარაზე გადავედი. უცებ იმის შემეშინდა, არ მომასწროს გაღვიძება, იქ რომ ვერ მივუწყო, ხომ მომკლეს. მოვუსვი, რაც ძალი და ღონე მქონდა. რას ჩამომჩრებოდნენ? ჯიბილომ მაშინვე წინ გადამისწრო და ჩემს ჭიშკართან რომ შევუხვით, მერე შეჩერდა. შევედით ეზოში ფეხაკრეფით ხმას არავინ იღებს. რაღაც უჩვეულოს ელის ყველა.

გავეკარი ღობეს, აეტმასნენ ისინიც, დავავლე ორ სარს ხელი. ავიწიე ტანი და ისე გადავევლე. წნელოსათვის ფეხი არ დამიკარებია. სამივე ისე გაღმობილა, რომ არ დამენახა, ხმაური არ გამიგონია. ვიფარე დაფენები და წინ გავიხედე. გულს მომეშვა. მუქმწვანედ დაჩრდილულ მოღზე თეთრად ჩანს ერთი გობი თოვლი... გადავხედე ბიჭებს შურისგებით.

— თქვენი სინსილა არ იყოს! — გავცერი კბილებში, მინდორზე თითის წვერებზე გავიქეცი, მხარდამხარ მომდევნენ ისინიც. თავზე დავაყენე და უცებ შეეჩერდი, ხელები გაფშალე, რომ ფეხი არ დაედგათ.

ღროზე მიუღსწარიო. მზე საცაა გადავიღოდა და მძინარე აღმათ ისე თვალის მომპრელი აღარ იქნებოდა. სიცხეს ძალზე შეეწუხებინა, ფეხი-ფეხზე გადაედო, ისედაც მოკლე პერანგი კიდევ უფრო დამოკლებოდა და ცალი ძუძუ თითქმის მთლად უჩანდა. მაგრამ ახლა მკვახე თეთრი ვაშლივით კი არ იყო, მზის სხივებში ახლად შეთვალებული ატმის ფერი დამკრავდა.

იცოცხლე, გადმოუცვივდათ თვალები და მოენგრათ ყბები.

ამბაკო პირადიას კბილებში დარჩენოდა ენა და მძინარე რომ არ შენძრულყო და ჩვენ გონზე არ მოვსულიყავით, გადაიღეჭავდა. ისე თანდათან, მისდა შეუმჩნეველად, ეძაგრებოდა ყბის კუნთი.

სადამოს რაღაც შემიჩნდა (მგონი ის, შუადღისას მძინარესთან ფეხები რომ შემიკრა) არ დამაყენა და ბებია ნინუცა მოვიანახულე: შეშას დაგიკრი, წყალს მოგიტან, წისქვილში გაგეგზავნები.

მგონი სამსონ ბაბუა შეუძლოდა-მეთქი.

„მოგეცა დიდი დღეფხა... დამოღოცა მოხუცმა, — ფქვილი დაგვირჩა, შეშა... ახლა ზაფხულია და ფიჩხზე ვახურებ კეცებს... წყალი... მეც არ გამჭირვებია ჯერ ისე, მაგრამ აგერ არაა ჩემი ანაპოს გოგო?

— რომელი ანაპოს?!

— ჩემი მახლის.

— აგერ, ჩვენს წინ რომ ცხოვრობს?

— ჰო, შე კაცო, არ იცი, შენთან არ სწავლობს? ჩემი მატა...

— მატა!..

— იმე, რავე უცხოსავით მელაპარაკები!

— მატა ვიცი.

— ჰოდა, გადმოდის, მეხმარება. მარა რავე შეეაწუხებ. მაგისტანა, ხო იცი, ოთხი ჰყავს კიდევ ანაპოს, უშლიან ხელს, აქ ვინაა ხმის გამცემი, ზის და კითხვლობს ჩრდილში, დააცალა ღმერთმა, ნამეტანი მაცადინი ბავშვია.

— შენი შვილიშვილი არ ჩამოსულა?

— რავე, გაიგე რამე თუ? წერილი ხომ არაა, ან დებეშა? — ხელებში მომაჩერდა გახარებული ქალი.

— არა, ისე ვიკითხე, თუ ჩამოვიდა მეთქი.

— სადაა, შვილო, მერე, დედამისი ჩემთან გამოუშვებს? ზღვაზეო! ზღვა სადა მაქვს მე აქ...

— აბა, მატა?..

— მატა, მატას კირიმე, დაძინებოდა, წლისღონე დღეა ზაფხულის დღე, მიღგომოდა მზე და მთელი სხეული ეწვოდა. მე სასიკვდილეს, რავე მომივიდა, რომ ვერ მივაქციე ყურადღება...

მატა?!

ზვიონ ხალაში

## გ გ ე ბ ი ღიღ ბუღაუჭუჭი

უცხო ქალაქში ყველაფერი მეუცხოვება,  
გარდა მტრედისა,  
ღამენათვეს რომ მომაფრინდა  
განთიადისას.  
ხოლო გვრიტების ღულუნით  
და ჩუმი ხალისით  
მწვანე ფოთლებზე მოაბიჯებს  
თეთრი აისი.  
მზეც მობრძანდება,  
ჩემს ეზო-კარში ნამყოფი მზე  
სნივებით ანცობს.  
მალე შენს გვერდით  
იგი მნახავს,  
როგორც ძველ ნაცნობს.  
ვპოულობ სიტყვებს,  
მაგრამ ისევ სიტყვებს დავუძებ  
სახლებზე, მთებზე,  
ქალაქებზე და ნაცნობებზე.  
სიტყვები გვანან  
გონიოში ნაკრეფ ფორთოხლებს.  
შენ მათ ესები,  
ყნოსავ, იცი იმათი გემო.  
ღე, იმათ მუდამ ჩემი მიწის  
სურნელი მოკყვება.  
და განთიადზე შენ შეეგებო.  
რა ნაცნობია ყველაფერი  
უცნობ ქალაქში,  
როდესაც შენ ხარ წუთი,  
ასე რომ მიიჩქარის,

რა ნაცნობია ყველაფერი  
უცნობ ქალაქში,  
როდესაც შენ ხარ მოედანც,  
მტრედიც, ცისკარიც;  
როდესაც შენ ხარ,  
მწუხარება წარსული წლების  
და სიყვარული დღევანდელი  
ფერისცვალების.  
როდესაც შენ ხარ,  
მე ძილისთვის ვეღარ ვიშებ  
ვერც ღამეს, ვერც დღეს  
და მინდა ეს ხმა მიუწვდომელ  
სიმაღლეს შეწვდეს.  
და, როგორც გმირი გამარჯვების  
ფერად აღღუმზე,  
დგას ტრიბუნაზე, ამაყურად სამყაროს  
უმზერს,  
მეც ვზივარ ბაღში,  
დაძველებულ, ფერწასულ სკამზე  
და გაზაფხული შენი თბილი  
ღიმილით მავსებს.  
ხოლო ქალაქი უნაპიროდ  
გაშლილი ცისქვეშ  
უთვალავ ფიჭრებს ჩვენსას აერთებს  
და, ვით კოსმოსურ ხომალდიდან,  
მიწიდან ისე  
მე ვესალმები ნაცნობსა და  
უცნობ პლანეტებს.



## მინათი კვირა

მგონია კვამლის მაღალი სვეტი  
გაქვავდა-მუთქი,  
ეგერში ისე ჩანს მინარეთი.

იმისი ჩრდილი მძიმე და სქელი,  
როგორც ძახილი უკანასკნელი,  
არავის ესმის, არავის ელის.

იქით კი, მაღალ ციხის ნანგრევში  
ძვლებზე ნაღესი, ცეცხლში ნაგეში  
ვიცანი ხმალი...

სწორედ იმ ხმალმა რამდენიმე წლის წინაა  
შელება ჩემი წინაპრის სისხლით  
აჭარისწყალი.

და მაინც მომწონს ეგერში მდგარი  
გაქვავებული ძველი ხანძარი,  
რომელსაც ხალხი ჯიუტად უვლის;  
ამით ის ტკივილს გვახსენებს ყველას,  
ამით ამაგრებს თავისუფლების  
სურვილს და წყურვილს.

## დუნის ბეთქვაებთან

ღვინოს გვასმევენ მაღიარები  
მებადურებთან დუნაისპირას,  
მოწყენილობა და იარები  
რჩება,  
სიმღერა მდინარეს მიაჭებს.

ღვინოს გვასმევენ მაღიარები,  
იქვე დუნაი დუდუნით უბჯვებს,  
მეც, ვითომ მტკვართან დავიარები,  
იმის ლანქურში ვისველებ მუსლებს.

ღვინოს გვასმევენ მაღიარები,  
რომ სიყვარული ვთქვათ და ვიტყვით.  
და ღვინოსავით სუფთა თვალები  
ერთიმეორის სულში ჩავძირთ.

ეს მიწა მტრებმა ვეღარ გათელეს  
და დუნაიზე დადგა დარები,  
დღეს აქ ძმებზეთ მოსულ ქართველებს  
ღვინოს გვასმევენ მაღიარები.

## ჩახეთის მინა

ლამაზი მიწა ჩხეთის  
ვიცანით ერთი შეხედვით,  
ტოტებს გვიქნევენ ხეები,  
გვესალმებიან გლეხები.

კარებს გვიღებენ სახლები,  
გვეხუტებიან ბავშვები,  
გზისპირზე ალუბალები  
დამდგარან თეთრი თავშლებით.

...რამდენ ქედზე და მინდორზე  
საფლავებს უვლის მაისი,  
და გულში ომის ტკივილი  
იღვიძებს თავისთავისით.

ჩვენი ძმების თუ მამების  
დაცემის მზემ რომ იმუხვა,  
ეს ყვაფილები იმათი  
ღია თვალებით გვიმზერენ.

აი, იმათმა ფეხისხმამ  
და გამარჯვების ყიფინამ,  
როგორც ნიაგმა, ყურებში  
უცერად გაიშიშინა.

ისარე, ძმაო, ჩხეთო,  
წყველოთ ომი და წვალება,  
ერთმანეთს მშვიდად შეხედონ  
ჩვენმა კეთილმა თვალებმა.

## ქართულ საზღაპთან პიკადაში



შეჩერებულა შენი სიცოცხლე  
შენი ცხოვრების ტკბილ გაზაფხულზე,  
მიწა, რომელიც ტანკებმა მოხნეს;  
აყვავებულა შენს მდუმარ გულზე.

საქართველოში აღარ გელიან,  
მაგრამ აქა ხარ და ეს იციან,  
ჭირისუფალი აქაც ბევრია,  
მათი სანთლები შენთვის იწვიან.

საქართველოდან მოგვიტანია  
სიტყვა დედურად განაცხელები,

გორში ატმები ისევ ჰყვავიან  
და ჭიხვინებენ ხევში ცხენები.

უკვე დაკაცდნენ შენი შვილები,  
ააჭრიალეს სახლში აკვნები.  
იმათ კვლავ ხშირად შეეშველები  
და ბუხარივით აღარ ჩაქრები.

შენი სახელი სინათლეს მატებს  
საქართველოში დამდგარ ამინდებს  
და, როგორც ჩები გოგონა სანთლებს,  
თვალეზე შენთვის ცრემლებს ავინთებს.

## „ფრიკა ოლომოუს“

ქ. ოლომოუცში ყვავილების მსოფლიო გამოფენა:  
ვინაშეღეთ.

ვით ვერ გაიცნობ ადამიანს  
ერთი შეხედვით,  
ისე ქალაქსაც ვერ გაიცნობ  
ერთი გამოვლით.  
აქ შენ ქუჩების და ბალების  
სულში შეხვედი  
ოლომოუცელ გიდის წყალობით.

აქ ჩამოსულა დედამიწის  
ყველა ყვავილი,  
ლაპარაკია ულამაზეს  
ფერთა ენაზე.  
აჩახახებულ დარბაზებში კრძალვით  
ჩაივლი;  
აქ თათბირია, როგორც  
ერთა ასამბლეაზე.

ოლომოუცში ყვავილთა ელჩებს  
მოუტანიათ თავის სიტყვა,  
თავის წადილი,  
რომ ყველგან ყვავილს ყვავილობა  
როგორმე შერჩეს,  
რომ ყვავილს ყველგან  
დაუტოვონ თავის ადგილი.  
ოლომოუცო,

ყვავილების ამ მაღალ ფორუმს,  
აფსუს, —  
ყვავილი ვერ დაესწრო საქართველოდან,  
ის — თანასწორი მოქალაქე  
მსოფლიო ფლორის,  
აქაც ერთ ლამაზ  
სიტყვას იტყოდა.



## პოტიკული კლასი

6 0 3 2 2

სუნჯის გამოღმა, ასტრახანის პოლკის ორი ასეული იყო დაბანაკებული. ისინი აღალს იცავდნენ.

ნაშუადღევს მდინარემ ჩამოატარა უბედურების პირველი მაცნე. პირველს მემორე, მესამე და მეათეც მოჰყვა. მალე სათვალავიც დაჰკარგეს ჯარისკაცებმა. ახლა მთავარი იყო არა დაჰკრილთა და გულჯახეთილთა თვლა. არამედ ვადარჩენა, თუ ყველასი არა, ზოგი მათგანისა მაინც. ხუთმა-ექვსმა თვითონ მოახერხა ნაპირამდე გამოცურვა. ზოგს ალაღის მცველი ასეულის ჯარისკაცები ჩაეშველნენ და გამოიყვანეს. ნაპირზე თხუთმეტიოდე ვადარჩენილს მოუყარეს თავი. მათ ჯერ კიდევ წურწურით ჩამოსდიოდნათ სისხლნარევი წყალი. სიკვდილს რაღაც სასწაულით თავდაღწეული ჯარისკაცების შესახედაობამ დამხვდურებზე საზარელი შთაბეჭდილება მოახდინა. სახეშეშლილ, ტანსაცმელ შემოფლეთილ აღამიანებს ჯერ ერთი სიტყვაც არ ეთქვათ, მაგრამ უთქმელადაც ცხადი იყო, რომ პოლკოვნიკ პიერის მხედრობას რაღაც დიდი უბედურება ეწია...

სწორედ ორი დღის წინ, ოთხ ივლისს, ნაშუადღევს ოთხ საათზე ნაურის ახლოს შეკრებილი ლაშქარი ჩაჩანთა აულ აღდისაკენ დაიძრა. ამ ლაშქრის — ასტრახანის ქვეითი პოლკის, ყაბარდოს ეგერთა ბატალიონის, ტომსკელ გრენადერთა ქვეითი პოლკის ერთი ასეული — და თერჯის მხედრობის კაზაკთა ერთი ასეულის მეთაურად გრაფი პოტიომ-

კინის განკარგულებით დაინიშნა გულადობითა და სიმკაცრით ერთნაირად განთქმული პოლკოვნიკი ნიკოლოზ იურის ძე პიერი. ეს კაცი, თავად ბერძნული წარმოშობისა, შეყვარებული იყო ბერძნულ ფალანგაზე და ოცნებად ჰქონდა გადაქცეული რუსი ჯარისკაცისათვის შთაებერა ბერძნული სული და თვითონაც ალექსანდრე მაკედონელს დამსგავსებოდა. პიერის ფუქმა ოცნებამ, მედიდურებამ და სიშმაგემ ნაყოფი მალე გამოიღო, მაგრამ არა ისეთი, როგორსაც მოელოდა ბერძნულ ფალანგასა და ალექსანდრე მაკედონელზე შეყვარებული პოლკოვნიკი.

პიერის თავისი მხედრობით უნდა დავემოშინებია ჩაჩანთა აული აღდი, სადაც კვლავ იჩინა თავი მთიელთა მღელვარებამ.

სულ რაღაც ორიოდე წლის წინ, 1783 წლის ზაფხულში ჩაჩნეთს ორგზის ლაშქრობამ თითქო სასურველი შედეგი გამოიღო. ჩაჩნებმა რუსის მხედრობის წინაშე ფიცი დასდეს — მათს წინააღმდეგ ხელნი იარაღს აღარ აიღებდნენ. ამ პირობას ისინი პირნათლად იცავდნენ კიდევ, სანამ აქაურობას მოძღვარი ვინმე უშურმა არ მოეველინა. აულ აღდის მცხოვრებმა ახალმა „მოძღვარმა“ ორიოდე თვეში ისეთი სახელი მოიხვეჭა, ისე მარჯვედ აუშალა ხალხს შფოთის საღერღელი, რომ მთელი აული მიიძხროდა რუსის მხედრობის წინაშე დადებული ფიცი გაატეხინა. ახალი მოციქული უშურმა დაუყოვნებლივ მოინათლა იპა-

მად და შეიხად, ამ მაღალ წოდებათა შესაფერისად ისახელნართაულა კიდევ — უშურმას მაგივრად მანსურად იწოდდა. არაბულად მანსური ძლევამოსილნიშნავს და, ჩაჩნებმაც ადვილად ირწმუნეს ახალი იმამის ძლევამოსილება.

მანსურის აღტკინებულმა მოწოდებამ ჯერ მხოლოდ ერთი აული ამხედრა და დარაზმა სარწმუნოებრივი ბრძოლის — პაზავათისათვის; 1785 წლის გაზაფხულზე კი უკვე მთელი ჩაჩნეთი აიშალა, მანსურის გავლენა უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო. ამას ახლა რუსის მხედრობაც თვალნათლივ ხედავდა; და რაკი ხედავდა, უკვე შეუძლებელიც იყო ამ გარემოებისათვის გულგრილად ცქერა და მით უმეტეს — დაყოვნება.

\*\*\*

ორმოცდაათიოდე კილომეტრის გავლის შემდეგ პოლკოვნიკ პიერის ლაშქარმა მხოლოდ მეორე დღის საღამოხანს მიადწია მდინარე სუნჯის მარჯვენა ნაპირს. აქედან აულ აღდიმდე ხუთიოდე კილომეტრი-ლა თუ იქნებოდა. პიერიმ ლაშქრის მთელი ალალი მდინარის გამოღმა დასტოვა ასტრახანის პოლკის ორი ასეულისა და მის მეთაურად მიჩენილ პოლკოვნიკ ტომარის ამარა. უაღალოდ, ტვირთშემსუბუქებული ლაშქრით პიერის ეწადა ჩაჩანთა აულს სწრაფად და უეცრად დასხმოდა თავს. მათი ხელახლა აშლისა და აფორიანების სულისჩამდგმელი მანსური შეეპყრო. თავადი პოტიომკინის აზრით ეს საკმარისი იქნებოდა აულში რომ კვლავ მშვიდობიანობა ჩამოეარდნილიყო, მაგრამ პოლკოვნიკ პიერის გულის სიღრმეში ვაცილებით მეტი ეწადა. მას არასოდეს არ აკმაყოფილებდა მშვიდობიანი მოგვარება ამგვარი საქმისა და უმსხვერპლოდ, უსისხლოდ მოგება ბრძოლისა.

მცირე შესვენების შემდეგ, საღამოხანს ლაშქარი ფონით მდინარეში გავიდა და მალე უღრან ტყეში გაუჩინარდა. ტყის ერთადერთი ბილიკი სწორედ აულ აღდისაკენ მიემართებოდა. ეს ბილიკი რუსის მხედრობას უკვე გატყეპნილი ჰქონდა და ამიტომაც ტყის გარემოცვა-

ში, ისიც ღამით ასე უშიშრად მიატყებდა. გზაყვალის არევისა, არეულობის, ჯარიკაცებს მხოლოდ ეს აწუხებდათ, რომ გზა ტყეში მეტისმეტად მიხვეულ-მოხვეული და ძნელად სავალი იყო. განსაკუთრებით დიდი ჯაფა დაადგათ იმ ორი მომცრო ქვეშების მომსახურეთ, რომლებიც ახლა ცხენების მაგივრობას სწევდნენ. ალბათ ესეც იყო მიზეზი, რომ სულ რაღაც ხუთიოდე კილომეტრის გავლას მთელი ღამე მოანდამეს. როდესაც დილაადრიან მხედრობა ტყიდან გავიდა, ყველამ შვეებით მოითქვა სული.

\*\*\*

გურჯვეველ, აუტანელ მოლოდინსა და შიშისფეთებაში დაღამდა კიდევ მდინარის გამოღმა, ალალის მცველი ორი ასეული რახანია საომრად იყო განლაგებული. ირგვლივ მყუდროება სუფევდა, და ეს მყუდროება იმის შემდეგ, რაც მომხდარა, კიდევ უფრო აღიერებდა ავის მოლოდინსა და მოუთმენლობას.

ერთი მოსულიერებული ჯარისკაცი, როგორც იყო გონსაც მოვიდა, ლაპარაკის საღერღელიც აეშალა და ის უმალ პოლკოვნიკ ტომარის მიჰგვარეს. პოლკოვნიკი მდინარის გამოღმა ნაპირებიდან ას ორმოცდაათიოდე ნაბიჯის დაშორებით, ერთი გოლიათი ცაცხვის ძირას იჯდა გაშლილ ნაბაღზე. აქედან სუნჯის როგორც გამოღმა, ისე გაღმა ნაპირი კარგად ჩანდა. უკანაც გადასახედი ჰქონდა. დღისით ისე ვერაფერი გაიკჷპნებდა რომ ვერ შეგენიშნათ; მაგრამ ახლა, ღამით ამ ადგილსაც უთუოდ დაკარგული ჰქონდა თავისი სტრატეგიული მნიშვნელობა. უსაფრთხოების მხრივ პოლკოვნიკი მხოლოდ თავისი ჯარისკაცების იმედად იყო, რომლებიც სიღრმითაც და სიგრძითაც თითქმის მთელი კილომეტრის მანძილზე იცავდნენ აქაურობას.

უქულო, ნახევრად შიშველი, კრილობებშეხვეული ჯარისკაცი პოლკოვნიკს ხელუბნაშეხვეული წარუდგა, წესისამებრ მოახსენა ვინც იყო და რომელ ნაწილშიაც ირიცხებოდა. პოლკოვნიკი

მარჯვენა, მუხლში მოკეცილ ფეხს ნი-  
დაყვით ისე გადმოიყრდნო, როგორც  
მოაჯირზე სჩვევიათ და ჯარისკაცს დაა-  
კვირდა. ისე ბნელდა, ორიოდე ნაბიჯ-  
ზე მდგარი ადამიანის დანახვაც ჰქირდა.  
პოლკოვნიკის ვანკარგულებით ბანაკში  
აქრძალული იყო ცეცხლის დანთება.

— რა მოხდა? — მოულოდნელად  
და მკაცრი კილოთი იკითხა პოლკოვნიკ-  
მა.

— უბედურება, თქვენო ბრწყინვა-  
ლებავ! თითქმის მთელი მხედრობა...  
დაიღუპა. პოლკოვნიკი მიხეილ იუზის  
ძე პიერი მოჰკლეს. მაიორი კომარსკიც  
მძიმედ დაჰკრეს. ჩემს თვალწინ მოჰკლეს  
უნტერ-ოფიცერი პეტრე ბაგრატიო-  
ნიც...

მხედართუფროსის — პიერის სიკე-  
დილმა პოლკოვნიკი შეაერთო და დაა-  
ფიქრა, პეტრე ბაგრატიონის უდროო  
დაღუპვამ კი გული როგორღაც ატყინა.

პოლკოვნიკ პიერის ამ ლაშქრობაში  
ადიუტანტად ახლდა ოციოდე წლის  
ჰაბუკი, მუშეკეტრთა პოლკის უნტერ-  
ოფიცერი პეტრე ივანეს ძე ბაგრატიო-  
ნი, ბაგრატიონმა ჩაჩნეთზე წინა ორ ლა-  
შქრობაშიაც მიიღო მონაწილეობა. თუ  
ჩაჩნებს სწყინდათ რომ ყიზლარში ჩა-  
მოსახლებული ივანე ბაგრატიონის ვაჟი  
პეტრე მათ წინააღმდეგ იბრძოდა, სამა-  
გიეროდ ამ წყენას და მტრობას თითქ-  
მის აბათილებდა ახალბედა უნტერ-ოფი-  
ცრის ვაჟკაცური შემართება და მხედ-  
რული ნიჭი. ვაჟკაცობას კი, თუნდაც  
მტრისას, მთიელები ყოველთვის თავს  
დაბლა უხრიათ.

პეტრე ბაგრატიონის სამხედრო ნიჭსა  
და ვაჟკაცობაზე ნაკლებად არ ანცვიფ-  
რებდა ჩაჩნებს მისი სამართლიანობა და  
მართლაც, ერთადერთი რასაც ბაგრა-  
ტიონი ვერასგზით ვერ ურიგდებოდა,  
იყო უაზრო მსხვერპლი. ხანდახან თეი-  
თონაც უყვირდა ბაგრატიონს ადამიანის  
სიცოცხლე მის თვალში ცხარე ბრძო-  
ლის დროსაც რომ ფასს არ კარგავდა  
და მტერიც კი სასიკვდილოდ არ ემე-  
ტებოდა, თუ მის დასამორჩილებლად  
სხვა საშუალებასაც ხედავდა. ადამი-  
ანის მოკვლა ბრძოლაშიაც კი მას არა-  
2. „მნათობი“, 26 8.

სოდეს არ მიაჩნდა ვაჟკაცობის უმაღ-  
ლეს გამოხატულებად, მეგრამ თავით  
არასოდეს სიკვდილისა ვერ შეწყინებდა.

თანამებრძოლთა დაღუპვის შეტყობა-  
ზე წამით მძიმედ ჩაფიქრებული პოლ-  
კოვნიკი ტომარი უეცრად ზეზე წამოიჭ-  
რა. თითქმის შეჰყვირა ჯარისკაცს.

— რას განუმებულხარ, მერე, მერე?  
სთქვი, სთქვი, სთქვი... — უნებლოეთ  
ხმლის ტარისათვის რომ უნდა ჩაეგლო.  
ხელი ერთბაშად შუბლზე იტყიცა და ნა-  
ბაღზე კი არ ჩამოვდა, კუნძივით დაეცა.

შეშინებული ჯარისკაცი კი ისევე და-  
მუნჯდა; სანამ მუჯღუფენი არა ჰკრეს,  
ენა ვერ ამოადგმევინეს.

— თქვენო ბრწყინვალელებავ... ის ულ-  
რანი ტყე წუხელ როგორც იყო მშვა-  
დობიანად გავიარეთ, ამ დილით ტყიდან  
რომ გავედით, აულიც გამოჩნდა. უეც-  
რად სროლა ატყდა. მერე შევიტყვეთ—  
პიერის ადიუტანტს ბაგრატიონს სამი  
ჩაჩანი შეუნიშნავს... ჩვენი ბიჭები გაქ-  
ცეულუმს რომ ვერ დასწევინ, სროლა  
აუტეხიათ. ორი მოუკლავთ, ერთი გაქ-  
ცეულა. იმან აცნობა აულს ჩვენი მისე-  
ლა... იმან დაგვღუპა...

სიბნელეში სრულებით არ აჩნდა მი-  
წას ნაბდის სიშავე. გეგონებოდათ პოლ-  
კოვნიკი მიწაზე ზისო. ის მოულოდნე-  
ლად წამოიჭრა ზეზე, ერთი ნაბიჯი სწო-  
რედ ჯარისკაცისაკენ წაღდა წინ. შეში-  
ნებულ ჯარისკაცს კი სიტყვა კვლავ გაუ-  
წყდა და რამდენიმე ნაბიჯით უკან დაი-  
ხია. მას ეგონა, პოლკოვნიკი მუქარათ  
ძე მიცქერისო, ტომარის კი მდინარის  
გალმა მიეპყრო მხერა, სადაც ეს წუთია  
უეცრად გამოჩნდა ანთებული კვარი და  
კვარის სინათლეზე მოფუსფუსე რამ-  
დენიმე მამაკაცი.

— ჭოგრი! — იყვირა პოლკოვნიკმა  
და ხელი ისე მოაფათურა სიბნელეში,  
წყალგალმა მობრიალე კვარის ალსა და  
ლანდებივით ერთმანეთში არეული,  
აფუსფუსებული ფიგურებისათვის თვა-  
ლი არ მოუშორებია.

სიბნელეში გაწვდილ ხელში შეაჩე-  
ჩეს თუ არა ჭოგრი, უმაღლ მარჯვენა  
თვალზე მიიბჯინა იგი პოლკოვნიკმა და



მდინარის გაღმა იმ განათებულ ადგილს უსწორა.

რამდენიმე ფაფახიანი მამაკაცის სილუეტები კვარის შუქზე გარკვევით ჩანდა ჭოგრში. ისინი რაღაცას ბეჭობდნენ. მართალია, ლაპარაკი არ ისმოდა, მაგრამ ხელების მოძრაობა მხოლოდ ამას გაფიქრებინებდათ. ბოლოს ჯგუფს სამი მამაკაცი გამოეყო, როგორც კი კვარიანი მამაკაცი ჯგუფს წინ დაუდგა, პოლკოვნიკმა ჭოგრით ახლა ზოგი მათგანის სახეც შეაფიქრებდა. სინათლეზე, ის, ვისაც კვარი ეჭირა, თხუთმეტობდნენ წლის ყმაწვილი ჩანდა. გამხდარ ყბებზე და საუღვანოზე ჯერ დინდლიც კი არ აჩნდა. შედარებით მომცრო ფაფახი უკან ისე გადაეწია, გეგონებოდათ სადაცაა გადაუვარდებო, ვიწრო, ოთხკუთხედიანი მთლიანად უჩანდა. სწორა, გამოკვეთილი საწარბის ქვემოლ, სიღრმეში თვალების გარსს ფარავდა მეტად ხშირი და ალბათ გრძელი წამწამები. ყმაწვილს მოძრაობაზე ეტყობოდა, რომ ღვედვით იყო მოქნილი და ღონეც ეჩჩოდა. ტანთ ეცვა ჩაშვებული ხალათი უქამარხანჯლოდ, სწორ ტოტებიანი შარვალი, წვივებზე მუხლამდე აკარწახებული და, უყულო წაღები შიშველ ფეხზე. ჯგუფს გამოეყო ერთი მოხუცი, საემოლ წელგამართული, მაგრამ ბეჭებში შესაშინებელ მოხრილი. მოხუცს დიდი, ბოლოგაბრტყელებული ფაფახი ეხერა. თეთრი, მოკლედშეკრეპილი წვერის ჩარჩოში ჩასმულივით ჩანდა მისი ჩაშვებული, მზით დამწვარი სახე. ეს კოლორიტული მოხუცი პოლკოვნიკმა ჭოგრით თავით ფეხამდე შეათვალა. ბეჭებში მოხრილი ჩაჩანი სხვებზე თამამად იქცეოდა და ეტყობოდა, რომ ბრძანებლობდა კიდევ. ის მივიდა ყმაწვილთან, რომელსაც კვარი ეჭირა და ორივე ხელი დაუსვა ზემოდან ქვევით, ილიებიდან მუხლებამდე. შემდეგ ცალი ხელი შეკრდა და მუცელზე მოუფათურა. ვერ გაიგებდით — ეფერებოდა, ლოცავდა, თუ ჩხრეკდა. უცებ წინ წახრილი თეთრწვერა მოხუცის ხელის მოძრაობა შესწყდა. წამით გაჩინდებულ, მუცელზე ხელს არ აცილებდა ყმა-

წვილს. მერე დინჯად გასწორდა წელში, ყმაწვილს ერთი უცრადსაღწეა მარცხენა ხელით ყბაში, მარჯვენაში კი ჩაშვებული ხალათის კალთა აუწია და ხვანჯარში გარკობილი პატარა დამბანა წააძრო. დამბანა მოხუცმა უკანმოხუცდავად ზურგში მდგომ ჩაჩანს გადასცა, რომელსაც მეკრდზე აეხობოლავებინა ქამრებიანი ხანჯლები და პაქიჭები. ამას ყველაფერს დიდი ცნობისმოყვარეობით უცქეროდა ჭოგრმომარჯვებული პოლკოვნიკი, თუმცა ჯერ ვერ მიმხვდარიყო, რა ხდებოდა მდინარის გაღმა. ბოლოს, ჯგუფს კიდევ ორი მამაკაცი გამოეყო. მათ აქამდე ძნელად გასარჩევი საკაცე ასწიეს და სახელურებით მხრებზე გაიდეს. უკან რომელიც შესდგომოდა მხრებით საკაცეს, მან ფაფახი მოიხადა და საფენის მავიერ მარჯვენა მხარზე დაიდო საკაცის სახელურის ქვეშ. ღვედვით მოქნილი, სილანაჰამი ყმაწვილი პირველი შევიდა მდინარეში, კვარიანი მკლავი განზე და მალლა ეჭირა, რათა უკეთ გაენათებინა სავალი იმათთვის, რომელთაც საკაცე მოჰქონდათ. ყმაწვილი დროდადრო ჩერდებოდა წყალში, სანამ უფროსები წამოეწეოდნენ. საკაცეზე დაჭრილი იწვა, მაგრამ პოლკოვნიკი ტომარი მის სახეს ჭოგრშიაც ვერ არჩევდა. დაჭრილს სახეზე და მეკრდზე თივის ბულულის თხელი ფენა ეფარა.

პოლკოვნიკმა ერთი წუთით თვალი დაასვენა. აღიუტანტა უბრძანა — ჯარისკაცები გაეფრთხილებინათ, ჩაჩანთა ჯგუფისათვის სროლა არავის გაეხედა. მერე შემთხვევით იმ გადარჩენილი ჯარისკაცის სილუეტს მოკრა თვალი, წელან რამ პიურის ლაშქრის ამბავს ჰყვებოდა.

— მერე? განაგრძე...

— მერე... თქვენო ბრწყინვალეობა, მისმა კეთილშობილებამ, პოლკოვნიკმა პიურიმ მაიორ კომარსკის უბრძანა ყაბარლოს ეგერთა ბატალიონით აულისათვის მარცხენა მხრიდან, სწორედ ტყისპირის გაყოლებით, დაველო თავი. მარჯვნივ გაგზავნა ტომსკელ გრენადერთა ქვეითი პოლკის ერთი ასეული და თერგის ჯარის კახაკთა ერთი ასეული. თვი-



თონ კი ასტრახანის ქვეითი პოლკითურთ გადასწყვიტა ადგილზე დარჩენა და აულის მისადგომის ამ მხრიდან დაცვა. მეც იქ ვიყავი...

პოლკოვნიკმა ტომარიმ ისევე გახედა ჭოგრით ჩაჩნებს, რომელთაც უკვე გამოველოთ მდინარის მესამედი. ფონის გასწვრივ წყალი ღრმა არ ჩანდა, მხოლოდ მუხლამდე სწვდებოდა იმათ, რომელთაც საკაცე მოჰქონდათ, კვარიან ყმაწვილს კი ტალღა მუხლს ზემოთ სცემდა. წყალი ისეთი ჩქარი იყო, რომ დაბიჯებისთანავე ტერფტვეშ აცლიდა საკმაოდ მსხვილ ქვიშას და გლუვ, ბრტყელ ქვებსაც. მაგრამ ისინი, რომელთაც საკაცე ასე ფრთხილად მოჰქონდათ, ამ საქმეში გამოცდილი იყვნენ და ერთხელაც არ წაბორძიებულან. შეჩერებათ კი დროდადრო ჩერდებოდნენ. ეტყობოდა, სანამ ტერფს კარგად არ მოიმარებდნენ ფსკერზე, მანამდე ნაბიჯს წინ არა დგამდნენ. და თითქო ინსტინქტი უკარნახებსო, ფეხის ეს მომაგრება და ნაბიჯის გადადგმა ისე შეხმატბილებულად ხდებოდა იმ ორთა შორის, თითქო ერთი კაცი მიაბიჯებსო.

გადარჩენილი ჯარისკაცი სვენებ-სვენებით ლაპარაკობდა. პოლკოვნიკი თან ჭოგრით ათვალეირებდა უკვე ნაპირთან მოახლოებულებს, თან უსმენდა.

— ერთი საათის შემდეგ პოლკოვნიკი პიერის მოახსენეს, რომ აულის მთელი მოსახლეობა უკვე გაიხიზნულა, მანსურსაც მოუსწრია გაქცევაო.

ამის გაგონება და პოლკოვნიკის ცხენზე გაშეშება ერთი იყო. სახეგაფითრებულს თვალები დაეხუჭა. ამ წუთში დამანახავად ეჯავრებოდა ყველა და თვითონაც სირცხვილით იწვოდა. ამ მარცხის შემდეგ რა პირით უნდა სჩვენებოდა პოტიომკინს. ამგვარ შემთხვევებში პოლკოვნიკი, სამწუხაროდ, მთლიანად ჰკარგავდა წონასწორობას და ანგარიშმიუცემლად ისეთ რამეს ჩაიდენდა ხოლმე, რისი გამოსწორებაც არასგზით აღარ შეიძლებოდა.

პოლკოვნიკმა ადიუტანტი ბაგრატიონი იხმო და ბრძანა—ჩემი სახელით გა-

დაეცით მაიორ კომარსკის — გადასწვება მთელი აული!

ბაგრატიონმა ბრძანება კი მყის გაიქცორა, მაგრამ ცხენი ადგილიდან მაინც არ დაუძრავს. ბრძანებისთანავე პოლკოვნიკმა კვლავ დახუჭა თვალი და ცოტა არ იყოს, განცვიფრებულმა— აქამდე ცხენის ფლოქვეების სმა რომ არ მოესმა, კვლავ გაახილა. გაახილა და იქვე უძრავად მდგომი ადიუტანტი რომ დაინახა, კინაღამ ჰკუთ დაკარგა. ბაგრატიონმა იგრძნო, რომ ისედაც შმაგი ხასიათის პიერისთან ახლა ვერავითარი მუდარა და თხოვნა ვერ გასჭრიდა— შეუმსუბუქებინა თავისი სასტიკი და შეუფერებელი ბრძანება, დაკმაყოფილებულიყო მარტო მანსურის სასლკარის გადაწვით, აულის მცხოვრებთათვის კი საშუალება მიეცა, შინ მშვიდობიანად დაბრუნებულიყვნენ. ადიუტანტმა ერთხელ კიდევ მიიღო ხელი საფეთქელთან და გაქუსლა. ბაგრატიონის ცხენის ფლოქვით ანატყორცი ბლუჯა მიწა რაღაც ეშმაკად ზედ მკერდზე მოხვდა პოლკოვნიკს, რომელსაც აქ, კაცკასიის მთებში თავი უკვე აღექსანდრე მაკედონელად წარმოედგინა.

ამ შემთხვევამ პიერის საბაბი მისცა, შინდაბრუნებისთანავე ადიუტანტი ბაგრატიონი სამაგალითოდ დაესაჯა, თავისი ჯავრი მასზე ეყარა. საბაბად ისიც კმაროდა, რომ ბრძანების მიღებისთანავე ბაგრატიონმა არ გაქუსლა.

ადიუტანტ პეტრე ბაგრატიონის აზრით პოლკოვნიკი პიერის პირველი შეცდომა ის იყო, რომ არ დაელოდა მაშველ ძალას, როგორც ეს მითითებული ჰქონდა და ისე გაეშურა აულისაკენ. მეორე შეცდომა იყო, თავის ნადრეველ გამკლავება ტყიდან ერთბაშად გასვლით, რითაც მანსურს აულიდან გასწვრების საშუალება მისცა. მესამე შეცდომა კი ის იყო, რომ პიერიმ ბრძანა ოთხას კომლიანი აულის მთლიანად გადაწვა. რომ ეს უკანასკნელი საბედისწერო ნაბიჯი არა, მხედრობა შეიძლება უწინააღმდეგარს შეეპყროთ. მაგრამ აულის გადაწვამ ისე გააბოროტა უსახლკაროდ და

უსარჩოსადადებლოდ დარჩენილი ჩანებები, რომ მათ აღარაფერზე არ შეეძლოთ ფიქრი, ვარდა შურისძიებისა.

საკაციანი ჩანები მდინარის ნაპირს მოადგნენ. აქ წამით შეისვენეს. რაღაც წაითათბირ-წაიხურჩულეს და ისევ დაიძრნენ. ამ უკიდევანო წყვდიადში, მარტო ეს სამი ადამიანი ჩანდა და გვგონებოდათ ქვეყნიერება მარტო ამ სამი ადამიანისაგან შესდგებოდა. ჩანებმა გეზი ისე სწორად აიღეს პოლკოვნიკ ტომარის ადგილსამყოფელისაკენ, ვაგვიკვირდებოდათ, ამ უკუნ დამეში როგორ უნდა შეემჩნიათ, სად იჯდა მეთაური.

გადარჩენილი ჯარისკაცი კი განაგრძობდა.

— პირველად მანსურის სახლკაარს წაუყიდეს ცეცხლი. მერე მთელი აული აბოლდა. კვამლმა დაღარა მოპირდაპირე მთაც და ცაც... მერე აღმა იძალა და კვამლი გაიფანტა... ახლა ცეცხლის ალი სწვდებოდა ცას. ასეთი ხანძარი იშვიათად მინახავს... ცხელი ჰაერის ტალღა ჩვენამდის აღწევდა... მალე უკან გამოვეშურეთ... ერთ საათში მთელი მხედრობა ტყეში მიიშალა. სასიამოვნოდ გრილოდა. თან ეს ვებერთელა ტყე ისეთ ღუმელს მოეცვა, გაგვიკვირდებოდათ. ტყეში გზის ნახევარიც არ გვექნებოდა გავლილი, როცა ერთბაშად ასტყდა სროლა. ისროდნენ ყოველი მხრიდან, ზემოდანაც კი.. დენთის სუნსა და კვამლში უკვე სუნთქვაც ჭირდა. ეს გარინდებული ტყე ერთბაშად ჯოჯოხეთურად ახშიანდა... ერთსა და იმავე დროს ალბათ ასგან და უფრო მეტგანაც იელეებდა თოფის ალი და ტყვიასთან ერთად გვაცვიოდა დაქუწული ფოთოლი და ხის ქერქის ნაგლეჯები...

მაიორმა კომარსკიმ ურჩია პიერის იქვე ახლოს, ტაფობში გასულიყვნენ, სუნჯის გაღმა კი შიკრიკი ეფრინათ. პოლკოვნიკ პიერის კარგად არც კი უგვდია ყური კომარსკისათვის. ის დარწმუნებული იყო, მხედრობითურთ მალე გააღწევდა ტყიდან; მაგრამ სწორედ ამ დროს, სადღაც მალდა, ხეზე გასული და ფოთლებში კარგად შენიღბული ჩა-

ჩანის ტყვიამ სასიკვდილოდ დასჭრა პოლკოვნიკი პიერი. ის გულაღმე დაეცა ცხენის გავაზე. პიერის ცხენის გავაზე შემო მჭიდროდ შეგუფულმა ქვეითებმა იგი ცხენიდან ჩამოვიდეთ, მაგრამ აღარ ვიცოდით სად წავგველო. ერთ წუთს გამეშებული და დაბნეული ვიდექით, სანამ უნტერ-ოფიცერმა ბაგრატიონმა არ მიგვახვედრა ბილიკის გადაღმა, სადმე ხის ძირას დაგვესვენებინა მოკლული მხედართუფროსი. ერთი ჯარისკაცი იქ დარჩა. დანარჩენებმა ბრძოლა განვაგრძეთ. უხილავ მტერთან ბრძოლით გართულებმა კიდევ გავიარეთ ორასიოდე ნაბიჯი; თანაც ყოველ ნაბიჯზე ვკარგავდით თითო-ორ-ორ ჯარისკაცს. ტყე ალბათ დახოცილებით და დაჭრილებით აივსო. ატყდა თუ არა სროლა, ბრძანების უმაღ ბილიკის ახლო-მახლო მიმოვიფანტენით. ხეებს ვეფარებოდით, ბუჩქებსა და ჯავნარში მივძებრებოდით. ვინღა დაეძებდა ტანსაცმლის შემოხევისა და დაქაფვრა-დასისხლიანებმა, ოღონდ უხილავი მტრის ტყვისაგან დაგვეღწია თავი. ხმა გავრცელდა თუ არა, მაიორი კომარსკიც მიიმედ დასჭრესო, ჯარი სულ ერთიანად აირია... ბრძოლასა და წინააღმდეგობაზე უკვე აღარავინ ფიქრობდა. უმეთაუროდ დარჩენილი ხალხი პანიკამ შეიპყრო. გადაბუფული აღდის მცხოვრებლებს სხვა აულუბიდანაც რომ არ მიშველებოდნენ, იმოდენა მსხვერპლი მაინც არ მოგვივიდოდა... ჩემს თვალინ გაელიტა მტერმა ასტრახანის პოლკის ჯარისკაცთა ერთი ჯგუფი. მათ შორის იყო პეტრე ბაგრატიონიც. ის რახანია ჯარისკაცებთან ერთად ქვეითად იბრძოდა. ცხენი მაშინვე მიატოვა, რაწაპს პოლკოვნიკი პიერი მოჰკლეს. ჯარისკაცები იმანაც შეაშინა და დააფრთხო კიდევ, რომ მტერს ვერ ხედავდნენ. გვებრძოდა უღრანი ტყე. ყოველი ზე და ბუჩქი ჩვენთვის საბედისწერო და საიდუმლო შურისმაძიებლად იქცა. ტყეში გაისმოდა განუწყვეტელი სროლის ხმა და ცხენის ჭიხვისისებური ყიყინა უხილავი მტრისა. ასეთი ბრძოლა მე არ მახსოვს, თუმცა ოციოდე შეტა-

კებაში მიმიღია მონაწილეობა. დიდძალი ხალხი დაგვიხოცეს... ტყვედაც ბევრი ჩაუყარდებოდათ ხელში ჩაიჩნებს... შუაგულ ტყეში გამომწყვდეული სად გაექცეოდა. ასტრახანის პოლიტიდან ჩემთან ერთად ოციოდე კაცმა დააღწია თავი იმ ჭოჭოხეთს. ტყიდან გასულეები უმალ მდინარეში გადავცვივდით... დაჭრილთაგან ალბათ ბევრი დაიხრჩო. წყალი ჩქარია, მთის მდინარის ტალღები ნაფოტეით მიაქანებს აღმთიანს... ცხონებული პოლკოვნიკის — ნიკოლოზ იუროს ძე პიერის განკარგულებით რომ აული პირწმინდად არ გადაგვეწვა, ეს არ მოხდებოდა... ბუნტის თავი მართალია, ვერ შევიპყარით, მაგრამ ხალხი რა შუაში იყო, ხალხის ავლადიდებისთვის ხელი არ უნდა გვეხლო. მეთაური მეთაურია, ხალხს კი მშვიდობა უფრო მეტად უყვარს, ვიდრე მეთაური.

საკაცებზე მწოლარე დაჭრილითურთ, მდინარეში გამოსული ჩაჩნები პოლკოვნიკ ტომარისაგან ფერდობზე ოციოდე ნაბიჯზე შეჩერდნენ. ყმაწვილი ჩაჩანის კვარის შუჭზე მოჩვენებებივით ჩანდნენ გარს შემოსეული ჭარისკაცები. საკაცე ფრთხილად დადეს მიწაზე.

— პოლკოვნიკი პიერია? — შორიდანვე იკითხა ტომარიმ.

— აზ ვაც! — მიუგო ხნიერმა, მაღალმა ჩაჩანმა.

— მაიორი კომარსკი...

— აზ ვაც.

პოლკოვნიკი ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა იმ ადგილს, სადაც საკაცე იდო. საკაციდან ორ ნაბიჯზე კი საპი ჩაჩან იდგა. დაიხარა. საკაცებზე მწოლარეს მკერდსა და სახეზე დაფენილი თივის ბულული გადააცალა. ყმაწვილმა ჩაჩანმა საკაცეს კვარი უფრო ახლო დაანათა.

— უნტერ-ოფიცერი პეტრე ბაგრატიონი!!! — ხმადაბლა წამოიძახა ტომარიმ. ის გაოცა იმ ამბავმა, რომ ჩაჩნებს თავი გაუმეტებიათ არა რომელიმე დიდი ჩინის გულისთვის და, ასევე გაახარა იმან, რომ საკაცით ჩამოტანილი და-

ჭრილი პეტრე ბაგრატიონი აღმოჩნდა. თუმცა მიიმედა დაჭრილს სახე სწოტრად გაფითრებოდა, იერი შეცვლოდა, მაგრამ მაინც ადვილი საცნობი იყო კეხიანი ცხვირისა და ბაგრატიონთათვის დამახასიათებელი შავი, ზომამზედ მეტად გრძელი წარბების წყალობით. ჭარისკაცებმა შეიტყვეს თუ არა, რომ ბაგრატიონი ცოცხალია, ალაღის მცველ ასეულში ეს ხმა სწრაფად დაირხა და ახლოს თუ შორს მართო „ბაგრატიონი“ ისმოდა.

როდესაც ტყეში სროლის ხმა მისწყვდა, ჩაჩნები დაესიგნენ დაჭრილ-დახოცილებს და ვისაც როგორ სურდა, ისე იჭერა გული. გამკითხავი არავინ იყო. ერთგან დახოცილების დიდ გროვას რომ წააწყდნენ, მკვდრებიც, ცოცხალ-მკვდრებიც დაჩხრიკეს და აქეთ-იქით მიყარ-მოყარეს, მათ შორის უეცრად მოკერეს თვალი ნაცნობ სახეს... ზოგა ჩაჩანი პეტრე ბაგრატიონს ყიზლარიდან ბავშვობაშივე იცნობდა, ზოგს ბრძოლაში შეხვედროდა და სამუდამოდ ჩარჩენოდა მეხსიერებაში მისი იერი. ჭაბუკი პეტრეს ვაჟკაცობით და სამართლიანობით მოხიბლულმა ჩაჩნებმა გადასწყვიტეს ამ საბედისწერო შეხვედრის უამს სამაგიერო მიეზღოთ მისთვის. და თუ სხვებს — დაჭრილებსაც, დახოცილებსაც შურისძიების წყურვილით გაავებულნი განურჩევლად ფატრავდნენ ხანჭლით, პიერის ადიუტანტი, უნტერ-ოფიცერი პეტრე ბაგრატიონი იქვე სახელდახელოდ ვაკეთებულ საკაცებზე დააწვინეს, აქიმს მიპგვარეს, უწამლეს, ქრილობები შეუხვიეს და მიიმედა დაჭრილის რუსთა ბანაკში ჩაყვანა გადასწყვიტეს. ასეთი იყო როგორც უხუცესთა, ისე ჭაბუკ ჩაჩანთა ნება-სურვილი.

წინასწარი მოლაპარაკებისა და შეთანხმების გარეშე, ტყვეთა გამოსყიდვის თაობაზე, რუსთა ბანაკში გამოჩენას იმ ზოცვა-ქლუტის შემდეგ რა მოხვედებოდა არავინ იცოდა. ჩაჩნები მოსალოდნელ ხიფათში თავის ჩავდებასაც არ შეუშინდნენ ვაჟკაცის გულისთვის...

დაჭრილი ბაგრატიონი საკაცზე ოდნავ შეირხა. აქამდე პოლკოვნიკი ტომარი ისე დასცქეროდა უძრავად მწოლარე დაჭრილს, თითქო ეეჭვებოდა რომ ცოცხალი იყო. ახლა კი შვებით მოითქვა სული, წელში გასწორდა და ჩანებს გადახედა. გონს მოსულ ბაგრატიონს ის კი ახსოვდა პოლკოვნიკ პიერის გვერდით აულისაკენ ცხენით მიმავალმა, გზად თივის ზეინს ერთი ბლუჯა ხმელი ბალახი რომ გამოგლიჯა და მისი მძაფრი სურნელი იყნოსა, მაგრამ ახლა ვერ მიმხედარიყო, სად იმყოფებოდა და რატომ სცემდა მოთიბული ბალახის სუნს... რა იცოდა, რომ სახელდახელოდ გაკეთებულ საკაცზე სწორედ მოთიბული ბალახი ეფინა...

ჩანებმა თავი დაბლა დაუკრეს რუსთა პოლკოვნიკს და წავიდნენ. იმ ორ მამაკაცს ადევნებული ჩირაღდნიანი ყმაწვილი წამდაუწუმ უკან იცქირებოდა.

პოლკოვნიკმა ტომარიმ ადიუტანტს რაღაც გადაულაპარაყა. ადიუტანტი უმაღლ ჩანებს გამოუდგა, დაეწია და მათს ენაზე უთხრა.

— დუელებამ, ბაგრატიონა ჰოყიქ შუორთ ახჩა ლერ დარა ცაარა, იეშუშ დააცარა შუნი!

მაღალმა, ჩაჩანმა თავი ამაყად ასწია, ჯერ თავისიანებს გადახედა, მერე პოლკოვნიკის ადიუტანტს და ღიმილით სთქვა,

— ყუონახჩო ყუონახ ვუოხქურგ ვააც!<sup>1</sup>

<sup>1</sup> რომ მიღიხართ, გამოსასული არ გინდათ? ბაგრატიონისათვის კარგ ფულს შიიღებთ.

<sup>2</sup> ვაყაყო ვაყაყოთ არ ვაჭრობს!

კიდევ ერთწამს უხერხულ დუმბილში, იდგნენ ისინი პირისპირ. მერე ჭიჭინებუმა გზა განავრდეს. ყმაწვილი, ჩირაღდნიანი ჩაჩანი კი ისევ უკან იცქირებოდა წამდაუწუმ. ბოლოს ის მხარში ამოუდგა მაღალ ჩაჩანს და აცახცახებულმა საკმაოდ ხმაშალა წამოიძახა.

— უერაშია ბილგვალ ხიისურმე თუეფაშ, ხიჩუ მა ბეაღჩა!

მაღალი ჩაჩანი ხმას არ იღებდა. ყურადღებას არ აქცევდა უმცროსის დაეინებულ წამოძახილებს.

— ხიისურმე თუეფაშ ცაარა, ხიჩუ მა ბეაღჩა, ხიისურბუ... ცა თიეშიი შუნ, მურცალ, სავარბექ?<sup>2</sup>

წყალში რომ შევიდნენ, მაღალმა, მოკლედწვერშეკრეკილმა ჩაჩანმა უმცროსს კვარი გამოართვა, ბეჭებზე ხელი მოხვია, გვერდში ისე ამოიყენა, რომ მთლიანად ფარავდა მას. დიდხანს მიბიჯებდნენ ხელიხელგადახვეულნი ჩქაო წყალში, თითქო ახლა, ხელცარიელებს უფრო უჭირდათ გასვლა, ვიდრე წელან, მძიმე ტვირთით რომ ეშურებოდნენ.

მდინარეში, გაღმა ნაპირამდე ერთი მესამედი კიდევ ჰქონდათ გასავლელი, რომ მაღალი ჩაჩანი უცებ შეჩერდა, რუსების ბანაკისაკენ შებრუნდა და აბრიალებული კვარი ღონიერად მოიქნია. ცეცხლის ალმა გადასერა ღამეული სივრცე და საკმაოდ შორს, მდინარის ზედაპირზე დაეცემის უმაღლ ჩაჭრა.

ყველაფერი ისევ ბნელში გაუჩინარდა.

<sup>1</sup> რუსები უსათუოდ გვესერაან, წყალში შევალთ თუ არა, გვესერაან.

<sup>2</sup> გვესერაან, წყალში შევალთ თუ არა გვესერაან მურცალ, სავარბექ, არა გვერათ?

## ავტობიოგრაფიის ნაწყვეტი

მე ვგავდი ხიდან მოწყვეტილ ფოთოლს,  
მასწავლებდა აშარი ქარი.

მე ვგავდი ახლად ფეხადგმულ თოთოს  
ვიყავ უმწიკველოც და ნამეხარიც.

მე ახალგაზრდა უთუოდ მერქვა  
და სივრცეების დაპყრობა ვცადე,  
ცხოვრების ყოველ შტოსა თუ მერქანს,  
მანც და მანც მივყავდი ცამდე.

რომ შევხებოდი უსაზღვრო ზეცას,  
სიმაღლეები ამეულო დიდი,  
მივკარებოდი მედიდურ მზესაც,  
დიდ ოცნებებით და მოლოდინით.

მაგრამ მზემ ისე უცბად დამსუსხა,  
ვერც მოვასწარი უკან დახვევა.  
ბრძოლა მინდოდა სხვაგვარი, სულ სხვა,  
და ამ ცხოვრებას შევრჩი ნახევრად.

## ბ ა თ ე ნ ე ბ ა მ დ ე

მე გზაში ღამე წამომეწია,  
უზარმაზარი შავი კაცივით.  
გამოქვაბულებს ერთად ვეწვიეთ.  
ღამურულ ტყესაც ერთად გავცილდით.

არ ვიცი როგორ დაგვარგე გზაში,  
ალბათ შემორჩა ხეების შტოებს,  
სადმე თუნდაც რომ დაიბნეს მთაში,  
მზეს მანც ვეღარ დააუშნოებს.

## უსნაური ცვალებადობა

როცა დღე არის  
და მტბუნვარე  
მზე არის როცა —  
მე მაღალი ვარ,  
ჩემი ლანდიც  
მაღალი ხდება.

როცა ღამეა  
და ჭვეყანას  
სიბნელე მოსაეს,  
პატარა ვხდები,  
ჩემი ლანდიც  
პატარავდება.

მიხილ ქვემოთ

## აქვარიუმი

ზღვა — საბანივით გვეხურა ტანზე,  
ღრუბლის ბალიშზე გვედო თავი  
და არ გვეძინა...

ჩვენი ბრინჯაოს სხეულები — საბედისწეროდ  
გადაჭდობილი ერთმანეთზე თავისი გრძელი  
გაღმოკიდული კიდურებით, რაღაც უცნაურ  
ცხოველსა ჰგავდნენ ან წყალმცენარეს,  
რომლის უფოთლო, გველებივით დაკლაკნილ ტოტებს  
ნელი დინება ნება-ნება აქანავებდა...

თევზების გუნდი გვეხვეოდა... გარკვევით ჩანდა,  
როგორ დაჰქროდნენ პაწაწინა, მარდი თევზები  
ჩვენს ჩალამებულ იღლიებსა და ლაჯებს შორის...

ყვითლად მზინავი ნიჟარები, როგორც ბეჭდები  
პატარა ტერფებს გიმშვენებდნენ... ო, ამ ტერფების  
დაუცხრომელი კოცნის ფინი (ვით უდაბნოში  
მოსხტიალე კაცს — წყურვილი) მკლავდა და მწვავდა!...

ზღვა შრიალებდა, ტორტმანებდა, მსუბუქი ჭავლი  
აზარნიშებდა გლუვ ზედაპირს... ხოლო სიღრმეში,  
ფსკერზე — იქ, სადაც გატანჯული და ნაოშარი  
ჩვენი დაღლილი სხეულები თვლემდნენ და სადაც,  
ვით სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ საომარ ველზე,  
აწ მდუმარება სუფევდა სრული, —  
უფალმა უწყის რა ხდებოდა!... იქნებ ახალი  
ჯერ არნახული საოცრება იბადებოდა...

ჩვენ კი ვიცოდით, ყველაფერი რაც იყო ირგვლივ:  
ზღვა და ხმელეთი, და ღრუბელი გაკარული ცაზე,  
ყვითლად მზინავი ნიჟარები, მარდი თევზები,  
მე და შენ ორნი — ერთი საბნით გადახურულნი,  
მოწმე ჯიყავით მშოლოდ იმის, რაც სადღაც უწინ,  
დიდი ხნის წინათ  
უკვე მოხდა დედამიწაზე...



მე თბილისს ვუსმენ...

მე თბილისს ვუსმენ თვალდახუჭული...  
დილის სიჩუმე საესეა ხმებით:  
გამაყრუებლად სტვენენ ჩიტები...  
მკაფიოდ ისმის, ვით ყაყანებენ  
რიგში ჩამდგარი დედაკაცები  
და მეფეზოვის ბეჯითი ცოცხი  
რა გულმოდგინედ ფხაჭინს ფილაქანს...

ჩაიხრიგინა ავტომობილმა...  
გაიბაკუნეს ქალის ქუსლებმა...  
ვიღაცა დიდხანს და გამწარებით  
აბველებს, მერე ნამთვრალევ ღიღინს  
ნთქავეს უბილავი სარდაფის ხახა...

მე თბილისს ვუსმენ თვალდახუჭული...  
მე ვგრძნობ ივლისის მზე როგორ იწვევს  
მალლა, სულ მალლა... ნაცნობი ხმები  
როგორ ქრებიან თანდათან დილის  
მყუდროებასთან ერთად... მე ახლა  
მესმის თბილისის ძლიერი ხუნთქვა.  
გადვიებული ქალაქი ბორგავს,  
ღმუის, გუგუნებს, კივის და მიანიც  
ამ მოჯოხეთურ ორომტრიალში  
არ მიძნელდება ცალკეულ ხმათა  
გამოცნობა თუ დასახელება...

აი, შორეულ გარეუბანში  
გაიჯახუნა კარმა. ხმამალლა  
აყფფდა ძალი... მერე ჩექმები  
აუჩქარებლად დაუყვნენ კიბეს...  
რალაც დაეცა ასფალტზე... ალბათ  
აკაცის ხეს მოწყდა ფოთოლი,  
ან სკოლისაკენ მიმავალ გოგოს  
მოერღვა ღილი... მე კარგად მესმის


რას ჩურჩულებენ სანაპიროზე  
შეყვარებულნი... როგორ ვერება  
კუბოს სახურავს ხრიოკი მიწა  
და ვით მოგორავს ჭირისუფალის  
დამკვანარ ლოყაზე ობოლი ცრემლი...

მე თბილისს ვუსმენ თვალდახუჭული...  
საბურთალოდან მონაბურ ნიავს  
მოაქვს ოფლის და ბენზინის სუნი...  
კვნესის ამწე და ესკავატორი  
ღრღინს გაურჩებულ გრანიტის  
ფერდობს...

ირგვლივ მტვერია... ისმის სიცილი,  
შეძახილები... და დალოდავენ  
რკინის ვეება ხოტოებივით  
თვითმცლელები და ბულდოზერები...  
და მშენებლობის დამეულ უბანს  
რომანტიული დასცქერის მთვარე...

მე თბილისს ვუსმენ თვალდახუჭული...  
ვუსმენ და თითქო თვალნათლივ ვხედავ,  
შებინდებისას როგორ ბრუნდები  
სახლში, შედიხარ ოთახში, იხდი...  
როგორ დადიხარ — აქეთ და იქით,  
აქეთ და იქით... საათის ტიკტიკს  
ჭკავს შენი ფეხის ხმა... ჟრუნატელი  
მივლის ტანში და თვალდახუჭული  
გისმობ, გეძახი და ხელებს გიწვდი!...  
შენ კი სინათლეს აქრობ და წვები,  
იძინებ... მთელი ქალაქი ახლა  
შენს გულისცემას უსმენს, შენს  
სუნთქვას...

მე თბილისს ვუსმენ თვალდახუჭული...





# საბჭოთა ლაშქარები

საბჭოთა

საბჭოთა

საბჭოთა

საბჭოთა

„ინტერნაციონალი“ კარის სპილენძის სა-  
ხელური ჯაბამ თავისივე მოიზიდა. შეც-  
და; კარი შიგნით იღებოდა. თვალბლა-  
სიებულ, დაბალ კარისკაცს უნიფორმის  
ქუდი მოეხადა და წვიპურტებით  
მტვერს აცლიდა. კარის კრიალი შემო-  
ესმა თუ არა, ქუდი დაიხურა, ჯაბას უხ-  
მოდ თავი დაუკრა და ხელით გარდერ-  
ობისკენ ანიშნა; მიბრძანდით, გაიხა-  
დეთო. ვესტიბიულის მარჯვენა კუთხის-  
კენ მიიხედა ჯაბამ, ჟურნალ-გაზეთების  
ნახევრად წრიული დახლი შეათვალიე-  
რა, და კარისკაცს ჯერ ისევ გარდერო-  
ბისკენ ჰქონდა ხელი გაშვერილი, რომ  
ჰკითხა:

— სად არის, სად წავიდა? — ჯაბა  
ჟურნალ-გაზეთების დახლისაკენ უთი-  
თებდა.

— შესვენებაზეა, მოვა მალე! — კა-  
რისკაცს რატომღაც ხალისი ჩაუქრა,  
მაგრამ კარის ხელახალმა კრიალმა ისევ  
გამოაცოცხლა; მოკლედ, მაგრამ ენერ-  
გიულად დაუქნია თავი სასტუმროში  
შემომავალ სამ კაცს და ქუდი იატაკზე  
დაუვარდა. ერთი ხელით ქუდს დასწვდა  
და მეორე ხელით გარდერობისკენ მი-  
ანიშნა შემოსულთ; მიბრძანდით, გაიხა-

დეთო. ქუდი ჩაფერთხა, მერე თვალბ-  
თან ახლოს მიიტანა და წვიპურტი მო-  
ზიდა.

ამის შემდეგ ჯაბას აღარ ახსოვს კა-  
რისკაცი, ამის შემდეგ ყველაფერი გაქ-  
რა და დამუწდა. რადგან გაზეთებით  
საესე დახლს უკან, კედლის თაროზე,  
თვალი მოჰკრა იმ ჟურნალს.

„Родная страна“, თეთრად ეწერა  
ლურჯ-წითელ ყდაზე. ჯაბამ უნებურად  
გაიხედა გვერდზე, მიხვდა, რომ თვალი  
ვერ გაუსწორა ჟურნალს. თუმცა ძალი-  
ან უნდოდა, ახლავე ხელთ ჰქონოდა, გა-  
დაეშალა. და გაეგო, მართლა დაბეჭდეს  
ის სურათი, თუ ყველაფერი სიცრუე  
იყო.

გუშინ არ ყოფილა რედაქციაში, ბა-  
ტონ ანგიის დაუბრუნებელი ტელე-  
ფონიდან; მინდა რედაქტორს დავახ-  
ვედრო „ინტერვიუ პროფესორ რუ-  
რუასთან“ და, თუ შეიძლება არ მოვალ  
სამსახურში. იმუშავე, ჩემო ჯაბა, —  
დაუყვავა ბატონმა ანგიამ, — შენ ნი-  
კიერი კაცი ხარ და კარგი ჟურნალის-  
ტი უნდა გამოხვიდეო. საერთოდ, კარ-  
გად უძღვები შენს საქმესო. ჯაბას  
ლანძღვა ერჩივნა ამ შექებას.

ამ დღით ყველაზე ადრე მოვიდა  
რედაქციაში. დასაბეჭდი სურათები და-

კროვებოდა და ფოტო-ლაბორატორიაში ჩაიკეტა (ახლა გაახსენდა, რომ ფოტო-ლაბორატორიისა და საკუთარი ბინის კარი გარეთ იღება). როცა სამუშაოს მორჩა და კმაყოფილმა, სტვენა-სტვენით შეაბიჯა განყოფილების ოთახში, მაგიდასთან მჯდომმა ვახტანგმა, როგორც ყოველთვის, თავი ასწია, მაგრამ „გამარჯობა, ჯაბას“ მაგივრად თქვა:

— მომილოცავს, ჯაბა! — ხელების თითები ერთმანეთში ჩახლართა და დააქნია.

— გმადლობთ, ვახტანგ!

ამ დროს შოთაც შემოვიდა, ყურნალის მომავალი ნომრის სვეტები მოჰქონდა საკორექტოროდ. ჯაბას დანახვაზე სახე გაებადრა და წამოიძახა:

— მომილოცავს, ძმაო, მალარიჩი შენზე!

— გმადლობთ, შოთა, აუცილებლად... მაგრამ შე არაფერს არ ვაპირებდი, შემთხვევით მოხდა.

— შემთხვევით არაფერი არ ხდება! „სწყინთ, დაბადების დღეზე რომ არ დაეპატიე, ალბათ, ლიანამ უამბო, — გაიფიქრა მაშინ ჯაბამ, — უნდა დამეპატიენა“.

ნასაუბრევი არ იყო და მესამე სართულზე ჩაიბრინა. კიბესთან საქდესის ფოტოკორესპონდენტი შეეჩეხა, თარხან სანაყოვეი, შვევერემანი, მორცხვი ქაბუკი. ჯაბას ეჩვენებოდა, რომ თარხანი რატომღაც დიდ პატივს სცემდა მას და საგანგებოდ ცდილობდა რაიმე სალაპარაკო გამოეძებნა ხოლმე. ახლაც შემობრუნდა ჯაბასკენ და მკლავებგაშლილი შეეგება:

— ყოჩაღ, ძმაო, მომილოცავს, ძმაო...

„ეს რაღას მილოცავს? ამანაც იცის ჩემი დაბადების დღე?“ — განკვივრდა ჯაბა.

— გმადლობთ, თარხან, შენ საიდან გაიგე, რომ...

— რა გაგება უნდა, ძმაო, ჩემი თვლით ვნახე... გახვედი, ძმაო, დიდ ასპარეზზე და ეგ არის, ძმაო!

— რა ასპარეზზე... შენ რაღაც გეშლება!

— ასპარეზი ქვია, ძმაო, ანა, როგორ, ძმაო?

— ჯაბა, ჯაბა! ჯაბა! — მოისმა მალდიდან.

მეთოზე სართულზე კიბის მოაჯირს ლიანა გადმოყრდნობოდა.

— ჩქარა, ვილაც გირეკავს, ჩქარა! ჯაბა სირბილით უკანვე აპყუა კიბეს. რატომღაც იფიქრა, დუღანა მირეკავსო. უეცრად თარხანი მოავონდა, შეუჩერებლივ გადმოსძახა:

— ვერ გავიგე რას მილოცავ... რა ასპარეზი? — და ხელიც გააქნ-გამოაქნია. თარხანმა ამოსძახა:

— ყურნალი! — და საჩვენებელი თითებით ჰაერში ოთხკუთხედი მოხაზა.

— არაფერი მესმის! — ეს სიტყვები უკვე ლიანას პირისპირ შეჩერებულმა თქვა, — ვინ მირეკავს? — და რედაქციისკენ გაემართა სწრაფი ნაბიჯით.

— ვილაც ქალია...

„დუღანა!“

— ამ დილითაც დაგირეკეს, — აღევნა ლიანა.

— ვინ იყო?

— არ ვიცი, აღმასკომიდან ვარო... შენ ლაბორატორიაში იჭექი.

— აღმასკომიდან?! — ჯაბა თითქოს უხილავ კედელს წააწყდაო, ნაბიჯი ველარ გადადგა წინ. თითქოს ახლა მოესმა თარხანის ამოძახილი და ახლა დაინახა მისი საჩვენებელი თითებით ჰაერში შემოხაზული ოთხკუთხედი. რაღაცას მიხვდა, შეუძლებლად მიჩნეული სინამდვილედ წარმოისახა და ნებისყოფის დაძაბვით სცადა მისი უკუგდება. ტალღებით აწყდებოდა გონებას ერთდარივით ჭიუტი ფიქრი და ჯაბაც შეუსვენებლად იხაპავდა თავიდან იმ ტალღებს, რომ არ დაღუპულიყო.

— ჩქარა, თორემ ამდენხანს არ დაგიცდიან... საით მიდიხარ? რედაქტორის ტელეფონზე გირეკავენ!

ჯაბა კანცელარიისკენ შეტრიალდა. „პირველად მირეკავს ვილაცა!“ ყურმილი აიღო.

— ვისმენთ!

— გამარჯობა, ჯაბა... მომილოცავს! — მოესმა ქალის სიფრიფანა ხმა. ბავშვური, სველი ბაგეები წარმოუდგა თვალწინ. — ჯაბა, მომილოცავს!

— რომელი ხარ? — და რადგან პასუხი დაუყოვნეს, შეშფოთებით დაუშობა, — რას მილოცავთ?

— მე თქვენს შესახებ ყველაფერი ვიცი, დღესაც კი შეგხვდით ქუჩაში! — და გაისმა შაშვის სტვენასავით სუფთა, წკრიალა სიცილი.

„თამილა?!“

— ეს ძველად იყო, ჯაბა, ახლა თქვენც ყველაფერი იცით ჩემს შესახებ... ხომ მიცანით? მე თამილა ვარ!

— გამარჯობა!

— ისე გამეხარდა, მოსკოვის ეურნალს რომ თქვენი ფოტო დაუბეჭდავს...

— გმადლობთ... — წაიჩურჩულა ჯაბამ და სადღაც, გონების უსასრულო წყვილიაღში გაიღვია ფიქრმა, რომ პასუხი შეუფერებელი იყო.

— ნახვამდის, ჯაბა!

— კარგად იყავი...

— ჯაბა, იცი რა? იცი რა უნდა გთხოვო? ხომ არა გაქვს ვაფა ფშაველას ან ვალაკტონის ლექსები?.. რამდენი ხანია ლექსი არ მისწავლია ზეპირად, სკოლის შემდეგ... ისე მინდა, რამე ახალი ლექსი ვიცოდე ზეპირად...

— მაქვს, გათხოვებ.

— ნახვამდის, ჯაბა!

ყურმილი ჩამოკიდა და პირველი სურვილი გარეთ გავარდნა იყო, რომ თავზე მოთ ცა ეგრძნო და ფეხქვეშ — მიწა.

— უი, მართლა, ჯაბა, სულ დამავიწყდა, — წინ გადაუდგა ლიანა, — მომილოცავს, ბიჭებმა მითხრეს...

— დამანებეთ თავი! — დაიყვირა ჯაბამ და ხელი აიჭნია.

ლიანას პირი ღია დარჩა.

მერე მთელ რუსთაველის პროსპექტი მოაირა ჯაბამ. ვერცერთ კიოსკში ვერ ნახა „როდნაია სტრანას“ მეთერთმეტე ნომერი. მზად იყო ქალაქის ყველა უბანი შემოეარა, ოღონდ არსად არ დახ-

ვედროდა ის ნომერი. ყოველი გამყიდველის უარი იმედს მატებდა. უნდოდა უსასრულოდ გაზრდილიყო ეს იმედი და სულ ახალ და ახალ კიოსკებს იხსენებდა.

— რა გნებავდათ? — მოესმა ჯაბას და შეერთა.

„ინტურისტის“ კიოსკის გამყიდველმა ქალმა დახლის ჰორიზონტალური კარი მაღლა ასწია, რატომღაც დაღუნთავი, შევიდა და ჯაბასკენ შემოტრიალდა.

— მომეცით ის ეურნალი... როდის მიიღეთ?

გადაფურცვლის ეშინოდა. ფასს დახედა მხოლოდ.

— ამ დილით!

— სხვაგან არა აქვთ! — ჯაბა დახლზე დაწყობილი უცხოური ეურნალების ყდებს ათვლიერებდა, ვითომ კიდევ არჩევდა რაიმეს საყიდლად. მერე უხმაუროდ გასცილდა დახლს.

— ხურდა, ბატონო! — დაუძახა ქალმა.

ჯაბა გველნაკებნივით შემოტრიალდა, რატომღაც მოეჩვენა, რომ ფული არ დაუტოვა გამყიდველს.

— მპატიეთ, ბოდიში...

— როგორ გეკადრებათ, ბოდიშს მე ვიბდი! — ქალმა გამოშვებულ ხელისგულზე დაუყარა ხურდა, — კაპიკი ჩემზე იქნება!

— კი, ბატონო, რა სათქმელია... მპატიეთ! — ჯაბა სასტუმროს კართან მივიდა და შედგა.

უნდოდა სადმე განმარტოებულყო. ჩაკეტილიყო, მხოლოდ მაშინ თუ გაბედავდა ეურნალის გადაშლას. ქუჩაშიც ეშინოდა ასე გასვლა; ვინმე ნაცნობი შეხვდებოდა, სალაზღანდაროდ მომართული, სასხვათაშორისოდ გამოართმევდა ეურნალს, გადაშლიდა და...

„გაზეთში გავახვევ, — გაიფიქრა, მაგრამ ადგილიდან არ დამჩრულა, — ეგონება, იმ კაპიკის დარღი მკლავს“.

„ბალი... ბალში შევალ, ქაშუეთის ეკლესიის უკან! — გაიფიქრა და მაშინვე პაერში გამხულებული ზუმბა მოელან-

და, იმ ქურდი ბიჭების სახეებმა გაურბინა თვალწინ, ჯაბა რომ სცემეს, შური რომ იძიეს თავიანთი სურათების ქურნალში გამოკვირვისათვის. — ეს დიდულოვანი ქურდია, ეს ხელეხსაც დამიკონის ამ ფოტოსთვის...”

უნდოდა დაეცინა საკუთარი თავისთვის, აბუჩად აეგდო.

გარეთ გავლას აპირებდა. ამ დროს რესტორნიდან ვიღაც ნაქიფარი გამოვიდა, კარი თან გამოიღანა და გამოეცალა. კარი ორივე მხარეს იღებოდა, და ჯაბამ რესტორნის სიღრმეში თვალი მოჰკრა მავიდასთან მჯდარ ბენედიქტეს კეფას. გული გაუჩერდა.

ზამბარებიანი კარი აქეთ-იქით გადიგამოდოდა, მაგრამ თანდათან ეკვეცებოდა სილალე და თანდათან ხერხავდა იმ მავიდას; მარტო ბენედიქტელა მოჩანს... ნახევარი ბენედიქტე... ცალი ხელი...

კი არ გადაშალა ქურნალი, გამწარებით წაართყა ხელი ყდას, კინალამ წაახია.

მეორე გვერდზე დაებეკდათ. მთელ სიგრძე-სიგანეზე გაეკიმათ ერთერთი იმ ფოტოთაგანი, ვიტალის რომ გაატანა. — უზარმაზარი ამწე-ონკანის ისარზე ორმაგი ბაგირით რკინის კაუჭი ეკიდა. კაუჭს წვერზე მზე წამოეგო და თითქოს მიწაზე ჩამოჰკონდა. ცისკენ მაცქერალი და მალა ხელეხაწეული მუშების ჯგუფი აძლიერებდა ამ ფოტო-მეტაფორას — მზის ჩამოსახლებას მიწაზე. წინა პლანზე ბენედიქტე იდგა, ისიც მალა იყურებოდა და იღიმებოდა. ქვემოთ ეწერა: «Еще 70.000 кв. м. жилой площади получают к новому году трудящиеся столицы солнечной Грузии. На снимке: Сотрудник райисполкома Б. Зибзибадзе (справа) на новостройках Тбилиси. Фото; Д. Алавидзе.

რა თვალთმაქცურად მოიტყუა მაშინ თავი, გონებამ წინასწარ გაიანგარიშა ყველა სვლა თვითნაგონებისა, რომ სინდისისათვის თვალი აეხვია, ღირსებისთვის ყველა სიმაღლე დაუთმობელი და შენარჩუნებული მოეჩვენებინა; ვითომ

ვიტალის ხატის ვერ უტებდა და ამიტომ ატანდა სურათებს, ვითომ გულში დარწმუნებული იყო, რომ ცუდად და ბეჭდილ ფოტოებს რედაქცია, სულერთია, მაინც არ მიიღებდა. იმიტომ უთხრა ცივი უარი ვიტალის, იმიტომ არ მისცა ფირი, რომ შეეშინდა, მართლაც არ გამოექვეყნებინათ ბენედიქტეს სურათი „როდნაია სტრანაში“ („ღმერთმა დამიფაროს!“ — ესეც კი გაიფიქრა მაშინ, ფიქრშიც გაეთვალთმაქცა საკუთარ თავს). ვითომ არ იცოდა, თუ დასკირდებოდა, ვიტალი უკეთეს რეპროდუქციას გააკეთებდა იმ ფოტოდან, გაადიდებდა, გაარეტუშებდა, ვითომ არც ის იცოდა, რომ სურათი ეფექტური იყო და შეიძლება ყველა რედაქტორი დახარბებოდა.

აი, ეს უნდოდა ჯაბას, რაც ხელთ ეპყრა ახლა, ეს უნდოდა და მიიღწია. ახლა გაუკირვებლად მიიღებს ახალ ბინას, მოსალოდნელზე უკეთესს, და მოიყვანს ღუდანას! აღარავის და აღარაფრის აღარ შერცხვება. ღუდანას ერთადერთი პატრონი, ბენედიქტე, ხმაამოუღებლივ დათანხმდება ამ ქორწინებაზე. და ჯაბას მალე დაავიწყდება, რომ ასიათასობით გამრავლებული სიყალბე დაურიგდა მკითხველებს, მექრთამე, მფლანგველი, ხალხის მყვლეფელი, ხალხის ბედნიერების მშენებლად გასაღდა.

უკვირდა, რომ ეს მისი გაკეთებული იყო, რომ მისმა სურვილმა გააჩინა ეს ფოტო ქურნალში, რომ არ დაბადებულ იყო ამ ქვეყნად, ცხოვრება მაინც თავისი გზით წავიდოდა, ყველაფერი ისევ ისეთი იქნებოდა, როგორც არის ახლა, მაგრამ ეს ფოტო-სურათი არ დაიბეჭდებოდა. ჯაბას ამ ქვეყნად ყოფნამ შექმნა ეს სიყალბე! ყველამ რომ თითო ასეთი პატარა სიყალბე შექმნას?!

რა სათუთად აკეთებდა ალბათ მხატვარი ამ ფოტოს რეტუშს. რა გულმოდგინედ ასუფთავებდნენ სტამბაში კლიშეს, ჩაფიქრებული, ხელეხსავილი მეტრანაპაეე მაჭით იწმენდდა შუბლიდან ოფლს.

თითქოსდა, არაფერი — დედამიწის

ერთი პატარა ქვეყნის პატარა ქუჩა-  
ლის საწყალმა კორესპონდენტმა, პი-  
რადი გამორჩენის მოლოდინში, საგან-  
გებოდ გადაიღო და ქუჩა-ნალში გამო-  
აქვეყნა ერთი თაღლითი მოქალაქის  
ფოტო, რა მოხდა? მაგრამ ცოტა სხვა-  
ნაირად თუ ვიტყვით; ერთმა ახალგა-  
ზრდა ქუჩა-ნალისტმა განადიდა სახელმ-  
წიფო დამნაშავე, ამათ კიდევ უფრო  
შენიღბა მისი შენიღბული საქმიანობა,  
უფრო ხელშეუხებელი გახდა კანონი-  
სათვის, თითქოსდა, არაფერი...

უნდოდა ამ წუთშივე დაცლილიყო  
ბოლოდან, სული რომ დაესივებინა და  
აეშვორებინა. სურვილმა — ამ უჩინარ-  
მა და უსხეულო არსებამ — თითქოს  
დაითრია ჯაბა და თან წაიყოლა.

— მოითმინეთ, ახალგაზრდავ! — გა-  
დაუდგა კარისკაცი, — მე ხომ გითხა-  
რით, გაიხადეთ-მეთქი, ასე შესვლა არ  
შეიძლება რესტორანში.

— ამ წუთში მოვბრუნდები. — გაი-  
წია ჯაბამ, იქნებ შეეშინდა, არ გადა-  
შიაროს გაანჩხლებამო. — დარჩენას არ  
ვაპირებ.

ბენედიქტე ზურგმოშვერილი იდგა,  
ხელში ქიქა აეღო, ალბათ სადღეგრძე-  
ლოს ამბობდა.

მის გვერდით შეჩერდა ჯაბა. ბგერე-  
ბის იმ საიდუმლო რეცეპტით, გონება  
რომ გამოსწერს ხოლმე ყოველ შესა-  
ფერის წუთს, მის ყელსა და ბაგეებს  
უკვე მომზადებული ჰქონდათ გამომწ-  
ვევი ირონიული „სალამი“, მაგრამ ას-  
წია თუ არა თავი მაღლა, საბტად დარჩა.

— მახატით... შეცვლი... — ხმა ჩაუ-  
წყდა და ნირწამხდარი გაეცალა მაგი-  
დას.

— მობრძანდით, ბატონო, დაგვეწ-  
ვიეთ! — ვითომ მასპინძლობაზე დასდო  
თავი იმ უცხო კაცმა, ჯაბას რომ დღეს  
ბენედიქტედ მოვლანდა. იმიტომ მოე-  
ლანდა, რომ დღეს ბენედიქტე სამხი-  
არულოდ უნდა ყოფილიყო განწყობი-  
ლი. აღმასკომიდანაც დაურკეავს, ალ-  
ბათ ჯაბას დაპატიება უნდოდა.

ისეთი უხერხულობა იგრძნო იმ უც-  
ხო კაცთან, რომ გასასვლელისკენ კი არ

შებრუნებულა, დარბაზის საღრმისკენ  
განაგრძო გზა, თითქოს მართლაც შეშინდა  
ვინმეს.

„მივალ ბოლომდე და გამოვბრუნდე-  
ბი, ვითომ ვერ ვიპოვე“.

რესტორანი გუფუნებდა. ისმოდა  
ქიქების ქახუნის ხმა, გულწრფელ-გულ-  
წრფელი სადღეგრძელოები და სა-  
ანგარიშოს ქვების მიამიტური ტყაცა-  
ტყუცი.

გრძელი დარბაზის ბოლოს, ჯაბა-ორ-  
კესტრისათვის განკუთვნილი, პატარა,  
წირული ესტრადის წინ, ზუთი თანაბა-  
რი ზომის ცარიელი მაგიდა იდგა. გა-  
ქათქათებულ თეთრ სუფრებს ყვევი-  
ლებივით ამშვენებდა უცხო სახელმწი-  
ფოების ბაწაწა ალმები.

ჯაბა გაშეშდა — ყოველ მაგიდაზე  
ვილაცას თითქოს განგებ ჩამოერიგებინ-  
ა „როდნია სტრანას“ თითო ნომერი.  
ანგარიშმიუცემლად მაგიდებს შორი-  
შელასლასდა. თითქოს ტყვედ ჩაეარ-  
დაო, იგი გარშემორტყმული იყო უცხო  
ქვეყნების სახელმწიფო ალმებით.  
მარცხნივ, წითელჯვრიან ალამთან, ინგ-  
ლისურ ენაზე დაბეჭდილი „როდნია  
სტრანას“ ყდა ლაღლაკებდა, მარჯვნივ,  
სამფეროვან ალმის გვერდზე, ქუჩა-  
ნალის ფრანგული ეგზემპლარი იდო. მე-  
სამე ქუჩა-ნალზე არაბული ასოების ორ-  
ნამენტები დახლართულიყო. ალბათ  
დღეს ამ ქვეყნების ტურისტები არიან  
სტუმრად თბილისში. მალე დაბრუნდე-  
ბიან ექსკურსიიდან და ამ მაგიდებს  
მიუსხდებიან!

ჯაბას მოვლანდა: ჩქარი მატარებლე-  
ბი, ღრუბლებში აჭრილი თვითმფრინა-  
ვები, შუა ოკეანეში გასული შორეული  
ცურვის გემები, ქუჩა-ნალის ათასობით  
ეგზემპლარებით დატვირთულნი მიიჩ-  
ქარიან სხვადასხვა ქვეყნებისაკენ ბენე-  
დიქტეს ფოტოს შოფლითი გასავრცე-  
ლებლად. უცხად ნათლად დაინახა რო-  
მელიდაც უცხო სახელმწიფოს ქალაქი,  
ისე ნათლად, თითქოს მართლაც ენახოს  
ოდესმე. ოდონდ ველარ გიხსენა, რო-  
მელი ქალაქი იყო ეს... აღამიანებით გა-  
ქვდილიყო ქუჩა, ყოველ მათგანს ქუჩა-

ნალი გაეშალა, ბენედიქტეს სურათს დაპყრებდა და ილიმებოდა...

უჩვეულოდ გამოცოცხლებულიყვნენ რომელიღაც სათათბირო დარბაზში შეკრებილნი, ბენედიქტეს ფოტოს

ხელს უკუღმა უხატუნებდნენ და ყაყაყებდნენ: „ნახეთ, ბატონებო, ნახეთ, ვისი სურათი დაუბეჭდავთ! თქვენ კი, ეგვიპტეს რატომ ეკინკლავებითო, ასეთი თავხედობა გავიგონიათ?“

### აღზვიების პირველი დღე

— ეს ვისი სურათი დაუბეჭდავთ, კაცო, ა? თუ ძმა ხარ, ბათუ, დააკვირდი ერთი, იქნებ გაიხსენო, რალაც მეც ნაურება ეს პიროვნება!

— აბა, მაჩვენეთ, ბატონო ბენო, — ჟურნალი უკვე მეთოდ გადადის ხელიდან ხელში, და მეთოდ იწყება გულის მამებელ-სალიტინებელი თამაში, — ოპ, მართლა, რა ვაქაცია, ა? რომ არ მოგატყუოთ, ვერ ვცნობ, მაგრამ რად უნდა ცნობა, ზედვე არ ეტყობა რაც არის? ეს აღამიანი ძველ მეგობარს არ გაწირავს, უკანასკნელ ლუქმას გაუყოფს. ა, ბატონო გენადი, დაუკვირდით სურათს, თუ არ ვარ მართალი... ნეტა ვიცნობდე, კაცო, ა? — სინანულით თავს აქნევს ბათუ, — იქნებ თქვენ იცნობთ, ბატონო გენადი?

ბათუ ორივე ხელს ჰკიდებს ჟურნალს და მაგიდის გადაღმა კერძივით აწოდებს გენადის.

გენადის ეს თამაში უკვე ყელში აქვს ამოტული, მაგრამ რა ქნას, ბენედიქტეს უსაზღვროდ სიამოვნებს, თეატრის მბრუნავი სცენასავით ჭრიალ-რახრახით ტრიალდება გენადისკენ და ყბაჩამოვარდნილი, ბავშვივით თვალბაცეცხლებული შეპყრება; აბა, რას იტყვისო, და გენადი მეთოდ იმეორებს ცხრაჯერ ნათქვამს:

— ეს კაცი? მოიცა, მოიცა, — თვალთან ახლოს მიაქვს ჟურნალი, და მერე თითქოს მოულოდნელი მიხვედრის შემთხვევით იპყრობს, — კაცო, რალაც მომიკრავს თვალი, კაცო, მგონი, ამ წუთში ვნახე, აქ გაიარა საღდაც, — ვითომ შემთხვევით გაიხედავს ბენედიქტესკენ და სახე ებადრება, — აა, აგერ არ ყოფილა? ეს თქვენა ხართ, პარტიციპიუ-

ლო? გვაპატიეთ, გვაპატიეთ, ასე ხმამალა ვლახლანდარობდით თქვენზე და თურმე...

— აა, ეს თქვენ ბრძანდებით?! — ფეხზე დგება ბათუც, — ბედნიერებივართ, რომ ჩვენს მაგიდასთან აღმოჩნდით შემთხვევით, ბოდიშს ვიხდით, თუ შეიძლება გავაცანით თქვენი თავი.

ბენედიქტე ვითომ მართლა არ იცნობდეს ბათუს, ცდილობს სერიოზული გამომეტყველება შეინარჩუნოს:

— მე... მე ბენედიქტეს მეძახიან... მე... — მერე აღარ ჰყოფნის ფანტაზია, იცინის და ბათუს საჯდომზე ხელს შემოჰკრავს, — შე ტუტუცო, შენა, ხა, ხა...

— ხე, ხე... — იცინის ბათუ.

— ჰუ, ჰუ... — გენადიც, რა თქმაუნდა.

და თამაში მთავრდება.

ქამას განაგრძობენ. სუფრის მამა-პაპური განრიგისათვის ახლა არა სცხელათ, ყველა სადღეგრძელო და ყველალოცვა ბენედიქტეს ეკუთვნის.

— ბენედიქტე ვარლამიჩ, — ქიქას იღებს გენადი, — კიდევ ერთხელ გავიმარჯოთ, ეს ამბავი ისე არ ჩაივლის.

— არ ჩაივლის. — უდასტურებს ბათუ.

— ამას უყურადღებოდ არ დატოვებენ, ხუმრობაა? მოსკოვის ჟურნალში... ვარლამიჩ, კი ბიჭი ყოფილა ის ბიჭი, უნდა გაატანოთ თქვენი ძმისშვილი.

— გავატან და ბინასაც მივცემ... მოვუხებრებ.

— მიხეც რა ძალა აქვს სიყვარულს!

— რა საქმეც გამოსულიყო, ახლა ბედნიერი ვიქნებოდი, — ნატვრით თავს აქნევს ბენედიქტე. — ვერ იმარჯვა გე-

ნადიმ, ხე, ხე... — და ბექზე ხელს არტყამს.

— მკვდარი თუ ვაცოცხლებოდა, არც თქვენ გეგონათ, ვარლამიჩ. — მხრებს იჩეჩავს გენადი.

— აბა, კაცო, რა ფულები ჩაეყარე იმ ბებერ ძელებს!

— არ გეწყინოთ და, თქვენი ძმისშვილი რომ არ ჩაგესახლებინათ, შეიძლება არც ვაცოცხლებულიყო.

— ვითომ რატომ? — იბღვირება ბენედიქტე.

— ამხანაგები მოდიოდნენ... იქვე არ ეცხოვრობ? მზიარულობდნენ, მღეროდნენ, ცეკვავდნენ, უკრავდნენ, ზომ მოგვხსენებათ ახალგაზრდობა... სიკვდილი არ აცალეს კაცს.

— შენ არ მიჩჩიე, მდგმურად ჩაასახლეო? შენ და ამ ეკებატინმა?

— მე რა შუაში ვარ, ვარლამიჩ! — იგერიებს ბათუ და შუშის თვალი უმრისხანდება.

ბენედიქტეს რატომღაც ჰგონია, რომ იმ ყურში, საითყენაც შუშის თვალი აქვს ბათუს, არაფერი არ ესმის, ამიტომ ხშირად ნიკაპზე ხელს ავლებს ხოლმე, თავს უგრეხს ბათუს და მარჯვენა ყურში ეუბნება სათქმელს.

ბათუ ნიკაპზე ხელს აშვებინებს. ბენედიქტე ოხრავს:

— ეჰ, რა მკვდარი... მკვდარი კარგად იყოს... რა ლუკმა გამომეცალა პირიდან! რა ფულები ჩაეკუქნე იმ ბებერს! ბინის ქირის ფულებს მე ვიხდიდი, იმ გოგოს, ჩემს ძმისშვილს, ჩვენში დარჩეს და, რა ჩემი ძმისშვილია, ის ჩემი ძმაც არ ყოფილა ჩემი ძმა... იმ გოგოს ჩემი ფულებით ვაცმევედი და ვახურავდი, ერთი-ორჯერ მის ამხანაგებსაც დავახარჯე ფულები, საფლავის ფულებიც ზომ წინასწარ გადავიხადე ჩერჩეტმა, ეჰ, ფულები, იმდენი ფულები, რომ... რას იზამ, ბედები არ მქონია და, ეგ არის!

— რა არ გქონიათ? — ეკითხება გენადი.

— ბედები-მეთქი... ბედი არ მქონია და ეგ არის!

— პირიქით, გქონიათ ბედი, — გენადის სურს ბენედიქტეს გულოდან დარდი ვადაუყაროს, — პირიქით, თქვენ არ იცით, რა მახეს მიგებდნენ ჩვენი შეზობლები. ის დედაკაცი ვახსოვთ? ლოლა? ყოველდღე დადიოდა იურიდიულ კონსულტაციაზე. ვეკინოს უთქვამს, თუ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი დაასკვნის, რომ დანაშაული მოხდა დამხარალებულის ლეტარგიული ძილის დროს, ბრალდება ათქვად მძიმდებაო!

— რას ამბობ! — ერთი წამით შიშს ტყვედ ბარდება ბენედიქტე, თვალები უუცვდება, თითქოს არ იცის, რომელი მხრიდან ჩაარტყამენ თავში.

ბენედიქტე ხენეშა-ხენეშით დგება, თითქოს საკუთარ კუნთებს იქოქავს, რესტორნის შუშის კედელთან მიდის და ცდილობს, კუთხისკენ შეკეცილი სქელი ფარდა გამოსწიოს, მაგრამ არ ემორჩილება ფარდა, ბათუ სასწრაფოდ ეშველება, ახლა ორივენი ექაჩებიან.

— არ ჩამოავდოთ! — აფრთხილებს გენადი.

რესტორნის მინის კედელში კინობანორამასავით მოძრაობს სანაპირო ქუჩა და ამღვრეული მტკვარი. ნარიყალას ციხის ქონგურები თითქოს თვალს ველარ უწვდნენ ქალაქის შორს გაქცეულ მისაღვამებს და ფეხისწვერებზე შემდგარან.

ვინც კი ფილაქანზე ჩაივლის მინის კედლის გასწვრივ, უნებურად იჭვრიტება რესტორანში, ამიტომ უნდოდა ბენედიქტეს ფარდის გამოწევა.

მოულოდნელად თვითმფრინავის გუგუნი ფარავს რესტორნის ხმაურს.

— „ტუ“ არის, „ტუ“! — ყვირის ბათუ და მინის მიღმა ცას აპყურებს. ოფიციატებიც იქვე გროვდებიან: ორი თვეა, რაც „ტუ-104“ მოსკოვსა და თბილისს შორის დაფრინავს.

ბენედიქტე ხელებს ღურბინდვიით იმრგვალებს თვალებთან და თვითმფრინავს უმიზნებს, მერე თავს აქნევს:

— რა გამოგონებაა, ეს ოხერი!



— აბა, კაცო, ორ საათში ჩადის მოსკოვში! — უყვირს ბათუს.

— რა ჩადის, ბიჭო, ორ საათში, — უყვირს ბენედიქტსაც, — ღურბინდი?! მაგიდას უბრუნდებიან. ჟურნალში დაბეჭდილი საკუთარი ფოტო წუთით დავიწყებოდა ბენედიქტს. თვალს მოჰკარავს თუ არა, ერთხელ კიდევ საამოდ უტოვდება გული. ამბობენ, ჭაღავაძის ერთერთ მდივანს აწინაურებენო, მის ადგილზე რაიკომის მდივანს ნიშნავენო, რაიკომის მდივანს პოსტს აღმასკომის თავმჯდომარე დაიკავებსო, აღმასკომის თავმჯდომარის საერაძელი რომ... ა? ვითომ ვერ ჩაეტევა ბენედიქტე?... გააფართოვებინებს!

სვამენ. მესამე ბოთლი „ენისელიც“ ცარიელდება. აქ სათათბიროდ მოიწვია ბენედიქტზე შეგობრები. ახალმა ამბავმა ახალი იმედები ჩაუსახა. ამიტომ უხმო მრჩევლებს. ისინი კი სდუმან. ალბათ არც ისე ადვილია წინასწარ განსკვირვო, რომელ კაბინეტს გაანათებს ბენედიქტს საკავშირო ჟურნალში ამობრწყინება.

უბრალო ფოტო ჟურნალში! და უკვე ყველა მორიდებით გუბყრობა. იმიტომ, რომ იციან: შენ მთავრობამ გამოგარჩია, დაგაფასა, და შენი უპატივეცემულობა, მთავრობის უპატივეცემულობა იქნება!

აღმასკომის თავმჯდომარეობა! მეტს არაფერს არ თხოვს ცხოვრებას. მერე, თუ გინდა, ყველას უფულოდ მისცემს ბინას, სულ ტყუილად მისცემს. ო, ადგილი, ადგილი, რა ძალა აქვს თანამდებობას!

„მერე რომ გაიგონ კიდევ, ასე და ასე შევბოდაო, იღებდაო და რაღაცეებიო... ვინ გაზედავს თქმას, რომ გაზედოს, ვინ დაუჭერებს, და რომ დაუჭერონ, ვინ გაამხელს? თვითონ მოერიდებათ ამის გახმაურება, მათი კაცი ვიქნები და იმიტომ, მათი დანაშაულიც იქნება ეს!“

მინის კედელს ქუჩიდან ვიდაც მოხუცი კაცი მოდგომია და რესტორანში იჭვრიტება მოურიდებლად. მისი თავ-

ხედობა ბენედიქტს ტყბილი ფიჭვების მადას ართმევს.

— ვინაა ეს მათხოვარი? — კიდევ ერთხელ დგება ბენედიქტე და ფარდასთან მიდის, რომ იმ თავხედს ცხვირში ჩამოუფაროს, მაგრამ ფარდა აინუნში არ აფდებს ბენედიქტს გაანჩხლებას.

ის მოხუცი კი — წვერგაუპარსავი, კისერდანაოჭებული, — დგას გარეთ, ფილაქანზე, და მათი მაგიდისკენ იყურება. ბენედიქტე თითქოს არც არსებობს. ისეთი სახე აქვს მოხუცს, თითქოს რაღაც ტყევა და ამ ტყევილს თავგანწირულად ითმენს, მარცხენა მკლავი ხის ყუთის ვრძელ სახელურში გაუყრია, ოდნავ მარჯვნივაა გადაზნექილი, ეტყობა, ყუთი მძიმეა.

— რა გინდა, ეე! — ყვირის ბენედიქტე და მოხუცს თვალწინ ხელებს უქნევს.

მოხუცი თავს ხრის, მძიმედ ბრუნდება და ფილაქანს მიჰყვება. სწორედ ამ დროს ესმის ბენედიქტს გენადის ხმა.

— მამაა, მგონი, მამაჩემია! — მინის კედელთან მირბის გენადი და ხუთივე თითის ფრჩხილებს ზედ აწკარუნებს.

მოხუცი ჩერდება. გენადის აშტერდება. ის ტყევილი თითქოს კიდევ უფრო გაძლიერებია.

— კაცო, მართლა მამაშენია? — იძახის ბენედიქტე, — ვადღეგრძელოთ მაინც! — და ბათუს ანიშნებს, ტიქები მოიტანეო.

სამივეს ხელთ უპყრიათ კონიაკით საესე ტიქები და მუნჯურად თავებს აქნევენ.

— მამაშენს გაუმარჯოს, გენადი! — იწყებს ბენედიქტე, და მერე ქუჩაში იხედება, ტიქას მალლა სწევს, — გაგიმარჯოთ, ბატონო... რა ჰქვია?

— ალექსი, — იკრივება გენადი, — ალექსი-დურგალი არ გაგიგონიათ? მაგისთანა ხელოსანი ტყუილია... კარგად იყოს მამაჩემი!

სამივენი მალლა სწევენ ტიქებს და მინის კედელს უქაზუნებენ.

— სახელოვანი მამა გყოლია...



მთელი რესტორანი მათ უყურებს. ქუჩაშიც იკრიბება ხალხი.

მოხუცი ნელ-ნელა ამორებს მზერას შეილს, ფილაქანს დასცქერის, მერე თავს აქნევს უარის ნიშნად, რაღაც ფიქრს თუ სურვილს ებრძვის. მერე უფრო ენერგიულად აქნევს თავს, მძიმე ტვირთს სწრაფად უნაცვლებს ხელს, ტრიალდება და მიდის.

— დარბაისელი კაცი ჩანს, — ამბობს ბათუ.

— რატომ შენთან არ ცხოვრობს? — ეკითხება ბენედიქტე.

— რა ვიცი... ხომ იცი... მოხუცების ახირება, ამ უბანში დაიბადა და ვეღარ ელევია... მუშტარიც იცნობს და...

— ვადღეგრძელებთ, მაღლი ვქენით, — კმაყოფილია ბენედიქტე.

გვიან ღამემდე სვამენ, გაღწეილები გადიან ქუჩაში. ერთმანეთს ლოწინიან, მეგობრობას ეფიცებიან. ბენედიქტეს სახლამდე აცილებენ.

თავისი კაბინეტის კარი ღია ხდება სახლის პატრონს. ენა მუცელში უვარდება შიშისაგან. ხელში რევოლვერი უკანკალებს. თავისი ფულებით ჯიბეებდატენილი ქურდი ელანდება. მთელი საუკუნე დგას გაშეშებული... და უცრად ასხენდება, რომ შეიძლება დილით თვითონ დარჩა კარი ჩაუკეტავი; ძალიან ეჩქარებოდა.

შედის და მაშინვე კარადას აღებს. სინჯავს ბალზაკის პირველ, მეექვსე, მეათე მთეტე და ბოლო ტომებს. ყველაფერი როგზეა, პატიოსანი მწერალია ბალზაკი, მაღლობა ღმერთს. მაგრამ მაინც ექვი ეპარება, ყველა დანარჩენ ტომსაც სინჯავს, ფურცელ-ფურცელ ამოწმებს. კი, ნამდვილად პატიოსანი მწერალი ყოფილა ბალზაკი! ახლა დიკენსი ვნახოთ... ესეც კარგი ბიჭი ჩანს, პირველ ტომში მესამე გვერდამდე ჰქონდა ჩაწყობილი ხუთთუთმნიანები, ხელუხლებელი დაახვედრა. მეორე ტომში მანეთიც არ ჩაუდვია, რას დაახვედრებდა?

როგორც ყოველთვის, ფურცლების თვისას, ახლაც კითხვამ გაიტაცა.

## «Глава XII

Повествующая о весьма важном поступке Мистера Пиквика: значение в его жизни не менее важное, чем в этом повествовании».

„აბა, ვნახოთ, რისი დამახსოვრება შეიძლება“, — გაიფიქრა ბენედიქტემ.

«Помещение, занимаемое мистером Пиквиком...»

„ეს არ გამოდგება“.

«Всякому, кто был знаком с этими правилами...»

„არც ეს — გრძელია!“

«— Вы совершенно правы, — сказал мистер...»

„ეს ხომ ბალზაკსაც აქვს! ახლა ვაიგე, ვინ ვის მოპარა“.

«— Вы избавитесь от многих хлопот, не так ли? — продолжал...»

„ეს კარგია! ეს ნამდვილად კარგია... ესე იგი, როგორ იქნება? „თქვენ თავს დააღწევთ ბევრ ხათაბალას...“ კი, ასე იქნება.“

„როგორც დიკენსი ამბობს ერთ აღგილზე, მეგობრებო, თქვენ თავს დააღწევთ ბევრ ხათაბალას... ხე, ხე...“

წიგნებს ისეც კარადის ქვედა თაროზე აწყობს, კარადას კეტავს. მერე ამოწმებს: ნაჭაბით თუ დაჩეხავენ, თორემ ისე ვერავინ გააღებს:

„ერთ აღგილზე დიკენსი წერს, ჩემო ბათუ: „თქვენ თავს დააღწევთ ბევრ ხათაბალას“. ხომ ხედები, რას ვგულისხმობ? ხე, ხე...“

ქურნალს იღებს, თავის ფოტოს დასცქერის, უცხად ერთი ოთხბაზურა ფიქრი ღიმილს გვრის ტუჩებზე. ფეხაკრეფით გადის კაბინეტიდან. ფრთხილად, რაც შეუძლია ფრთხილად შედის საწოლ ოთახში. სამზარეულოსთან დამაკავშირებელ სარკმელიდან ელექტრო შუქი აღწევს და მკრთალად ანათებს მარგოს მსხვილსა და თეთრ მკლავს. კედლისკენ გადაბრუნებულია ცოლი და ფშვინავს. ბენედიქტემ იცის; გაღვიძებამდე გვერდს არ მოიცვლის მარგო. გაშლილ ქურნალს საწოლის კიდეზე დებს და კედელზე აყუდებს; როგორც კი თვალს გაახელს მარგო, პირდაპირ ბენედიქტეს სურათს შეეფეთება. სიხა-

რული ალბათ ისე ააქოვლებს, იქნებ დილის ძილიც დაუფრთხოს ქმარს.

კაბინეტში ბრუნდება და კარს საგულდაგულოდ კეტავს, ღია ფანჯარასთან მიდის, ნახევრადდაცლილ ბორჯომის ბოთლს საცობს აძრობს და პირზე იყუდება, თანდათან ეგრძობება სქელი კისერი, თანდათან მალა იწვევს ბოთლის ძრო, და უეცრად სასულეში წყალი სცდება. წიწკის თესლივით ეჩხირება ყელში ზველება. ახველებს, თან ქუთუთოებით ცრემლებს წნებავს და თვალებიდან იწურავს, რომ უფრო კარგად დაინახოს საპაერო-საბაგირო გზის ვაგონი.

საქმე ისაა, რომ ამ ღამით ვაგონი ბენედიქტეს სახლის თავზე არ გაუჩერებიათ, ცოტა ქვემოთ დგას, სადგურთან. რას ნიშნავს ეს? იქნებ გაიგვს ყველაფერი და მოერიდათ? იქნებ ნახეს ძურნალი?

უზომოდ კმაყოფილი და ბედნიერი წვება ბენედიქტე. ძილი მალე უხუტავს თვალებს და ამ ბრძოლებით სავსე, ბედკრული ცხოვრების ნაცვლად, ფეერიულ სიზმარს სთავაზობს.

... უზარმაზარი ღერბინდის მილში მიჭრის თვითმფრინავი. თვითმფრინავში ბენედიქტე ზის. მალა ვიწრო, მრგვალი ცა მოჩანს, ეს ცა ყველაფერს აპატარავეებს — მთვარეს, ისედაც პაწაწინტელა ვარსკვლავებს. სამაგიეროდ, ქვემოთ, მრგვალი, გამჭვირვალე ზღვა დიდია და ყველაფერს აღიდებს; კენჭები ლოდებივით მოჩანს ფსკერზე, ლიფიტები — ვეშაპებივით, ნიჟარები მთებივით ამომართულან...

ნიჟარა! მარგალიტის ნიჟარა!

გახარებული ბენედიქტე ფეხს იშვრის და თვითმფრინავიდან ხტება, ჯერ თავდაყირა მოფრინავს, მერე ქვედა ტანი ასწრებს ზედას და სწორდება. ყურებში ქარი უზუზუნებს, სუნთქვა ეკვრის, გული სადაცაა ამოხტება საგულედან და ცალკე გაფრინდება. ბენედიქტეს ხელებით უჭირავს გული, პირს დიდზე აღებს, რომ ჰაერი ეყოს. აჰა, იმ წრიულ ზღვამიც ეშვება, ფსკერამდე უწვდენს

ფეხს. შლამი ფეთქდება, ამღვრევს ზღვას, თვალებს უბრმავეებს<sup>1)</sup> ბენედიქტეს, კბილებში სილას აყრის. ნელნელა ილექება შლამი, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის დაწმენილი, ჯერ კიდევ მღვრიე ბურუსი დგას ირგვლივ, როცა ბენედიქტე უზარმაზარ ნიჟარას ამჩნევს. აუწერელი სიხარული და შიში იხყრობს ერთდროულად. მალა იხედება, ღერბინდის შეუულ ჯამი; ღრუბლებამდე ასულა თვითმფრინავი, კიდევ კარგი, ვერ შეამჩნიეს რომ გადმოხტა...

ვითომ ვერ ხედავს ნიჟარას, სხვა მხარეს მიტივტივებს, მაგრამ რაღაცანიერად მაინც უახლოვდება. ეშინია არ დააფრთხოს. ნიჟარას ვეება პირი დაუღია და გატყრენილა. ალბათ ისვენებს სადილის შემდეგ. ნიჟარა უკადრისაა, არავის და არაფერს არ ჰგელობს ამ ქვეყნად, თუ პირში უცხო რამ სხეული ჩაუყარდა, მაშინვე თავისი ძვირფასი ლორწოთი დაფარავს, ფენა-ფენა შემოახვევს. ბენედიქტეს ძრუანტელი უვლის ტანში, იცის, რომ ეს ლორწო მერე მარგალიტად იქცევა...

რა ჩაუფლოს პირში? კენჭი? ზემოდან ჩანდა დიდი, თორემ აქ სულ პატარაა. თევზი რომ დაიჭიროს? არა, პატარაა, ესეც რომ არ იყოს, იქცევა მარგალიტად და მერე გასრიალდება, წავა. უცხად მოულოდნელი ფიჭვი საამოდ უშფოთებს სულს: ამ ზღვაში ყველაზე დიდი თვითონ ბენედიქტეა! საოცარია. მაგრამ ასეა!

ფეხაკრეფით უახლოვდება ნიჟარას. ჩერდება. მარჯვენა ხელის საჩვენებელ თითს მუჭში იქცევს და, რაც ძალა და ღონე აქვს, ჭიმავს. ისმის ხრტილის ტაკცანი. ცოტა ხომ მაინც წავრძელდა თითი? ესეც კარგია... თითს ფრთხილად აპარებს და პირში უდებს ნიჟარას, შამფურივით ატრიალებს; აღიზიანებს, თან ეშინია; თვალისმომჭრელი სინათლე აბრმავეებს და ხედება, რაც მოხდა — საჩვენებელი თითი მარგალიტად იქცა!

ბენედიქტეს ირგვლივ სწრაფად იკრიბებიან მისი მტრები, შურით შეჰყურებენ, გაუბედავად, მაგრამ თანდათანო-

ბით უახლოვდებიან, ალყას არტყამენ, ყველას ხუნდი უჭირავს ხელში, რომ ბენედიქტე შებორკონ, ყველას უნდა პირველი დაესხას თავს. მთელი ქალაქი აქ არის... უეცრად ბენედიქტე მარგალიტად ქცეულ საჩვენებელ თითს უჭნევს მათ და ყველა მტერი, ამ სასწაულოთ თავზარდაცემული და თვალბგადაბრეცილი, სადღაც ქრება.

ბენედიქტეს ელიმება, ნიჟარაც კმაყოფილია მისი გვირობით, თავს უქნევს, მოდიო. გახარებული ბენედიქტე მამადე უყოფს პირში ხელს და მარგალიტის ხელთათმანი იქაურობას აკაშკაშებს. მოთმინება აღარ ჰყოფნის გულაჩუყებულ ბენედიქტეს, თავს ღუნავს და ნიჟარაში ხტება. განცხრომით წევს ბენედიქტე, დაუსრულებლად ხვრებს ბორჯომივით სასიამოვნო ზღვის წყალს და გრძნობს, როგორ იფარება მთელი მისი სხეული მარგალიტის შრეებით. ღმერთო, 117 კილოგრამიანი მარგალიტი, ამით ხომ მთელ საქართველოს იყიდის!

მარგალიტის წინდები ნელნელა მოიწვეს მუხლებსაყენ, მარგალიტის შარვალი წელამდე ამოდის. აი, ფენა-ფენად გადაეგლისა ყურებზე ძვირფასი ლორწო და ბენედიქტეს აღარაფერი

ესმის, აღარც ზღვის ხმაური, აღარც თვითმფრინავის შორეული გუგუნის ღურბინდის მიღში, დაყრტყუნა! ჯანდაბას, ოღონდ...

ახლა თვალბგე ეფარება მარგალიტი, ქუთუთოებს უმძიმებს, ირგვლივ წყვდიადი მეფდება, ველარაფერს ხედავს ბენედიქტე, დაბრმავდა, ნამდვილად დაბრმავდა, ჯანდაბას, ოღონდ...

ბოლოს ნესტოებს მისწვდა ნიჟარა, ტუჩებიც ამოუწება, ველარ სუნთქავს ბენედიქტე, ბორგავს, იკლავება, აჰა, უკანასკნელი ამოხრიალება, უკანასკნელი ამოხრიალება და ბენედიქტეს უჰაერობისაგან გული უსკდება. კვდება ბენედიქტე. და მშვიდდება. უზომოდ ბედნიერია, რომ გაუძლო ამ ტანჯვას, რომ არ მოიხრკა ტუჩებიდან და ნესტოებიდან ძვირფასი მარგალიტი...

და უეცრად ეღვიძება. გაოგნებული ათვლიერებს ოთახის კედლებს და თანდათანობით ყველაფერს ხვდება. ხვდება, რომ ეს სიზმარი იყო. თვალბები ცრემლით ევსება, ტირის, რომ ცოცხალია!

ღმერთო, რა დაგაკლდებოდა ბენედიქტე რომ მართლა მომკვდარიყო. შენ რა დაგაკლდებოდა?

— არაფერი!

### ათასი კილოგრამის იქით

— გამათავისუფლეთ სამსახურიდან! — ჯაბა წამოდგა. მაგრამ ნაბიჯი არ მოუცვლია. თითის სიგრძე ფერფლი წატყდა მის სიგარეტს და იატაკზე ჩაიბნა.

ბატონი გიორგი იდაყვებით დაყრდნობოდა მაგიდას, სათვალის ყავისფერ ჩხებს ერთმანეთზე უტაკუნებდა. ზღვის მზე მოჰკიდებოდა სახეზე და სულ უცხო კაცის იერი მისცემოდა მის გამომეტყველებას, ბრინჯაოსფერს უფრო ამოედიდებინა და გაეშუქებინა მისი თვალბები. და ჯაბას ეჩვენებოდა; იმიტომ შეიცვალა ბატონი გიორგი, რომ, საერთოდ, ყველაფერი შეიცვალა

ჯაბას ცხოვრებაში, თითქოს შეუძლებელი იყო, ეს აღსარება იმ ძველ გიორგის მოესმინა მიზან.

ჯაბამ ველარ გაუძლო სიჩუმეს.

— გამათავისუფლეთ, ბატონო გიორგი, დეწერ განცხადებას...

რედაქტორმა თავი ასწია. ტუჩების გარშემო ნათლად გამოყვეთოდა გაფითრებული წრე.

— სამსახურიდან განთავისუფლებათუ გიშველის, მაშინ... — თითქოს უნებურად წამოსცდა გიორგის და ის დიმილი გამოეხატა სახეზე, მწარე სიმართლეს რომ არბილებს ზოლმე, — შენ სულ

სხვაგვარი გათავისუფლება გინდა, და-  
ჯექი...

ჯაბა მაშინვე დაემორჩილა. კაბინე-  
ტის კარისკენ გაექცა შურა. მაგრამ  
გაახსენდა, რომ ჩაკეტილი იყო, ლიანას  
უნებართვოდ ვერაინ შემოვიდოდა.

— კიდევ ვის მოუყვიე ეგ ამბავი?

— არავის...

— მე რატომ მიამბე?

— აბა, ვისთვის მემბნა? — გულ-  
წრფელად გაუყვირა ჯაბას.

— ეგ ერთი მიზეზი; მეგობარი არ  
გყავს, — გიორგი სავარძლის ზურგზე  
გადაესვენა, — შენ რომ მეგობარი გყო-  
ლოდა, იფიქრებდი: რას იტყვის, ეს  
რომ გაიგოსო, შეგრცხვებოდა და აღარ  
გააკეთებდი.

— მეგობარი არაფერ შუაშია, ბატონო  
გიორგი, მყავს, როგორ არა მყავს...  
მე თვითონ არ ვიცი როგორ მოხდა,  
თითქოს ცნობისმოყვარეობას ვიკმა-  
ყოფილებდი, მაინტერესებდა, მართლა  
ასე ხდება-მეთქი თუ არა ცხოვრებაში.

— შენ გინდოდა გაგეგო, მართლა  
იკბინებოდა თუ არა მგელი?

— ბატონო გიორგი...

— მე არ დაგცინი, — გიორგიმ საჩეე-  
ნებელი თითი გააქნია, — თითქოს არა-  
ფერი, რა მოხდა?! — ვილაც არამზადა  
პატიოსან კაცად გაასაღე. ამით სახელმ-  
წიფო არ დაინგრევა... დღეს არ დაინგ-  
რევა! — გიორგიმ კვლავ გააქნია საჩეე-  
ნებელი თითი, — მაგრამ მოდი, შუბლი  
მოვიჩრდილოთ და ცოტა შორს გავიხე-  
ლოთ, შენ შენმა უღორსმა საქციელმა,  
ვთქვათ, რაღაც პირადი სარგებლობა  
მოგიტანა, თითქმის გაურჯელად, ხე-  
ლისგაუნძრევლად მოგაკეთენეს პატა-  
რა ბედნიერება, სამაგიეროდ, შენც  
გააბედნიერე შენი გამბედნიერებელი,  
და სახელმწიფოში, შენ არ გეწყინოს  
და, გაჩნდა მეორე ცუდლუტიც... შენმა  
კოლეგამ დაინახა, რა იოლად მოიხვეჭე  
მოსახვეჭელი, მოგბაძა შენ და სახელმ-  
წიფოს კიდევ ერთი ცუდლუტი შეემა-  
ტა. ბანა ხელმა ხელი, ხელმა ხელი და  
ასი, ათასი არამზადისაგან შემდგარი  
არმია გაჩნდა. არამზადებისგან-მეთქი,

მაგრამ ქვეყანას იგი თავის გვარში  
მიჩნია, ამაყობს, მისი იმედი ექვს გა-  
დამწყვეტ ბრძოლებში, რას იტყვი,  
მოიგებს იმ ბრძოლას სახელმწიფო? —  
გიორგი შეეყოვნა, — კარგი, დაეან-  
ბოთ მაღალ-მაღალ გამოთქმებს თავი.  
იმ შენს ბენედიქტეს, როგორც თქვი,  
მილიონები უწყვია სახლში, ხალხისა-  
გან წინაგლუჯი... რასაც სახელმწიფო,  
სამშობლო, უსასყიდლოდ აძლევს თა-  
ვის მოქალაქეებს და თავის შეილებს,  
ბენედიქტე ყიდის! და შეილები გაოგ-  
ნებულნი არიან. ქვეყნად გაჩენისათ-  
ვის დედამ ფული გამოართვა, სიცოცხ-  
ლე მიყიდა, აი, ამის გამო. და მათ გუ-  
ლი უტარებდებოთ ასეთ სამშობლოზე  
და ასეთ სახელმწიფოზე, ბენედიქტე-  
ბის გამო, — გიორგი კვლავ შეეყოვნ-  
და, — და შენისთანების გამოც!.. დაწ-  
ყნარდი, მომისმინე კარგად! სხვას, შენს  
ადგილზე, არაფერს ვეტყვოდი, ყურებს  
ავაგლუჯდი და კინწისკვრით გავაგდე-  
დი... შენ გეუბნები, მწამს, ამოდ არ  
ვიხარჯები. მინდა შეგაგნებინო დღეს-  
ვე, ამ წუთში, რა გააკეთე შენ. წააწყ-  
დები ცხოვრებაში შენსავეთ ფეხგადაბ-  
რუნებულს და გეცოდინება, რა უთხრა  
და როგორ მოექცე. იმედია, ისევე შე-  
შფოთლები და გაანჩხლდები, როგორც  
მე შემაშფოთა და გამაანჩხლა შენმა  
საქციელმა. ახლა თვალბში ვერ მიყუ-  
რებ, ოფლად იწურები, მიხარია, რომ  
ასეა. მინდა დავიჯერო, რომ არ თვალთ-  
მაქცობ. რადგან ადვილი შესაძლებე-  
ლია, სხვა შენს ადგილზე თვალთმაქ-  
ცობდეს; აღამიანს გაწვალებს სინდი-  
სის ქენჯნა, ტკივილივით გაწუხებს, მა-  
გრამ ხანდახან მისი დაქმყოფილება  
უბრალო ეგოისტური ინსტიქტია:  
გრძნობ, მოინანიებ თუ არა, ტკივილი  
გაგიქრება, შენც სხვა არაფერი გინ-  
დოდა.

იმ დღეს, მთავრობის განცხადებას  
რომ ვუსმენდით, — გიორგიმ რადიო-  
მიმღებისაკენ ანიშნა, — შენ ვაფიორ-  
დი, შეგეშინდა, შემფოთების შესანიღ-  
ბავად ვითომ გაიხუმრე კიდევაც საყუ-  
თარ თავზე: „იგი სულ ახალგაზრდა, 25

წლისა დაიღუპა სუეცის არხისთვის გაჩაღებულ ბრძოლებში“. ახლა გელიშება, მაგრამ მაშინ შეძრწუნებული იყავი. იმიტომ, ჯაბა, რომ ქვეშეცნულად იგრძენი: საქმე რომ საქმეზე მიმდგარიყო, შენ შეიძლება გაპყლოდი სხვა მოხალისეებს გვევბტის დასახმარებლად. ასეთი ხარ, ასე ხარ ჩაფიჭრებული ბუნების მიერ... იმიტომ შეგეშინდა, მე ეს შეგატყვე და არ მიწყენია; ვინც არ აპირებს ომში წასვლას, ის ღიღინ-ღიღინით მოისმენდა იმ განცხადებას, ქუდს დაიხურავდა და შინ წავიდოდა. შენ კი შეგეშინდა. შენ მოქალაქე ხარ. მე მკერა, საზოგადოებაში ყოფნა და ცხოვრება ადამიანის თანდაყოლილი მისწრაფებაა. შენ ეს თვისება ჯერ არ გავცვეთია. იმიტომ გენდობი. გენდობიან სხვებიც. უცნობებიც კი — იმიტომ, რომ შენი წერილები და ფოტოები ჩვენს პრესაში ქვეყნდება. ჩვენთან ერთი იდეაა გაბატონებული, ბუნებრივია, მთელი პრესა ამ ერთი იდეის მისწრაფებებს ემსახურებოდეს. იმიტომ უნდა ვიყოთ ძალიან ფრთხილნი; ყოველი წერტილი თუ მძიმე უნდა ავწონ-დავწონოთ. უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველი ჩვენი სიტყვისა სჯერათ, რომ ყოველი ჩვენი ნათქვამით შეიძლება შეუმოწმებლად იხელმძღვანელონ ათასობით კილომეტრის იქით მცხოვრებმა ადამიანებმა, რომლებსაც იქნებ ვერასოდეს შევხვდეთ ჩვენს სიცოცხლეში.

ჯაბას თავი ჩაელუნა. ხელში გატრეცილი ქალაღი ეპირა, ხან შლიდა ამ ქალაღს, ხან კეცავდა. გიორგის ხმა ხანდახან მიქრებოდა ხოლმე, ალბათ იმ დროს ფანჯრისკენ აბრუნებდა თავს და ისე განაგრძობდა ლაპარაკს.

ქალაღი, ჯაბას რომ ხელში ეპირა, პიჯაკის ჯიბეში ღრმად ჩაქმუქნულიყო და ამ დილით შემთხვევით ამოჰყვა თითებს. სანამ შუამდე არ წაიკითხა, ვერ გაიხსენა რა იყო. ბენედიქტეს კაბინეტში დაეწერა, „ინტერვიუს“ ადების დროს. ახლა ხელში აწვალავდა; უნდოდა ყურადღება მიექცია გიორგის და

ეკითხა, რა არის ეგო. იქნებ ოდნე/მინც გაემართლებინა ამ ნაწერს ჯაბა.

რედაქციის ბლოკნოტიდან ამხუჯულ ფურცელზე ეწერა: „დაე ამ ქალაღმა გამახსენოს, თუ პირადი გამორჩენისათვის როგორ გავილაშქრე ჩემი სინდისის წინააღმდეგ და როგორ მოვიდომე ეურნალისტური ქრთამის ვაცემა, მერე როგორ გავბრახდი ჩემს თავზე და როგორ დაერწმუნდი, რომ უკვე...“

— ჯაბა, არ მისმენ?

— გისმენთ, ბატონო გიორგი, — შეცბა და რედაქტორს თვალბში მიაშტერდა.

— რა არის ეგ? — გიორგიმ ქალაღზე ანიშნა.

— არაფერი... — ჯაბამ ქალაღი პიჯაკის უბეში შემალა.

— თუ მოსაწყენად გეჩვენება ჩემი ლაპარაკი...

— რას ამბობთ, ბატონო გიორგი! — ჯაბა წამოდგა და ისევ დაჯდა.

-- ახლა ხმაილა ვეფიქრობ და მინდა, შენც გაგიზიარო, შენთან ერთად ვეფიქრო შენზე. გაქვს საკუთარი მორცხვი შეხედულებები, ეს ეტყობა შენს ნაწერებს; არავინ არ გეკამათება შენი თავის გარდა და, ქალაღთან მართო დარჩენილი, თავისუფლად გამოთქვამ სათქმელს. მაგრამ როგორც კი მოკამათე გამოგიჩნდება, ფარხმალს ყრი, თითქოს გეშინია, არ გამტყუნდეს, თითქოს გაძბუნებს, ღონეს გაცლის საწინააღმდეგო აზრი და სულმოსწრაფებულად ემონები. მე ვიცი ეს რისა ბრალიცაა, ჯაბა. სულ შენი ბრალი არ არის! შენთვის არავის არ უსწავლებია, როგორ დაიცვა საკუთარი აზრი, არავის არ მოუცია მაგალითი, რომ შეიძლება უარყო თუნდაც საყოველთაოდ გაბატონებული შეხედულება, თუ ის ყალბად მიგანჩია. სამაგიეროდ, მშვენიერად შეისწავლე, როგორ მიემხრო და დაუჩოქო სხვის აზრს. შეუვნებლად, ანგარიშმიუცემლად დაუფლვე ამ ხელოვნებას...

გარემოსთან შეგუების უნარი... ეს ჯერ კიდევ სკოლაში გეცოდინებოდა...

ბუნების უდიდესი მადლია. სიცოცხლის შენარჩუნებისათვის მისცა ეს უნარი ბუნებამ ადამიანს. მაგრამ, სამწუხაროდ, გარჩევა არ სცოდნია ამ თვისებას; ადამიანს ერთნაირად აგუებს სასტიკ ყინვასთანაც და საზოგადოებრივ ბოროტებასთანაც. თითქოს ბუნებას საბოლოო მიზნად ჰქონდა, შეექმნა გონება, ამ საოცარ მოვლენამდე აქმადლებინა სიცოცხლე, და მერე დაესვენა ამდენი ჯაფისაგან. იმედოვნებდა, მოაზროვნე არსება თვითონ მოუვლიდა თავის თავს, თვითონ იზრუნებდა დედამიწაზე სიცოცხლის უკვდავებისათვის. მაგრამ რაღაც შეცდომა დაუშვა ბუნებამ, ეს არ შემცდარა ამ ქვეყანაზე... — გიორგის გაეღიმა, რადგან შეამჩნია, რომ ჯაბამ ეს შენიშვნაც თავისთავზე მიიღო, — ...ყველა ადამიანი მაღალი გონებითა და მაღალი სულით არ დააჩილდოვა ბუნებამ, ზოგიერთებს პირველყოფილი, ცხოველური ინსტიქტები გამოაყოლა. ამ შეცდომის გამოსწორებისათვის საუკუნეების მანძილზე იბრძოდნენ მისი საუკეთესო შვილები, ახლაც იბრძვიან... შენც უნდა იბრძოლო! ჯაბას ძია ნიკალა ედგა თვალწინ. ვერ მიმხედარყო, რატომ მოელანდა ახლა. რამდენი ხანია არ გახსენებია მოხუცი სუფლიორი. იდგა ძია ნიკალა თავის ნახევრადბნელ საწყობში და ჯაბას, გურამს და ნოდარს ელაპარაკებოდა. მაგრამ ახლა მისი სიტყვები არ ესმოდა ჯაბას, არ ახსენდებოდა. ის კი ახსოვს, რომ ძალიან მოეწონა მამინ ძია ნიკალას ნათქვამი, მაგრამ თითქოს იმ საწყობშივე დატოვა, ზემოთ აღარ ამოკყოლია.

— შენ ჯერ ახალგაზრდა ხარ, — განაგრძობდა გიორგი, — ჯერ წინ ველოდება ის შედეგები, რაც შენს გუშინდელ სხვადასხვა საქციელს მოჰყვება მომავალში, ჯერ ნაყოფი მწიფდება, კედარაფრით შეცვლი იმ შედეგებს, უკვე შენზე აღარ არის დამოკიდებული, უკვე დათესილია... შენზე დღეიდან იქნება დამოკიდებული...

კაბინეტის კარი ლიანამ შემოაღო.

— ბატონო გიორგი, — მხრებზე აჩიხა ლიანამ, თითქოს ამბობდა, სხვა გზა არ მქონდა, უნდა შემოვსულიყავით, უშიშროების მინისტრის მოადგილე!

ჯაბა ფეხზე წამოიჭრა.

გიორგიმ ტელეფონთან მიიბრინა.

— არა, ბატონო გიორგი, აქ არის! — ხელი ყურთუქულმა გაიშვირა ლიანამ. გიორგიმ გრძელი ნაბიჯები გადადგა და კარი ფართოდ გააღო.

— მობრძანდით, ბატონო ლევან!

ჯაბას მოესმა მტკიცე სამხედრო ნაბიჯის ხმა. გიორგიმ უკან დაიხია და ოთახში ფორმაში გამოწყობილი მაღალი კაცი შემოვიდა. ქუდი დაუყოვნებლივ მოიხადა და რედაქტორს ხელი ჩამოართვა.

— მაპატიეთ, შეგაწუხეთ, — თქვა მან, — მაპატიეთ, — გაიმეორა, როგორც კი ჯაბა შენიშნა, და ხელი გაუწოდა ჩამოსართმევად, — ქებურია!

— ალავეძე! — წაიჩურჩულა ჯაბამ.

— ეს ჩვენი თანამშრომელია, — ჩაუერთო გიორგიმ, — დაბრძანდით, ბატონო ლევან!

მინისტრის მოადგილე დაჯდა. შეფერფლილ თმაზე ხელი გადაისხვა და ოთახი მოათვალიერა. მერე ჯაბას გამოხედა და სკამი შეაბრუნა.

— როგორ ბრძანდებით, ბატონო ლევან, ხომ მშვიდობაა ქალაქში. — გაიღიმა გიორგიმ და თითქოს შეცდომა დაუშვაო, სწრაფად და გამოკვეთილად დაუმატა, — რესპუბლიკაში!

— სწორედ ამისთვის მოვედი. არ არის სულ სამშვიდობოდ საქმე, — ქებურიამ კიტელის შუათანა ღილი შეიხსნა და ხელი უბეში შეიყო, — კიდევ ბევრი ბოროტება ხდება, — უბიძან კაცილი ქალაქის ფურცელი ამოიღო. გაშალა, ნაკეცი ბირუკუ გადალუნა, — სწორედ ამისთვის მოვედი. ეს უნდა დაბეჭდოთ. წაიკითხეთ და თუ წინააღმდეგი არ იქნებით, ფოტო-დოკუმენტებსაც გამოგზავნიოთ. უფოტოდ არი არ ექნება გამოქვეყნებას,

მიტომ ამოვარჩიე თქვენი „განთიადი“.

— თქვენ რატომ შეწუხდით, ბატონო ლევან, დაგერეკათ, ვინმეს გამოვიგზავნიდით!

— ჩემს საქმეზე მე უნდა შევეწუხდე! ტელეფონის ნომერს დაგატოვებთ, — მინისტრის მოადგილემ თავი სტატიის ბოლო გვერდი გადმოაბრუნა, ავტოკალამი ამოიღო, მაგრამ კალამმა მხოლოდ გაჩახახა ქაღალდი, მელანი გათავებულიყო.

ჯაბამ თავისი ავტოკალამი დადო მა-

გიდაზე. მინისტრის მოადგილემ ამოხედა, წამით შეაჩერა მჭერის თითებს გადაიღო ჯაბას სახე. **სიზღვირობა**

— გმადლობთ! — ქებურიამ ტელეფონის ნომერი დაწერა, კალამი დაუბრუნა ჯაბას, — გმადლობთ!.. თუ დაგჭირდით, დამირეკეთ, — სთხოვა გიორგის, — ძალიან მადლობელი ვიქნები.

ჯაბა ქებურიას ზურგს უკან იდგა. ძალაუვნებურად მის ყურადღებას იქცევდა უჩვეულოდ დიდი ციფრებით დაწერილი ტელეფონის ნომერი.

### მხალისი ორბელის სიკვდილი

საბურავების კრილის ხმა თითქოს ჩაეხრახნა ყურში ჯაბას. შოფერმა ძლივს დაამუხრუჭა მანქანა, კარი გამოაღო და, მგონი ილანძღება. ილანძლოს რამდენიც უნდა. ჭერ ჯაბა გაივლის, მერე გაიაროს თვითონ... აი, ასე, რა მოხდა! მიბრძანდით ახლა, ბატონო, და გახსოვდეთ, რომ ადამიანს ორი თვალი აქვს, მანქანას კი ოთხი... ჰმ, როგორ უვლიან გვერდს ქალები, ვითომ ასე მთვრალია? უვლიან გვერდს და უფრო მეტად იპყრობენ ჯაბას ყურადღებას... რა საოცრებაა ეს კაბა, არ მთავრდება, სადღაც წყდება.. და სულ ასე დაუმთავრებელია... ჯაბას ფეხიც არ ეშლებოდა. აი, თუ გნებავთ, ამ ხაზს გაყვება, როგორც ჯამბაზი — თოკს, აბა, უყურეთ.. აჰა... გაივლის ვინმე ასე? თქვენ კი ფრთხილად, რადგან გინდათ მანქანაში მთვრალი ვიყო, ვიქნები... თქვენს თავს დააბრალებთ ყველაფერი... აი, უკვე მთვრალი ვარ.

ჯაბამ თვალი ვეღარ მოაცილა მხალის ქალს, ავტობუსის გაჩერებასთან რომ იდგა. ქუჩაში გაბნეულ ელექტრონათურების მკრთალ შუქზე ფოსფორით ციციკიმბდა მისი სახის კანი.

არ უნდა შეეშალოს, ეს ქალღმერთია.. არ უნდა შეეშალოს, არც ნაცნობს უნდა შეეფეთოს ამ დამით.

განათებულ ფილაქანს ჯაბა ფეხაკრებით გაეპარა და აიენის ჩრდილს შეაფარა თავი, რომ ვინმე ნაცნობს არ შეენიშნა.

აიენის ჩრდილი ქანაობდა. მადლა, მოედნის თავზე გადაფრენილ მავთულზე, ქარი არხევდა დიდ ელექტროფარანს და მთელი ქუჩა ირწყვოდა. ჯაბა კედელს მიეყრდნო და თვალები მოხუჭა... და გაქრა ყველაფერი, ყველაფერი დაავიწყდა. აღარც ქუჩა იყო, აღარც სუსხიანი ქარი, აღარც სიმთვრალე, იყო მხოლოდ ფიქრი: იხსენებდა ერთ ძალიან ახლობელ ადამიანს და ვერ გაეხსენებინა. ოდესღაც, მგონი, უნდა ჰყოლოდა მეგობარი, ნამდვილად ჰყავდა, იმიტომ რომ ხედავდა სივრცეს ქუჩაში, ოთახში, ცაზე, სადაც ის მეგობარი იდგა ხოლმე. იქ ახლა აღარავინ იყო. დაცარიელებულიყო სივრცე და ჯაბა წვალობდა, შეესება უნდოდა მისი... რა კარგი იყო ის მეგობარი, ჯაბას სულ მასთან უნდოდა ყოფნა, ვინ იყო? როდის გაქრა...

მოსახვევში, ალაპლაპებულ ღიანდაგზე, ტრამვაის ბორბალი გაბმულად აწკაწკავდა და ჯაბას ისევ დაუბრუნა ქუჩა და სიმთვრალე.

ტაქსები არ უჩერდებოდნენ. ხანგამოშვებით ისმოდა გამკვლელობა შემფოთე-



ბული წამოძახილები, როცა ჯაბა მანქანას გადაუდგებოდა წინ.

— Молодой человек, садитесь, а то милиция Вас заберет!

თითქოს ციდან ჩამოესმა ჯაბას ქალის ხმა. შემოტრიალდა. მის ზურგს უკან ტაქსი გარინდებულყო, სადღაც შორიდან მოისმოდა მორტორის გუგუნი. საკვსთან ხანშიშესული ქალი იჯდა, მოკლე, ხელოვნური ტყავის პალტო ეცვა, ლურჯად შეღებილი. იგი სხარტად გადასწვდა სახელურს და უკანა კარი გაუღო ჯაბას.

ჯაბა დაჯდა. ტაქსი დაიძრა.

— Видите, милиция, — მოუთითა ქალმა სარკმელში, — Я избавила Вас от холодного душа.

ტაქსი რატომღაც ვაკისკენ გაემართა.

„სადაც უნდა, წავიდეს“ — გაიფიქრა ჯაბამ.

— У Вас дверь не закрыта. — ქალმა მანქანა შეაჩერა, ხელმეორედ გადაიხარა და კარი მანქანას შემოასხლიტა, — Скажите адрес, пока заснет!

ჯაბას შეეშინდა, მართლა არ ჩამეძინოსო. უფრო მეტად ჯი იმისი შეეშინდა, ჩემს სახლთან არ მიმიყვანოს ამ ქალმაო, ახლა არ უნდოდა შინ დაბრუნება. თვითონაც არ იცოდა, რა უნდოდა, და უეცრად გურამი გაახსენდა:

— Площадь Марджанишвили! — ჩააბოხა მან. და ესაიპოვნა, რომ ასე ადვილად ატყუებდა მძღოლს:

— ки, батони!

მანქანის რწყვამ წამით თვალები მიუღულა. და ჯაბას დაესიხმრა, რომ საკვსთან დედა იჯდა. მთელი ღამე ეძებდა ჯაბას, ძლივს წააწყდა ქუჩაში და ახლა სახეს არიდებდა შვილს, არ მიცნოსო. გულში ეღიმებოდა, ჯაბამ რომ სხვა მისამართი დაუსახელა.

თვალეები გაახილა. ნელნელა წინ გადაიხარა. ახლა რატომღაც მოუნდა ამ ქალარა ქალის დამახსოვრება. თითქოს აუცილებლად უნდა სცოდნოდა, ვინ იყო ის, საკუთარ დედად რომ მოეჩვენა.

ტაქსი ვერის ხიდზე შეეარდა. მსუსხავ ქარს აქ სულ აეშვა დევი. ვაკის სებულები და აღარ იცოდნენ, რა მელი ჭუჭრუტანიდან და სარკმლიდან შემოებერა ჯაბასათვის.

— Ну вот, приехали!

ტაქსი მოედანი თავისკენ დაითრია და გადაღმა, მაღალი სახლი თავზე გადამოიხზო.

ჯაბა ჩამოვიდა. ჯიბეები მოიჩხრია.

— Спасибо сынок... только не вздумай куда-нибудь завернуть!

თითქოს ვიღაც ამოუდგა მხარში და მუხლი გაუმართა. ეს კიბის სახელური იყო. სხეულის მთელი სიმძიმე მიაგლო ზედ. სახელური არ ეშვებოდა, შეებოქა ჯაბა და ნელნელა აპყავდა მაღლა. გურამის დედა მოსკოვშია... მამაც. გურამი მარტოა. გააღვიძებს... დიდი ამბავი თუ გააღვიძა.

„ან შეიძლება, სულაც არ გახლავთ შინ, მით უკეთესი, დაგბრუნდები... და მეძებოს თვითონ, თუ ძალიან უნდა... ავახვე ყურებს. ერთი გემრიელად გამოგილანძღავთ თქვენს გურამს! ყველაფერი დაეიწყება, ყველაფერი; ბავშვობა, სკოლა...“

და ისევ გაახსენდა, ოდესღაც მეგობარი რომ ჰყავდა, გურამი არ იყო ის, არც — ნოდარი, ვიღაც სხვა იყო, უფრო ახლობელი, ყოველთვის მასთან მიდიოდა ჯაბა, წუხილსაც და სიხარულსაც მას უზიარებდა, იცოდა, რომ ჯაბასთან ერთად გაიხარებდა და ბედნიერებას გაუორმაგებდა ან ჯაბასავით მოიწყენდა ხოლმე. რა საინტერესო აღამიანი იყო. ვინ იყო? იქნებ მოკვდა და აღარ ახსოვს, რომ მოკვდა.

ამ ფიქრმა გამოაფხიზლა. ქვემოთ; საფეხურებს ჩახედა. კიბის სახელურს. გურამის ბინისთვის გვერდი აევლო და უფრო მაღლა აეტყუებინა ჯაბა. ზევივით ჩამოშვავდა, მკონი წაიქცა და მუხლი მიარტყა რაღაცას.

კარი არ ჩაეკეტათ. შევიდა.

— გურამ! — დაიძახა და ოთახისკენ წაღასლა.

ოთახის კარიც გამოღებულ იყო.



შინგით ბნელოდა. თქვით შევად შე-  
ვლებათ კარი. და ამ სიშავეზე უეცრად  
შეშფოთებული გურამი დაიხატა. მი-  
სურისა და ტრუსის ამარა ვამოხტა ღე-  
რეთანში.

— ღია იყო? საიდან გაჩნდი! — ღე-  
რეთნის კარი ჩაეკეტა, — ვერ დააკა-  
ქენ? — უკანვე გამოიბრინა ფეხშიშ-  
ველამ და ოთახის კარიც სასწრაფოდ  
მიხურა, ხელი მკლავში წაავლო ჯაბას  
და სამზარეულოსკენ შეატრიალა.

— ჩა-ჩამოვიდნენ? — ოთახისკენ  
ანიშნა ჯაბამ, გურამის მშობლებს გუ-  
ლისხმობდა.

— ჰო.

გურამმა ჯაბა სამზარეულოში შეიყ-  
ვანა. სინათლე აანთო. კარი მიხურა.  
ჯაბა სკამს წამოედო, დაჯდა. თვალებს  
ვერ ახელდა ნათურის შუქზე.

— მაპატიე, რომ გა-გაგაღვიძე... მგო-  
ნი, შენც და-დაგიღვიფა.

— მაგას თუ მატყობ, არ ყოფილ-  
ხარ მაინცდამაინც მთვრალი.

— ჰო, არა ვარ... შენ კი გაბრაზებუ-  
ლი ხარ, რომ გაგაღვიძე. მაგრამ არ... არ  
შეუბნები... წაველ ახლა...

იგრძნო; გურამი არ იყო მისი წასე-  
ლის წინააღმდეგი და ეწყინა. გული  
აუჩვილდა, თითქოს თავისი თავი შე-  
ეცოდა, ამხანაგისაგან ასე იოლად გამე-  
ტებული.

— როგორც ვინდა. — თვალბში  
შეხედა გურამს, — მხოლოდ ერთს გე-  
ტყვი... შენ პასუხი არ მოგიცია... პასუ-  
ხი შე-შენზე დარჩა, იქ, ჩემთან...  
დუღანა არ არის შენი ღირსიო, გაბ-  
სოვს? პასუხი არ მო-მოგიცია, ხხლა  
მითხარი, რას... რას გულისხმობდი...  
და წაველ.

— სად უნდა წახვიდე!

— თუ არ მიპასუხე... თუ არ დამაყ-  
მაცოფილე, მე არ გა-გაპატიებ დუღა-  
ნას აუგად ხსენებას... ჰო, აუგად! ჩვენს  
შორის ყველაფერი გათავადება.

— სიმთვრალეში გაგახსენდა? —  
გურამი შეცივებულ მკლავებზე ხელებს  
ისვამდა.

— ჰო, სიმთვრალეში.. მერე რა მოხ-

და? გგონია, ვერ ვახროვებ?... უფრო  
კარგად!

— აქ იყავი! — თქვა გურამმა და  
ახლავე მოვალ, — და გავიდა.

უხეში, მბრძანებლური მოეჩვენა მი-  
სი ხმა ჯაბას, კიდეც უფრო ეტკინა გუ-  
ლი.

„დაეკარგეთ ერთმანეთი... შორჩა!“

მაგიდაზე კონიაკის სამი ბოთლი ვამ-  
წყრივებულებო, პირველში წვეთებიდა  
ჩაეტოვებინათ, მეორე ნახევრად დაე-  
ლილი იყო, მესამე — ხელუხლებელი.  
ვამლის შექანებული ნაფტქვენიები ეყა-  
რა თედვზე, იატაკზე შოკოლადის ნა-  
ტები ეგლო, და — ქალის ფეხსაცმე-  
ლები, ცხვირ-წვეტიანი.

გურამი შემოვიდა. ტანთ ჩაეცვა, ფე-  
ხები ჩუსტებში გაეყარა. ორი ჭიქა გა-  
მოიღო კარადიდან და კონიაკი ჩამოას-  
ხა.

— დავლიოთ, მაინც მთვრალეში  
ვართ!

ჯაბას გამოფხიზლებული ეჩვენა.

— მე აქ იმიტომ მოვედი, — თქვა  
ჯაბამ და ჭიქა აიღო, — რომ ხვალ ვე-  
ღარ მოვიდოდი.

— რატომ?!

— ამ სახლს ხომ ანგრევენ...

— ჰო, — წამიერი შეცბუნება გაუქრა  
გურამს.

— ხომ მი-მითხარი, ანგრევენო... ჰო-  
და, მინდოდა ერთხელ კიდეც მენახა...  
სადაც ჩვენ გაცვეთილებს ვამზადებ-  
დით... გამოსამეგები გამოცდები გაბ-  
სოვს? ჭიქიას აქ ვსუთხავდით...

— ამ სკამებზე ვისხედით! — უხალი-  
სოდ გამოელაპარაკა გურამი და სკამის  
ფეხზე თითები ააკაკუნა.

— მომეცი ეს სკამი... სა-სახსოვრად  
მომეცი!

— წაილე! — გაეცინა გურამს.

— არ ვსუმრობ, მართლა გეუბნები.

— მართლა წაილე!

— გმადლობთ. რო-როცა წაველ, წა-  
ვიღებ... გაუმარჯოს ამ სკამებს! — ჭი-  
ქა გადაჰკრა.

— გაუმარჯოს! — გურამმა ოღნავ  
მოსვა.

— ახლა მიპასუხე, რატომ არ არის ჩემი ღირსი დედანა! — მაგიდაზე მუშტი დაარტყა ჯაბამ, მერე უკან მიიხედა და ჩუმად, თავისთვის ჩაილაპარაკა, — ბოდიში, დეიდა ელზა!

— ხვალ გეტყვი!

— ახლა მითხარი!

— ჯაბა, გეფიცები ყველაფერს, ხვალ გეტყვი!

— ახლა მთვრალი ვარ? — ა-არა ვარ მთვრალი. ხომ იცი, რომ მე დედანა მიყვარს... ისე მიყვარს, რომ... შენ არ უნდა გითხრა ეს? აბა, ვის ვუთხრა? რომ... მე ხვალვე წავიყვან დე-დედანას ჩემს სხვენზე, შენ იქნები ხელის-რომკიდე...

— ჯაბა!

— შენ იქნები! — დაიყვირა ჯაბამ. — მერე ისევ უკან მიიხედა და ტუჩებზე თითი აიფარა. — მამატიეთ, დეიდა ელზა! — ცოტახნის შემდეგ განაგრძო, — იცი, მე რა ვქენი?... მთელი მსოფლიო მოვატყუე...

— როგორ მოახერხე? — ჩაიციხა გურამმა.

— იცინე, იცინე... მე კი მო-მოვატყუე. ახლა მსოფლიოს ჰგონია, რომ ორი თბილისელი კეთილშობილი ადამიანი გაიციო, მაგრამ ვერ მიფართვი... მე უნდა წავიყვანო დედანა... მოატყუებ მთელ მსოფლიოს? მეც კი ვერ მომატყუებ. ქურნალისტი უნდა იყო, უნდა გენდონ, მაშინ ყველაფერი რიგზე იქნება... თუმცა შენც დიდი მომავალი გელის.. რე-რეჟისორი ხარ... ჯერ გადაიღე რამე და მერე ვნახოთ... დედანა ხვალღან ჩემთან იცხოვრებს, მე და შენ წავალთ და წამოვიყვანთ.

ჯაბას აზროვნების თანმიმდევრობა არაფერს არ ემორჩილებოდა. მხოლოდ ლაპარაკის დროს ახსოვდა სათქმელი. მერე შეიძლება გახსენებოდა, შეიძლება სულ ამოვარდნოდა გონებიდან.

— მოდი, ხვალ ვილაპარაკოთ. ახლა არც შენი მესმის რამე და ვერც ჩემსას ვაიგებ, აიღე ეგ ჭიჭა, დავლიოთ. კარგად იყავი! — გურამმა ჭიჭა დასცავლა.

— როგორ ვიყო კარგად, როცა ასეთი გა-გათახსირებული ხარ?! — დაიყვირა მოულოდნელად ჯაბამ და თვალებში წამოუწითოდა.

გურამი ფეხზე წამოიჭრა.

— ეი, ამხანაგო, ცოტა დააკვირდი, რაეხს როშავ!

— მე უკვე დიდიხანია ვაკვირდები, — ისევ აჩურჩულდა ჯაბა, — ნოდარი არაფერ შუაშია. ნოდარის წერილს არც დავუჭერე. მე ისე ვიცი... ვიცი, ყველაფერი ვიცი... და შენც კარგად იცოდი, რომ დედანა მიყვარს, მაგრამ არაფრად ჩააგდე...

— აა, ნოდარის დამსახურება გავლავთ ეგ?

— არაფრად ჩააგდე... ჩემი კი არა... შენ არა ხარ დედანას ღირსი, დედანა შენ ზედაც არ შემოგაფურთხებს, და შენ ამას ვერ გრძნობ.

— არ შემომაფურთხებს?! — გურამს მკვდრის ფერი დაედო.

ჯაბას უნდოდა რაღაც ძალიან მწარე ეთქვა, ტყვიანავით მიეხალა სიტყვა და იმ სიტყვას მოეკლა გურამი.

— გურამ, შენ გარყვნილი ხარ... ჰო, და მთელი ქვე-ქვეყანა შენნაირი გგონია.

— არ შემომაფურთხებს?! —

— არა! დედანა სულ სხვაა. სულ სხვა.

— წამოდი! — გურამმა კისერში იმოსდო ხელი, ყინულის ლოლუებივით ცივი თითები ჰქონდა. — წამოდი!

— დამანებე თავი! — დაიყვირა ჯაბამ, მაგრამ წამოდგა.

გურამმა საშურეულოს კარი ღია და ტოვა, ღერეფანი გაიარა, ოთახის კარი შეაღო და სიბნელეში შეიმაღა ნახევრად.

— მოდი აქ! — და მუშტმოღერებულმა დაუმატა, — მოდი, შე ბრმა!

თავზარდამცემმა წინათგრძნობამ ჯაბა დააძაბუნა. თვალმგადიდებელი მილასლასდა კარამდე და გურამის უზრდელ ხელს ჩაწყვდიადებულ ოთახში შეაყვანიხა თავი. ჩახმასის სასტლეთით განჩაყუნდა ელექტროჩამრთველ

და ოთახი თეთრად ააფეთქა მაგიდის ნათურამ.

ჯაბა კედელს წაებოტინა, რომ არ წაქცეულიყო. იგრძნო, როგორ შედგა გული, შეყვინდა, თითქოს მერყეობდა; სამუდამოდ დადუმებულები, თუ კიდევ განეგრძო ფეთქვა. ბოლოს მძლავრად შეფართქალდა და ტალღასავით ააგდო სისხლი ტვინში. ნამდვილად სისხლი ჩაექცა ჯაბას. ხედავდა — როგორ წვეთავდა გამსკდარი ძარღვიდან, და ყოველ წვეთში შიშველი დუღანა ირეკლებოდა.

ტანტზე გულადმა ეძინა დუღანას, საბანი გადახდოდა. ცალი ფეხი მოელუნა, თითქოს კიბეზე ადიოდა. თავი უკან გადაეგდო, მთელი სხეული სადღაც, ზემოთ მილივლივებდა ენით აუწერელი ნეტარების შესასრუტავად. ძუძუების ცხელი ჩრდილი კედელზე მძიმედ აღი-ჩადიოდა.

თითქოს დაეხურათ ათასი სარკმელი, გადაერახათ ათასი კარი, გამოეთიშათ ყველა ფიჭრი და მარტო ერთი განათებული წერტილი დაეტოვებინათ გვირაბის შორეული გასასვლელივით მოქიატე. და ჯაბას შეეძლო მხოლოდ უმარტივესი სიტყვებით გამოხატული უმარტივესი აზრის გამოთქმა, რაც იმ მოქიატე წერტილში გაეტეოდა.

— არ შეცივდება? — ენავლივით მოესმა საკუთარი ხმა, — არ შეცივდეს...

თითქოს სიკვდილი მიუსაჯეს. ახლა მხოლოდ იმის უფლება ჰქონდა, ეკითხა, როგორ მოკლავდნენ; ჩამოახრჩობდნენ თუ დახვრეტდნენ. და იკითხა:

— რატომ არ ეღვიძება? — იგრძნო, რომ ცრემლი ჩამოუგორდა ლოყაზე.

— დათვრა ცოტა... — მოესმა გურამის ხმა.

ამ მიწიერმა სიტყვებმა ოდნავ გამოაფხიზლა, თვალები ფართოდ გააღო.

— როდის მოხდა ეს, — თითქოს ტანტისკენ გაიშვირა, — როდის გა-გათხოვდა... — თითქოს იმ ქვეყნიდან ლაპარაკობდა.

— არ გათხოვილა...

ახლა ნათლად დაინახა გურამი. იქვე იდგა, მის წინ. გურამი, ~~დღესაც~~ და სინათლე ჩაქრო. *გეზული მოთქმა*

— ჯერ არ მოგიწერიათ ხელი?

— ჯერ არც ვაპირებ... — გურამი დერეფანში გავიდა, — არც დუღანა აპირებს მოფურთხებას, გახსოვდეს!

ჯაბა კარებში გაეჩხირა, გურამი მისკენ შემობრუნებულიყო, თვალები უკვესავდა, ტუჩები გულსამრეცად დაბრეცოდა.

უცხად რალაცამ დაანგრია წერტილივით მოქიატე გვირაბის შორეული გასასვლელი გაფართოვდა, გაგანიერდა ის წერტილი, გამოედევნა მთელ გვირაბს, დახეთქა კედლები, ჩამოაქცია თალი, და ერთბაშად წითელი ღრუბლებით მოქედელი ცა გადაიხსნა ჯაბას თავზემით.

ერთდროულად შეკუმშული ათასი მუშტი ქვევით დაუშინა მოშხამულ სახეს, მხოლოდ სახეს... უნდა გაეჭრო ახლა ის გამომეტყველება, უნდა წაეშალა, კუთაზე შეიშლებოდა კიდევ ერთხელ რომ დაენახა გურამის მოლორწოვებული ღიმილი. ალბათ ჯაბას გაცოფებულმა თვალებმა დააძაბუნა გურამი; სამზარეულოში შევარდა და კარი მიიხურა. ჯაბამ წიხლი ჩასცხო მიწას. ალბათ შუშა მოხვდა გურამს და კარს ხელი უშვა.

ჯაბა შევარდა და უროსავით დაქვრა მუშტი თავში. გურამი ყელში სწვდა, ორივე ხელის თითები წაუტყირა.

ფერონა ლოყები დამისკდაო, ისე მოაწვა სისხლი, სუნთქვა შეეკრა, მაგრამ ტკივილი არ უგრძნია. გურამის სახე კუდიდან შლიდა — იმ გამომეტყველების მჭონეს კიდევ შეეძლო ბილწი სიტყვების თქმა.

თავი გაითავისუფლა და კვლავ გამოუჩნდა ათასი მუშტი.

სახე!

სახე!

— არ შეცივდეს-მეთქი, ხომ გეუბნებოდი... არ შეცივდეს-მეთქი, ხომ გეუბნებოდი... ხომ გეუბნებოდი... ხომ... ხომ...

ქალის ციგმა კვიღმა ხელები ძირს ჩამოაყრევინა. მიხვდა, ვინც იკვილებდა. ზურგშექცეული იდგა სამზარეულოს ჩამტვრეულ კარისკენ, მაგრამ არ შებრუნებულა. მხოლოდ ყური მიუგდო, მგონი ქვეთინი შემოესმა საიდანღაც, შორიდან.

უეცრად გურამის მუშტი მოხვდა მკერდზე. დიდად არ აღელვებულა, ხელისგულები ერთდროულად ამოარტყა ნიკაპში, როგორც ფრენბურთში არტყამენ ბურთს. გურამი რადიატორს მიასკდა. მერე იატაკზე ჩაიფშვნა, ჩაიშალა.

ჯაბა მძიმედ სუნთქავდა. უკან ვერ იხედებოდა, ეგონა იატაკზე დუდანა ეგდო და ტიროდა. აღარ იცოდა როგორ მოქცეულიყო. მერე მიხვდა, რომ ეჩვენებოდა. მძიმედ შეტრიალდა. შინის ნამტვრევები ახრამუნდა ფეხსაცმელების ქვეშ. სამზარეულოდან გავიდა. მოჰკრა თუ არა თვალი ჩაბნელებული ოთახის ღია კარს, ხელმეორედ ამოასკდა ბოლმა ყელიდან. გააღმასებული ისევ შეგარდა სამზარეულოში... გურამი სისხლს იწმენდდა გამსკდარი ლაწვიდან და მერე თითებზე იყურებოდა... ამან დაუოკა სიწმინა. ცარიელ სკამს წამოედო, ჩაავლო ხელი.

— ეს ჩემია! — ჩაიბურტყუნა გულმოსულად.

მძიმედ ჩადიოდა კიბეზე. სკამი საფეხურებზე მირახრახებდა, მაგრამ ჯაბას არ ესმოდა. არც ის ახსოვდა, სკამი თუ გვირა ხელში. ქუჩაში რომ გა-

ვიდა, მხოლოდ მაშინ შეამჩნია; უკანვე, სადარბაზო შესასვლელში შეიტანა და კარს უკან მიშალა.

მოედანი თვლემდა. მთელი დღის აურზაური და ორომტრიალით მოქანცული ავტომატური შეჭფარანი თითქოს ძილში ბოდავდა... ყვეთელი... წითელი... ყვითელი... მწვანე... ყვითელი... წითელი...

როცა მოედანი გადაჰკრა, შეტრიალდა. შენობას გახვდა, გურამის ბინის ფანჯრებს ვეღარ მოსწყვიტა თვალი.

უეცრად ტირილი წასკდა. მალაზიის ვიტრინისკენ შეტრიალდა, თითქოს ვინმე დაინახავდა ცარიელ, ჩაბნელებულ მოედანზე. ბავშვივით მუშტებით იწმენდდა ცრემლებს. ეჩვენებოდა, რომ ყველაფერი დაიღუპა, დაიღუპა მთელი კაცობრიობა, ქვეყნად აღარ იქნებოდა სიცოცხლე, ვეღარ გაიგონებდა სიცილს, აღარასოდეს გაახელდა თვალს ეს მძინარე ქალაქი. მალე ამოვიდოდა მზე, მაგრამ დედამიწა მკვდარი დახვდებოდა. ჯაბას კი ძალიან უნდოდა, ო, როგორ უნდოდა კიდევ ყოფილიყო სიცოცხლე ქვეყნად.

მოულოდნელად გაახსენდა ის მეგობარი, ოდესღაც რომ ჰყავდა, სულ მისკენ რომ მიილტვოდა, ყოველ სიხარულსა და სევდას რომ უზიარებდა... შეივსო ცარიელი სივრცე, და დაინახა, რომ ის გულთბილი მეგობარი, ოდესღაც რომ ჰყავდა, თვითონ იყო — სიცოცხლისმოყვარული, შეუპოვარი ჯაბა.

დაბადება

დილის ცხრა საათზე, მესხტეების სახლთან, ჯაბა ქუჩას ჰრის და ტელეფონის ჩიხურში შედის. კარს მჭიდროდ ხურავს, პროსპექტს თითქოს პირი აეკრაო; ხმაური აღარ ისმის. რედაქციაში რეკავს. ელოდება.

— ბატონ ანგიას თხოვეთ! — ხმას იცვლის, ამით მღელვარებასაც ნიღბავს.

— ჯერ არ მოსულა, დარეკეთ ერთი საათის შემდეგ.

ეს ლიანაა.  
„ესე იგი, შინ არის, კეთილი და პატიოსანი“.

სამი ათკაციანი გამოართვა პაპიროსის გამყიდველს. ახლა მეორეს იღებს ჩიბიდან. რეკავს. გრძნობს, თანდათან როგორ ეძალეზა მღელვარება. ჟუნ-

თებს იხაგრავს, თითქოს ერთხელ კიდევ ამოწმებს, რა საშინელი ძალა თვლემს მის სხეულში. ყრუ ჩხაკუნს ისმის. ათკაპიკიანი სადღაც გადაეშვა.

— გისმენთ!

მაშინვე ცნობს; ბატონი ანგიაა. ნაბახუსევი ხმა აქვს, ღვინით დატბორილი.

— გამარჯობა! — ჯაბა განგებ არ მიმართავს თქვენობით.

— გამარჯობა... — ბატონი ანგია ღუმდება, ალბათ ფიქრობს, ვინ უნდა იყოსო, — რომელი ხართ?

— ხომ კარგად გრძნობ თავს? — ჯაბას უნდა, რომ ვაღიზიანოს.

— რომელი ხარ-მეთქი?

— ძველი ამხანაგი ვარ, მოწაფეობის-დროინდელი! — რატომღაც ეს სიცრუე მოსდის თავში ჯაბას — აბა, თუ მიცნობ!

— მოწაფეობის? სვიმონი ხარ?... თუ ანდრია?

— არა!

— მაშინ იოანე იქნები შენ... ანდა იაკობი!

— არც იოანე ვარ და არც იაკობი! — იცინის ჯაბა.

დიდხანს ფიქრობს ბატონი ანგია. ბოლოს დარწმუნებული ხმით ამბობს:

— თომა, გამარჯობა შენი... — იცინის, აქაოდა, როგორ ვერ გამოვიცანო, — ხომ კარგად ხარ, თომა?

— ვითომ მიცანი?

— გიცანი, რა თქმა უნდა,

— არ მჭერა!

— თომაც იმიტომ გქვია...

— არა ვარ თომა, მომკალი თუ გინდა...

ბატონი ანგია კვლავ ღუმდება. ეტყობა, საბჭად დარჩა. დიდხანს ფიქრობს, ბოლოს გაუბედავად ეკითხება:

— ფილიპე, შენ ხომ არა ხარ?

— არა.

— მაშინ ბართლომე იქნები, ან თადეოზი.

— არა!

— პეტრე?

— არა, არა და არა! — სკამზე უკან ყოფს ჯაბა.

— მაშინ მათე ყოფილხარ და, ეგ არის.

— არც მათე ვარ.

— აბა, მეტი ამხანაგი მე არ მყოლია მოწაფეობის დროს.

— მასწავლებელი? — ეკითხება ჯაბა.

— მასწავლებელი... — ხმა უწყდება ანგიას, ნერწყვს ძლივს ყლაპავს, — ...მყავდა.

— მე ჯაბა ვარ!

— ჯაბა ალაუიძე??

— დიახ, — ავღუბულად იცინის ჯაბა.

— მერე რა შენი ამხანაგი ვარ მე, ბიჭო?! რა მოწაფეობა აგიტყდა ამ დილაადრიან?

— რატომღაც გამახსენდა, მამატიეთ.

— მთვრალი ხარ შენ, თორემ მაგ მასხარობას არ გაპატიებდი.

— ვერც ახლა გამოიცანით; ისე ფხიზელი ვარ, როგორც არასდროს!

— გეტყობა, გლახა ფეხზე ამდგარ-ხარ დღეს.

— არც ისე...

— რა მოგეჩვენა მაინც, ამ გამთენიისას რომ მირეკავ, მოხდა რამე?

— მოხდა, ბატონო ანგია. ძალიან სასიხარულო ამბავი უნდა გაცნობოთ!

— რა? რა?

— მამაჩემის წერილი მივიღეთ! ყურმილი ღუმდება. ჯაბას ტუჩებზე დამცინავი, შემტევი ღმილი უკრთის. ჯიუტად ელოდება პასუხს.

— საიდან მიიღეთ? — ძმის ბოლოს გამოცდელი, შემპარავი ხმა.

— არ ვიცი კარგად, გალიიდან არის თუ ალბიონიდან!

— აჰა...

„ახლა შემავინებს... აუცილებლად“.

— ეს მითხარი... რას იწერება?

— მკვლრებით აღჭაღექიაო.

— რას იწერება-მეთქი?

„საოცარია — არ მავინებს, ალბათ“.

ანტერესებს, როგორ დაეხმობოდა ამ თამაშს“.

— მწერს, რაიკომში მიდიო!

— რაიკომში?!

— დიახ... მიდი და უთხარი, შენი სიმხდალის წყალობით როგორ აირჩიეს ბატონი ანგია ბიუროს შემადგენლობაში... და კიდევ სხვა ამბებიცო.

ყურმილი კვლავ ღუმდება. ყურმილი ცდილობს მიხედეს, რა მოხდა, რამ შეცვალა ჯაბა. მაგრამ ეს მისთვის ძნელი ამოსაცნობია. ბოლოს გაქაქული რიხით ამბობს:

— მერე გამოვა მაქედან რამე? — ქირკილებს.

— გამოვაო, ბატონო ანგია!

— შეილსაც რომ კარგა გასილაქებენ, ამაზე არ ფიქრობს?!

— ფიქრობს, ბატონო ანგია, ყველფერზე ფიქრობს...

— უცხოეთში როგორ აღმოვჩნდით, არ იწერება?

— ანგიამ ვადამხვეწაო...

— ანგიამო, ხომ?

ჯაბა თითქოს ხედავს მას, ნაცნობი, გესლიანი გამოხედვა ელანდება და უნდა რომ შეაერთოს ეს მოლანდება, დააძაბუნოს. მაგრამ ისევ ანგია ასწრებს შეკითხვას:

— რატომ აქამდე არ იწერებოდა ამას, რა მოხდა ასეთით?

— რა ვიცი, მოხდა...

რალაცას ფიქრობს ყურმილი, დიდხანს ფიქრობს.

— კარგი, ჯაბა, — ამბობს ბოლოს, — წადი ახლა შინ, გამოიძინე, ხვალ შენ გამოფხიზლდები და დაბევ მაგ წერო!

— არასოდეს!

— დახვე!

— არასოდეს!

ჯიხურის კარს ადებს. შიგ შემოჭრილი ქუჩის გუგუნი თითქოს ატივტივებს და გარეთ იტაცებს ჯაბას.

სწრაფად მიაბიჯებს. გარშემო ვერაფერს ხედავს, ვერაფერს გრძნობს. სამაგიეროდ, ნაცნობი პროსპექტი ზრუნავს მისთვის — „გადასასვლელზე“

გადაპყავს, შუა ქუჩაში აყუნებს, სანამ ავტომობილების ქარავანი ქუჩაფლოდეს, გაჩერებასთან აღმოჩნდება მერე სწორედ იმ ავტობუსში სვამს, ჯაბას რომ სჭირდებოდა.

ათი საათია. ჯაბა რაიადმასკომს კიბეზე აღის. ჯიბიდან ფოტოაპარატი ამოუღია, როგორც კორესპონდენტი, იქნებ ურიგოდ გაატარონ საბინაო განყოფილების გამგესთან.

ბენედიქტეს კაბინეტთან არავინ არ იცნის. „მიღება 2-დან 5 ს-მდე“. კითხულობს ჯაბა. კარს აწევბა, დაკტილია.

— ზიბზიბაძეს თავმჯდომარის კაბინეტში მიაკითხეთ! — ესმის ზურგს უკან.

ვილაც ქალია, მოპირდაპირე ოთახისა ღია კარებში დგას.

— თავ... თავმჯდომარის?!

— დიახ, მეხუთე სართულზე! — თითს და წარბებს ერთდროულად მალა სწევს ქალი.

— დანიშნეს?!

— ჯერ არა, მაგრამ... — ელიმება ქალს, — თავმჯდომარე სხვაგან გადაიყვანეს... ჰოდა, ზის იქ. — ისევ ერთდროულად სწევს თითს და წარბებს მალა.

ჯაბას ლიფტი აღარ ახსენდება, კიბეზე არბის.

მოსაცდელ ოთახში, პატარა უუჯრო მაგიდას ახალგაზრდა, გამზდარი კაცი უზის. იგი სწრაფად დგება და ზედ კაბინეტის კართან წინ ელოდება ჯაბას.

— მოითმინეთ, ვინ გნებავთ?

— ამხანაგი ზიბზიბაძე!

— რა გნებავთ?

— ამას თვითონ ზიბზიბაძეს ვეტყვი.

— მაინც, რა გნებავთ? — ახალგაზრდას მუჭი მოხალული წიწიბოთი აქვს. საესე, მარჯვენა ხელით თითო-თითოს იღებს და შეუჩერებლივ აბრაშუნებს.

— უთხარით, ეურნალ „განთიადიდან“ არის-თქო.

— კეთილი, — ამბობს ახალგაზრდა და დამშვიდებული ისევ მაგიდასთან

ჯდება, — ახლა თათბირი აქვს, მოუცადეთ!

— ძალიან მეჩქარება!

— მოუცადეთ, — სკამზე ანიშნებს.

ჯაბა ნერვიულობს, სიგარეტს სიგარეტზე სწევს, რძისფერად ამღვრეულა მთელი ოთახი. ახალგაზრდა კაცს, ტექნიკურ მდივანს, დიდი, ლურჯი ფანქარი უჭირავს ხელში და, ეტყობა, უნდა სატავდეს რაღაცას. ნიკაზე წიწიბოს ლუნჯო მიწებებია, ჯაბას ეს აღიზიანებს, მაგრამ არც იმის თქმა უნდა, მოიშორეო.

ბოლოს ახალგაზრდა დგება და იქვე, კედელზე, სარკებით აკრავს ქაღალდს: „თამბაქოს მოწევა სასტიკად აკრძალულია!“

გულმოდგინედ გამოყვანილი ასობეი თითქოს მაშინვე ჯაბასკენ ტრიალდებიან, გაჩენისთანავე იწყებენ მოვალეობის შესრულებას.

ჯაბა ახალ სიგარეტს იღებს კოლოფიდან, მაგრამ ცეცხლს აღარ უჭიდებს; არ ღირს ახლა ამასთან ჯიბრი.

ტექნიკური მდივანი ისევ ზის და ისევ ფანქარი უჭირავს, ალბათ, ახალ აბრას ამზადებს: „უსაქმოდ ნუ გაჩერდებით“, „ვთხოვთ კარი მიხუროთ“.

„რაო, ჯაბა, შენი სახლის კარი თვითონ იხურება?“ — ეს მასწავლებელმა უთხრა ჯაბას პირველ კლასში, პირველ დღეს. ყველა მერხი კისკისებდა.

უცებ ახალგაზრდა მდივანი ფეხზე დგება, ეტყობა, გრძნობს, რომ კაბინეტის კარს შიგნიდან ვიღაც მოადგა, თუმცა ჯაბას არც ნაბიჯის ხმა გაუგონია, არც სხვა რამ ხმაურია.

ჯაბაც დგება, აღელვება აღუნებს, დიდხნის ნაეადამყოფარივით სუსტად გრძნობს თავს. იქნებ მართლა დიდი ხანია, რაც ავადაა.

კაბინეტიდან ჭოკივით მაღალი კაცი გამოდის, ისე შემოხედავს, თითქოს ჯაბას მსგავსი ადამიანი თავის დღეში არ ენახოს, ცალი თვალი შუშისა უნდა ჰქონდეს. მეორე დაბალია, უკან გადაზნექილი — ალბათ ღიბი რომ იატაკზე არ ათრია. შუაში ვიღაც გამოუმწყვ-

დევიათ, ჯიბეების განუწყვეტილი ქაჩვით დაავადებული კაცი, და თან მიყუაფთ.

ტექნიკური მდივანი კაბინეტისაკენ ეპატივება.

ბენედიქტეს დანახვა ამზვიდებს ჯაბას, ახლა მთავარია, არ გააქიანუროს.

— ოო, ამხანაგ ალავიძეს ვახლავარ, სასიძოს სალაში, სასიძოს! — ხელგამშლილი შორდება გრძელ მაგიდას ბენედიქტე და ჯაბასკენ მოილტვის. — კაცო, სად ხარ, გელოდი. გირეკავდი მოსკოვში იყავი ალბათ, ხომ? როდის ჩამოხვედი? მეც კაი საჩუქარი დავახვედრე, ჩემო ჯაბა, მეც... იქა მაქვს, ჩემს კაბინეტში. — იატაკს უსწორებს საჩვენებელ თითს.

— ძველ კაბინეტში?

— ხე, ხე... რა ვიცი, ვნახოთ, უნდა დავაძველოთ, სხვა გზა არ არის, მეგობრების, ახლობლების წყალობით! ახლავე მოვატანიებთ ორდერის ბლანკს, გაჩვენებ. თქვენი გვარი და, მორჩენილი ამზავია!

ბენედიქტე ზარის დარეკვას აპირებს. ჯაბა ხელს აღებინებს ღილაკიდან. და რატომღაც რაიღმასკომის თავმჯდომარის სავარძელში ჯდება. ბენედიქტე ცდილობს, არ შეიმჩნიოს მისი ასეთი თავხედობა.

— თქვენთან პატარა სათხოვარი მაქვს, ბატონო ბენედიქტე!

— ბრძანე, გენაცვალე, შენ ისეთი საქმე გამიკეთე, რომ... რა უნდა იყოს. არ შეგიხრულო!

ჯაბა სიგარეტს უჭიდებს და კვამლს ჭურისკენ უშვებს.

— ასი ათასი მანეთი უნდა მასესხოთ!

ბენედიქტე გულზე იკიდებს ორივე ხელს, ნელნელა ეშვება სკამზე.

— სად მაქვს, ბიჭო, ასი ათასი, თვლა არ ვიცი მაგდენი!

— უნდა მასესხოთ!

— ხომ არ ვაგივდი შენ?

— მაშინ ორასი იყოს!

— ორასი მანეთი? — ფერი უბრუნდება ბენედიქტეს.

— ორასი ათასი... შენ მაინც ბლომად დაგჩრება.

— მასხრად მივღებ, თუ როგორაა შენი საქმე? — ყვირის ბენედიქტე.

— აქ რომ დამნიშნონ, მაშინ? — თავმჯდომარის სავარძელზე თითს აკაჭუნებს ჯაბა.

ბენედიქტეს სახე ებრძობა, ქვედა ყბა ციებინივით უთახთახებს, რალაციის თქმას ცდილობს, მაგრამ ვერ ამბობს.

„ეყოფა, ახლა საქმეს მივხედოთ,“ ფიქრობს ჯაბა. ტელეფონის ყურმილს სწვდება და რეკავს. თან ბენედიქტეს ეუბნება:

— რადგან სესხება არ გინდა, იძულებული ვარ...

როგორც კი ამ კაბინეტში შემოვიდა და მაგიდაზე ტელეფონის ლაპლაბა აპარატს მოაკრა თვალი, რატომღაც უშიშროების მინისტრის მოადგილე გაახსენდა, მისი ტელეფონის ნომერი მოაგონდა — ჯაბას კალმით დაწერილი დიდი ციფრები.

— სამინისტროა? ამხანაგ ქებურიას სთხოვეთ... ეურნალ „განთიადიდან“... ალავეიძე... რაზე? წერილს ბეჭდავს ჩვენთან, თვითონ გვთხოვა, რომ დაგვერეკა... — ჯაბა თავს მალლა სწევს, ბენედიქტე შეუმჩნეველად იხევეს კარებისკენ, ისე შეუმჩნეველად, რომ ჯაბას ეჩვენება: ბენედიქტე დგას და კარები მოდის მისკენ... ყურმილში ვილაციას უღიმის ჯაბა, — გამარჯობათ, ბატონო ლევან. მე ჯაბა ალავეიძე ვარ, „განთიადის“ თანამშრომელი... დიახ, კარგად. გმადლობთ... მივიღეთ თქვენი ფოტო-დოკუმენტები, ყველაფერი რიგზეა... არაფრის, დიახ, დეკემბრის ნომერიში... მეორე ნახევარიში... კი ბატონო, გადავცემ... ბატონო ლევან, — ჯაბა ღრმად სუნთქავს, ჰაერი აღარ ყოფნის, თუმცა არავის არ ურეკავს; უკანასკნელ წამს სხვა ნომერი აკრიბა — არავინ პასუხობს... ახლა ბენედიქტეს საქციელი აინტერესებს ჯაბას — უნდა დარწმუნდეს, მართალია ყველაფერი,

რასაც მასზე ლაპარაკობენ, თუ არა.

— პატივცემულო ლევან, ერთი სასწრაფო საქმე მაქვს თქვენთან, ძალიან გთხოვთ, ჩაიწეროთ. მისმენთ? ჩალაურის ქუჩის 57 ნომერში, — დამარცვლით ამბობს ჯაბა, ბენედიქტე კარებს აკვრია, რომელიღაც ცხოველის ფიტულს დამსგავსებია, — ჩაიწერეთ?... კი, ბატონო, ახლავე მოგახსენებთ რა საქმეცაა; 57 ნომერში ცხოვრობს ვინმე ბენედიქტე ზიბზიბაძე... მექრთამე... — ჯაბა გრძნობს, როგორ ცოცხლდება ფიტული და მისკენ მორბის გაავებული. — გთხოვთ, ახლავე გაჩრიკოთ მისი ბინა... — ჯაბა ხედავს, ბენედიქტე თავს დადგომია, ხელში რევოლვერი უჭირავს, ლურჯლულიანი. თითქოს ალი შეუვარდა პირშიო, ერთბაშად უშრება ნერწყვი, — ბატონო ლევან, შეიარაღებულია! წიგნების კარადა ნახეთ, ბალზაყის ტომები... — რალაც შინაგანი სიჯიუტე თუ აღმფოთების ინერცია ღიმილს გვრის ჯაბას, სიცოცხლის დაცვის ინსტინქტი უკარნახებს, რომ თავის გადარჩენა ახლა ხუმრობის მოშველიებით თუ შეიძლება, — ფრთხილად იყავით, ბატონო ლევან, შეიარაღებულია! აი, უსმინეთ, თუ არ გჯერათ! — შიშის ღიმილი ჯაბას სახეს უსიცოცხლო ნიღბს ამსგავსებს, ყურმილს მალლა სწევს და წერტილაძეცულ რევოლვერის ტუნს ფარავს, — უსმინეთ, ბატონო ლევან!

ალბათ ეს შეცდომა იყო, გამალიზინებელი, წამაქეზებელი ბიჭვი. ტყვია ამსხვრევს შავი პლასტიკის ყურმილს. ჯაბა თავზე ივლებს ორივე ხელს და სავარძლის ზურგს ეხეთქება. უკანასკნელად კარებისკენ გაქცეულ ბენედიქტეს ხედავს, მაგიდაზე თავის ფოტო-აპარატს ეპოტივება, გადაღება უნდა... უკანასკნელი ფიქრი, რომ ოდესღაც ეს ამბავი ერთხელ უკვე მოხდა, წვეთივით წყდება გონებას და არარაობად ორთქლდება.

მლაშე წყვილი — უზარმაზარი, უფსკერო ოკეანე — ბორჯავს, ნაპი-



რებს კბენს. მილიარდი წელი გავიდა, ვერ შეგუებია კალაპოტს და ალბათ ვერასოდეს შეეგუება. ოკეანის სიღრმეში ჯაბა მიცურავს. ისე პატარაა, ვერ ხედავს თავის თავს.

„ეს მონერაა, ერთუჯრედოვანი ცხოველი, — ამბობს ცაბო მასწავლებელი, — თვითონვე იყოფა ორად და ასე მრავლდება.“

ძლივს ამოცურდა ოკეანის ზედაპირზე, გაიხედ-გამოიხედა ჯაბამ.

— დედა! — დაიძახა გახარებულმა.

დედა ნაპირზე დგას. მწვანე ნაწნავები კოჭებამდე სცემს. სახე მზესავით უბრწყინავს, კაბის კალთებს დაბურული ტყეები ასდევს, მკერდიდან თეთრი ჩანჩქერი მოქუხს.

— მერე? — ჰკითხა ჯაბამ.

დედა იხრება, წყალში ჰყოფს ხელებს, ეფერება შვილს. ჯაბა ნელ-ნელა იხრდება. თავისთავს ათვალეურებს გაკვირვებული. რაღაც მილივით სხეული გაუჩნდა. ისრუტავს წყალს იმ მილით, მერე კუნთებს კუმშავს და ყურ-ყუმალავდება.

„ეს ჰიდრაა, ბავშვებო, დაბალი საფეხურის მრავალუჯრედოვანი ცხოველი“, — ისმის საკლასო ოთახში ცაბო მასწავლებლის ხმა.

— მერე, დედა, მერე?

ჯაბას ტალღები არწყევს, ხან უახლოვდება დედას, ხან შორდება. ისევ იხრება დედა, წყალთან ერთად პეშვით იჭერს ჯაბას, ეალერსება. და ჯაბას ფარფლები ეხრდება, ლაყუნები უჩნდება, იქნევს ძლიერ კუდს და ზვირთებში უჩინარდება. ლაღად მისრიალებს, მთელ ოკეანეს სერავს, ყველა კუნძულს მოინახულებს, მაგრამ მალე ბეზრდება და ისევ ზედაპირისკენ მიილტვის.

— მერე, დედა, მერე რაღაა?

დედა ფიჭრობს, დიდხანს ფიჭრობს. მისი მწვანე ნაწნავები აღარ ირხევა. კაბის კალთებზე შეფენილი ტყე გასუ-

ღრულა. მერყეობს დედა, ვერ ვადა-უწყვეტია როგორ მოიქცეს თავისი ემინია, არ შეეცდეთ. ბოლოს იხრება, ოკეანიდან ამოჰყავს ჯაბა და მიწაზე სვამს...

„აღდექი და მიამბე გაკვეთილი!“ — ცაბო მასწავლებელი ფანჯარასთან დგას. კედელზე კრთის მისი სათვალის ანარეკლი.

„— ამფიბია, — იწყებს გაკვეთილის მოყოლას ჯაბა, — ამფიბია გარდამავალი საფეხურია წყლისა და მიწის ცხოველებს შორის...“

— მერე, დედა, მერე?

ჯაბა ტოტიდან ტოტზე ხტება, შრიანებს ნედლი ფოთლები. ქვემოთ, მიწისკენ მიფარფატებენ ჩამოგლეჯილი წითელი და თეთრი ყვავილები. ხე და ხე გადაირბინა მთელი ტყე ჯაბამ, მგონი, აღარავინ მოსდევს...

— მერე??

...ჯაბა ცეცხლის აღზე ითბობს ხელებს, მისი უზარმაზარი ლანდი გამოქვაბულის კედელს ეთამაშება.

— მერე? მერე რაღაა, დედა? არის კიდევ რაა?

დედა ახლოს მიდის, ჯდება, თავზე ხელს უსვამს ჯაბას.

— შენ უკვე დიდი ხარ, შვილო, ფეხი აიდგი, ლაპარაკი ისწავლე, კეკა გაქვს და გონება. აწი ყველაფერი შენზეა დამოკიდებული, მხოლოდ შენზე. მე არაფერი არ დამიშურებია. როგორიც იქნები შენ, ისეთი იქნებიან შენი შვილებიც...

...ჯაბას ჰაერი გადასცდა სასულეში და ტირილი მოართო. ტირის გაბმულად, მთელი ოთახი გააყრუა.

— ისევ ისეთი დაიბადა?! — გაოგნებულია ბებია-ქალი, დამნაშავესავით უყურებს დედას.

დედამ საწოლიდან წამოიწია. გაელი-მა.

— ჰო, ისევ ისეთია. სამაგიეროდ, მეზობელს აღარ დავუტოვებ, როცა ბაზარში წავალ!

— ეგ სხვა საქმეა! — მშვიდდება ბებია-ქალი.

ოთახი დიდია. კერი ცასავით მალალი. ჯაბა წამოხტა, დედას გაეპარა მეორე ოთახში. აქ სამხედროები ფუსფუსებენ.

— თქვენც მოხალისედ მიდიხართ? — ეკითხება ოფიცერი.

— დიახ!

— მაშინ გაიცანით ერთმანეთი! — მკაცრად ამბობს ოფიცერი, თითქოს საბრძოლო დავალებას აძლევდეს, და ჯაბა ლამაზ ქალთან მიჰყავს.

ჯაბა ხელს ართმევს ქალს და უცრად გული ეკუმშება; ცალი ლოყა სულ დამწვარი და დამახინჯებული ჰქონია ქალს.

ქალი ხედება, რომ ჯაბამ შეამჩნია ეს, და ტირის.

ჯაბა მეზობელ ოთახში გადის. „დედა მეძებს ახლა. რა ვქნა? დავბრუნდე?“

შუა ოთახში ბატონი ანგია დგას. რაღაც საქმიანაა გართული. ჯაბა კარს უკან იმალება და ქუჩურუტანიდან ადევნებს თვალს. ბატონი ანგია მაგიდაზე სადურგლო ხელსაწყოებს ალაგებს. იხრება და იატაკზე სვამს პატარა ბენედიქტეს.

— იტირე! — დაჰყვირის მადლიდან ბენედიქტე ტირის.

— იცინე!

ბენედიქტე იცინის.

— მოკვდი!

ბენედიქტე კვდება.

— გატოცხლდი!

ბენედიქტე ცოცხლდება.

ბატონი ანგია დიდად კმაყოფილია. იხრება. ბენედიქტეს მუკში მალავს, მოპირდაპირე კარს აღებს და ქუჩაში იყურება. როცა რწმუნდება, რომ არავინ ადევნებს თვალ-ყურს, სწრაფად ჰყოფს ხელს და ბენედიქტეს უშვებს. ბენედიქტე უკანმოუხედავად გარბის და შორს, მოედანზე, ხალხში ითქვიფე-

ბა. ბატონი ანგია ისევ იღებს ხელსაწყოებს და მეორე ბენედიქტეს კვდებოდა იწყებს...

ბენედიქტე

— მარცხნისაა-ეენ!

— უღაბნოს მტვერი თვალეში ეყრება-ჯაბა, მაგრამ წარბსაც არ იხრის; ახლა მწყობრის დარღვევა არ შეიძლება.

მხედართუფროსი ცხენზე ზის, ხმალი ამოუღია.

— გულადო მამელუკებო! — მიმართავს იგი ჯარს, — მტერი ჩვენ მიწა-წყალს შემოესია... სისხლი სისხლისა წილ!

სახედამწვარი ქალი საკლასო ეურნალს იღებს, ჯარის წინ დგება და სიას კითხულობს:

— სიყვარული!

— ვარი! — იძახის ჯაბა.

— სიმამაცე!

— ვარი! — იმეორებს ჯაბა.

— შიში!

— არ არის! — ჯაბა ამაყად შეჰყურებს მხედართმთავარს.

ქალი უახლოვდება და კოცნის ჯაბას.

პირამიდებს გამოსცდა მტერი. ტანკებს მოჰყვებიან უკან. ჯაბა რადიორებროდუქტორს ავტომატივით იმარჯვებს და ტანკებს ანადგურებს. მტერი მიინც არ დრკება, ჯიუტად მოიწევს წინ. ახლოვდებიან, ჯაბა გაოცებულია — სუყველა ბენედიქტეა! პირველ მწკრივში, მეორეში, მესამეში, პირველ რაზმში, მეორეში, მესამეში. ბენედიქტეები, სულ ბენედიქტეები, ოღონდ სამხედრო ფორმა აცვიათ. ყველა ერთდროულად უმიზნებს რევოლვერს ჯაბას და ყველა ერთდროულად ესვრია...

თვალეში ეხილება, კერიდან დიდ თანჯრებზე გადააქვს მზერა. გატიტვლებულ ხის ტოტებს ათვალიერებს. მერე თეთრად გადაპენტლი საწოლები იპყრობს მის ყურადღებას. და ერთბაშად ყველაფერს ხედება.

დედა სკამზე ზის, ზურგმეტყვევით. მოხუც კაცს ელაპარაკება. მოხუცს ბალიში აუმაღლებია და საწოლის თავს.

მიყრდნობია ზურგით. ჯაბა საბნიდან ზელს აცოცებს და დედას თეთრ ხალათზე ეპოტინება.

ელდანაცემივით ტრიალდება დედაკეთის. მუხლებზე ვარდება და ჯაბას ზელს უკოცნის.

— შეილო, ჯაბა, შეილო, ჯაბა! — მეტს ვერაფერს ვერ ამბობს. თვალები უსველდება. ცრემლი უფრო ამკაფიოებს მის სიხარულს.

— შეატყობინეთ რურუას! — ყვირის ვილაცა დერეფანში.

— ღმერთო, გადარჩა, გადარჩა. როგორ გაუხარდება პროფესორს, არც დაიჯერებს, — ეს აღბათ მომვლელი ქალია, ლოყებზე ხელები აუფარებია და უკან-უკან მიიწევს, კარისკენ.

„რურუა? რურუამ გამიყენა თურბაცია?“

ჯაბას რატომღაც სირცხვილი სწევს, ავადმყოფები საწოლიდან წამოწეულან. ზოგი ამდგარა კიდეც და დედას ამოსდგომია გვერდში, ჯაბას თავბრუ ესხმის, მხოლოდ ახლა ხედება, რომ კისერი გაკავებული აქვს.

— აბა, საწოლებში, პროფესორი მოდის!

როცა კარებში მიხეილ რურუას დაძაბულობისა, თუ პროფესორისა ცნობის მოყვარეობისაგან ჩამოგრძელებულ სახეს მოჰკრავს თვალს, ჯაბას ელიპება და გრძნობს, რომ გონებას კარგავს.

#### სინთაქსის პირველი დედა

##### 17 დეკემბერი

უკვე ერთი კვირაა, დედა აღარ მითევს ღამებს. ძლივს დავიყოლიე. მეჩვენებოდა, რომ მისი შეწუხება მიხანგრძლივებდა გამოჯანმრთლებას. ჩემს გვერდით საწოლმა უკვე მესამე ავადმყოფი გამოიცვალა. მე კი, აღბათ, მოვბეზრდი საწოლსაც, პალატასაც და ექიმებსაც. ახლა ერთი აზერბაიჯანელი წევს მეზობლად. მოუჩივებლად კვნისის, ოხრავს, და როგორც კი ტკივილი გადაუვლის, ჭამს გაუთავებლად. მერე ათი წლის წინანდელ ანეგდოტებს მიამბობს, უკბილოებს. მაგრამ მისი აქცენტი სულ ახალ ელფერს აძლევს ნაცნობ ანეგდოტებს, და სიამოვნებით ვუსმენ, ვიცინი. ბაქოში ოპერაცია გაუქვეთბიათ, მაგრამ ნაწლავები ჩაუწყვიტოთ ცუდად, როცა მოიყვანეს, მუკელი გვერდზე ჰქონდა მოგდებული. აქ ხელახლა გაჭრეს. ჰალარა შემამჩნია და დამპირდა; ისეთ საღებავს გასწავლო, შენს შეილებსაც აღარ გაუთეთრდებათო.

გუშინ ნოდარმა ასეთი „თერია“

განავითარა: a, b და c-ს წილად ზედათ ერთიდაიმავე დროს ცხოვრება. მისი ვერასოდეს ნახავენ და ვერასოდეს გაიცნობენ d, e და f-ს, რომლებიც ასი წლის შემდეგ დაიბადებიან, ვერასოდეს შეიყვარებენ მათ და ვერც ვერასოდეს უმტრობენ. მთელი თავიანთი სიცოცხლის მანძილზე, a, b და c-ს, რომელთაც ერთად მოუწია დედა-მინაზე ცხოვრებამ, შეუძლიათ მხოლოდ ერთმანეთს შორის ურთიერთობა, სხვა ადამიანებთან (მომავალ ადამიანებთან — d, e და f-თან) ურთიერთობის შესაძლებლობა გამორიცხულია. ამიტომ ადამიანმა მხოლოდ სიყვარულისთვის უნდა გამოიყენოს თავისი ცხოვრება, უნდა უყვარდეს თავისი ახლობელი, თავისი „თანამესაუკუნე“. თუ სიძულვილი შეიპყრობს, ამ ქვეყნიდან წავა იმ დიდი ბედნიერების განუცდელად, რაც სიყვარულს მოაქვს. იცხოვრე — ეს იგივეა, რომ გიყვარდა, გაძულდა — ესე იგი არ გიცხოვრია.

მე ვუთხარი სისულელეა-მეთქი ეგ: თუ არ გაძულს ის, ვინც საძულველია,

მაშინ ალბათ არ გიყვარს ის, ვინც გგონია, რომ გიყვარს.

### 28 დეკემბერი

ჰომეოსტატი! ოთხკაბინიანი შხაბი. ძველი სამკურნალო აბანოს ნაშთი. ახლა უნდათ გამოიყენონ კოსმიური ეკიპაჟის წევრების კოლექტივთან შეგუების უნარის გამოსარკვევად. ორი მილიციისა და ცხელ წყალს აწვდის ოთხივე კაბინას. ცხელი წყალი, ოთხივე კაბინაში თანაბრად განაწილებული, არცერთ მობანავებს არ აკმაყოფილებს. თუმცა ტანის ბანა გაჭირვებით მიიწვებიან. მაგრამ თუ რომელიმე მობანავე მოისურვებს თავისთვის საუკეთესო პირობების შექმნას, ონკანს ხვავიანად მოუშვებს და თავისკენ „მოთლის“ ცხელ წყალს, დანარჩენ სამს გაუცივდება წყალი. ბუნებრივია, თავთან ონკანებს მივარდებიან, დაუწყებენ აქეთ-იქით ტრიალს, და ბოლოსდაბოლოს, აირევა ყველაფერი, მხოლოდ ცივი წყალი შერჩება ოთხივეს. აი, იმ კოსმონავტს, თავის ამხანაგებზე უკეთესი პირობები რომ მოისურვა, კოსმოსში აღარ გაუშვებენ.

(ეურნალი „მეცნიერება და ტექნიკა“)

უნდა შეიძლებოდეს მილიონკაბინიანი ჰომეოსტატის მოწყობა, ერთ დღეში გამოამკვლავნებდი ყველა თაღლითს!

ბენედიქტეს მცხეთასთან კი არა, დიღომთან მოსვლია ავირია. არც სატყეპნ მანქანას შეჭახებია, როგორც ამბობდნენ. პირდაპირ ავტონსპექტის ჯიხურს შესკდომია მისი ავტომობილი. ასე დასცინა ბედისწერამ; მილიციას გაურბოდა და მილიციასთან მიავორა მისმა ბორბალმა. რთული ოპერაცია გაუკეთებიათ, თავის ქალა აუხდიათ. რომ დაღუპულიყო, არ დამენანებოდა, ახლა რატომღაც მეცოდება — მესხიერება დაკარგვია, თურმე ველარავის ცნობს. საგნების სახელებიც აღარ ახსოვს. ერთი სიტყვით, ვერ ლაპარაკობს. ორი წლის ბაღლის ქვეა შერჩაო, თავი-

დან ასწავლიან ანბანსო. — შითხრა პროფესორმა რურუამ. — ანბანსო რად დაიწყებული აქვს ველებსო, წლებსო რა ჰამა კი არა, სიტყვა „ჰამაც“ აღარ ახსოვსო.

— აუცილებლად გააფრთხილეთ თქვენი კოლეგები, ნუ ასწავლიან მაგ სიტყვას! — ვთხოვე პროფესორს.

— რატომ? — ვერ მიმიხვდა და ბავშვით გაიოცა.

— საშიში სიტყვაა; „ჰამის“ სანაცვლოდ, „ვეება“ ასწავლონ, რაკი თავიდან აღზრდაა.

რურუას გაეღიმა. მე კი გავამასბრე, მაგრამ მაინც მეცოდება ბენედიქტე, ალბათ იმიტომ. რომ ამ დილით მითხრეს; მგონი თავისი უმცროსი ბიჭი უცვნიანო, კონცა დაუწყია, თან ცრემლები სცვივოდაო.

უფროსი ვაჟი კი დაკარგულია, ორი კვირაა ეძებენ თურმე. ალბათ რომელიმე თავისი ქალაქს აშენება გადაწყვიტა.

სანამ ბენედიქტეს გონება არ დაუბრუნდება, ვერ გაასამართლებენ, გონება კი შეიძლება აღაასოდეს დაუბრუნდეს.

### 29 დეკემბერი

თამილა! თამილა! თამილამ მინახულია! სულ დავიწყებული მყავდა. სულ არ მოველოდი. რატომღაც მინდოდა. ხელები დამეკონცა. იქდა და მექლურტულეზოდა. ცის ნიჟარას ჰგავდა, ციური ხმები დაემასსოვრებინა და ყურებში სასიამოვნოდ მიწკრიალებდა ყოველი ბგერა.

### 28 დეკემბერი

წავიციოთხე დღიური და გამახსენდა: როგორ ვებრძოდი თავს, რომ დუღანას სახელი არ ჩამეწერა. ახლა მაინც დაწერილი გამომივიდა. დუღანამაც ავადმყოფი მნახა ერთხელ, შინ ლოგინად მწოლარე.

ჩემი სისხლი ჩქეფს, ბრუნავს და, როგორც მაგნიტოფონის ფირზე, იწერება თამილას სიმღერა. იწერება და თან გზადაგზა შლის დუღანას ძველ სიმღერას.

მეჩვენება, თუ მართლა ასეა?

მომვლელი ქალი ჩემს ტემპერატურას იწერდა საწოლის თავზე ჩამოკიდებულ ფირფიტაში. ვთხოვე, მაჩვენე-მეთქი. ამ უკანასკნელი თვის მანძილზე ტემპერატურის გრაფიკი ერთ-მანეთზე გადაბმულ მთების ჯაჭვს დამსგავსებია, უკანასკნელი მთის ფერდობს კი გაუვსენია. ალბათ, მალე გამისტუმრებენ.

## 29 დეკემბერი

პროფესორმა რურუამ მიამბო:

შინ ყოფილა, მიღების საათები ჰქონია. ზარის ხმა გაუგონია და თვითონ გაუღია კარი. ვილაც პოლკოვნიკი იყო, დაბალი, ჯმუხა კაცი. რატომღაც ილიმებოდაო. მე პაციენტი მეგონაო.

კაბინეტისკენ წაძლოია. შეპყროია კაბინეტში პოლკოვნიკი.

— დაბრძანდით!

პოლკოვნიკი თვალეში უყურებს და მრავალმნიშვნელოვნად ილიმება.

— რას უჩივით?

— ვერ მიცანით, ბატონო მიხეილ?.. აკი დღეისათვის დამიბარეთ!

ის შოფერი აღმოჩენილა!

## 1 იანვარი

დედა გვიანობამდე დარჩა. თორმეტს საათი რომ შესრულდა, გადამოცუნა, გოზინაყი მაჭამა და წავიდა.

აღარ დამეძინა. გავთენე ახალი წლის ღამე. ფანჯარაში მთვარე მოჩან-

და. ვუყურებდი და გულში ველაპარაკებოდი.

ასე ვუთხარი: „1957 წლის 1 იანვრის მთვარე, გეფიცები შენ, რომ ერთი ან ორი წლის შემდეგ შეგვხვდები ისევ ახლოს... სულ სხვანაირი ვიქნები და ბევრი რამ მექნება საამაყო, გეფიცები!“

მერე ძალად მოვიწოდებ ჩაძინება, არაფერი არ გამომივიდა. გულაღმა დავწეკი და სულ მოვდუნდი. ეტყობა, უკვე ვთვლებდი, რომ უეცრად რაღაც ხმაურმა გამომაფხიზლა. უფრო მივუგდე. ლითონის წკრიალს ჰგავდა. სულ ახლოს ისმოდა. ყველას ეძინა პალატაში. ვერაფრით ვერ მივხვდი, რა უნდა ყოფილიყო. ლოგინზე წამოვკეკი. ხმაური გაქრა, ისევ დავწეკი. განახლდა წკრიალი! დღეხანა ვიყავი გაოგნებული და მხოლოდ მაშინ, როცა შემთხვევით მარცხენა ხელი დავიდე მკერდზე, ყველაფერს მივხვდი; მძიმედ, მაგრამ ღონიერად მიცემდა გული. ყელში მირტყამდა ჩაქუჩივით, ზურგში ატანდა და, ჩემდა გასაკვირველად, თურმე საწოლზეც გადადიოდა ეს პულსაცია. საწოლის თავზე კი ოდესღაც ჩაბრაზნილი, მონიკელებული ლითონის პატარა ბურთულა დროთა განმავლობაში მოფამფალელებულიყო, და ის წკრიალებდა, თითქოს გულისცემას მითვლიდა.

საწოლიდან ალბათ იატაკზეც გადადიოდა ჩემი გულისცემა, იატაკიდან სახლზე, სახლიდან კი მიწაზე ვრცელდებოდა. თუ ვაშლი იზიდავს დედამიწას, როგორც დედამიწა — ვაშლს, და ამის გამოანგარიშება ფიზიკოსებს არ უძნელდებათ, მაშინ ხომ შეიძლება, გამოიგონო მგრძნობიარე ხელსაწყო და გაიგო, რა გავლენას ახდენს ადამიანის გული, თუნდაც ჩემი გული, მთელს დედამიწაზე?



თამილას ისამინის აყვავებული ტოტი ეჭირა ხელში, როცა დაყნოსავდა. ჯაბასაც მიუახლოებდა სახესთან. ჯაბა მამინვე გვერდზე სწევდა თავს, ირიდებდა. მერე რატომღაც გამვლელებს აცქერდებოდა.

— თითქოს ჰინჯარი იყოს! — უსაყვედურა თამილამ.

— მე რომ მეჭიროს, დაყნოსავდი. ეგრე არ მესიამოვნება.

თამილას ჩელესკინელების ხიდიცკენ უნდოდა წასვლა. მაგრამ ჯაბამ დაიყოლია; პლეხანოვზე გავიაროთ და ვერის ხიდით გავიდეთ გაღმაო. მთაწმინდის პლატოზე აპირებდნენ ასვლას.

ქუჩები და სახლები მაისის მზით იყო აელვარებული. ოდნავ თვალბმობურტულნი მიმოდრიოდნენ გამვლელები, ზამთრის ნისლიანი ამინდების შემდეგ, თითქოს ხელახლა აჩვევდნენ თვალს კაშკაშა სინათლეს. ფილაქანიდან ქუჩისკენ წაგრძელებული ადამიანთა მუქი ჩრდილები ხანდახან აფრთხობდა სწრაფად ჩაქროლილ მანქანებს, სიჩქარეს ანელებინებდა შოფრებს.

შენობის კედელზე მიმაგრებულ ტელეფონ-ავტომატზე ყვითელი პეპელა იჯდა.

— აი, ნახე, თუ არ გადმოფრინდეს! თქვა თამილამ და ისამინის ტოტი ახლოს მიიტანა.

პეპელა ვაფრინდა.

— მიხვდა, ყვავილი ასე სწრაფად რომ არ ამოვიდოდა მიწიდან! — თქვა ჯაბამ.

— ანდა, მაგასაც ჰინჯარი ეგონა!

— ნუ იკინჯრები!

თამილას გაეცინა.

— მე ხომ შენი მამა ვარ, ვახსოვს?

— კი.

— ჰოდა, ჰკვიანად იყავი.

ჯაბას უცხო სურვილი გასჩენოდა — უნდოდა არასოდეს არ შემოცლოდა ხელში წინააღმდეგობა. მუდამ ჰქონოდა. თუმცა იცოდა; მისი სურვილის გარეშეც მოხდებოდა ეს, ცხოვრება ასე

იყო მოწყობილი, მაგრამ თვითონ ეძებდა. ის უნდა ყოფილიყო ნამდვილი წინააღმდეგობა, ნამდვილი სიძნელე, რომლის გადალახვა ღირდა. ეშინოდა, რომ ეს სიძნელე გვერდზე ჩაუვლიდა, სხვას შეეყრებოდა, სხვას გამოაწრობდა და ის სხვა იცხოვრებდა ნამდვილი ცხოვრებით.

არ მოსწონდა, ასე იოლად რომ ეთვისებოდა თამილა, ასე სწრაფად. გადამწყვეტილი ჰქონდა, ხელი არ შეეწყო თავისი გრძობისათვის, არ აპყლოდა მას და არ გაეზვიადებინა, თვითონ სიყვარულისთვის დაეთმო თავსონობა, ვნახოთ, რას იზამდა ადამიანების დაუხმარებლად. ამით იქნებ გამოერკვია თამილას სიყვარულის სიღაღე თუ სიმცირე...

ჯაბამ თავზე მოივლო ხელი და თითი გაისვა ნაქროლობეზე, ყოველწუთში ისინჯავდა; ნუთუ მართლა აღარ ამოვა ამ ადგილზე თამაო.

თამილამ ჯაბას ხელს ააყოლა თვალი.

— ჯაბა, რომ დალუბულიყავი, ჯაბა?!

ჯაბას ჩაეცინა.

— მაგ შიშმა ველარ მომისწრო ავ ქვეყნად, გონება დავკარგე.

თამილა იყო მომხიზველი, ისამინით სურნელოვანი და აყვავებული. ჯაბა არასოდეს იფიქრებდა, სიარულს თუ შეეძლო ქალის კიდევ უფრო გამწვენიერება. ყოველ ნაბიჯზე თამილა თითქოს აპირებდა მიწიდან მოწყვეტას და ჰაერში აქრას, და იმავე ნაბიჯით თავისთავს ისევ უბრუნებდა წუთით შემერთალ მიწას. მიდიოდა ჯაბას წინ თეთრი ქანდაკება, თითქოს განგებ ბოლომდე დაუმუშავებელი, რომ მის მნახველს შემოქმედის ფანტაზია აღძვროდა. თითქოს მოქანდაკე თვალები დახუჭა, ხელები თრთოლვით ჩამოქსევა უსულო ქვას და მის შიგნით გააჩინა ცოცხალი სხეული, ვერავინ რომ ვერასოდეს იხილავდა ქანდაკების დაუმსხვრევლად.

— ჯაბა, გქირდება ვაჟა?

უეცრად ვერ მიხვდა, რას ეკითხებოდა თამილა. ძლივს გაახსენდა.

— არა, გქონდეს ჯერ. დაიზებირე რამე?

— კი, ჯაბა, იცი, გუშინ ვკითხულობდი პუშკინის წერილებს. ღმერთო, რა კაცი ყოფილა, რა ადამიანი. როგორ უყვარდა თურმე ნატალია... რატომ ახლა არ სწერენ წერილებს?

— იმიტომ, რომ ერთ ქალაქში ვცხოვრობთ!

— ვინდა, მე წაგეჩხუბები, მერე წავალ სადმე და მომწერე. ზომ მომწერ?

— არა. მე თვითონ ჩამოვალ.

— მაშინ წერილიც მომიტანე!

ჯაბამ სიცილი ვერ შეიკავა.

— ჯაბა, იცი, კითხვა რომ დავამთავრე, უეცრად მომეჩვენა, რომ ვიცნობდი პუშკინს, ძალიან ახლოს ვიცნობდი.. და სულ ორი დღის წინათ დავასაფლავეთ! ისე მეტყინა გული!

— მეც ვიყავი დასაფლავებზე!

— ვიცი, დაგინახე შორიდან. ჩემვან მესამე მარხილში იჯექი...

— მართლა? ჩვენი ცხენი რომ წაიქცა, დანახე?

— ჰო, ისე შემეშინდა, რომ... ღმერთო, როგორ მომწონს ის გოგო!

— ვინ? — ჯაბამ მიიხედა.

— აი, აი, მოედანზე, გაჩერებასთან! — თითი გაიშვირა თამილამ.

ჯაბას მუხლები მოეკვთა. შეჩერდა და თამილაც შეაჩერა. ავტობუსების გაჩერებასთან დუდანა იდგა. სადღაც, მოედნის გაღმა იყურებოდა, თითქოს მარტოდმარტო იყო ტრიალ მინდორზე და რაღაც თავზარდამცემ საკვირველებას შეეჩერებინა.

„არ გაიტანოს რამემ!“

— წამო, ახლოს გაუვაროთ, იცი, რა ლამაზი გოგოა! — მოესმა ჯაბას თამილას ხმა.

„ავტობუსს არ ელოდება, არც სხვას არავის... რას უყურებს?“

თვალი გააყოლა დუდანას მზერას და ელდა ეცა. გურამის სახლი აღარ იყო, დაენგრიათ. მხოლოდ უკანა კედელი

დარჩენილიყო და ნანგრევებს გადმოჰყურებდა. ჯაბამ იცნო შინდისფერყვავილებიანი შპალერი, ნიშნა, სადაც წიგნები ეწყო გურამს, სამხარეულოს კარის ჩარჩო, ის ოთახი.. იქ იდგა ის ტახტი, იმ სივრცეში, სადაც ახლა მტვერი ირევია.. შეიყვანა გურამმა და ტახტისკენ გაახედა... იქ ენთო მაგდის ნათურა, ახლა მავთული ქანობს ჰაერში.. დუდანა ამან გააჩერა: ამ მავთულმა, ამ შპალერმა, ამ ცარიელმა სივრცემ, სადაც შიშველი იწვა მაშინ... ახლა კი მთელი ქალაქი უყურებდა.

დუდანამ სწრაფად მიიხედ-მოიხედა. თითქოს თავზარი დასცა ამდენმა ხალხმა, ჯაბას მისი შეკვირება მოელანდა, მოელანდა, რომ დუდანამ ხელები აიფარა მკერდზე, გაიქცა და „ტანსაცმლის“ მაღაზიის კარებში გაუჩინარდა.

— რა დაემართა?! — ჯაბასკენ შეტრიალდა თამილა, ეკვს დაენისლა მისი თვალები, როგორღაც ეგარძნო, რომ ჯაბას შეეძლო ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. მაგრამ უპასუხოდ დარჩა. ჯაბა გაქვავებულივით იდგა. თამილას სახემ გააშლავანა; როგორ დაეფანტა გონებაში ათასი შეკითხვა და მის ნაცვლად პასუხის მსგავსი ერთი დიდი შეკითხვა გაუჩნდა.

მიდიოდნენ ჩუმად. გადაიარეს ხიდი. ელბაქიძის აღმართს შეუდგნენ.

„რას ფიქრობს ახლა თამილა?... ოდესმე ყველაფერს ვეტყვი“.

თითქოს მანქანით ჩაქროლილმა მოჰკრა თვალი დუდანას და ბევრი რამ ვერ შეამჩნია. ახლა უნდოდა უფრო ჩაძიებით გაეხსენებინა წუთის წინ ნანახი; დუდანას სახე, მისი ყოველი ნაკვთი. დანგრეული სახლის შიშველი კედელი, მოედანი, როგორ ირეოდა ხალხი გაჩერებასთან, როგორ გაიარა ლურჯმა ავტობუსმა ჯაბასა და დუდანას შორის. ვილაც მიესალმა ამ დროს ჯაბას, ახლა აღარ ანსოვს ვინ იყო. დუდანა იდგა ჩრდილში, მისი ფეხსაცმლის წვერთან გადიოდა მზის საზღვარი, თეთრი ფეხსაცმელები ეცვა. ფილაქანზე მოხუცი გენერალი მიაბიჯებდა, რას აკეთებდა





ამ დროს თამილა?.. დუდანა შებრუნდა და გაიქცა, მალაზიაში შევარდა. მალაზიის წინ ნაყინის გამყიდველი იდგა... გაჩერებასთან შეჩქეფულ ხალხს ვილაც გამოეყო... ნოდარი? ახლა იცნო. ის ნოდარი იყო! მალაზიის წინ ჩაიარა, ვიტრინის დიდ შუშაში იცქირებოდა, მერე შემობრუნდა... მერე გაქრა. ჯაბამ ვერ შეამჩნია საითკენ წავიდა. მალაზიაში ხომ არ შევიდა ისიც?

გამორკვეა. იდგა და გაღმა იყურებოდა. თამილაც შეჩერებულიყო.

გამოუტყდა თავის-თავს, — პლენხანოვის პროსპექტით წამოსვლა იმიტომ შესთავაზა თამილას, რომ თვალი მოეკრა სახლისთვის, სადაც უკანასკნელად ნახა დუდანა. იქნებ ახლა ძალიან უბედურია დუდანა? იქნებ არც იცოდა, რა ხდებოდა მის თავს, და არც ახლა იცის, როგორ მოხდა ყველაფერი? იქნებ ფიქრობს; ასეთია ცხოვრება, ადამიანები, შეცდები. და მერე ყველა მიგატოვებს, აღარავისთვის აღარ არსებობ. თითქოს მარტო დადინარ ამხელა ქალაქში, ქუჩებში კი გამქრალ ადამიანთა ლანდები ვხვდება, რომ ყოველ ნაბიჯზე ფაფიახლდეს ოდესღაც მათგან მიყენებული ტკივილი.

იქნებ ახლა ძალიან უბედურია დუდანა? და იქნებ ნოდარი მიხვდა ამას!

ვერ იგრძნო, როგორ შებრუნდა ხილისკენ და ნაბიჯი როგორ გადადგა.

— ჯაბა!  
შეჩერდა. თამილა მიუახლოვდა და მისი პიჯაკის საყელოში თითები შემალა.

— ჯაბა, მაშინვე უნდა მისულიყავი, რატომ არ მიხვედი...

ველარაფერი თქვა მეტი, მკლავები ძირს ჩამოუცივდა, მიწასდაშტერებულმა, თავი დააქნია მხოლოდ გამომშვიდობების ნიშნად, შებრუნდა, წაფარფატდა. ცისკენ აღარ მიიღტვოდა მისი სხეული. ამ ქვეყნის მთელი საცოდაობა, მთელი უმწეობა მის მხრებში და კისერში შებუდებულიყო.

— თამილა!

ორი გრძელი კამარით დაეწია. დიდხანს იდგნენ ჩუმად, ყოველი ახალი წამი თითქოს სასწრაფოდ მხატვრულბდა განვლილ წამებს. ბოლოს დათბა.

— წავიდეთ! — თქვა ჯაბამ.

საპაერო-საბაგირო გზის საღაროსთან არავინ არ იდგა. ჯაბამ ბილეთები აიღო და თამილას ანიშნა, წავიდეთო. თამილა მოშორებით შეჩერებულიყო, ნაძვის ქვეშ. ცხვირსახოცს ისევამდა ხელზე. ალბათ ხეს მოავლო და ქერქმა გაუწება. მაგრამ ჯაბამ იგრძნო, გადაჭარბებული ფულმოდგინებით აკეთებდა ამას თამილა, იმიზეზებდა; ვითომდა, აი, ამ დღეში ვარ და იმიტომ ვერ ვიცვლი ფეხს ადგილიდანო. ნამდვილად კი სხვა რამ აწუხებდა.

— რა იყო, თამილა? — სულ ახლოს ნივიდა, უნდოდა მოფერებოდა. ორივე ხელი გადაუსვა ლოყებზე, მერე — თმაზე.

— ჯაბა... — უფრო აჩქარდა ცხვირსახოცი, მაგრამ ახლა თამილა, ეტყობა, ვერც ხელებს ხედავდა საკუთარს, ვერც სხვას ვერაფერს, — ჯაბა... როცა შენ აღარ მოვინდება ჩემთან ყოფნა, როცა...

— თამილა...

— როცა შენ გადაწყვეტ, რომ აღარასოდეს შევხვდებით ერთმანეთს, როცა ასე ახლოს აღარ ვიქნებით...

— თამილა, რატომ ამბობ მაგას.

— და როცა შენ მე აღარ... სულ აღარ... ერთი ბეწოთიეც კი აღარ... ხომ მეტყვი მაშინ, როგორ მოვიქცე? როგორ მოვიქცე მერე, შენ რომ ჩემთან აღარ იქნები, ხომ მეტყვი? იმიტომ, რომ მე არ ვიცი...

— თამილა! — ჯაბას მოეჩვენა, რომ დაჩოქება უნდოდა, თამილამ მკლავებზე წაუჭირა საამოდ სუსტი ხელები.

სულ სხვა გოგო იდგა მის წინ, საოცარი. თვალწინ გაუელვა უნივერსიტეტის ეზომ, თამილასთან შეხვედრამ და მიხვდა, რომ მაშინაც საოცარი იყო ეს გოგო, ოღონდ ვერ შეამჩნია.



თითქოს მოულოდნელად ძვირფასი საჩუქრით დააჭილდოეს. და ასეთი სიმდიდრის გამო სულ სხვანაირად უნდა ეცხოვრა. თითქოს ერთბაშად მსოფლიოში სახელგანთქმული ადამიანი გახდა და, ამევე დროს, ეს არავინ არ იცოდა მის გარდა.

საბავირო გზის ვაგონი ახალაფრენილ ბარტყევით ხეების კენწეროების თავზე მისრიალებდა. ვაგონის შუაში მხოლოდ გამყოლი იდგა. მგზავრებს ხურგები შეექციათ მისთვის, ოვალურ შემაბანდს შემორტყმოდნენ გარშემო და ქვემოთ იცქირებოდნენ. ქალაქი ნელნელა იძირებოდა.

ჯაბას მხარზე ხელი დაედო თამილასთვის. უყვირდა, რომ სწორედ ახლა ვერ ახერხებდა თამილაზე ფიქრს, ახსენდებოდა ახლობელი ნაცნობები, თითქოს უნდოდა გამოეხმო ყოველი მათგანი და ახალი ამბავი გაეზიარებინა. მარჯანიშვილის თეატრის წინ დღეს ისე გამოიარა, ძია ნიკალა არც მოგონებია. ვინ იცის, ძია ნიკალას ის კოსტუმი ახლა სხვამ გამოართვა, ახლა სხვას ესაყვედურება; დაბრუნება დაავიანეო. უცბად მოელანდა, რომ ძია ნიკალა მოკვდა, თითქოს იცოდა ეს და დავიწყებული ჰქონდა... ალბათ დაესიზმრა... მართლა ხომ არ მოკვდა? ზმირ-ზმირად უნდა ნახო ადამიანი და არასოდეს მოკვდება. მერე გაახსენდა მოხუცი, მკვდრეთით აღმდგარი სამსონი, და რატომღაც გაიფიქრა, რომ სამსონი აუცილებლად მოინახულებდა საავადმყოფოში ბენედიქტეს, მოვლისა და მზრუნველობისათვის მადლობის სათქმელად მივიდოდა, რა ელდა ეცემოდა ბენედიქტეს, ცნობაზე. რომ იყოს! სიკვდილივით გამოეცხადებოდა მოხუცი. ჯაბამ ვაგონიდან გადაიხედა და ბენედიქტეს სახლს დაუწყო ძებნა.

„ალბათ გადავუარეთ უკვე თავზე“.

პარკის მთავარ ხეივანს აპყვნენ. გასცდნენ ნაგებიან საქანელას, ტირს, კარუსელს.

— დავიდალე! — გაილიმა თამილამ, თავი მალა ასწია და პირი გააღო. — რა ჰაერია! პირდაპირ ცრდან ჩამოდის.

ისინი იდგნენ მრგვალ მოედანზე. ნიდავაგი თეთრი იყო, თიხანარევი, და მათი გრძელი ჩრდილები თხრილებივით აჩნდა მიწას. ცა იყო სუფთა და ლურჯი, ჩვილი ბავშვის გუგასავით, და ამ უზარმაზარ თვალში პირველი აზრის გამოკრთომასავით ბრწყინავდა მზე.

— ჯაბა! — დაუძახა თამილამ. — შეხედე შენს ჩრდილს და მერე მალა აიხედე.

— რა მოხდება?

— შენს ლანდს დაინახე ცაზე.

ჯაბამ დახედა თავის ჩრდილს და მერე მალა აიხედა.

— ვერაფერს ვერ ვხედავ.

— ეგრე არა... დიდხანს უნდა უყურო, აბა, გაშალე ფეხები. კიდევ, ახლა — ხელებიც. ასე. არ გაინძრე. უყურე ჩრდილს და სანამ მე არ გეტყვი, არ აიხედო.

თამილამაც გაშალა ხელები. დიდხანს იყვნენ გარინდებულები. ჯაბას ეშინოდა, არ გაეინძრეო. ცალი თვალთ თამილას ჩრდილსაც ხედავდა. ის იყო, უნდა ეთქვა, გვეყოფა, დავიდალეო, რომ თამილას ბრძანება მოესმა:

— აიხედე!

აიხედა ჯაბამ და მოეჩვენა, რომ გაფრინდა, რომ მიწა გამოეცალა ფეხქვეშ, ოდნავ წაბარბაცდა კიდევ. ცის გუმბათზე ვართხმულიყო მისი ვეება ლანდი, ხელუბამილი, მოუხეშავი. მარცხნივ მერე ლანდს ხედავდა, უფრო მკრთალსა და გამჭვირვალეს, პატარასა და კოხტას. ეს თამილას ლანდი იყო.

— მეგონა, მეხუმრებოდი, — თავის-მოუბრუნებლად თქვა ჯაბამ, — რა იცოდი, რომ გამოჩნდებოდა?

— მამამ მასწავლა.

— დიდხანს იქნება კიდევ?

— არც ისე...

— შენ ხედავ ჩემს ლანდს?

— მკრთალად, შენ?

— მეც.

მალა თავაწეულები თითქოს ვას ებაასებოდნენ. ჯაბას დაძაბულობისაგან თვალები უჭრელდებოდა, და მისი ლანდი და თამილას ლანდი წითელ ღრუბლებს ემსგავსებოდა.

„ახლა ჩვენს ლანდებში მოქცეულია უამრავი ვარსკვლავი, — ფიქრობდა ჯაბა, — ერთმანეთისგან მილიონი კი-

ლომეტრით დაცილებულ სამყაროებს ვფარავთ ახლა... ჩვენი ლანდებში მკრთოიანებს ამ სამყაროებს...“

ჯაბამ ბრმად მოაფათურა განზე გაშლილი ხელი ჰაერში და თამილას თითები იბოვნა, ხელისგულში მოიჭტია. თამილა მისკენ ვადმოიხარა.

ცაზე კი ლანდები გაუნძრევლად იდგნენ, თითქოს რალაც ნიშანს ელოდებოდნენ დედამიწიდან.



0 8 9 9 0  
იანვარი 1958



## სვანური ეპოსის ნიმუშები

ვისაც სვანური სიმღერები მოუსმენია, იგრძნობდა მათ მონუმენტურ სიდიადეს. მაგრამ ბევრმა როდი იცის, რომ ამ სიმღერების მიღმა იმალება მრავალი საიდუმლოებით მოცული ამბავი, სადაც ჩვენი ხალხის შორეული წარსულის საინტერესო მომენტებია ასახული, თითოეულ სიმღერას თან ახლავს რიტუალი, რაც ფერხულისა და შუშპარის ნაირსახეობით გამოიხატება.

სვანური სიმღერები სრულდებოდა საერო და საკულტო დღესასწაულებზე დათქმულ ადგილას: „სუფში“, „ჭვიშში“, „ულიშში“, „ლაგურკასა“, და „ლამარიაზე“...

ბევრი სვანური სიმღერის მხოლოდ ჰანგები დარჩა და შინაარსი თანდათან მივიწყებას მიეცა, ანდა, პირიქით, ამის გამო ხშირად შეეხვედებით სვანურ სიმღერებში სრულიად გაუგებარ სიტყვებს და ფრაზებს, რომლებმაც რიტმულად თავისი ადგილი დაიმკვიდრა, მაგრამ მისი მნიშვნელობა უცნობია. ასეთი სიტყვები და ფრაზები ხელფეს მომსხვერველ ქანდაკებებს მოგვაგონებს, რომლებიც გვხიბლავენ იმ მშვენიერი ელემენტების ძალით, რაც ნიკეს და მილოსელის ქმნილებებს შემორჩენია.

უძველესი სვანური სიმღერები თავისუფალი ლექსით არის გადმოცემული, ამ სიმღერების თვითმყოფადი წყობის გართიმვა, ანდა საგუნდო გადაკეთება დიდ სიფრთხილეს მოითხოვს, ამიტომ სვანური სიმღერები უნდა აღდგეს პირვანდელი ფორმით და დარჩეს ისე, როგორც გამოქვაბულთა კედლებზე პირველი მხატვრის დახატული მამონტები და ირმები.

სვანურ სიმღერებში გამოირჩევა ისეთი ძლიერი სიმღერები, როგორიც არის „ლილეი“, „კვირია“, „ზარი“, „ელერიდიეო“, და სხვ. როცა სვანები ამ სიმღერებს მღერიან ამჟამობნ, რომ განგებამ მათ მისცა უბერებელი ჰანგი, რომელიც შორეული წარსულიდან გასძახის მომავალ საუკუნეებს, მზის დიდებას, ადამიანის გმირობას, მოსაყლის სიუბვეს, ნადირობის ალაფს და სიყვარულს; ამ ლექსებს თან ახლავს მსუბუქი იუმორი, უთქმელი სევდა, რწმენა და ამტანობა, რაც ბუნების სიმკაცრემ მიანიჭა სვან კაცს, როგორც გაუმხელელი სიყვარული და ამჟამო მოკრძალება.

ჭვემით დაბეჭდილი სიმღერებიდან: „ლილეის“, „კვირიას“ და „მეჩი ყარას“ ტექსტი სხვადასხვა ვარიანტების საფუძველზე აღადგინა და დაამუშავა ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ნ ი ა მ შ ა. „მანგურ“, „დუდა“, „წუხელ სად იყავ?“, „დინოლ“, „მოტიშური მოვიარე“, „ყანსავ ყიფიანი“, „ირინოლა“ და „სიზმარი“, ლიტერატურულად დაამუშავა დ ა ვ ი თ წ ე რ ე დ ი ა ნ შ ა.

### ღ ი ლ ე ი

### მზის კიხნი

პოი, ლილეი!  
შენი დიდებით საესვა  
ყველა სულდგმული ჭვესკენლ,  
ზესკენელის.

დიდება თაარიგზელარს  
შევევედროთ შეველა კაცთა;  
ჩვენი შემწეის ბრძანდება;  
შეგვეწიოს თავის ძალით.

დალოცვილი იყოს ვედრება ჩვენი

ჰოი, ლილეი!

ადგილი დათქმული გქონია.  
სასახლე გიდგას შიდ-შეფიშ,  
ოქროს სვეტები უდგია,  
ზღუდე გარტყია ოქროსი  
ოქროს სამკალით სავსეა.  
ჩხრიალა ოქროს თაყები  
განძ — აბჯრეულით სავსეა.

ჰოი, ლილეი!

შენ ყერს დიდება მოსვლოდეს.  
კოშკი გიდგას ბროლით მოჭიქული.  
შედუს ჯაურდენი ევლება.  
სადირკველთან წყანან ილეები.  
მათი რქები ცას აწვდენია.  
ირგვილივ საძოფარი მთები,  
არჩვით და ჯიხვით სავსეა.  
ძირში ჩაგიდის მდინარე,  
სარკე სასედავს ჯობია.

ჰოი, ლილეი!

ვედრება გიდგას მლოცველთა  
შენი შესაწირი ხარები,  
რქები ადგიათ ოქროს ნაჭედი,  
ბლავილით დარბიან ქედიდან ქედზე.  
შენი შესაწირი ვერძები,  
რქები ადგიათ დაგრებილი.  
დასტიან ქედიდან ქედზე.  
ქვემთ სალოცავი სუფის მინდორი.  
გადატყულია ხართა ნაჩლიჭართ,  
შეღებილია უსხების სისხლით.

ჰოი, ლილეი!

შენ დალოცე კაცნი ყოველი!  
ზღვაში თევზი, ცაში ფრინველი.  
შენ დიდებას არაფერი ჯობია,  
ჩვენი შეულა შენ გერჩიოს.  
ასე მარჯვნივ, ირგვლივ.

დიდება შენ ლილეი დიდება,  
ამინ!

ლილეი — პირდაპირი მნიშვნელობით გათენებას,  
მზის ამოსვლას — სინათლეს ნიშნავს.  
ამ შემთხვევაში საკაცობრიო იმედს, სიცოცხ-  
ლის მოთვარ არსს — მზეს, რომელსაც შეუძ-  
ლია სიკეთე მოუტანოს ყოველ საკანს და  
არსებას ქვეყანაზე.  
თააროჯულარ — მოავარ ანგელოსი (ეს ქრის-  
ტიანულ ხანაშია შეტანილი ზიმღერაში).  
შიდშეფიშ — კარგი ნახელაუი — ხეთუქმული.  
სამკალი — სამკაული.  
ყერ — ღვთის ფრინველი. ამ შემთხვევაში ღვთის  
ძლიერება — ძალა.

შედულ — ხეანური კოშკის თაღოვანი ქონგური.  
ჯაურდენ — შავი მერცხალი. კოშკების ქონგურებ-  
ში ბუდობენ, თეორ გულა მერცხალზე დი-  
და, ლაშეში მუჭიშხოლს ეძახიან,  
რაც მზის ფრინველს ნიშნავს მუჭ-მზე არის.  
ილე — სეანურა ლევენდების ფანტასტიური ცხო-  
ველი.  
სუფ — შესაწირი წმინდა მინდორი.  
უსზე — შესაწირავად დათქმული მოზვერი არანაკ-  
ლებ სანი წლისა.

## ქ ვ ი რ ი ა

ოი, კვირია ოი!...  
 მზე ცისა კვირია...  
 მიწა წყლისა კვირია...  
 წილი გაქვს ცისა კვირია...  
 წილი გაქვს მიწისა კვირია...  
 ოი, კვირია!..  
 გვიმარჯვე წინ!..

## მ ე რ ი ყ ა რ ა

ო საბრალო მეჩი ყარა,  
 სანაჭებო მეჩი ყარა,  
 საჭნარ-უჭნარი ყველაფერი გაგიკეთებია.  
 სიბერეს ვერ მორევიხარ,  
 სიკვდილს ვერ მორევიხარ.  
 სიბერე მწარე გჭონია,  
 სიკვდილიც მწარე გჭონია...

მეჩი ყარას წიგნი მოუვიდა,  
 წიგნი მოუვიდა ჭაშაგეთიდან;  
 ყარა ლაირს წაიკითხავს,  
 გულზე დარდი მოედება.  
 წვერი ხელით მოისრისა.  
 შეევედრა იქ მყოფთ ყველას:  
 — მაღლი ჭენით, ჩემ შვილს ნუ ვტყვით.  
 ჭაშაგები შეჯიბრზე მიხმობენ.  
 შეჯიბრზე მიხმობენ,  
 სანჯახს მართავენ.

მაშინ მოსულა სულემა.  
 მამისათვის თავი დაუხრია,  
 თავი დაუხრია და უკითხია:  
 — მამაჩემო, რას მიმალავ?  
 — არაფერს, არაფერს — ეუბნება ყარა.  
 — რასაც მიმალავ ეს კარგად ვიცი,  
 ჭაშაგეთში მე მივდივარ.  
 — ვერ გაგიშვებ ჩემო შვილო,  
 სანჯახის ალება გაგიჭირდება.

ორი სანჯახი ამიღია,  
 მესამეს სიბერეში ავიღებ.  
 — სიბერის დღე სახლში გაატარე  
 სანჯახის ალება მისწავლია,  
 ძალაც გამომიცდია ჩემი მკლავისა.  
 — შვიდი პირობა იქ გექნება...  
 — შვიდ პირობას შევასრულებ,  
 შენი შვილი ვარ.  
 შენი სისხლი მიდგია,  
 სანჯახს ავიღებ  
 დარდი ნუ გექნება...

ალარ უსმენს მოხუც ყარას,  
 დარბაზში ასულა.  
 აბჯარი ჩაუცვამს,  
 ჩაჩქანი დაუხურავს,  
 ჩექმები მოურგია.  
 ფანჯვანი შემოურტყამს.  
 თეთრი ნაბადი მოუსხამს,  
 თეთრ საღარაზე შემუდარა.  
 ეზოში უცდიან ყაბარდოელები.  
 ყაბარდოელებს წინ გაძლოლია.  
 ასე დაუწყიათ ასვლა-ჩასვლა.  
 ასე ჩასულან ჭაშაგეთში.

ჭაშაგები შეკრებილან  
 კარგი თავადები აქ არიან

ქ ვ ი რ ი ა — ყმალი — ერთერთი უძველესი სვანური სიმღერაა, მელის ტიტვისა, რომელიც სრულდება თებერვალში. რიტუალი მღერის მოქმედების მიზანს წარმოადგენს: სხვადასხვა სოფლებიდან წამოსული „მგლები“ (ჟ. ი. რჩელი მამაკაცები) ერთმანეთს ახერხებდნენ დანიშნულ ადგილისაკენ, პირველ-

ნი უჭილ — სიმღერით ხედვებდნენ მისი ამოსვლას და ლაშხეთის სოფლებს მოუხმობდნენ კვირიას დღესასწაულზე. (ტფთაშის თავზე ამჟამად „ლაგვრელ“ გოლას ვახან. დარჩენილია გომეხისა და ნიშის ნაშთი, რომელიც ქრისტიანულ ხანაში ქრისტიანულ სალოცავად იქცა, მაგრამ სახელი და მნიშვნელობა ძველი შეინარჩუნა).



სუფის ბოლოში ცხენები უბიათ.  
სუფის თავში სუფრა გაუშლიათ.  
ირგვლივ დამდგარა ქაშაგთა ლაშქარი,  
მათი შუბები ცას აწვდენია.

აქ მოსულა სულემანი,  
ხელში ტარხან აუღია,  
ერთი კარი ქვემოთ მოუქცია...  
ზემოთ გაუსვრია...  
მეორე კარი ზემოთ მოუქცია.  
მესამეთ თურმე ქვემოთ მოაბრუნა.  
ყველის მთვარე დაუდვიათ,  
ტყვიათ ცაში აუგდია.  
ქაშგის ვანგირს დაეჭიდა,  
დაეჭიდა წააქცია.  
ხელში მუჯრა აიტაცა  
სუფის ბოლოს ჩაურჭვია.  
იქ რომ დიდი გურნა იდო,  
კოშკის თავზე გადუგდია.  
თასს ისარი დაუმიზნა  
ოქროს თასი წაუღია.  
ფისიმც დასხმია ერთ ქაშაგს  
ჩემად უთხრა თავის ბატონს:  
— ამას სანჯახს ვერ გავატანთ...  
— სულემანს აბჯარი ეცმევა,  
აბჯრის წკარუნს ვერ გავიგებთ.  
აბჯარს ტყვია ვერ გაატანს.  
— თეთრ გალაგანს დაუმიზნეთ.  
ეს ქაშაგთა ბატონს უთქვამს.

წამომხტარან ქაშაგები,  
წინ დახვედრიან სულემანს.  
თეთრ გალაგანს დაუმიზნეს,  
თოფებმა დაიგრიალეს.  
შუბლი სისხლათ შეუღებეს.

— აბა, ჩემო კარგო საღარო.  
უადგილო ადგილზე არ დამტოვო.  
მუსლის ძარღვი არ მომიკვეთო!..

ამის თქმა ძლივს მოუსწრია.  
სულემანი მოჰყვდარა,  
მკვდარი ცხენიდან ჩამოუღიათ.  
უნაგირი მოუხსნიათ.  
სართავებიც წაუღიათ.  
მაშინ საღარამ დასტოხვინა,  
ტორი დაჰკრა ბედაურმა,  
ბორკილები დაიწყოტა

გალაგანზე გადაფრინდა.  
დიდხანს სდიეს ქაშაგებმა.  
სალარას ვერ დაწვეიან.  
ქაშაგები შერცხვენილან.

მეჩი ყარას არ სძინებია.  
დაძინებია — სიზმარი უნახავს.  
სიზმარი უნახავს — გაღვიძებია.  
წითელი ვაშლები დასიზმრებია —  
ესეც ცუდად დაუცდია.  
ახალი მთვარე გულალმა იწვა —  
ესეც ცუდად დაუცდია.  
წითელი თოვლი მოსულა —  
ესეც ცუდად დაუცდია  
წყალი წითელი ყოფილა —  
ესეც ცუდად დაუცდია.  
კარს საღარა მოსდგომია —  
ესეც ცუდად დაუცდია.  
წითელი ფაფარი ქქონია.  
ესეც ცუდად დაუცდია.  
— საღარა, მარტო რად მომიხვედი?  
სულემანი სად დაგიტოვებია?  
საღარას ჭიხვინი დაუწყია,  
ესეც ცუდად დაუცდია,  
— შავი დილა მითენდება! —  
ასე უთქვამს მეჩი ყარას.

ყაბარდოელები დაღრეჯით მოდიან;  
დაღრეჯით მოდიან შერცხვენილები.  
— არ მივიღეთ სირცხვილს სად წაუღოთ,  
მივიღეთ სიკვდილს სად წაუღოთ?  
— სიპართლეს ეტყვი — მიწა გავისკვლება  
ტყვილს ეტყვი — მეჩი დაგვეცემა.  
ასე მიდგომიან ყარას სახლს.  
თვალს ვერ უსწორებენ მეჩი ყარას.  
— ვაი დედათქვენს, ყაბარდოელებო!  
ჩემი შვილი სად არის,  
რა ერთგულება გაუწიეთ?  
— სულემანი უკან მოდის, — ატყუებენ  
ძმად ნაფიცები.  
— უკან მოსვლა არ ქონდა ჩვეულებად,  
ყოველთვის წინ მოდიოდა,  
ალბათ, მოკლეს რჯულძაღლებმა;  
თორემ ვიცი ჩემი შვილი.  
ის პირველი მოვიდოდა.  
ახლავე გაბრუნდით,  
ახლავე მომიყვანეთ!  
ერთი სანთელი სასთუმალთან ენთება,

მეორე სანთელი ფეხთან ენთება,  
ამით იცნობთ, მომიყვანეთ!

ყაბარდოელები გაბრუნებულან.  
სულემანის საფლავს მიაგნეს.  
ერთი სანთელი სასთუმალთან ენთო,  
მეორე სანთელი ფეხთან ენთო.  
ამით იცნეს სულემანი.  
ამოთხარეს სულემანი,  
გრძელი საკაციო მოიყვანეს,  
გრძელ დარბაზში დაახვეწეს.

ყარას წინ ყაბარდოელები იჩოქებენ,  
იჩოქებენ და შესთხოვენ:

— ნება მოგვეცით შური ვიძიოთ,  
ქაშაგების სისხლით მდინარეს

შეველებავთ...

— როცა დრო იყო სიმბდალე მოგერიათ,  
ახლა იკვებნით სისხლის აღებას.

არც თქვენი მჯერა,

არც სისხლის აღება მინდა.

ამდენი წელი მიცხოვრია,

ჯაფრი არავისთვის შემირჩენია.

არც ამას შეგარჩენ —

ჩემი შვილის სისხლი აუღებელი იქნება.

რა სისხლი შეცვლის შვილის სიყვარულს,

რათ მინდა მათი ბინძური სისხლი,

შვილის წმინდა სისხლს გაურიო...

გამშორდით ყაბარდოელებო,

მარტო დამტოვეთ ჩემ შვილთან.

ყაბარდოელები წასულან.

მეჩი ყარა შვილთან დაჯდა,

ნატყვიარზე გამბორა.

მოთქმა დაიწყო,

მოთქმა დაიწყო, ქვას გული გაუღობო:

— შვილო ჩემო სულემან,

ცუდი სიბერე მომასწარი მოხუც მამას.

ვაი შენი თეთრი შუბლი სისხლით...

ვაი შენი გიშრის თვალებში დამე

ჩამდგარა,

ვაი შენი ლამაზი ტუჩებილი

დადუშებულა,

ვაი შენი ღონიერი მკლავები მკერდზე

დაგიყრია...

ვაი ჩემო მამაცო სულემან. ჩემო შვილო.

ვაი აღარ ფეთქავს შენი გული...

უქმად დაყრილი შენი იარაღი...

არ მინდა სიცოცხლე,

რისთვის ვათრიო მოხუცი ძელები.

ჩემ შვილს დიდი ხნით არ დაგვიღებდი.

დავასვენებ ჩემ სახლში,

ჩემ სიკვდილამდე არ დავმარხავ.

მაშინ ერთად დავიმარხებით...

სამი გვირა თავთან უჯდა, —

ავათ გახდა მეჩი ყარა...

ოი, ყარა მომკვდარა,

სანთელი გამჭრალა...

შემოსულან ნათესავები

მეჩი ყარა გაუწყვიათ.

გვერდით ნანატრი შვილი მოუწვენიათ.

მზის ჩასვლამდე დაუმარხავთ.

გულზე მიწა დაუყრიათ.

ყარას სიტყვა აუსრულეს.

ოი, საბრალო მამაშვილო,

სევანეთის სანაქებო მეჩი ყარა,

სიბერე მწარე გქონია,

სიკვდილი მწარე გქონია.

შენდობა შენ სულს,

ამინ!

ლაირ — წიფი.

სანჯახ — ასპარეზი — შეჯიბრი.

სულემა — სოლომონ.

ფანგვან — ფრანგული ხმალი.

ტარხან — საბრძოლო ხის კომპალი.

ვანგარ — ფალავანს ნიშნავს, ვმირი.

მუჯრა — რკინის წვერიანი თოკაპი ჯიბი.

გურნა — საჯილდო ქვა. სატყორცნი, პატარა ზომის.

ვაწყობა — მკვდრის ვაპატისონება.

საღარა — ამ შემთხვევაში ცხენის სახელაა, საერთოდ, საღარა ღურჯა ცხენს ნიშნავს, მაგრამ ამ სახელს სხვაფერის ცხენსაც არქმევენ.

# მ ა ნ გ უ რ



მე გხლავარ შავი მანგურ,  
შინ მოედივარ შორი გზიდან,  
მოვდივარ და მოვიმღერი,  
არ მოველი ხიფათს არსად,  
რა ვიცოდი, ცენის ხევი  
იქნებოდა მტრებით სახეს;  
რომ მივედი, სეტყვასავით  
დამაყარეს ცხელი ტყვია,  
შიშის ზარი უნდათ დამცენ,  
არ გცნობიათ შავი მანგურ!  
ქვიდან ქვაზე, კლდიდან კლდეზე  
ვბტივარ როგორც შავი ეშმა.  
— მე გასწავლით, ნაბიჭურებო,  
როგორ უნდა თოფის სროლა!

როცა შეწყდა თოფის ჩქამი  
ტყვიის კვამლი გაიფანტა,

ხვევი ვნახე: მღვრიე იყო, **კონსულნი**  
წითლად იყო ხვევი მღვრიე **ლიონისა**

თქვენი თეთრი თავისქალა  
გველებს მიაქვთ საბუღარად,  
თქვენი თმები თავგებს მიაქვთ  
სოროებში ჩასაფენად,  
თქვენი ძვლები ორბებს მიაქვთ,  
ორბებს მიაქვთ ცხრა მთას იქით,  
ცხრა მთას იქით, ჰილიბ ქალაქს.  
ვაჰ, რამდენი თეთრი ქალი  
ტანთ ჩაიცვამს გლოვის სამოსს,  
ვაჰ, რამდენი თეთრი ქალი  
დაიხოკავს მკერდს და სახეს,  
ცხარე ცრემლით ატირდება,  
შეღებილი წითელ-შავად.  
ეგ ასე მაქვს მანგურს წესად.

## ღ უ ღ ა

- დუდავ, ქე, დუდავ, საით მიხვალ?
- საით მივალ და ტყეში მივალ.
- დუდავ, დუდავ, ტყეში რა გინდა?
- რა მინდა და წნელი იფნისა.
- დუდავ, დუდავ, წნელი რად გინდა?
- რად მინდა და ცოლის საწოლად.
- დუდავ, ცოლი ორსულადა გყავს.
- მაშ არადა ბერწად იქნება.
- დუდავ, შენს ცოლს ქალი ვყოლა.
- აბა, უშვილოდ რა უნდოდა?
- დუდავ, შენს ცოლს ვატიც ვყოლა.
- დას, აბა, უძმოდ რა უნდოდა?
- დუდავ, ბიჭი უკვე მომკვდარა.
- ორს, აბა, მოვლა არ უნდოდა?
- დუდავ, გოგოც უკვე მომკვდარა.
- დას, აბა, უძმოდ რა უნდოდა?
- ცოლიც მუცელს გადაჰყოლია.
- აბა, უშვილოდ რა უნდოდა?
- დუდავ, რას დაჰკლავ სააღებოდ?
- სააღებოდ დავკლავ წიქარას.
- ის ორი კვირის ხბო იქნება.
- ორი კვირის ხბო რად იქნება.

- მისი ტყავი საყდარს დახურავს.
- ის პატარა ნიში იქნება.
- პატარა ნიში რად იქნება,
- მისი გალაუნის შემორბენას  
მწვეარი სამ წველს მოუნდება.
- ის პატარა ლეკვი იქნება.
- პატარა ლეკვი რად იქნება  
სამ ნახტომზე ირემს ეწვევა.
- ის პატარა ნუკრი იქნება.
- პატარა ნუკრი რად იქნება,  
ნაძვის ხეს თავზე გადაეყვება.
- ის პატარა ნაძვი იქნება.
- პატარა ნაძვი რად იქნება  
ჭოკად გასდო, ზღვას გადასწვდება.
- ის პატარა გუბე იქნება.
- პატარა გუბე რად იქნება,  
მზე გაღმა მხრიდან ამოსული  
გამოღმა შუქს ვერ გამოაწვდენს.
- ის პაწაწინა მზე იქნება.
- პაწაწინა მზე რად იქნება  
ზეცა არ ყოფნის საბრძანებლად  
შუქთა საფრქვევად — დუდამიწა.

5. „მანთობი“, 26 მ.



## წესებ სად იყავ?

- წუხელ სად იყავ?
- აჭარბაქეთსა.
- რას აკეთებდი?
- ფეტვი ჩამოფეჭვი.
- რას გამოაცხობ?
- კვერს გამოვაცხობ.
- კვერი რად გინდა?
- ყასაბს მივუტან.
- რას გამოართმევ?
- სამწვადე ხორცსა.

- ხორცი რად გინდა? ეროვნული  
ცენტრი
- მჭედელს მივუტან.
- რას გამოართმევ?
- მჭრელსა დანასა.
- დანა რად გინდა?
- ვერძისთვის მინდა.
- ვერძი რად გინდა?
- ღმერთისთვის მინდა.
- ღმერთი რად გინდა?
- მფარველად მინდა.

## ღ ი ნ ო ღ

- სად იქნება ჩემი დინოლ?
- თუნგით წყალზე წავიდოდა.
- ვეძებუ და არსად იყო.

- სად იქნება ჩემი დინოლ?
- წისქვილებში წავიდოდა.
- ვეძებუ და არსად იყო.

- სად იქნება ჩემი დინოლ?
- დობილებთან წავიდოდა.
- ვეძებუ და არსად იყო.

- სად იქნება ჩემი დინოლ?
- დედულეთში წავიდოდა.
- ვეძებუ და არსად იყო.

## მოტიჟური მოჟიანა

მოტიჟური მოჟიანე,  
სხვაგან ყოფნა აღარ მინდა,  
ვეძა მისვამს ელვაშური,  
სხვა სასმელი აღარ მინდა,  
მთის სამყურა მიჭამია,  
სხვა საჭმელი აღარ მინდა.

ელვას ერთი ალვის ხეა,  
სწორზე უფრო მრუდე არი,

ალვის ხეზე ტოტი არი,  
ტოტზე მტრედის ბუდე არი,

იმ მტრედს ისე ჩამოვადებ,  
მშვილდის დაუხმარებლადა,  
იმ მტრედის ხორცს ისე შევწვავ,  
ცეცხლის გაუნადებლადა  
დავჯდები და გეახლები  
პირის დაუკარებლადა.

## ყანსავ ყიჟიანი

ყანსავ ყიჟიანე,  
ყანსავ ყიჟიანე,  
შენთან რა ხელი აქვს  
სიკვდილ-სიბერეს,  
ფიცხი აზავერი  
მტერს ეღირები.

სალაშქროდ გროვდება  
ლატალ-ლენჯერი,  
მესტია-სეტი და  
მულახ-მუქალი,  
წვირმი-იფარი და  
კალა-უშგული.



საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საოსრად მიდიან  
რჩეული ვაფები,  
მხარზე გაუდევიათ  
კუთხვა თოფები.

ჯაბანი ვაფები  
დაყრილან ხვეში,  
მხარზე გაუდევიათ  
მუხის კეტები.

## ი რ ი ნ ო ღ ა

— ირინოლა, შვილო ჩემო,  
წაგიყვანეს ქმართან ძალით.  
— დამეხსენი, დედაჩემო,  
ჩემი ნებით წაველ ქმართან.  
— ირინოლა, შვილო ჩემო,  
ფეხშიშველი წახველ ქმართან.  
— ფეხშიშველი რისთვის წაველ,  
ოქროს ქოში ფეხზე მეცვა.  
— ირინოლა, შვილო ჩემო,  
ტანშიშველი წახველ ქმართან.  
— ტანშიშველი რისთვის წაველ,  
ატლასები ტანზე მეცვა.  
— ირინოლა, შვილო ჩემო,  
ულეჩაქოდ წახველ ქმართან.  
— ულეჩაქოდ რისთვის წაველ,

აბრეშუმის რიდე მესხა.  
— ირინოლა, შვილო ჩემო,  
რა ბეჩავი შეგხვდა ქმარი!  
— განა მართლა ბეჩავია,  
მთავარია ხავეთისა.<sup>1</sup>  
— ირინოლა, შვილო ჩემო,  
ჭინჭარია გული შენი,  
სიძულვილით მოხარშული,  
სიძულვილით შენი ქმრისა.  
ამგვარ ყოფას, შვილო, გიჯობს  
დაიციმდე გულში დანას.  
— მესხენ, დედავ, ჩემი ქმარი  
მიყვარდა და მიყვარს კვლავაც.  
დედას შვილის შურდეს ბედი,  
სად სმენილა, რომელ მხარეს.

## ს ი ზ მ ა რ ი

— წუბელ სიზმარი მესიზმრა,  
რა უნდა იყოს, დედავ,  
მთაში ირემი ყვიროდა,  
რა უნდა იყოს, დედავ,  
კერაზე კატა კიოდა,  
რა უნდა იყოს, დედავ,  
ბუმბულს იცლიდნენ ყორნები,  
რა უნდა იყოს, დედავ,  
ალვისხე დაცემულიყო,  
რა უნდა იყოს, დედავ,  
წითლად ეყარა ფოთოლი,  
რა უნდა იყოს, დედავ?

— მთაში ირემი ყვიროდა—  
მამაშენია, შვილო,  
კერაზე კატა კიოდა—  
დედაშენია, შვილო,  
ბუმბულს იცლიდნენ ყორნები—  
შენი დებია, შვილო,  
ალვისხე დაცემულიყო—  
შენი ტანია, შვილო,  
წითლად ეყარა ფოთოლი—  
შენი სისხლია, შვილო.

<sup>1</sup> ზრდ. კავკასია.



ო რ ი მ ო თ ს რ ო ბ ა

სარსაკარელის სუნი

ცოლიდან „მელანქოლიის წამალი“

სამი დღე, დილიდან ნაშუადღევამდე. მისტერ უილიამ ფინჩი გაუნძრევლად იდგა ბნელ და ფარღალალა სხვეწზე. გვიანი ნოემბრის სამი დღის მანძილზე ის მარტო იდგა და გრძნობდა მხოლოდ დროის რბილ, თეთრ ფიფქებს, რომლებიც უსასრულო, ფოლადისფერი ცივი ციდან ჩუმად ცვივოდა და სახურავებს ეფინებოდა. იგი თვალდახუჭული იდგა. ხანგრძლივ უმზეო დღეებში ქარის ტალღებისაგან დარწმუნული სხვეწის ყველა ფიციარი ჭრიალებდა და მოჭანავე ძელებიდან, თავხეებიდან და ნივნივებიდან სცვივოდა დიდი ხნის მტვერი. ოხვრისა და გმინვის ნარევი ტკივილს აყენებდა ყველაფერს ირგვლივ, უილიამს კი იდგა და ხარბად ყნოსავდა სხვეწის ძველთაძველი მემკვიდრეობის საამო მშრალ სუნს:

— აჰ! აჰ!

კორას არ გაუგონია მისი ნაბიჯების ხმა, არც ნივთების გადატან-გადმოტანის ხმაური. ქალს მოეჩვენა, რომ ქმრის სუნთქვა უსმოდა მხოლოდ — საბერველივით ნელი ჩასუნთქვა და ამოსუნთქვა, იქ ზევით, ქარნაკრავი სახლის თავზე, სხვეწის სიმარტოვეში.

— უცნაურია! — ჩაილაპარაკა მან.

როდესაც მესამე დღეს უილიამი საუზმისთვის ქვევით ჩავიდა, მან გაუღიმა გახუნებულ კედლებს, ნაპირებმომტვრეულ თეფშებს, დაკაწრულ ვერცხლეულს და თავის ცოლსაც კი.

— რატომა ხარ ასე აგზნებული? — ჩააცვივდა ცოლი.

— ისე, კარგ ხასიათზე ვარ, მშვენიერ ხასიათზე! — გაიცინა მან.

უილიამი სიხარულისაგან აცეტებულს ჰგავდა. მას რაღაც დიდი გრძნობა აღუღვებდა და ამის დაფარვა აშკარად უჭირდა. ცოლმა წარბი შეიკრა.

— ეს რა სუნია?

— სუნი... სუნი... სუნი?

— სარსაკარელი. — ქალმა დატყვევებით შეიყნოსა პაერი. — აი, რისი სუნია!

— შეუძლებელია! — უილიამის ისტერიული ბედნიერება ისე სწრაფად შეწყდა, თითქოს ქალს ძაფივით გაეწყვიტოს იგი. კაცი შეცბუნებული ჩანდა, უეცრად დამფრთხალს და ცოტა ავადმყოფსაც წაავაგადა.

— სად იყავი ამ დილით? — ჰკითხა ქალმა.

— სხვეწს ვალაგებდი, განა არ იცო?

— თუ — ნაგვის გროვასე ოცნებობდი? სხვეწიდან ჩამი-ჩუმი არ ისმოდა; მეგონა, არც კი იყავი იქ. ეს რაღაა? — შენიშნა მან.

— მართლაც, საიდან გაჩნდა ეს აქ? — გაუკვირდა უილიამს.

ფეხებზე დაიხედა. ველოსიპედისტიც შავი ზამბარის სალტებს შარვლის ტოტები კოჭის ძელებზე მიეტმანა.

— სხვეწზე ვიპოვე, — თავისთავს უბასუხა მან. — გახსოვს, ამ თრმოცი წლის წინ, დილაადრიან რომ გავედით მოკირწ-



ფეთქდებოდა და აღმოდებული თოვლივით იღვრებოდა მდუმარე მიწაზე. მას სციოდა, სციოდა, სციოდა... და საჭირო იყო მრავალი უსასრულო საფხული თავისი მწვანე ჩირაღდნებით და ოქროსფერი მზეცხვებით, რომ ზამთრის საბურავისგან გაეთავისუფლებინა მისი სხეული. ის იყო მყიფე ყინულის უზარმაზარი, უგემური ნატეხი, თოვლის კაცი, რომელსაც ათასგვარი ზმანებებით, კრისტალთა ქაოსითა და ქარტეხილებით საესე ლოგინში აწვევდნენ ყოველ ღამით. გარეთ კი სამუდამოდ დადგა ზამთარი — ტყვიის უზარმაზარი წნეხი, რომელიც ცის უფერულ სარტყელს ქვევით უშვებდა და ყურძენით სრესდა ყველაფერს — გრძნობას, ფერს, ყოფას. მხოლოდ ბავშვები ახერხებდნენ მისგან გაქცევას — თხილამურებით და ციგებია ეშვებოდნენ მოსარკულ ბორცვებზე, რომლებშიც ირგებებოდა ძირსამოწილი რკინის მძიმე ფარი, უცვლელად რომ გვიდა ქალაქზე ყოველ დღე და ყოველ უსასრულო ღამეს.

მისტერ ფინჩმა სხვენზე ასასვლელი კარი ასწია — მხოლოდ აქ, აქ! საფხულის მტვერი ადგა მის გარშემო. მტვერი ბორილობდა სხვენზე სხვა წლებიდან დარჩენილ სითბოში. მან ფრთხილად დაუშვა კარი.

სახზე ღიმილი აუთამამდა. სხვენი დუმდა, როგორც საადრო ღრუბელი ქარიშხლის წინ. დროდადრო კორა ფინჩს ესმოდა, როგორ ბუტბუტებდა, ბუტბუტებდა მისი ქმარი იქ, ზვეთი.

დღის ხუთ საათზე მისტერ ფინჩმა ახალთახალი ჭრილა კილის ქუდი სამზარეულოს კარს მიახეთქა — ბუუა! „ჩემი კუნძულო, ოქროსფერი ოცნებით სავსე...“ — ღიღინებდა ის.

— შენ რა, მთელი დღე გეძინა? — შეუღრინა ცოლმა. -- ოთხჯერ დაგიძახე, ხმა მაინც გაგეცა.

— მეძინა? — ის დაფიქრდა და გაიღიმა. შემდეგ სწრაფად დაიფარა პირზე ხელი. — კი, შეიძლება მეძინა.

კორამ ახლად შეხედა ქმარს.

— ღმერთო ჩემო! — შეიცხადა ქალმა, — საიდან მოიტანე ეს კოსტუმი?

მას ნაყინისფერი შარვალი ეცვა და კა-

რამელივით დახაზული წითელი პიჯაკი. მაღალი, თეთრი საყულო კისერზე უჭერდა. ჭილის ქუდს პაერში მოშრილ ნედლი ქულის სუნი ასდიოდა.

— ერთ ძველ სვივრში ვიპოვე.

კორამ პაერი შეიყნოსა.

— ნაფტალინის სუნი არ ანდის, სულ-მთლად ახალს ჰგავს.

— ოჰ, არა! — ნაჩქარევად თქვა უილიამმა. ის დაბნულად და უხერხულად იშუმუნებოდა, როცა ცოლი მის კოსტიუმს ათვალთვებდა.

— საზაფხულო საქონლის ფირმა არ გახლავს აქ! — თქვა ქალმა...

— არ შეიძლება ადამიანი ცოტათი გაერთოს?

— შენ მხოლოდ გართობა გახსოვდა ყოველთვის! — მან ღუმელის კარი მიჯახუნა. — ღმერთმა ხომ იცის, როცა მე სახლში ვიჯექი და ვქსოვდი, შენ ქვევით, მაღაზიაში ბრძანდებოდი ხოლმე და იდაყვზე სელს უჭერდი ქალებს შესვლა-გამოსვლისას.

უილიამი არ შედავებია.

— კორა, — მან ღრმად ჩაიხედა ჭილის ჭრილა ქუდს. — კარგი არ იქნება, გვირადღეს რომ გავისეირნებდეთ იმ ადგილებში, სადაც წინათ დავდიოდით ხოლმე? — შენი ამრეშუმის ქოლგით ღა შრილა გრძელი კაბით; ჩამოვჯდეთ მკეთულისფეხა სკამებზე სოდიანი წყლის სახმელ დარბაზში და ვიფნოსოთ აფთიაქის სუნი, რატომ აღარ დგას აფთიაქებში ასეთი სუნი? შევეკეთოთ ჩვენთვის ორი სარსაპარელი, შემდეგ „პანაპანუს ფირში“ წავიდეთ ჩვენი ცხრაას ათი წლის „ფორდით“, იქ ცალკე ნომერში ვივასშოთ და ორკესტრსაც მოვუსმინოთ, რას იტყვო?

— ვასშამი მზადაა. გაიძვრე ეგ საფრთხობელა!

— შენ რომ გინდოდეს სოფლის მუწარა გზებზე გასეირნება — ისეთ გზებზე, ავტომანქანების გაჩენამდე რომ იყვნენ წაზვიდოდი?

— ძალიან ტუჭყიანი იყო ის ძველი გზები. აფრიკულეს ვგავდით, უკან რომ ვბრუნდებოდით. სხვათაშორის, — მან შაქრის ქილა ასწია და შენჯღრია, — ამ

დღით აქ ორმოცი დოლარი მქონდა, ახლა აღარ არის. არ მითხრა, რომ ატელიეში არ დაგვიკვთავს ვე ტანსაცმელი — ისეთი ახალია, ვერცერთი სკივრიდან ვერ ამოიღებდი!

— მე...

ნახევარ საათს კიდევ ბობოქრობდა ქალი, მაგრამ უილაიმმა კეარაფრით აიძულა თავისი თავი, რაიმე ეთქვა. ნოემბრის ქარი სასლს აზანზარებდა და, ვიდრე კორა ლაპარაკობდა, ფოლადისფერი ციკო ციდან ისევ თოვლი წამოვიდა.

— მითხარი ერთი, — ყვიროდა ცოლი, — გიცი ხარ თუ რა ზარ?! ჩარჯავ ჩვენს ფულს და შერე რაზე? ისეთ ტანსაცმელზე, რომელსაც ვერც კი ჩაიცვამ!

— სხვენი... — წამოიწყო ქმარი.

კორა გავიდა და სასტუმრო ოთახში დაჯდა.

ახლა უფრო მსხვილად ბარდნიდა; ნოემბრის ცივი, მოჭუფრული საღამო იდგა. ქალმა გაიგონა, როგორ ნელ-ნელა აპყვა ქმარი კბეხს სხვენისაკენ — გარდასულ წელთა ამ მტვრიანი სადგომისაკენ, კოსტუმების, რევიზიტისა და დროის ბნელი სუანისაკენ, იმ სამყაროსკენ, ქვევით დარჩენილ ქვეყანასთან რომ არაფერი ჰქონდა საერთო.

მან სხვენის კარი დაუშვა. ანთებული ჯიბის ფანარი სავესებით ემაროდა თანამგზავრად. აქ მთელი დრო იყო, ჩაწინებული იაპონურ ქალღალდის ყვავილში. როგორც კი მოგონებას შეეხებო, მესხიერების ანკარა წყალში მყისვე ამოტივტივდებდა ყველაფერი — წარმტაცად აყვავებული, გაზაფხულის ნიავის ქროლვით — უკეთესად, ვიდრე ცხოვრებამია. ყოველი გამოწვეული უკრა შეიძლება შეიცავდეს მტერის ფიფქო ქურჭებში გახვეულ ბიცოლებს, ბიძაშვილებსა და დიდებებს. დიას, აქ იყო დრო. შეიძლებოდა მოგვემინათ მისი სუნთქვა, ცოცხალი გულისცემა, — საათის, მქვანიკური წიკწიკის ნაცვლად.

ახლა ქვევით დარჩენილი სახლი ისეთივე შორეული იყო მისთვის, როგორც წარსულის დანარჩენი დღეები. მან ნახევრად მოხუცა თვალები და აკვირდებოდა, აკვირ-

დებოდა რაღაცის მომლოდინე სხვენის ყრველ კუთხეს.

აქ, ჭალის წახანაგოვან მიწებში, ციხისა ტყელები, ნათელი დილები და შუადღეები ირეკლებოდა — ისეთივე ელვარენი, როგორც ის უხილავი მდინარეები, უსასრულოდ რომ მიედინებოდა უკანვე, დროში. ფარნის მუქმა წამით გააცოცხლა ისინი; სიბნელეს რკალად გადაველო ცისარტყელები — გაჭრილი ლიწონის, ქლიავის, მარწყვის, ყურძნის ფერებით, ლაქვარდის ფერით, ქარიშხლის შემდეგ ღრუბელგადაყრდილ ცას რომ გადაეკვრება ხოლმე. სხვენის მტვერი საკმეველივით იწვოდა, იწვოდა გამოუღმებით. თქვენ მხოლოდ ეცეხლი-სათვის უნდა გეცქირათ. მართლაც, დროის უდიდესი მანქანა იყო ეს სხვენი — უილაიმმა ეს იცოდა, გრძობდა, დარწმუნებული იყო ამასში; და თუ აქ ჭალს შეეხებოდი, იქ კარის სახელურს, ფუნჯს გამოსწევდით, კრისტალებს გააწკარუნებდით, მტვერს ააბორიალებდით, ჩემოდნის საკეტს ხელს შეახებდით, კაცივით მქვინავი საბურველის ხმით დატკბებოდით მანამდე, ვიდრე ათასი გარდასული ცეცხლის კვამლი თვალეში არ შემოგაბოლებდათ... თუ დაუკრავდით ამ ინსტრუმენტზე — უამრავი წერილმანისაგან აწყობილ თბილ მანქანაზე, მოეფერებოდით მის ყოველ ნაწილს — სახელურებს, სინჯარებს, ძრავებს — მაშინ, მაშინ, მაშინ...

მან საღირიფოროდ გაშალა ხელები. მუსიკა ქლერდა თავში, აწვებოდა მოკუმულ ტურებს. ის უკრავდა უდიდეს მანქანაზე, მრავალხმიან მღუმარე ორდანზე, — ბასს, ტემორს, სობრანოს — მაღალ, დაბალ ნოტებს... და ბოლოს, ბოლოს გაისმა აკორდი, რომელმაც ისე შეხძრა, რომ თვალები დაახუჭინა.

საღამოს, დაახლოებით ცხრა საათზე, ქალს ქმრის ძახილი მოესმა:

— კორა!

ქალი ზედა სართულზე ავიდა. მაღლიდან ქმარი დაპყრებდა და უდიმოდა. შემდეგ ქუდი დაუქნია.

— ნახვამდის, კორა.

— რას ნიშნავს ეს? — იყვირა ქალმა.

— სამ დღეს ვფიქრობდი ანაზე, ახლა — ნახვამდის!

— ძირს ჩამოდი, ტუტუტო!

— გუშინ ხუთასი დოლარი გამოვიტანე ბანკიდან. ბევრი ვიფიქრე, მაგრამ ახლა, როცა ეს მოხდა... პო... კორა, — მან მოუთმენლად ჩაუწოდა ხელი, — უკანასკნელად გვეითხები — მოდიხარ ჩემთან?

— სად, სხვენზე? ძირს ჩამოუშვი ეგ კიბე, უილიამ ფინჩ! ამოვალ და კინწისკერით ჩამოგადგებ მაგ სანაგვიდან.

— შე „ჰანაჰანა“ ფირმი“ მივდივარ თვე-ზის საჭმელად და ორკესტრს ვთხოვ „მთვარიანი ყურე“ და უკრას, ო, წამო, კორა... — მან გაწვდილი ხელით მიიხმო ცოლი.

ქალი უაზროდ მიაჩერდა მის ალერსიან, მუდართ ხავეს ხავეს.

— ნახვამდის! — სტვა უილიამმა.

ნაზად, ნაზად დაუქნია ხელი; შემდეგ გაქრა მისი სახე, გაუჩინარდა ჭილის ქუდი.

— უილიამ! — შესძახა ქალმა.

ბნელი სხვენი დუმდა.

ქალი კივილით გაიქცა, სკამს ხელი დაავლო, ზედ შედგა, სხვენზე აფორთხდა და ფანარი აანთო.

— უილიამ, უილიამ!

ბნელი სივრცე ცარიელი იყო. წამორის ქარი სახლს არყევდა.

შემდეგ ქალმა შენიშნა, რომ დასავლეთის ფანჯარა სხვენზე გადებული იყო.

იგი ფანჯრისკენ წაფათურდა, ერთბაშად შეყოყმანდა სუნთქვაშეკრული, შემდეგ ფართოდ გააღო. კიბე ფანჯარას გარედან ჰქონდა მიდგმული და შესასვლელის სახურავზე ეშვებოდა.

კორამ უკან დაიხია.

ღია ფანჯრის იქით მწვანედ ბიზინებდა ვაშლის ხეები, იელისის თბილი საღამოს ბინდი ეშვებოდა. ქალს შუშხუნების სკდომა, სიცილი და შორეული ხმები მოესმა. თბილ ჰაერში მსუბუქად ინთებოდა და ქრებოდა რაკეტები — წითელი, თეთრი, ცისფერი...

კორამ ფანჯარა მიაზღერთა და შეტორტმანდა.

— უილიამ!

მის უკან, სხვენზე ასასვლელი კარის ჭრილიდან, ნოემბრის მკრთალი შუქი ციკებდა. ქალი კარისკენ დაიხარა. თოვლი აწყვდებოდა ფანჯრის ცივ მინებს ქვევით. ნოემბრის სამყაროში, სადაც მას დარჩენილი ოცდაათი წელი უნდა გაეტარებინა.

კორა აღარ მიახლოვებია ფანჯარას — მართლ იდგა ბნელ სხვენზე და იყნოსავდა ერთადერთ სუნს, შეგუბავით რომ იდგა ჰაერში და აღარ ქრებოდა.

ქალმა ღრმად, ხანგრძლივად ჩაისუნთქა სააფთიაქო სარსაპარელის დიდი ხნის ნაცნობი, დაუფიწყარი სუნია.

ინგლისურიდან თარგმნა ივანე ჯავახიშვილი

## შპარობის ქამს

ერთ ზაფხულს, შუადღისას, ჯორჯ და ელის სმითები მატარებლით ჩავიდნენ ბიარიცში. უცებ მოეწყვენენ სასტუმროში, შემდეგ ზღვის ნაპირს ეცნენ, იბანავეს ზღვაში და ერთ საათსაც არ გაეელო, რომ უკვე ქვიშაზე იწვნენ და იხუხებოდნენ მზეზე.

ერთი შეხედვით, მზეზე გამხლართული ჯორჯ სმითი, კაცს ჩვეულებრივი ტურისტის ვგონებოდა, რომელიც თითქო გაყინული სალათიან თვითმფრინავით ჩამოკვავთ ვეროპაში და მალე ისევ შინ გაის-

ტუმრებენ ხოლმე გემით. სინამდვილეში კი, ამ კაცს სიცოცხლეზე მეტად უყვარდა ხელოვნება.

— ჰოდა... — ამოიოხრა ჯორჯ სმითმა. ოფლის კიდევ ერთი წვეთი ჩამოუგორდა მკერდზე. — ამოიშრიტე ოპიუმის წყალსადენის წყალი — გაიფიქრა მან-და შემდეგ სულმოუთქმელად სვი საუცხოო ბორდო; აღივხე სისხლი დიდებული ფრანგულის არსით და მაშინ აქაურის თვალით იხილავ ყველაფერს.

რატომ? რატომ უნდა ჭამო, ისუნთქო, სვა ყველაფერი ფრანგული? იმიტომ, რომ იქნებ ის სწორედ ასლა იწყებს ნამდვილად ერთი კაცის გენიალობის შეცნობას.

მისი ბაგეები შეირხა, თითქოს ვიღაცის სასულს ამბობსო.

— ჯორჯ? — ელისი წამოიწია. — ვიცი რასაც ფიქრობ. შენს ტურებზე ვკითხულობ.

ჯორჯი განაბული იწვა და ელოდა.

— მერე?

— პიკასო. — თქვა ქალმა.

ჯორჯს გააფრთხლა. — იქნებ ოდესმე მაინც ისწავლოს ელისმა ამ სახელის სწორი წარმოთქმა.

— გეთაყვა, — უთხრა ცოლმა, — და-შოშმინდი. ვიცი, ამ დილას ყური მოჰქარ რაღაც ხმებს, მაგრამ, შენს თვალსაც ზომ უნდა მიხედვა — ხედავ, კვლავ გითამაშებს. კეთილი, პიკასო სადღაც აქვდა, ხანა-პირიოზე; რამდენიმე მილის მოშორებით მეთევზეთა პატარა ქალაქში, სტუმრად მეგობრებთან. მაგრამ შენ თუ არ დაიფიქრე ეს ამბავი, წახდა ჩვენი შვებულება.

— ნეტავი სულაც არ მომეკრა ყური, — თქვა ჯორჯმა გულწრფელად.

— ოღონდაც! შენ ხომ სხვა მსატყრებივ გიყვარდა.

სხვები? ჰო, როგორ არა, იყენენ სხვებიც. იგი დიდი სიამოვნებით ისაუბრებდა კარავაჯოს შემოდგომის ატმებისა და ღამესავეთ შავი ქლიავების ნატურმორტებით; სადილად: ვან-გოგის ცეცხლივით კაშკაშა, სქელფოთლიანი მუხესუმირები; ის ყვავილები, რომელთაც ბრმა კაციც კი იგრძნობს გიზგიზა ტილოზე აღდაკრული თითების ერთი ჩამოსმით. მაგრამ, განა რამე შეედრება იმ უდიდეს მეჯლისს, იმ სურათებს, რომელთათვისაც ასე იზოგავდა მადას? ვინ შეედრება მას, ვინც შექმნა ტილოები: „გოგონა სარკის წინ“ და „გერნიკე“? აი, ნებტუნივით რომ წამოწეულა და აესებს მთელს პორიზონტს; თავზე წყალმცენარეები, თაბამირი და მარჯანი რომ აქვს გვირგვინად; კაუჭა-ფრჩხილებიან მუჭტში ყალმები რომ ჩაუბლუჯავს სამკაპივით და იმოდენა თევზის კუდით მთელს გიბრალტარს რომ დაიფარავს ზაფხულის თავსმებისაგან.

— ელის, — თქვა მან თვინიერად — აბა, როგორ ავიხსნა? მატარებლით რომ მოვდიოდით, სულ იმას ვფიქრობდით, ღმერთო ჩემო, ეს ხომ სულ პიკასოს ქვეყანაა!

მართლა თუა ნეტავ? გაიფიქრა მან. ეს ცა, მიწა, ხალხი, ეს ვარდისფრად ანთებული აგური, ის მოლურჯო-ცისფერი აივანი რკინის გრებილი რიკულებით, მანდოლინა, მწიფე მსხალს რომ ჰგავს კაცის ხელში, აფიშის ნაგლეჯები, ღამის ნიავი ქონვეთივით რომ დააფრიალებს. — ნურუ ეს ყველაფერი პიკასოა და რამდენად! რამდენადაა თავად ჯორჯ სმითი? ნუთუ ირგვლივ ყველაფერი, ჯორჯ სმითი რომ პიკასოს დაუოკებელი თვალით დაეინებით ათვლიერებს, პიკასოა და რამდენად? მას უკვე იმედი გადაუწყვდა პასუხის. ამ ბერიკაცმა წვეთ-წვეთად ისე საგულდაგულოდ გაეღინთა ჯორჯ სმითი ბელგონითა და სელის ზეთით, რომ მათ საბოლოოდ ჩამოაყალიბეს მისი არსება; მთელი „ცისფერი პერიოდი“ ბინდისას, მთელი „ვარდისფერი პერიოდი“ გარიტრაჟზე.

— სულ ერთი ფიქრი მიტრიალებს თავში. — თქვა ჯორჯმა ხმამაღლა. — ჩვენ რომ ფული გამოგვეზოგა...

— თავის დღეში არ გვექნება ხუთი ათასი დოლარი.

— ვიცი, — მიუგო ჯორჯმა წყნარად — მაგრამ, მართო ოცნებაც კი საამოა. იქნებ ოდესმე თავი მოგვება ამისათვის. განა დიდებული არ იქნება, ისე, მოურიდებლად მიხვიდე მასთან და უთხრა: „პაბლო, აი ხუთი ათასი! მოგვეცი ზღვა, ქვიშა, ცა, ან რაიმე სხვა, ძველებიდან, რომელიც გინდა. ჩვენივეს ეს მართლა დიდი ბედნიერება იქნება“...

ცოტა ხნის შემდეგ ცოლმა ხელი შეასო მკლავზე.

— მეგონა, ყველაფერს აჯობებს, წყალში გადაეშვა ახლა.

— ჰო, მართლა ასე აჯობებს.

ტალღები ცეცხლის თეთრი ენებივით აიჭორჩა მის გარშემო.

ნაშუადღევს ჯორჯი კვლავ გამოვიდა სასტუმროდან და ზღვისკენ გაემართა. იგი ხან აგზნებული და ხანაც მშვიდი ადამიანისათვის დამახასიათებელი ნაბიჯით მი-



ტორტიმანებდა; ისეთისა, რომელიც ბოლოს, დაბინდებისას, მზისგან ერთიანად კიბოს-ფრად შეპრაწული მიღონდილდება ხოლმე საქორწილო ტორტივით მოკაზმულ კობ-წია სასტუმროში.

რამდენიმე მილის მანძილზე ორი კაციც მეტი არაეინ ჩანდა უკაცრიელ ნაპირზე. ერთი, თითქოს უკანასკნელი ხარკის მოსახდელად გამოსული, მხარზე პირსახოც-გადაგდებული ჯორჯ სმითი იყო.

ამ წყნარ ამინდში, შორს, ნაპირის გასწვრივ, მასზე უფრო დაბალი, ჩასკვნილი კაცი მოაბიჯებდა მარტო. ის უფრო მეტად იყო მზით შერუჯული; მის გადაპარსულ თავს თითქოს ურთხელის ფერი დაჰკრავდა მზეზე, თვალები კი წყალივით ნათელი და ცოცხალი ჰქონდა.

აი ასეთ სცენას წარმოადგენდა სანაპიროს ზოლი და ეს ორი კაცი რამდენიმე წუთში უნდა შეხვედროდა ურთიერთს. ბედისწერამ კიდევ ერთხელ გააწონასწორა სასწორის თვალი განსაცვიფრებელი შესხვედრისა და გულისმომწყვლელი განშორებისათვის. ეს ორი, განმარტოებით მოსეირნე კაცი, ერთხელაც არ დაფიქრებულა გარემოებათა უნებლიე დამთხვევაზე; იმ გამოუცნობ ნაკადზე, რომელიც ყოველ კაცს თან ახლავს ყოველ ქალაქში. მათ არც იმ ამბავზე უფიქრიათ, რომ თუ კაცი უფრო ღრმად შეხედავდა ამ ნაკადში, თითოეულის ხელში საოცრებას წააწყდებოდა. ამგვარ ახირებაზე ისინი, უმრავლესობის მსგავსად, მხრებს აიჩივებდნენ და ყვდებოდნენ, უფრო კარგად მოეკიდათ ფეხი ნაპირზე, რომ ბედისწერას შიგ არ ჩაეთრია ისინიც.

უცნობი მარტო იდგა. მან ირგვლივ მიმოიხედა და ისილა თავისი სიმარტოვე, იხილა ტალღები წარშტაც ყურეში, იხილა, როგორ ცვლიდა მზე ნაკვიანვეი დღის ფერებს, და შემდეგ ნახევრად შემობრუნებული დაექვერდა ხის პატარა საგანს ქვიშაზე. ეს ნაყინის თხელი ჯოხი იყო, რომელსაც ნაყინის კვალიც კი აღარ ეტყობოდა. მანაკაცმა გაიღიმა და აიღო ჯოხი. შემდეგ კვლავ მიმოიხედა, რომ თავის სიმარტოვეში დარწმუნებულიყო; შემდეგ და-

იხარა და ხელის მსუბუქი მოძრაობით შეუდგა ერთ საქმეს; საქმეს, რომელიც მან ყველაზე უკეთ უწყობდა ქვეყნაზე.

მან ზღაპრული ფიგურების სატვა დაიწყო ქვიშაზე.

დახატავდა ერთს, შემდეგ გადაინაცვლებდა, დახედავდა თავისი შრომით ერთიანად გატაცებული, დახატავდა მეორეს, მესამეს, შემდეგ მეოთხეს, მეხუთეს და მეექვსეს.

მარტო მოსეირნე ჯორჯ სმითმა ყურადღებით მიმოიხედა ირგვლივ და შენიშნა კაცი მოშორებით. იგი მიუახლოვდა და გაარჩია, რომ ეს მზემოკიდებული კაცი ქვიშაზე იყო დახრილი; ცოტაც და ნათლად დაინახა, რას აკეთებდა ეს კაცი. ჯორჯს სახეზე ნეტარი ღიმილი აუთამამდა. ჰო, რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა... ზღვის პირას... მარტოკა — რა ხნის იქნება ნეტა? სამოცდახუთის? სამოცდაათის? — დაუდევრად ხატავს, ბლაჯნის რალაცას თავისთვის. როგორ ფარფარებს ქვიშა! რა უცნაურად გამოტყვრებიან ხოლმე ეს თავნება სურათები ამ სილიან ნაპირზე! როგორ...

ჯორჯ სმითმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა და ადგილზე გაქვავდა.

უცნობი კი ხატავდა და ხატავდა. ეტყობა, ვერც კი გრძნობდა, თუ იდგა ვინმე უშუალოდ მასა და მის მიერ ქვიშაზე დახატული სამეფოს უკან. ამ დროს იგი იმდენად იყო თავისი შრომით მოჯადოებული, რომ ყურებში სიღრმისეული ყუმბარების აფეთქებაც კი ვერ შეაყოვნებდა მისი ფთიანი ხელის მსუბუქ მოძრაობას და ვერც მას მიასხედებდა გვერდზე.

ჯორჯ სმითმა დახედა ქვიშას. კარგა ხნის ცქერის შემდეგ მას თრთოლა დააწყებინა. რადგან აი აქ, ამ დაბალ ნაპირზე ესაბა ბერძნული ლომები და ხმელთაშუა ზღვის თხები; ქალწულები ოქროს ნაქლიბისდარი სხეულით და სატირები, რომლებიც ხელით ნახარატებ ნაღარას უკრავდნენ; ნაპირის გასწვრივ ყვავილებს აბნეოდნენ მოცეკვავე ბავშვები, რომელთაც კრავები ასდევნებოდნენ კუნტრუშით; მუსიკოსები როკავდნენ და დაბტოდნენ თა-



ვიანთი ჩანებებისა და ქნარების ხმას აყო-  
ლილნი; მარტორქები შორეული მდგლო-  
ებისა, ტაძართა ნანგრევებისა და ვულკანე-  
ბისაკენ მიაქროლებდნენ ჭაბუკებს. ნაპირის  
გაუტეხელი ნაზის დაყოლებზე ამ ხელს,  
ამ ქვიშაზე დახრილი, გატაცებული კაცის  
ხის სტილეტს გამოჰყავდა სახეები და ნა-  
ხატები. ქვიშას ოფლი აწვიმდა, ის კი, აქ  
შტრისს გაავლებდა, გადაბაჯბაჯდებოდა  
იქით, იქ რაღაცას მოაგვირისტებდა, თან  
რაღაცას ბუტბუტებდა, შეწერდებოდა, შემ-  
დგვ ისევ დაემურებოდა ხატვას; თითქოს  
ეს მოვარდნილი ბაკქანალია აუცილებლად  
ბოლომდე უნდა გადმოშლილიყო ქვიშაზე  
მზის ჩასვლამდე. ნიშნები, ტყის ფერიები  
და ზაფხულის შადრევნები ამოცნობილი  
იეროგლიფებივით იბადებოდნენ ამ ოცი-  
ოცდაათი იარდის სიგრძეზე. ჩამავალ მზეს  
გამდნარი სხილენძის ფერად შეეფერა ქვი-  
შა, რომელზედაც ახლა ისეთი რამ ეწერა,  
ყოველი კაცი რომ იოლად ამოიკითხავს ყო-  
ველთვის და, რომლის სიტკბოს წლობით  
გაიყოლებს თან. ნახატის თითოეული ხე-  
ული ლაღად და ხალისიანად ბრუნავდა  
და ნაეარდობდა. აი, მეღვინეს მოცეკვავე  
ასულელები ყურძნით სისხლისფრად შეღები-  
ლი ფეხებით წურავენ სახე მტვენებს, აი,  
ზღვის აქაფებულ ტალღებში ქვადაქცეული  
ურჩხული იბადება, ხოლო ყვავილწუნულე-  
ბით დახუნძლული ფრანები სურნელვებს  
ჰვენენ მიმოფანტულ დრუბლის ფთილებს..  
აი... აი... აი...

მხატვარი შეწერდა.

ჯორჯ სმითმა უკან დაიხია და განზე  
გადგა.

მხატვარმა თავი ასწია და გაოცდა, ასე  
ასლოს რომ იწილა ვიღაც. შემდგვ გაიმარ-  
თა და ხან ჯორჯ სმითს შეხედავდა, ხან  
საკუთარ ნამოქმედარს, რომელიც უსაქმოდ  
მოსხეტილ კაცის ფეხის ნაკვალევივით მი-  
მობნეულიყო ძირს, ქვიშაზე. ბოლოს გაიდი-  
მა და ისე აიწილა მხრები, თითქოს ბოდიშობ-  
სო, შეხედე ერთი, რა გავაკეთო; სიბავშვება,  
არა? ალბათ მომიტყვევებ? ერთი-ორჯერ  
ყოველი ჩვენთაგანი სჩადის რაიმე სიბრიყ-  
ვეს... თქვენც — ალბათ? ასე რომ მაპატი-

ებთ ამ სისულელეს ჩერჩეტ ბერიკაცს? ემ,  
რას იზამ? რას იზამ?

ჯორჯ სმითი კი მხოლოდ შეპყრობდა  
ამ პატარა მზემოკიდებულ ბერიკაცს; მის  
ნათელსა და გამჭვირავ თვალებს და მხო-  
ლოდ ერთხელ, თავისთვის წაირურჩულა  
მისი სახელი. ჯორჯ სმითს სხვა აღაარაფრის  
თავი არ ჰქონდა.

ისინი ალბათ კიდევ ერთი ხუთი წამის  
განმავლობაში იდგნენ ასე. ჯორჯ სმითი  
ამ ქვიშაზე დახატულ ფრესკას მიშტერე-  
ბოდა, ხოლო მხატვარი ნათნევი ცნობის-  
მოყვარეობით ათვალეიერებდა ჯორჯ სმითს.  
ჯორჯ სმითმა პირი გააღო, მოკემა, ხელი  
გაიწოდა, ისევ ჩაუშვა. ნახატებისკენ წარს-  
დგა ნაბიჯი; შემდგვ ფიგურების მწკრივს  
ისე ჩაუარა, თითქოს რომელიმე ანტიკური  
ნანგრევებიდან ნაპირზე გადმოფანტული  
იშვიათი მარმარილოს წყებას ათვალეიერებ-  
სო. იგი თვალის დაუხამამებლად დაჰყუ-  
რებდა ნახატებს; მის ხელს სურდა შეხებო-  
და მათ და ვერ შეეებდნა შეხება. უნდოდა  
გაქცეულიყო და არ გარბოდა.

უცებ სასტუმროსაკენ გაიქცეა. გაიქცეა!  
ჰო, გაიქცეა! რა? ხელი სტაცე ნიჩაბს,  
ამოთხარე, ამოიღე. იქნებ ერთი ნაჭერი  
მანც გადაარჩინო ამ სურათისა, რომელიც  
ერთომ სწრაფად იშლებოდა? რაიმე რესტაუ-  
რატორი იპოვნე და აქ მოარბენინე თაბა-  
შირთან ერთად; იქნებ ამ უხანო, ფშენი-  
ტი ნახატის პატარა ნაწილის ფორმა მანც  
ჩამოსხა? არა, არა. სულელო, სულელო...  
თუ?... მან თვალეი ქეიდა სასტუმროს ფან-  
ჯარას. ფოტოაპარატი! გაიქცე, ხელი და-  
ტაცე, მოარბენინე, და დაეშურე სანაპიროს;  
ჩააჩხაკუნე, შეცვალე ფირი, ჩააჩხაკუნე,  
ვიდრე..

ჯორჯ სმითი უცებ შებრუნდა და მზეს  
შეხედა. მზემ სუსტად შეანათა სახეში;  
თვალეები ნაკვერჩხლებივით აუკაფდა მი-  
მკრთალ შუქზე. მზე უკვე ნახევრად ჩაძი-  
რულიყო ზღვაში და რამდენიმე წამში სულ  
ჩავიდოდა.

მხატვარი მიუახლოვდა და უაღრესის  
თანაგრძნობით შეხედა სახეში; თითქოს  
მხედებო მის თითოეულ აზრს. აი თავი  
დაუკრა ოდნავ. აი, ნაყინის ჯოხი დაეცა

ძირს. აი, დამე ნებისა უსურვა, დამე ნებისა, და წავიდა კიდევ, ნაპირს გაჰყვა, სამხრეთისაკენ.

ჯორჯ სმითმა თვალი გააყოლა. ერთი წუთის შემდეგ კი დაიწყო ის ერთად-ერთი რამ, რაც მას იმჟამად ძალუძდა. იგი ამ სატირებისა და ფანების, ღვინოში ჩაძირული ასულებისა და მოჯირითე მარტორქების ფანტასტიკური ფრიზისაკენ გაეშურა. ნელა მიაბიჯებდა ნაპირის გასწვრივ. დიდხანს მიდიოდა ასე და დაჰყურებდა აბობოქრებულ ბაკჰანალიას. როცა ნახატის ბოლოს გავიდა, შემობრუნდა, უკან გამოეშართა და ისევ ისეთივე დაფინებით დაჰყურებდა ქვიშას; თითქოს დაჰკარგვიაო რამე, და დანამდვილებით არ იცის, სად ეძებოს. ამნაირად დადიოდა აღმა-დაღმა, ვიდრე ისე არ დაბნელდა, რომ ველარაფერს არჩევდა ქვიშაზე.

ჯორჯ სმითი მაგიდას მიუჯდა სავახშმოდ.

— დაგაგვიანდა — უთხრა ცოლმა — ისე მომშივდა, რომ ველარ დაგელოდე და მარტო ჩამოვედი.

— არა უშავს.

— რაიმე სინტერესოს ხომ არ გადააწყვდი სეირნობისას?

— არა, — უპასუხა ჯორჯ სმითმა.

— სასაცილოდ გამოიყურები; მეტისმეტად შორს ხომ არ შესცურე, ჯორჯ? მგონია კი, და ალბათ კინაღამ დაიღრჩვი, ხომ ასეა? სახეზე გეტყობა, რომ ასეა. მითხარი, მართლა ძალიან შორს შესცურე? არა?

— ჰო.

— არა უშავს. — ცოლმა ყურადღებით შეხედა. — ოღონდ მეტად აღარ გაიმეორა. ასლა — აბა, რას მიირთმევ?

ჯორჯ სმითმა მენიუ აიღო, დახედა და უცებ გაინაბა.

— რა მოხდა? — ჰკითხა ცოლმა.

ჯორჯმა თავი მოიბრუნა და თვალები მილულა წამით.

— ყური დაუგდე.

ქალმა მიაყურა.

— არაფერი მესმის. თქვა ქალმა.

— არაფერი?

— არა. რა არის?

— მოქცევა იწყება მხოლოდ, — თქვა ჯორჯმა ცოტა ხნის შემდეგ. — იგი წყნარად იჯდა და თვალები მილულული ჰქონდა. — ზღვის მოქცევა იწყება მხოლოდ.

ინგლისურიდან თარგმნა

თინიზი ზალდასტანიშვილი



## სომეხთა პრიმორე რეპლიკისა

მხატვრულ-ისტორიული ნახაზები

### სომეხი პრიმორე

მოხდენილად და მართებულად წერდა ი. მუხარ-აკია: „მოელი წვენი საუკუნე სასება გრ. თრბელიანის სახელით... მის პიროვნებას უხედავთ წვენი სამშობ-ლის ისტორიის ყოველს ფურცელზე“.<sup>1</sup>

1871 წელს საქართველომ შეიძინა აღნიშნა რე-სეთის იმპერიის დიდი ადმინისტრატორისა და სარ-დლის მოღვაწეობის 50 წლისთავი. ამით „რუსის დიდმა სარდალმა ერთხელ კიდევ სძლია ქართველი მეოსანი“, როგორც შენიშნა ს. ხუნდაძემ. მაგრამ სასტიკმა გამოსვლელმა დრომ დაამტკიცა, რომ ეს ძლევა მხოლოდ დროებითი და მოწვევებითი იყო. ქართველი ხალხისათვის გრ. თრბელიანი იყო და არის შემოქმედი. მისი სარდლობა და მთავარმარ-თებლობა მხოლოდ საისტორიო ანალებსათვის თუ გამოდგება. ის, რაც გ. თრბელიანს ერისათვის შე-უქმნია, ისევე აღმატება მის სამხედრო სამახურს, როგორც მისი ერთგული სამახური და თავანწირ-ვა აღმატებოდა „დიდსულთვანი მონარქის მოწყა-ლებას“.

შემახვევით არ იყო, რომ „დიდთა და მცირეთა“ ერთნაირად დაიტირეს ღრმად მოხუცი პოეტი, „ლექს-თა მეფე“, „ქართული ენის დიდი მყარობელი“, „კავკასიის გმირთა პატრიარქი“.

მისი მთავარი გმირობა საქმებელია არა დაღის-ტნის აულებში, არამედ იმ პატარა წიგნში, რომელ-საც „გრ. თრბელიანის ლექსები“ ეწოდება.

გრ. თრბელიანის პოეტურ შემოქმედებას ქართ-ველი მკვლევარები, ჩვეულებრივ, სამ პერიოდად ყო-ფენ. ხანა — პირველი ცნობილი ლექსის დაწერისა და შემოქმედების დამარცხებამდე (1824-1832) პირ-ველ პერიოდად არის ცნობილი; 1838-1858 წლებს შორის გრძელდება მეორე პერიოდი, რაც დაკავშირე-ბულია პოეტის მოღვაწეობასთან კავკასიის ომებში. მესამე პერიოდი გრძელდება 1860 წლიდან მის სიყ-ველამდე (1883 წ.).

რომანტიზმის რაობასა და ისტორიაზე შეჩერება აქ შეტისმეტად მახლონურ ლირიკულ წიაღსვლად მივიჩნია, მით უმეტეს, რომ გრ. თრბელიანის შემოქ-მედება „სპეციფიკური ქართული სინამდვილითა ნაკვები და ამავე დროს „სადღვერძელს“ ავტორის პოეტური მეთოდი ჩინებულად ითვისებს რეალიზმის ელემენტებს“.<sup>1</sup>

გრ. თრბელიანის თხზულებებში ჩანასახის სახით მოიპოვება რეალიზმის ელემენტები, თუმცა ავტორი თავის შემოქმედებაში არსად არ საცნაურყოფს, ფიქ-რობდა თუ არა იგი ამ იარღვევზე. იქნებ აზრადაც არ მოსდიოდა იმაზე თავის ტება, რომანტიკოსი ვარ თუ რეალისტიკოსი, მაგრამ, თავისდა უნებურად, წმინ-და რომანტიკულ ლექსებში ნამდვილი რეალისტიკური შეხედულებანი აქვს გამოთქმული.

თუ რომანტიზმი მართლაც არის „ადამიანის სუ-ლის შინაგანი სამყარო, მისი გულის საიდუმლო ცხოვრება“, როგორც ბელინსკიმ განსაზღვრა, ამ „რადაც მშფოთვარე“, „რადაც უკმაყოფილება აწ-მყოფი“, როგორც გრაფორივემა თქვა, გრ. თრბელი-ანიც ზედამიწეებით თავსდება ამ შინაგანი სამყაროს პოეტურ ჩარჩოებში.

რომანტიზმის ბუნება, მისი აღმოცენება, სერთოდ, და, კერძოდ ქართულ სინამდვილეში, ქართული რო-მანტიზმის საწყისები და განვითარების ძირითადი სახეები ამოწერაგად აქვს დასაბამებული პროფ. დ. გამყარადამივლს თავის ცნობილ შრომაში „ალ-ტაგებაგატე და ქართული რომანტიზმი“, და მათ ჩვენ აღარ გავიმეორებთ, მით უმეტეს, რომ გრ. თრ-ბელიანი არ არის ჩვენი ბრწყინვალე რომანტიკული სამეულის პირველი წარმომადგენელი.

ჟერ კიდევ „პატრიონივლიების პოეზია წარმოად-გენს საუკეთესო გამოსატყულებას საქართველოს რე-სეთთან შეერთებით გამოწვეული მალალი არისტოკ-

გავრტელება. „იბ. მნათობი“, № 7.  
1 „დრაიება“, 1883, № 61.

1. ავ. გამყარელია, თხზულებათა სრული კრე-ბული, „საბჭოთა მწერალი“, 1959, გვ. 011.

რატის სედა-მწუხარებისა", მაგრამ ბატონიშვილები არ წარმოადგენდნენ იმდენად მნიშვნელოვან პოეტურ პაროქიებს, რომ მათთვის პრინციპული ანთარმის გაწვევა შეიძლებოდა.

ნამდვილი ლიტერატურული მნიშვნელობა და წონა რომანტიზმში მიიღო ჩვენი სახელოვანი სამუელის შემოქმედებაში.

მისი პირველი წარმომადგენელი ალ. ჭავჭავაძე ჯერ კიდევ ხარკს უდრის აღმოსავლეთს.

გრ. ორბელიანმა ქართული რომანტიზმი ასალ უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა. ეს უფრო მყარი, დამდგარი, აღმოსავლური მოტივებისაგან განთავისუფლებული, დაბეჭდილი რომანტიზმი.

გრეგორი ორბელიანის მატერიალი შემეცოდინება არაა ისე ვრცელი, როგორც მისი ცხოვრების ქრონიკა, სამავიეროდ უფრო ღრმაა და უკეთეს ძველთა რიტებს მიეკუთვნება, მისი ცხოვრებას ქრონიკა კი იმიტომ რჩება ისტორიის საკუთრებად, რომ ესაა პოეტ გრეგორი ორბელიანის ცხოვრება.

არას ისეთი წლები, როცა გრეგორის თითქოს თვითონაც ავიწყდება, რომ პოეტია.

1833 წლიდან 1851 წლამდე, თითქმის მთელი ოცე წლის განმავლობაში, მხოლოდ 14 ლექსი დაუწერია, თუმცა მათ შორის ისეთი მარგალიტები ვხვდებით, როგორცაა „არავისთვის მე დღეს არა მისაქალაქი“, „ჩემს დას ეფემიას“, „საღამო გამოსალმებისა“...

„შუშა ბოქულისა“ ავტორს ი. ჭავჭავაძის ზეგავლენა დასწამებს. მაგრამ, როგორც ჩვენს კრიტიკაში აღინიშნა (ვ. კოტეტიშვილი), ჯერ ერთი, ილიას მიმატება საძირკვითი საქმე არ იყო, და მეორეც, გრ. ორბელიანი თვითონაც შეეძლო მისივე ტერორქვეშ მოხრილი შუშა შეენიშნა. „შუშა ბოქულისა“ 1877 წელსაა დაწერილი, მისი ავტორი კი ჯერ კიდევ 1861 წელს წერდა:

ჩემ დადებესა ვინ იწაღელის, ვინ არის?  
ვის რად უნდა, ლოპიანა ვინ არის?

გრ. ორბელიანის ვ. წ. „ეპიკურული“ ლირიკა გვხვობდას თავისი ლაღი, დარდიმანდული, კოლორიტული კალთით, სასიმღერო ხსიათითა და სიმსუბუქით. როგორც ბუფანს ჰქონია, ეს არაა მარტო ჩვენი პოეტისათვის დამახასიათებელი. მსგავსი ლექსები უწერია მრავალ გენიოსს. ეს არას ერთგვარი ლაღი ლირიკული წიაღსულა იმ დიდი ენობრივი გზაზე, რაც აღსატყვა ძიებთა, ტაფუთა და სიახით.

ვ. კოტეტიშვილი გრ. ორბელიანს უფრო ეპიკურულ პოეტად თვლის, ვიდრე ალ. ჭავჭავაძეს. მართლაც, გრ. ორბელიანი უფრო უღარდელი, ცხოვრების სიახითა მოყვარული და მდიარებელია, ოღონდ უკმაყოფილოა იმ სინამდვილთა, რომელსაც ხედავს, და მას ოზვრას, მის „ველეურ ამოძახილს“ ზოგჯერ ისეთი დანიშნულება ეძლევა, თითქოს უნდა დაფაროს, დახმოს ასეთი სინამდვილის ხმა, თრობამ და

თუნდაც დროებითა თავდავიწყებამ უნდა აგვიონ უწყნარებო ნეტარება, რაც ამშვენებებს ამა სოფელს. ამ დროს მის ხელს მოქმედი წვეტი-ქვეშაი.

წინააღმდეგობა პატრიზმულს უწინააღმდეგობა წლების მანძილზე ამ ფაქტის ლირიკოსისა და მრისხანე მეომრის ისედაც აფორიაქებული გული. ამ პატრიზმულსა და დიდი ზუსტად აღიწერებზე მდგარი პოეტი გვიხვობდას და გვაოცებს თავისი დუფარავი პირდაპირობით, გულახდილობით, ხალასი ბუნებით. არც იმას ფარავს, რომ კახეთის სისხლი აიღო და უამალებს ნელ-ნელა აყრდენებს თავებს, და არც იმიაშნია ურეველოდ, რომ მასაც უყვარდა, თვითონაც ტირილდა და იღვინდა.

კაცი იფიქრებს, ამ კაცში ორა არსება დამკვიდრებულია. ამ ერთი მხარე ლაპარაკობს მოსაჩვენებლად. ან მეორეც, მაგრამ არა, ორბელიანის პოეტურ თუ პაროქიულ სამყაროში ყველაფერი ბუნებრივი და შეუღამაზებელია, როგორც მის პირად ცხოვრებაში. ესაა თვით პაროქიებას, მისი ბუნების გაირებინ, შინაგანი წინააღმდეგობის გამოვლინება უფრო რელიგიურად, ვიდრე სხვაგან ხდება, სადაც საკუთარ პოეტრადეთა თვითონვე ქმნიან ხოლმე ხელეწინარდა.

გრეგორი ორბელიანის მთელი დიქციონარისა ცხოვრების ვა თითქოს ერთიანი ფერულია ამოგონისა, მისი „ხანობისა“ და „ღამატებულობისა“, გენერალ-ადიუტანტობისა და მეფისსაცვლობისა... ამოგონისა ამ ფერულში ზეგ ვხვდებით დაფარულ ნაწერ-წალებს, ცეხილას ღველვებს — მისი პოეტური შემოქმედების მარგალიტებს. ეს უკანატრეცებს, როგორც უფრო არსებითი რამ, და მისი ცხოვრების ფერცლებიც უფრო იმისათვის გადავმალეთ, რომ ამ დიდი პატრიზმის პოეტური ბუნებისათვის მიე-ველვია.

გრ. ორბელიანს ღრმად ესმოდა თავისი დიდი წინამორბედის, შ. რუსთაველის პოემის უდიდესი ისტორიული და მატერული მნიშვნელობა, გარდა ცხოველი მონაწილეობისა ეფუხისტყაოსნის ტექსტის დადგენის საქმეში, იგი ყოველმხარე პოპულარიზაციას უწევდა ამ უკვდავ ქმნილებას, თავიანს სცემდა დიდ შემოქმედს, ვისი ოსურლებაც ძველი დროიდანვე „ეპი მარგალიტი, დავემთა საუნჯეო“.

ვერ დავეთხმებოთ პატრიზმულ მველევარს ვახტანგ კოტეტიშვილს, რომელსაც მაინცა, რომ „ტროგორ ორბელიანი მართლაც ლეგენდამ ბრძოლაში „კახეთის სისხლს იღებდა“, მაგრამ ამ პრიციპში იგი ვხმარებოდა იმ ძალას, რომლის წინააღმდეგაც თვითვე იყო რამდენიმე წლით ადრე აღმართული. იგი შურს იძიებდა იმაზე, რაც იყო ოდესღაც და მკაცრ სინამდვილეს კი ვეღარა ხედავდა. შთა თავისუფლებას არა სთმობდა. მეფის რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკა კი ამ თავისუფლების ვერ დიშენდა. ვის მხარეზე უნდა ყოფილიყო პატრიოტი გრ. ორბელიანის სიმამათები? რასაკვირველია, მთიელების მხარეზე, მაგრამ არა. გრეგორი ორბელიანი მხოლოდ პოეტრად იქცებობდა იმ გმირზე, რომლის ძლიერი ხმაც „პედს დამინებულს“ აღადგენდა.

1 დ. გამეზარდაშვილი, „ალ. ჭავჭავაძე და ქართული რომანტიზმი“ 1948, გვ. 225.

რომელიც „მარჯვენის ერთი დაკრები უსულოდ დას-  
ცემდა ვეშაპს“, პროზაულად კი იმ სახარულ „პრაქ-  
ტიკაში იყო ჩაბმული, რომელსაც „კაცების და-  
ყრობა ჰქვია სახელად“!

ღიბს, ვერ დავეთანხმებით, რადგან პოეტა იმ  
გმირზე, რომლის ძლიერი ხმაც „ზედს დაძინებულს“  
აღადგურდა და რომელიც „მარჯვენის ერთი დაკრები“  
უსულოდ დასცემდა ვეშაპს“, სინამდვილეში ოცნე-  
ბობდა და არა მარტო ოცნებობდა, არამედ ყოველი-  
ვეს აკეთებდა იმისათვის, რომ ეს ასე ყოფილიყო,  
მაგრამ პოეტმა ეს ბულწირველი ბტრიკონები დას-  
წერა 1832 წლის შეთქმულების ჩაყარდნამდე და,  
აღსკანარზე ქაფქაფაძას არ იყენ: „მე ერთმან ერთ-  
გზის ერთს ვუძღვეთ თავი, მასვე ვმორჩებე მტაცოდ  
და მყარად“, გრიგოლ ორბელიანიც მზად იყო სა-  
კუთარი სისხლი დაეხიხა მამულისათვის „დაწატ-  
რა დროთა, რომ აქნდათ ტრფობა მამულისადმი  
გულს აღებდითად“... წერდა იგი და დანატრია  
მათ, „ვინც თავისი სიციქლე თვისა და მამულა შე-  
სწირა მსხვერპლად“. მაგრამ შეთქმულება დამარ-  
ცხდა, მამულის გამოსხნის იმედი, რომელიც ტყვედ  
ჰყავდა ვეშაპს, გაჩქარდა, და იმე ვეშაპსა, ვისაც  
პოეტის სატრფო ჰყავდა ტყვედ, სამკვერო-სასიყო-  
ცლო ბრძოლა გამოუცხადა მათ, ვისი უშუალო მი-  
ზეხთიაც ვაჟიარა პოეტის სამშობლო. ვის მხარეზე  
უნდა დამდარიყო პატრიოტი ორბელიანი? ეს ადგია,  
არა იმ ძალის მხარეზე, ვინც მისი სამშობლოს და-  
მონების მიზეზთა-მიზეზი გახლდათ და ვინც მისი  
სამშობლოს პოლიტიკური სიყველი დააქარა. გრი-  
გოლ ორბელიანმა, როგორც განათლებულმა კაცმა  
და ოფიცერმა. ამ ბრძოლაში პროგრესულ ძალას—  
რუსეთს დაუჭირა მხარი, ეჩინიდან ეს ძალა დაუბი-  
როსპარდა საუკუნეთა მანძილზე საქართველოს და-  
მარბველ, ამწიოკებელ, გამანადგებელ და მისი  
სიყველის მოხურწეი და არა მარტო მათ, არამედ  
დაუბნინიპირდა მთელ მამუადიანურ აღმოსავლელს,  
საქართველოს დაუძინებელ მტრებს, რომლებიც ყოველ  
ხელსაყრელ წამს საქართველოს ვადავლავებს და-  
მობდნენ. არ უნდა დაევიწყეთ ისიც, რომ სწორედ  
გრიგოლ, ორბელიანის პაპმა, რომელმაც ლეკებთან,  
თურქებთან და სპარსელებთან ბრძოლას შეაღია სიცოცხ-  
ლის დღეი, მეფე ერეკლემ აიჩნია საქართველოს ხსნის  
ასეთი გზა და, რაღა თქმა უნდა, ასეთი შერვის ნა-  
მიერს, ზადიშა და ჩამომავალს, თუ არჩევანზე  
მიდგებოდა საქმე, სავალად იგივე გზა უნდა აერჩია  
და აიჩნია კიდევც.

დრომან, შემუსერის მან მოვლერამენ,  
ვერა შემუსრა მის თხზულებანი.  
ლაშქა ხნელთა, ვით მოთვარემან,  
ბრწყინეთი გამოვლო საუკუნეთი.

გრ. ორბელიანი მუდამ აღიარებს, რომ რუსთავე-  
ლი — ერის დიდება და ნუფეია. მის მიერ ჩანეთ

1. ვ. კობტეტიშვილი. ქართული ლიტერატურ-  
ის ისტორია, XIX საუკუნე წიგნი პირველი,  
1965, გვ. 83.

დაკრული ენა ექვსს საუკუნესა“ და ექვსსავე სუ-  
ვემად ექმნა.

გრ. ორბელიანი ქართველ რომანტიკოსთა შორის  
შეიძლება ყველაზე უფრო კლასიციკელი ფიგურა  
იყოსო, წერდა ვერონტი ქიქოძე!

მართლაც, როგორც გიორგებელი პირიგნება, რი-  
გორც ძველი საქართველოს თავგამოღებული ტრფი-  
ანი, მღელვარე, უკომპრომისო პატრიოტი და პოეტა.  
ის სრულიად გამოყვეთილია რომანტიკულ სამე-  
ფოში.

როგორც ცნობილია, ქართველი რომანტიკოსები  
არასოდეს არ განდგომიან რეალურ სინამდვილეს,  
არ მიწყვეტილან მშობელი ნიადაგიდან და მისი აე-  
ვარე. ჭირ-ვარამი მუდამ გულის ფიქარზე სწერე-  
ბიათ.

გრ. ორბელიანსაც სამშობლო ქვედნის დარდა  
უღავადა გულს და უმფოთება გინებას.

ყოველმხრივ დახვეწილი არისტოკრატი, ზვიადი,  
თანაც უღარცად ქუმანური, ზრდილი პოეტა მე-  
ფური სიღრმისაღლით დაამიჯება საყვარელ სამ-  
შობლოში და ოხრავდა თუ ქიფობდა, მუდამ ერ-  
თნაირად უყვარდა მშობელი ქვეყანა. მან დაიარა  
რალაც დიდი, აუნაზღურებელი, და ამ დანაკარგს  
მასტირის დაბადებიდან სიყველიამდე, მაგრამ წუთ-  
საც არ კარგავს წუწუნში, მოქმედების კაცია და მოჭ-  
მედებს კიდევ, როგორც მეომარი, პოეტა, პატრიოტი.  
ქვედნის ბურჯთავანი, ზარდალი, „ავარის ხანი“,  
მთავარმართებელი თუ ინდოეთის დაღამეკარზე მე-  
ოცნებე გმირი. ესაა მარად უკმაყოფილო, ამაყი,  
გვაროვნული დაქვეითებით დაღდასმული დიდი მეო-  
სანი.

ორბელიანს მუდამ შეეძებელი ჰქონდა თავისი,  
როგორც პოეტისა და მამულიშვილის მალაღი ვალი.  
ამას მიწმობს თუნდაც ის მტკიცე მიჯნა, რაც ბუ-  
ნებრივად გაგვლი მის ოფიკიალურ წერილებსა და  
პოეტურ მეგვიდრეობას შორის. აქ მხედველობაში  
გვაქმნა პატრიოტული პოემა „ტოლუმამი“ („სად-  
ღვერს ხილ“).

მისი სიტყვაც ისე მოყვეთილი და მონილითურია,  
რომ ჩვენს გამორწინელ პოეტებს ნება-უნებურად  
გადაულით სხვადასხვა დროს მისი ცალკეული ოქმე-  
ბი და ელრადობა, სხვა ხანაღლე და თავისთავადობა  
მუნიციპალით მათთვის. ცნობილია, რამდენი რამით-  
არის დავალბებელი ნიკოლოზ ბარათაშვილი თავი-  
სი პოეტა ბიძისთვის. აკავი წერეთლის ცნობილი  
სტრიკონი: „ის აღარა ვარ, რაც ვიყავ“ თითქოს  
ნაკვეთია გრ. ორბელიანის „ტოლუმამის“ ეპილო-  
გისაგან: „რაც ვიყავ, ფე აღარ ვარ“.

გრ. ორბელიანის ლიტერატურულ თუ იღვეურ ზე-  
გავლენას ნ. ბარათაშვილზე მრავალი ფაქტი მიწ-  
მობს. ბარათაშვილი „კომნაზისი ვევილიში“ შეიტანა  
პოეტა ბიძის აგრძალული ლექსი „იარალის“, გად-  
მიიღო მისი შებრძოლი, კრიტიკული განწყობი-  
ლება, რაც ასე მალე ჩაინაგლა თვით გრ. ორბელი-

1. ვ. ქიქოძე, რჩეული თხზულებანი, „საბ-  
კოთა საქართველო“, 1963, ტ. 1, გვ. 85.

ანში, მაგრამ გაღრმავდა, გაღვივდა და ამართლდა მისი გენიალური დისწულის გულსა და გონებაში.

თით „ფსალმუნში“ გრიგოლი ზნეობის სიმწინდესა და სიმაართეს ჰადავებს: ვინ ავა მისაა წმინდასა, სადაც ანგელოზები გალობენ ღვთისა დიდებას? პატრონანი, წრფელი აღამიანი, ჳის არ შეეჭო ზაკვას გესლი“, ვინც ამ სოფლის დიდებას მონასხვით არ მისდევს. ვინც ძლიერებას ვაბედულად ამტოვ სიმაართე“ და მასა დაცემულს მისცა ხელი და აღადგინა“. აქ რელიგიურ საფარველშია ვახვეული საიყეთის კრეფი, რაც თავისი პოეტურობითა და შინაარსით დიდად სცილდება რელიგიურ ჩარჩოებს, კერძოდ, ძლიერთა წინაშე სიმაართისათვის ხმის ამაღლება ჩათვლილია უზუნაეს სიყეთედ, და ეს ამ შემოსევებში მემამოზურ სულისკვეთებას უფრო ჰგავს, ვიდრე ქრისტიანულ მოძღვრებას.

„ფსალმუნს“ პროფ. ავ. გაწერელია „პოეტის ზნეობრივი იდეალების გამომავტყლ ნაწარმოებად“ მიიჩნევს“ და ეს მით უფრო უსვამს ხაზს პოეტის მისწრაფებას საიყეთის ხამაზურთაყენ .

გრ. ორბელიანის შემოქმედება შეიძლება შევადართო განთიადის წინ ჩამოწოლილ ბუნდოვან იაღ-კიადს.

ოღეს ვარსკვლავი დილის წინ მსარბოლი  
მკრთოლუკარებს ზეცას ლავერდოვანსა  
და მოსწავებს დღესა ნათელსა.

ჩვენი დროის ლიტერატურულმა კრიტიკამ სავსებით სწორად მიაჩნია გრ. ორბელიანის და მისი შემოქმედების ილიანული დახასიათება, რაც გრ. ორბელიანის აღამიანური ლირსების, აღამიანის ნიჭისა და უნარის აღიარების პრინციპს უწყობდა. ამ პრინციპს ამართლებს გრ. ორბელიანისავე ადრინდელი აფორიზმი, რაც ილიამ „ოთარაათ ქვრივი“ შეიტანა: „მივით ნიჭსა გზა ფართო, თავანისიყენა დღეებებს, ნიჭს აძლევს ზენა მხოლოდ კაცს და არა ვეარნიყელობს“.

ამალი დროის კვირამალზე გრიგოლ ორბელიანმა ძველი დიდებას გახსენებს ისეთი ოხერა ამოყოლა, რომ ლამის ძარღვეში სიხელი გააყენა, მაგრამ ცხოვრება მინც უღმობელი დაფინებით მიდიდა თავისი გზით, და პოეტმაც ძალაუნებურად მიიღო ბერი რამ კარგი, რაც დროს მოჰქონდა.

გრ. ორბელიანმა რამდენიმე პროზაული და პოეტური ნაწარმოების თარგმანიც დაგვატოვა. მათგან „ნალიგაიკოს აღსარებას“ განსაკუთრებული ისტორიული მნიშვნელობა ენიჭება. ლერმონტოვის „მთაწი მალაღნი“, გოეთეს ცნობალი მოყლე ლექსის თარგმანი ქართულად ძლიერ ვაკანაურებული და სუსტია. შედარებით კარგადაა გადმოქართულებული კრილოვის, ვუკოვსკისა და პუშკინის ზოგიერთი ლექსი, თუმცა ასეც რომ არ იყოს, ყოველივე ეს ბერს

ვერსფერს შემატებად გრ. ორბელიანის პოეტურ დიდებას.

გრ. ორბელიანი თავისუფლად ეყიდება პოეტურ თარგმანს, ის ან გადმოიყეთებს, ან თავისუფლად თარგმნის იმ ნაწარმოებებს, რომელთა შინაარსი და განწყობილებაც მისთვის აბლობელია. ასე თარგმნა ვუკოვსკი, ლერმონტოვი, კრილოვი, რილევი. ის იტყვია, როგორც მტკოვე, მოაზროვნე პოეტი, რომელიც თარგმნილ ნაწარმოებს ორიენინალური თხზულების ელფერს აძლევს.

ჩვენი მამანდელი პოეზიის სარბიელი — პირველ ხანებში მინც — ოჯახური და მეგობრული წრეები გასლდათ და იწვე ვრცელდებოდა, ჩვეულებრივ, ხელნაწერებისა და ზეპირი სიმღერების სახით. ამის მიუხედავად, ჩვენი რომანტიკოსების შემოქმედება განსტვალულია არა საალბოში სულითა — და მინასტელოზითი მოტივებით, არამედ ტუმსარიტი მოქალაქობრივი, ვრონულ-პატრიოტული, სოციალური სულისკვეთებითაც კი, და ეს ანიჭებს მათს შემკვიდრობას მრავალმხრივ მნიშვნელობას.

გრ. ორბელიანი, ისევე როგორც ჩვენი სხვა რომანტიკოსები, კარგად იყნობდა ვეროპულსა და რუსულ მწერლობას, მაგრამ არ იყო შებოქილი ვეროპის რომანტიკოსთა თეორიებითა და პრინციპული მოთხოვნებით.

გრ. ორბელიანი, ლალი და თავისუფალი შემოქმედი, სიამოვნებით გაიმეორებდა ვ. პიუტოს ცნობილ საპროგნაში სიტყვებს, „კრომველის“ წინასიტყვაობაში რომ თქვა: „არ არსებობს სხვა წესები და ნიმუშები, გარდა ხუნების ზოგადი კანონებისა, რომელნიც მოიყავენ მთელს ხელოვნებას...“

ამიტომ სრულიად გასაგები ხდება დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში ჩაწერილი სიტყვები: „მინი (გრ. ორბელიანის, ე. მ.) ნაწარმოებები გამსტვალული არიან სამყაროს ნათელი, ოპტიმისტური აღქმით“...

დღეს გრ. ორბელიანის სახელი ცნობილია რუსეთსა-და მის საზღვრებს გარეთაც, უკვე როგორც გამოჩენილი პოეტისა და არა როგორც გენერლინა. გრ. ორბელიანის ლექსები შესანიშნავად თარგმნეს რუსულად სამჭოთა პოეტებმა, ეს. როვდესტერნსკიმ ვ. უსპენსკიმ, ს. შერვინსკიმ, ა. ოსტროვსკიმ, ს. სპასკიმ, ვ. რიმსკი-კორსაკოვმა და სხვებმა. საგულისხმოა, რომ „მუშა ბოქულად“ ვართმმა მთარგმნელმა ს. სპასკიმ, და ლექსს შეუნარჩუნა ის მომიზილათა, რაც ქართულად ურითომდაც აქვს.

გრ. ორბელიანის პოეტური სამყარო ფართო და ამაღლებულია. მისი დიდი მასტაბით აღიარება და პოპულარზაციაც დროის საკითხია. მხოლოდ სამჭოთა სინამდვილეში იღებს სასურველ დასაბამს ჩვენი სახელოვანი მწერლების თარგმნის საკითხი სხვა საღმთა ვნებზე და უფრ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

1 ავ. გაწერელია, რჩეული. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1965; გვ. 89.



ზრივითი მრავალმხრივი კრიტიკისათვის



წლების მანძილზე, ათეული წლების მანძილზე ყოფილა ცხარე მსჯელობა და აზრთა სხვადასხვაობა ჩვენს სასოქოლო პოეტზე.

სასებნით გასაგებია პროფ. შ. რაღინის განცხადება, რომ „გრ. ორბელიანი ლიტერატურის ისტორიაში დღემდე რჩება „სადისკუსიო“ პოეტად“. მკვლევარებს ვერ შეუთანხმებიათ ერთმანეთსათვის მისი ცხოვრება და შემოქმედება, ბიოგრაფია და ლექსები.<sup>1</sup>

აქ პირველ რიგში ვასახსნებელია კ. ამაშიძის თავისებური შეხედულებანი, აგრეთვე კეკელიძის, დი-ნარაიის, ე. იოსელიანის, სიმ. ხუნდაძის, კ. მეძველისა და სხვათა ზოგიერთი სადავო თვალსაზრისი.

ჩვენს მიზანს არ შეაფერხს აქ ვრ. ორბელიანზე არსებული მთელი კრიტიკული ლიტერატურის აღწერება, მით უმეტეს, რომ ამაზე საკმაოდ ბევრი ითქვა პოეტის ბიოგრაფიაში. შევეცდებით მხოლოდ ძირითადად იმის აღდგენას, რაც თავიდან უკანასკნელ დრომდე ამ მიმართულებით თქმულა, ავტორიტეტული და მნიშვნელოვანი.

ხშირად ძველია თანამედროვეებზე ისეთი უტყუარი მსჯავრის გამოტანა, რასაც ისტორია მიიღებს. ბევრი დუმიანბურებად განდიდებული ავტორი მიუცია ისტორიას დაეწივებისათვის, ბევრს სიცოცხლეში არაფრის გავრეხებურება, მაგრამ შთამომავლობას დიდების შარავილდებით შეუმოსავს. დაბოლოს, არიან ისეთი მწერლები, რომელნიც სიცოცხლეშივე აღიარა კრიტიკამ და განსაკუთრებული დანიშნულება მათი შემოქმედებისა სადავოდ არასოდეს გამხდარა.

გრ. ორბელიანის პოეტური დიდებაც მის თანამედროვეთა სიტყვაშივე იღებს დასაბამს. ადრევე იტყვნეს მისი ძლიერება, როგორც ქართული სიტყვის ერთ-ერთი მუდუისა. იყო დავა მის ზოგიერთ ნაწარმოებზე, მის ზოგიერთ პირიველ მხარეზე, ენაზე, შეხედულებებზე, მაგრამ ვრ. ორბელიანის პოეტურ ძლიერებაზე კი არაფერს დავობდა — ჩვენი კრიტიკოსებისათვის ვრ. ორბელიანი იმთავითვე იყო ზეგარდმო სადღით მიჩინებული პოეტა, რომლის მსაგისნიც იმეოთად, საუკუნეში ერთხელ იმადღებინ და იმთავითვე გამოირჩევიან „ერე მოღვემეების თაბუნებდან“.<sup>2</sup>

პროლეტარიატისა და უღარიბეს გლეხობის ხელში ძალაუფლების გადასვლისათვის ბრძოლას, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა აგრეთვე იმას, შეძლებოდა თუ არა მუშათა კლასი თან გაეყოლებინა ჩაგრულ ხალხთა მშრომელი მასები, რომელთა უმრავლესობას გლეხები შეადგენდნენ და რომლებიც ორმეგ ჩავერას განიცდიდნენ. ეს ჩავერა მათ აუცნებდა იმპერიოალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გზაზე.

ბოლშევიკური პარტია ჩაგრულ ხალხთა ეროვნულ განმათავისუფლებელ ბრძოლას განიხილავდა, როგორც სოციალისტური რევოლუციის რეზერვს. იგი თავისი წარმომადგენელი იყო ნაციონალური ჩავერისა და ნაციონალიზმის წინააღმდეგ შეურიგებელი მებრძოლი, ხალხთა თანასწორუფლებიანობისათვის მებრძოლი. პარტია ჩაგრულ ერებს განუპარტავდა, რომ ნაციონალური ჩავერისაგან მათი განთავისუფლების მთავარი გზა შეიძლებოდა უოფიციო მემამულეებისა და იმპერიალისტური ბურჟუაზიის ძალაუფლების დამხობა. პარტია რუსეთის ჩაგრულ ხალხებს მოუწოდებდა, რომ მხარი დაეჭირათ მუშების რევოლუციური ბრძოლისათვის.

პარტიის VI ყრილობის გადაწყვეტილებანი, გამსჭვალული პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, ხელს უწყობდნენ ჩაგრულ ეროვნებათა მშრომელი მასების გადმოყვანას სოციალისტური რევოლუციის მხარეზე.

VI ყრილობის გადაწყვეტილებები, მისი მტკიცე ლენინური ხაზი მუშათა კლასსა და მის პარტიას უნერგავდა სოციალისტური რევოლუციის განხორციელებისა და სოციალიზმის აშენების ურყევ რწმენას.

ყრილობამ მოისმინა პეტროგრადის, მოსკოვის, ურალის, ამიერკავკასიის, ციბირისა და სხვა ორგანიზაციების მოხსენებები.

VI ყრილობის პერიოდისათვის ბოლშევიკური პარტიის ხაზს მიჰყვებოდა უმრავლესობა მთელ რიგ საბჭოებში და საფაბრიკო-საქარბნო კომიტეტებში. პარტიას უდიდესი ავტორიტეტი ჰქონდა ჯარისკაცთა მასაში, უღარიბეს გლეხთა და მოყამაგირეთა შორის, სძლეოდნენ რა უდიდესი სიძლეველნი, ბოლშევიკებმა გამოიჩინეს ბრძოლის არალეგალური და დეკადური ფორმების შეხამების არანევლებრივი უნარი. ბოლშევიკების პარტიის ლოზუნგებს სულ ახალი და ახალი მომხრეები ემატებოდა ქვეყნის ყველა კუთხეში.

არალეგალურ მდგომარეობაში ყოფნის

დროს ლენინს ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია მუშაობა. მას მჭიდრო კავშირი ჰქონდა პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან, რომელიც ლენინს ბოლშევიკურ ბეჭდვით სიტყვაში, ამ პერიოდში ლენინმა დაწერა 80-ზე მეტი სტატია, ბროშურა და წიგნლი. აქვე ლენინმა დაიწყო მუშაობა წიგნზე „სახელმწიფო და რევოლუცია“.

ლენინის მიმართ წაყენებულმა საზიზღარმა ბრალდებებმა და მთავრობის გადაწყვეტილებამ მისი სამართალში მარტობის შესახებ, გამოიწვია მუშათა და ჯარისკაცთა მასების უდიდესი აღშფოთება. ფაბრიკებსა და ქარხნებში ტრაუბოლა მრავალრიცხოვანი მიტინგები და კრებები, რომლებზედაც იღებდნენ საპროტესტო რეზოლუციებს ლენინის დევნის წინააღმდეგ. კრებებზე მიღებულ მრავალრიცხოვან რეზოლუციებში მუშები და ჯარისკაცები მოითხოვდნენ ლენინის დამატიმრების შესახებ გაეცემული ბრძანების გაუქმებას და ერთსულვნად იწონებდნენ ყრბობის გადაწყვეტილებას ლენინის არალეგალურ მდგომარეობაში დატოვების შესახებ.

პარტიის VI ყრილობის რეზოლუციებში მოცემული იყო მიმდინარე მომენტის დრმა ანალიზი. რეზოლუციაში „მიმდინარე მომენტო და ომი“, აღნიშნული იყო, რომ ომის ვაჭიანერება იმპერიალისტებისათვის ხელსაყრელია არა მარტო მოვეების გადიდების თელსახრისით, არამედ აგრეთვე მომწიფების პროცესში მყოფი პროლეტარული რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლის თელსახრისითაც. საშვედრო დიქტატურის შენარჩუნების გზით ბურჟუაზია ცდლობს დაქსაქსოს საერთაშორისო პროლეტარიატის ძალები, შეასუსტოს ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ ომის სფეროს ვაჭართობისა და ომში პროლეტართა მასების ჩათრევის გზით.

რეზოლუციაში დაპარაკი იყო, რომ მხოლოდ მასების რევოლუციური ბრძოლა ყველა ქვეყანაში იმპერიალიზმის წინააღმდეგ მხოლოდ ძლევაშილი პროლეტარული რევოლუცია შეძლებს მივაყვანოს დემოკრატიულ ზევაიმდე.

რეზოლუცია მიუთითებდა, რომ ომის ნამდვილად დემოკრატიული ლიკვიდაციის ერთადერთ საშუალებას საერთაშორისო პროლეტარიატისათვის წარმოადგენს ძალაუფლების დაპყრობა მის მიერ, რუსეთში კი ძალაუფლების დაპყრობა მუშების და უღარიბეს გლეხობის მიერ. მხოლოდ ეს კლასები შეძლებენ კავშირი გაწყვიტონ ყველა ქვეყნის კაბიტალიტბთან და საქმით შეუწყონ ხელი საერთაშორისო პროლეტარული რევოლუციის ზრდას, რომელმაც უნდა მოახდინოს არა მარტო ომის,



არამედ კაპიტალისტური შინაობის ლეკვიდა-  
ცია“.

ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციაში  
„ეკონომიური მდგომარეობის შესახებ“ აღნი-  
შნული იყო, რომ გაჭიანურებულმა ომმა გამო-  
იწვია შრომის ნაყოფიერების დაცემა, წარმო-  
ების დეზორგანიზაცია, სატრანსპორტო ქსე-  
ლის მოშლა, სასურსათო კრიზისი, მზარდი  
უშეუვრობა და საშინელი სიღატაკე.

პარტიის ეკონომიური პლატფორმა, რომე-  
ლიც ყრილობამ შეიმუშავა, ემყარებოდა ლე-  
ნინის აპრილის თეზისების ძირითად დებულე-  
ბებს, რომელთა შორის მთავარი იყო: მემარქ-  
სიზმით მშენების კონფისკაცია და მთელი მიწების  
ნაციონალიზაცია, ბანკებისა და მსხვილი მრეწ-  
ველობის ნაციონალიზაცია, მუშათა კონტრო-  
ლი წარმოებისა და განაწილებისაზე, ქალაქსა  
და სოფელს შორის სწორი გაცვლის ორგანი-  
ზაცია.

წარმოების სწორი ორგანიზაციის საქმეში  
გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა ლო-  
ზუნგს წარმოებაზე მუშათა კონტროლის დაწე-  
სების შესახებ. ამ ლოზუნგით ბოლშევიკები  
რამდენდენ მასებს კაპიტალისტების საბოტა-  
ჟის წინააღმდეგ საბრძოლველად. ბურჟუაზიას  
ყველაზე უმეტად აშინებდა წარმოებაზე მუშათა  
კონტროლის დაწესების ლოზუნგი. ბურჟუაზია  
უცილობდა არააბოზად ექცია ეს ლოზუნგი  
სახელმწიფო კონტროლის ღონისძიებებზე ლა-  
პარაკით, ამ საქმეში მას ეხმარებოდნენ მენშე-  
ვიკები და ესერები, რომლებიც ამტკიცებდნენ,  
რომ თითქმის მუშათა კონტროლის დაწესება  
გამორჩევდა წარმოების მოშლელ ანარქიას.

VI ყრილობის მიერ მიღებულ ეკონომიურ  
პლატფორმას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა  
პარტიის გარშემო მასების დარაზმებისა და  
პროლეტარიატის ხელში ძალაუფლების გადას-  
ვლისათვის ბრძოლაში.

VI ყრილობამ მიიღო რეზოლუცია პროფესი-  
ული კავშირის შესახებ, რომელშიც ხაზგასმით  
იყო აღნიშნული, რომ პროფესიული კავშირე-  
ბი თავის საქმიანობაში უნდა ხელმძღვანელობ-  
დნენ თანამიმდევრული კლასობრივი ბრძოლის  
პრინციპებით, უნდა ეუფადონ ომისა და  
გაბატონებული კლასების ინტერესებისადმი  
პროფესიული მოძრაობის დაქვემდებარების ყო-  
ველგვარი ცდები. პროფესიულმა კავშირებმა,  
როგორც მუშათა კლასის მებრძოლმა ორგანი-  
ზაციებმა, უნდა იქონიონ მჭიდრო კავშირი

პროლეტარიატის პოლიტიკურ პარტიასთან და-  
მასთან ერთად უნდა მოაწყონ წინააღმდეგო-  
ბის გაწევა კონტრრევოლუციისადმი, რომე-  
ლიც ეკონომიურ ნგრევას იყენებს ხალხის  
ფართო მასების სრული დამონებისათვის. ყრი-  
ლობამ დაგმო ყველა მათი გამოსვლა, რომლე-  
ბიც გადაგებდნენ პროფკავშირების ნეიტრა-  
ლობას ამ მოტივით, რომ თითქმის ნეიტრალურ  
პროფკავშირებში უფრო ადვილი იქნებოდა  
მუშათა ფართო მასების მოზიდვა.

VI ყრილობამ გაითვალისწინა რა მუშათა  
ახალგაზრდობისა და მოზარდი მუშების ფარ-  
თო მოძრაობა ახალგაზრდა მუშების დამოუ-  
კიდებელი პროლეტარული ორგანიზაციების  
შექმნის მიზნით, მიიღო რეზოლუცია „ახალ  
გაზრდობის კავშირის შესახებ“, რომლითაც  
ავალდებდა პარტიულ ორგანიზაციებს დახმარე-  
ბოდნენ ახალგაზრდობას სოციალისტური ორ-  
განიზაციების ჩამოყალიბებაში და განემტო-  
ცებინათ ეს ორგანიზაციები, როგორც პარტიის  
რეზერვი.

VI ყრილობამ დაადასტურა აპრილის კონფე-  
რენციის გადაწყვეტილება პარტიული პროგ-  
რამის გადამსრუტისა და ამასთან დაკავში-  
რებით სპეციალური ყრილობის მოწვევის აუ-  
ცილებლობის შესახებ. ასეთი ყრილობის მომ-  
ზადება და პროგრამის საკითხზე ფართო დის-  
კუსიის მოწყობა დაეავალა პარტიის ცენტრ-  
ლურ კომიტეტს.

ყრილობამ მიიღო რეზოლუცია დამფუძნე-  
ბელი კრების საარჩევნო კამპანიის საკითხებზე,  
რომელშიც სხვათაშორის აღნიშნული იყო,  
რომ საარჩევნო კამპანიის პერიოდში დისამე-  
რია ბლოკები და შეთანხმებანი მხოლოდ ამ  
პარტიებთან, რომლებიც ინტერნაციონალიზ-  
მის ნიადაგზე ღვანან და გადაჭრით ილაშქრე-  
ბენ ოპორონცების წინააღმდეგ.

VI ყრილობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონ-  
და ჩვენი პარტიის ისტორიაში, მან ყველა თა-  
ვისი გადაწყვეტილება დაუმორჩილა მთავარ  
მიზანს — მოემზადებინა მუშათა კლასი და  
ულარბესი გულგობა შეიარაღებული აჯანყებე-  
ლათვის, სოციალისტური რევოლუციის გამარ-  
კებისათვის. ყრილობამ მანიფესტით მიმართა  
ყველა მშრომელს, ყველა მუშას, ჯარისკაცსა  
და გლეხს, მოეწოდა მათ მტკიცედ დარაზმე-  
ლიყვნენ ბოლშევიკური პარტიის დროშის გარ-  
შემო და მომზადებულიყვნენ ბურჟუაზიასთან  
გადამწყვეტი ბრძოლისათვის.



ბიორგი კალენაძე

ბიორგი ლეონიძის პროზა

გარეკახეთის სოფელ პატარძელში, მამისეული ორსართულიანი ქვითკირის სახლის ფართო აივანზე გადმომდგარა იგი, ახოვანი, თმაშევერცხილი, სამოც წელს გადაცილებული; ყრმობის მოგონებებში გადასული, ოცნების თვლით გადმოსცქერის ფშატისა და ნუშის ხეივნებში გავლებულ, მშობლიური სოფლის შუაგამკვეთ გზა-შარას. ამ ორმოცდაათიოდე წლის წინათ წუთისოფლიდან წასულ წინაპართა აჩრდილები კვლავ გაცოცხლებულან ხანდაზმული მგოსნის ოცნებაში. ისინი რევოლუციის წინადროინდელი ქართულ სოფელში ცოცხლობდნენ, შრომობდნენ, ებრძოდნენ ცხოვრების უკუღმართობას, გახელებით უყვარდათ სამშობლო, ხარბად ყნოსავდნენ მისი მიწის, ბაღ-ვენახებისა და მინდორ-ველების სურნელს. შემდეგ დაიხოცნენ, მაგრამ ვანა გაჰქრა და შთამომავლობას უკვალოდ დაეკარგა მათი ხსოვნა?! მწერალს მიზნად დაუსახავს აღადგინოს, უკვდავყოს მათი სახეები. და, აი, იგი, მამისეული ორსართულიანი ქვითკირის სახლის აივნიდან გადმომდგარი, ყრმობის მოგონებებში ჩაძირული, უხმობს გარდასული თაობის აჩრდილებს. რა ბევრნი არიან ისინი, რა მრავალფეროვანნი! მაგრამ ამ სიჭრელესა და მრავალფეროვნებაში ოდნავადაც არ იჩრდილება ცალ-ცალკე თვითეული მათგანის მკვეთრად გამოხატული ხასიათები.

როდესაც გ. ლეონიძის მოთხრობებს კითხულობთ, ისეთი განწყობილება გე-

უფლებათ, თითქოს სურათების გალერეაში მოხვდით. გალერეა ვიწროა და ფუნჯის ოსტატის მიერ შესრულებული ექსპონატები უფრო დიდ ღარბაზს მოითხოვს, თუმცა საღებავების სიმკვეთრე და ექსპონატების სწორი განლაგება არ გაგრძნობინებს ამ სიეფიროვეს. ჩრდილში არცერთი ექსპონატი არ არის, ყველა სურათს, ყველა პორტრეტს სინათლის შუქი სცემს.

პირველ რიგში გაცემთ ხასიათების სიმრავლეს. თვითეულ პერსონაჟს აქვს თავისი ორიგინალური სამყარო, სადაც ვლინდება მისი საკუთარი თვალთახედვა, საკუთარი აზრი ცხოვრებაზე, დამოუკიდებულება შრომისადმი, სოციალური გარემოსადმი, სამშობლოსადმი. გვგრძობს ამ პერსონაჟების მხატვრული სიმართლისა და ფიქრობთ: რა მდიდარი და ნაირფერი ყოფილა ჩვენი სოფელი თავისი მადლიანი მიწა-წყლითა და სიციცხლის მოტრფიალად ადამიანებით! ამ ადამიანებს უყვართ თავიანთი ქვეყანა, რომანტიკულად არიან განწყობილნი მისი გმირული წარსულისადმი, მამა-პაპური ადათისადმი; ებრძვიან სოციალური უსამართლობით წარმოშობილ სიღატაკეს, სჯერათ ბედნიერი მომავლისა, მაგრამ გარკვეული გზა მისკენ ვერ მოუხახავთ.

გებადებათ კითხვა: რამდენად ბუნებრივია ამდენი ხასიათის მოქცევა ერთი სოფლის რკალში? ყოველივე მოთხრობილი მართლა სინამდვილეა, თუ მწერლის ფანტაზიის ნაყოფი?

ვეიქრობთ, ერთიც არის და მეორეც, რადგან მხატვარი-შემოქმედი ბუნებისა და ცხოვრების მოვლენათა ფოტოგრაფიული ამსახველი როდია. ხასიათები, რომელიც მწერლის თვალში გარეგანების ერთ-ერთ სოფელში დაინახა, შეიძლება ყველა ქართულ სოფელზე განვაზოგადოთ.

გიორგი ლეონიძის მიერ დახატული პერსონაჟები პოეტური ბუნებისანი არიან. ამ შემთხვევაში პერსონაჟთა ხასიათების გამოკვეთაზე ერთგვარ გავლენას ისიც ახდენს, რომ ავტორი თვითონ პოეტია. მაგრამ ვინც ქართველი გლეხის ბუნებასაც კარგად იცნობს, მას ხელოვნურ გამონაგონად არ მოეჩვენება ლეონიძის მოთხრობათა პერსონაჟების პოეტურობა და მასში ცხოვრებისეულ მხატვრულ სიმართლეს დაინახავს. „პოეტები მხოლოდ ქაღალდზე რითმებით მოლაპარაკენი როდი არიან. პოეტური თვალით, პოეტური გულით და დიდი ოცნებით გასხვიოსნებული, სხვათა ბევრი დაღის დედამიწაზე!“ — ამ შეგონებით თავდება ნოველა „ნატერის ხე“. ერთი ასეთი მეოცნებე, სილატაქისაგან, შიშხილისაგან დაბეჩავებული, ბედნიერების მძებნელი წვრილ-შვილი გლეხის პორტრეტი დაგვიხატა გიორგი ლეონიძემ აღნიშნულ ნოველაში. „გულში ჩადო ხერავანდის ხისა ანუ ნატერის ხის ნახვა და მისი ნაყოფის ჭამა“, რის შედეგად, დარწმუნებული იყო, რასაც ინატრებდა, აუსრულდებოდა, გამდიდრდებოდა. იანვრის ყინვიან ღამეებს უსიერ ტყეში ათენებდა, რომ საოცნებო საწადელისათვის მიედღია, მაგრამ ამაოდ. ერთ დილას, „როცა სიცივეს ჭახჭახი გაუდიოდა, ტყიდან მარხილით ჩამოასვენეს გაფიჩხული ელიოზი“.

ელიოზი არ არის სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ მებრძოლი გლეხის ტიპი. მართალია, საკუთარი ფანტაზიით შექმნილ ოცნებათა სამყაროში მისი გადასვლა ერთგვარი გაქცევაა არსებული სინამდვილისაგან. პროტესტია მის წინააღმდეგ, მაგრამ ამ

გზით მან ვერ დააღწია თავი მკაცრ სინამდვილეს და ბოლოს ექვემდებარება მსხვერპლი გახდა.

ნოველა „ნატერის ხის“ ქარგის ასაწყობად ავტორი მდიდარ ხალხურ ფანტაზიას დაესესხა. მისი საგანძურადან აიღო ქართულ ხალხურ ზღაპრებში გავრცელებული ცნობილი მოტივი ნატერის თვალისა თუ ნატერის ხის შესახებ და მას სოციალური გააზრება მისცა.

თუ ღარიბ-ღატაკ ელიოზს ბედნიერების ძიების ეკლიან გზაზე საკუთარი ფანტაზიით შეთხზული, მიუწვდომელი ოცნების სხივი მაინც უნათებს, შეიღი გოგოს მამას, „სილარიბისაგან გაწყვალეულ, ჯანით მრეთა-მრე, სილარიბის ვერ მომრეე“ თარღიას საბოლოოდ ჩაუქნევია ხელი ცხოვრებაზე (ნოველა „თარღია“), სიზარმაცისათვის წაუხრია ქედი, რადგან სჯერა, რომ ჭაპანწყვეტისაგან მაინც არა გამოუვარა. მწერალი მხატვრის დიდ ალღოს იჩენს, ლაკონური თხრობის ოსტატობას ავლენს თარღიას ხასიათის გამოკვეთაში. თარღიას დილით ცოლი აღვიძებს:

„— აღეჭი, შე დევერხანა, მარტო ამ ჩენი დერეფნის მერცხლისა მრცხვენია, რას იტყვის ჩენს სილარიბზე. ადე, საცაა მზე ამოვიდა!...“

— დედაკაცო, მე ვინა ვგდივარ, მზეს ავასწრო! ჭერ მზე უნდა ამობრძანდეს, მერე მე ავეთიო!“

ასეთი ხალასი, მახვილგონიერი იუმორის მოშველიებით ავტორი ქმნის შთამბეჭდავ, დასამახსოვრებელ სიტუაციებს, რითაც სრულყოფს პერსონაჟის ხასიათს.

ინტერესით ვათვალიერებთ გლეხთა ტიპების გალერეას, რომელსაც ავტორი ახალ-ახალი პორტრეტებით ავსებს. რაც უფრო ღრმად შევდივართ გიორგი ლეონიძის ყრმობის მოგონებათა სამყაროში. მით უფრო თანდათან მდიდრდება მხატვრული საღებავები, მუქდება ფერები, რომლებითაც მწერალი ამ სამყაროს გვიხატავს. ყურადღებას იპყრობს ხასიათების მძაფრი კონტრასტი. ამ ბერხით არის აღწერილი ორი, ურ-

თიერთომიჯნავე, კერძო შესაკუთრე გლეხის „მტრობისა და სიყვარულის ამბავი“ შესანიშნავ მოთხრობაში „ჩირიკი და ჩიკოტელა“. ჩირიკი — მშრომელი, კაცთმოყვარე და გულუხვი, მხიარული ანუ, როგორც ავტორი ამბობს, „პირსიცილიანი“ გლეხი; ღატაკი, მაგრამ არა სხვის ხელში შემყურე; იგი, ჩოხის ძველ კონცეპტში გახვეული, ოცნებითა და სიყვარულით თავს დასტრიალებს ოჯახის იმედს, ერთადერთ პატარა ვენახს. მისი დევიზია: არავინ დაჩაგროს, არც არავის დაეჩაგვრინოს. ჩიკოტელა — ჩირიკის კარის მეზობელი, ისიც ღატაკი, მშრომელი, მაგრამ ადამიანური ბუნებით ჩირიკისაგან სრულიად განსხვავებული. მისი ხასიათის ნათლად წარმოსადგენად საკმარისია გავიხსენოთ მწერლის მიერ მისთვის შერჩეული მრავალი ეპითეტებიდან რამდენიმე: „უსალმო“, „მუდამ უკმაყოფილო“, „მზვამობარი“, „ხელმოჰერლი“, „ავდრიან დღეს უგავდა თავპირი“. მეზობლებთან მუდამ ცუდ განწყობილებაში იყო, მაგრამ ყველაზე მეტად სძულდა ჩირიკი, რომელიც თავის მოსისხლე მტრად მიაჩნდა. ჩიკოტელას სიხარბის გველი შესძრომია გულში და ბოროტების შხამს აწვეთებინებს. იგი მიწის ხარბია, მიჯნაზე ეძალება ჩირიკს. ავად დამთავრდებოდა მათი მეზობლობის ამბავი, რომ ჩირიკის დამთმობლობასა და კაცთმოყვარეობას არ გაემარჯვნა. მოთხრობის ბოლოს სიკეთისა და სიყვარულის აპოთეოზად ქლერს ჩირიკის დედისერთა ვაჟის — კიკრიკოსა — და ჩიკოტელას ერთადერთი ქალის — თეთრუას — შეუღლების ამბავი. ორი პაპა — ორი მძახალი — დიდი მზრუნველობით მოსდგომიან მარჯვნივ და მარცხნივ მათი მერმისის საერთო იმედს, პატარა შვილიშვილს და სიფრთხილითა და სიხარულით დაატარებენ ეზოში. ხოლო როდესაც შრომისაგან დაძალული ჩირიკი ავად გახდება და გარდაიცვლება, ჩიკოტელა, პირზექუდაფარებული, დასტირის მას: „მძახე ძმებულოო!“ ამრიგად, მოთხრობის დასასრულს ჩიკოტელა მო-

რალურად განწმენდილი წარმოსდგება მკითხველის წინაშე, თუმცა, წინა მხანცე დარცხენილია მეზობლისადმი. წარსულში თავისი უკეთური დამოკიდებულებების გამო. ასე წარმოგვისახა მწერალმა ჩიკოტელას სულიერი კათარზისის ისტორია.

მოთხრობა „ჩირიკი და ჩიკოტელა“ ერთ-ერთი საუკეთესოთაგანია გ. ლეონიძის ყრმობის მოგონებათა კრებულში, როგორც კომპოზიციური მთლიანობით, აგრეთვე მხატვრული წარმოსახვის სხვა საშუალებებითაც: მდიდარი ლექსიკით, ხალხური ჰუმორით, ლაკონური თხრობით. მოთხრობის ექსპოზიციურ ნაწილში მწერალი გვაზადებს მთავარ პერსონაჟებთან შესახვედრად. „განა არ იყვნენ ჩვენს დაბაში განთქმული ადამიანები?“ — კითხულობს იგი და იხსენებს „განთქმულებს“:

„შაბაშელა — სოფლის დიაკვანი, პატრონი ულაშახსი, ახალგაზრდა ცოლის ზიზილასი. როცა ზიზილა სადღესასწაულო ქართულ კაბაში მოირთვებოდა, დიაკვანი ორივე ხელს გაშლიდა ცოლის სილამაზით გაკვირვებული და აღტაცებით შეპლადადებდა: „დაჰმარნა ცანი მშვენიერებამან შენმან და ქეზიბითა შენითა აღავსო ქვეყანა! შე კურთხეულის შვილო, რამ გაგაჩინა ეგრე ლამაზი?“

„ქამპურა ქამპურიძე, რომელმაც ქამა იცოდა სანაძლეოზე და უყვარდა ყანწიანობა“...

„თითოშა, ხატს რომ შეწირულ ფულებს ჰპარავდა ნიშიდან!“

„კონდრო — თვალვიწრო და წუწკიძუნწი, ღამ-ღამობით საათის „მიატნიკს“ ჩამოხსნიდა, არ გაცდესო!“

„პროვიზორი ანთა, რომელმაც მეხუთე დღეს ამოაგდო თავისი ფეხსაცმელიდან შიგ ჩამძვრალი, მოგუდული თავი...“

დააკვირდით ჩამოთვლილ პერსონაჟთა თუნდაც მარტო სახელებს.

ეს სახელები გასული საუკუნის 80-90-იან წლებში ქართულ და რუსულ მწერლობაში გავრცელებულ, ხელოვ-

ნურად გამონაგონ სახელებსა და გვა-  
რებს როდი ჰგვიანან. ისინი ხალხის წი-  
აღში არიან წარმომობილნი, ბუნებრი-  
ვად დაბადებულნი. მათში მოვლენათა  
წარა ახსნას, მახვილგონიერებას, და-  
ვირებების სიღრმესა და სილამაზეს აე-  
ლენს ხალხური ჰუმორი. გიორგი ლე-  
ონიძეს ეხერხება ამ ჯანსაღი ხალხური  
ჰუმორის დროულად მომარჯვება სიტუ-  
აციების გასაძლიერებლად, პერსონაჟ-  
თა ხასიათების გამოსაკვეთად, პორტ-  
რეტების დასახატავად.

მოთხრობებიდან, რომლებშიაც ავ-  
ტორმა ხორცი შეასხა საშობლოს სიყ-  
ვარულის თემას, გამოირჩევა „ჩორეხი“. მოთხრობის გმირი, შინგანსწავლული მწიგნობარი, საქართველოს წარსულის თაყვანისმცემელი, არქეოლოგიურ ოც-  
ნებებს გადაყოლილი, დარწმუნებით ქა-  
დაგებს: „ერის დაცემა იწყება იქიდან, სადაც თავდება წარსულის ხსოვნა“. ჩორეხი, თავისი ბუნებით, დიდი რომან-  
ტიკოსია, საშობლოს წარსულზე ფა-  
ნატიკურად შეყვარებული. „ბავშვი ისე არ გაეტირება დედას, როგორც ჩორე-  
ხი მისტიროდა საქართველოს წარსულ დიდებასო“, — ამბობს მწერალი. ცალ-  
მაგი კაცი იყო, აწყყოს მხედრობა არა ჰქონდაო, — აცხადებს ავტორი ჩორე-  
ხის შესახებ, მაგრამ მოთხრობის მეორე ადგილას ჩვენ ეხედავთ წარსულის ცე-  
ცხლით აწყყოს წინააღმდეგ ანთებულ ჩორეხს, რომელიც ფეხს ღონიერად დაკრავს მიწას და ომპაიანად შესძა-  
ხებს: — აღსდგე, საქართველო! ჩო-  
რეხს თუმცა ბუნდოვნად, მაგრამ მა-  
ინც სწამს საშობლოს მომავალი. მას სჯერა, რომ „ისევ დაისხავს ჩვენი ვე-  
ნაზი, ისევ დაგვებადება რუსთაველი, აღმაშენებელი, თამარი...“

მოთხრობის დასასრულს ავტორი შე-  
ნიშნავს: „რატომღაც მგონია, რომ ჩო-  
რეხი არ არის მკვდარი; და სადღაც, შავს ტყეში თუ ძველ ნანგრევში არის შეხიზნული! თითქოს მისი ხმაც კი მომესმის მკაფიოდ; ხანდახან ბინ-  
დისას, ვხედავ შარავზაზე აჩქარებით მიმავალს, თმადამურდულს, აქეთ-იქით

თვალის მიძგერებელს“. ავტორისეული ასეთი განცდა მკითხველზედაც უკავია და-  
დის, რაც ნაწარმოების მხატვრულ შე-  
მეცნებობის სიმლიერზე მეტყველებს.

ყრობის მოვონებებში დახატულ პერსონაჟთა მოქმედების დრო პირველი მსოფლიო ომის პერიოდს ემთხვევა. მო-  
თხრობებში „სახელის მილოცვა“ და „დღეიდა მაიკო“ ავტორი განგვაძღვეი-  
ნებს უაზრო და დამღუპველი ომის მი-  
ერ ქართული სოფლისადმი მიყენებულ მწვავე ჭრილობებს. მაგრამ ორივე ამ მოთხრობის თემატიკური რკალი სცილ-  
დება ომის ამბებს. პირველი პატრიო-  
ტიზმის, მამულისათვის თავდადების მა-  
ღალი იდეით სუნთქავს, ხოლო მეორე-  
ში დახატულია სიცოცხლის დიდი მოყ-  
ვარულის, „ნიავისა და ყვავილების მე-  
გობრის“, პოეტური ბუნების მქონე, სათნოიანი ქართველი ქალის სახე.

ქართველ ხალხს წმინდათა წმინდა ტრადიციად მოსდგამს საშობლოსათ-  
ვის დაღუპულ გმირთა სახელების უკ-  
ვდაეყოფა, იგი ფანდურზე ამღერებს მა-  
მაცთა სახელებს, ხოლო მხდალსა და ბრძოლის ველიდან გამოქცეულს სწყვე-  
ლის და აგინებს. ქართულ ხალხურ საგ-  
მირო სიმღერებში, ლეგენდებსა და თქმულებებში გვხვდება ტრაგიკული სახე დედისა, რომლის შვილმა მტერს ზურგი უჩვენა და შინ სირცხვილიანი დაბრუნდა. ქართველის დედის რისხვა მსგავს შემთხვევებში ყოველგვარ საზ-  
ღვარს სცილდება. იგი შეაჩვენებს. ჰკრულავს და ახლოს არ იკარებს მამუ-  
ლის მოღალატე შვილს. ერთ-ერთი ასე-  
თი თქმულებით ისარგებლა გიორგი ლე-  
ონიძემ და მოთხრობის, რომლის სა-  
თაურია „სახელის მილოცვა“, ექსპოზი-  
ციურ ნაწილში დაგვიხატა დაუვიწყარი პორტრეტი ლასურიძიანთ ზვარამისა. სოფლის თავში მდგარ, ხავსმოდებულ ძველი ციხის ნაშალიდან, ღამით, დანიშ-  
ნულ დროს ჩამორბის თმაქალარა მან-  
დილოსანის აჩრდილი; უეცრად შედ-  
გება, ვილაცას ხელს აუქნევს და მრის-  
ხანებით შესძახებს:

„— არ გაბედო მოსვლა, სირცხვილ-  
ანო, არ მომეყარო!

„ტანაბჯრინი, დახოქილი შვილი  
თავში ხელს წაიშენს, შეპლმუვლებს  
სიმწარით, ისევ უკან გამოიბის ხმალა-  
მოღებული, უტბად შეჩერდება და დე-  
დას შორიდან შეუთქვამს:

— ან შევაკედები, ან მოვალ იმედი-  
ანი!

დედა ისევ კოშკში შევარდება, კარებს  
მოაჩქურებს, მძიმე ურდულს აუგდებს  
და კოშკიდან ისევ გამოსიშის გამწყრა-  
ლი ხმა:

— არ დამენახო, გაბრუნდი, სახელის  
შემრცხვენელო, ავსახელიანო!

იტყვიან, ეს თმაპალარა მანდილოსა-  
ნი ლასურიძიანთ ზვარამზეა, ჩვენი  
სოფლელი, ერეკლე მეფის დროს უცხ-  
ოვრია თურმე. გმირების დედა ყოფი-  
ლა. შვილები მტერს შეპხოციან, ერთი  
ვაყი გამოსვლია მხდალი და დღესაც  
იპას სწუხსო!“

ლასურიძიანთ ზვარამზეზე არა ნაყ-  
ლები ძლიერი სახეა შალიას დედა ჩა-  
ხტაურა. მას ამბავი მიუტანეს ომში შა-  
ლიას დაღუპვისა. არ დაიჯერა, ფოსტა-  
ლიონი გააგდო: „ენამც მოგტყდება,  
ენამცდარო! შალია როდი მყავს მკვდა-  
რიო“. აივანზე ზის და შალიასათვის  
წინდებს ქსოვს. მაგრამ რამდენადაც  
მტკიცე იყო მისი გადაწყვეტილება —  
არ დაეჯერებია შვილის სიკვდილი, —  
იმდენად უფრო შემზარავია მის მიერ  
შვილის დატოვება, სასაფლაოზე, სახე-  
ლის მილოცვის დღეს.

„სახელიანებ საფლავებს გულდიდად  
გადმოვცქერიო“, ხალხური ლექსის ეს  
სტრიქონები წაუმძღვარა ავტორმა ამ  
მოთხრობას. მოთხრობის იდეაც ნათე-  
ლია: „კლდე ჩამოიშლება, ქვაწყარი  
დაირღვევა, არ მოიშლება სახელი“,  
რომელიც ამ ქვეყნად პიროვნების მიერ  
ხალხის საბედნიეროდ წარმოებული კე-  
თილი საქმიანობით, გმირობითა და  
პატრიოტიზმით მოიპოვება.

გიორგი ლეონიძის მოთხრობათა პერ-  
სონაჟები ახლო დგანან მშობლიურ ბუ-

ნებასთან, მის წიაღში ტრიალებენ, მას-  
ზე არიან შეყვარებულნი. მათთვის  
ვთქვით, რომ ეს პერსონაჟები ავტორ-  
რი ბუნებისანი არიან. ვინ ასწავლა დე-  
იდა მაიკოს საიდუმლო ენა ბუნებისა,  
ვინ შთააგონა უბრალო სოფლელ ქალს  
ფაქიზი, ინტიმური სიყვარული მისდა-  
ში.

„რა გითხრა ვარდის დედამა, დილი-  
ლა დედილასა!“ — ალერსით ჩაპკი-  
თხავდა აკვანში ჩაყრულ ჩვილს; „თუ  
შენს გუნებას დილიდანვე მზის სხივი  
არ შეპყვია, ძნელი იქნება ცხოვრება!“  
— შეაგონებდა თავის დისშვილს (ე. ი.  
თვით ავტორს); „აი, შე კამკამა სხივით-  
გაზრდილო!“ — შეესიტყვებოდა ფან-  
ჯარასთან გაშლილ წითელ ვარდს. „იმ  
ადგილის ჭირიმე, სადაც შენ მომავონ-  
დები...“ ქართულ მკითხველს სჯერა,  
რომ მხოლოდ მის ლამაზ ქვეყანას შე-  
უძლია დაბადოს ასეთი დიდი პოეტური  
აღმაფრენის უბრალო, სადა ადამიანე-  
ბი. ავტორი სინანულით შენიშნავს: „რა  
იქმნენ, სად წავიდნენ ეს ალერსიანი  
სიტყვები, ძველად ათასმა მაიკომ რომ  
იციოდა საქართველოში? რატომ აღარ  
ვალერსობთ დღეს ამ სიტყვებით, რა-  
ტომ ჩვენც აღარავინ გვეუბნება, რად  
გავიძარცვენიო, ზომ გვეცოცა უამსტყ-  
ვებოთ!“ გრძობიერ მკითხველს ღრმად  
ჩააფიქრებს მწერლის ეს ნაღვლიანი  
შეგონება.

გიორგი ლეონიძემ აღადგინა რევო-  
ლუციამდელი ქართული სოფლის  
მკვიდრთა მრავალფეროვანი ხასიათე-  
ბი, ახალ-ახალი ტიპებიც შენიშნა და  
ორიგინალური მხატვრული თვალთა-  
ხედვით მოხაზა მათი სახეები. მდიდარ  
ქართულ ლიტერატურაში ზოგიერთს  
ამ ტიპებიდან შეიძლება დაეძებნოს მო-  
ნათესავე ხასიათები, მაგრამ ლეონიძე  
ახალი კუთხიდან, ახალი თვალთ-  
კვრეტს ამ ხასიათებს, ამიტომ მის მიერ  
დახატული პერსონაჟები სრულიად ახ-  
ალ მხატვრულ მოვლენად გვეჩვენე-  
ბიან.

მოთხრობა „ფუფულა“ ერთი ბედდამ-  
წყარი შინაბერა ქალის ტრაგიკომიკური

ცხოვრების ამბავს ეხება. ამ ქალს, კეთილშობილ აზნაურთა შთამომავალს, ახალგაზრდობისას სოფლის ქალიშვილთა შორის სილამაზით ტოლი არა ჰყოლია, რის გამოც მისთვის ფუფალა შეურქმევიათ. უყადრისა ამპარტავანს, საკუთარ თავზე შეყვარებულს, ბევრი კარგი ვაჟეკაცისათვის სიყვარულზე და ცოლობაზე უქმეხი უარი უთქვამს. რაც შემდგომ, ზანღაშვილობის ემს, მარტოხელად დარჩენილს, სამუდამო სანანებლად გახდომია.

მწერალს ბრწყინვალედ აქვს დახატული დიდი ფშატის ძირას, ამაღლებულ ბორცვზე სოფლელი კოორიანების თავყრილობა — სოფლის სალაყბო, სალაყბოსთან ფუფალას გამოჩენა, სოფლის გოგო-ბიჭებისაგან მისი ქირღვა-დაცინვა. „ზედ გზაზედ, ღობესთან, ფშატის ძირას — სოფლის არეობაზე იჭდა ქალთა სინედრიონი. თვალუბედი ჭორელები ქაქანებდნენ. რამდენი ენაც კი არსებობს ამ ქვეყანაზე, ყველა აქ იყო: ენა-მძლე, ენა-გესლი, ენა-ქალარცი, ენა-მორბედი, უკლიტო ენა...

...ბაბაღეს გადმოცემით, სოფლის მზეთუნახავ ნარგიზას ხალი მარცხენა ძუძუს ქვეშ რომ ჰქონდა, ბარე ათმა ბიჭმა იცოდა სოფელში...

— კარგადაც უქნია ნარგიზას! — წარმოსთქვა ნინუცამ, რომელსაც აღარც ერთი კბილი აღარ შერჩენოდა ყბაში და მხოლოდ ენას ალაღლაღებდა...“

ეს ტრაგიკომიკური შინაარსის შემცველი მოთხრობა, თავისი პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით, დიდ ეროვნულ პრობლემას ეხმაურება. საქმე ეხება ქართველი ხალხის მოპაველს, მისი შთამომავლობის გაგრძელებას და გაძლიერებას. მკითხველი გაეცნობა ფუფალას ბედს, მაგრამ მას როდი გაიზიარებს.

წარუშლელ შთაბეჭდილებას სტრუქტურებს გიორგი ლეონიძის მიერ აღწერილი ლხინის სუფრა მოთხრობაში „ღვინჯუა“, რომელსაც პირველ ვარიანტში „დავიწყებული სადღეგრძელო“ ერქვა. ამ მოთხრობის პათოსი არის სოფლის

ყოფა-ცხოვრებითს ფონზე ქართული ლხინის, მისი ლამაზი რწმენის და ღრმა შინაარსის, მისი მარტოხელაობის ჩვენება.

მხატვრული წარმოსახვის სიმღვირვით განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მოთხრობის მეორე თავი, ღვინჯუას ბრძოლა ქარიშხალთან. არ გადავაქარბებთ, თუ ვიტყვით, რომ არა მხოლოდ გ. ლეონიძის, არამედ მთელს დღევანდელ ქართულ პროზაში იშვიათად თუ მოენახავთ გამძვინვარებული ბუნების სტიქიონთან ადამიანის შებრძოლების უფრო მძაფრ სურათს. ბუნების მთელი ძალები, თითქოს, ლხინის სუფრის თავეკაცობაში დამარცხებულ ღვინჯუას წინააღმდეგ ამხედრებულან, რათა შეიპყრონ, გაჰყინონ, დაახრჩონ იგი. მაგრამ ღვინჯუა გაუტეხელი ჯანით, მგლის მუხლით, ნებისყოფის უჩვეულო სიმტკიცით ჯიქურ ებრძვის განრისხებულ ბუნებას და იმარცხებს ამ ბრძოლაში. იქმნება ილუზია: ბუნება გაჯავრებული იყო ღვინჯუაზე, რომელმაც მშობლიური ადათისადმი, „ღვთისა და ქვეყნისადმი“ დიდი ცოდვა-დანაშაული ჩაიდინა, მამა-პაპური ტრადიცია დაარღვია, რადგან ლხინის სუფრის დამაგვირგვინებელი სადღეგრძელოს — საყოველღწმინდოს — შესმა დაივიწყა. ხოლო როდესაც შეცდომა გამოასწორა, ბუნებაც დამშვიდდა; ქარიშხალი ჩადა. მკითხველი ხედავს და განიცდის, თუ რა ძლიერი ყოფილა მამა-პაპური ხალხური ტრადიციის გრძნობა რევოლუციამდელი ქართული სოფლის უბრალო ადამიანში. წაიკითხავთ ამ მოთხრობას, დახურავთ წიგნს, მაგრამ თითქოს კელავ ყურში ჩაგესმით ზამთრის ღამით, თოვასა და ქარიშხალში, მასპინძლის ოჯახში მიბრუნებული, ყინულის ლოლოებით წვერულვაშშეკირხლული ღვინჯუას ლუღლუღი:

— ღვინჯუა ვარ, შენი ქირივე, თქვენი ნათლია! ჩემი ცოდვით საყველღწმინდო დამვიწყებია, მახარეს გორიდან დავბრუნდი, მნელია ღვთის ვალი! ეგებ ან-

ჯამი, ან რქა გამომაწოდო, რომ ჩემი ვალი მოვიხადო!“

ქართულ სოფელს ტრადიციულად მუდამ ჰყავდა თავისი თავკაცი, ჭკუის დამრიგებელი, გზის მიმცემი. აქ ჩვენ მხედველობაში როდი გვაქვს თანასოფლელებისაგან სოციალური თუ სხვა რაიმე უფლებრივი პრივილეგიებით გამორჩეული პირები, რომელთაც სოფლის ხელმძღვანელობა ოფიციალურად ჰქონდათ დაკისრებული. არა, სოფლის თავკაცად აღიარებული პიროვნება განსხვავდებოდა თავისი მეზობლებისაგან, სოფლის უბრალო, რიგითი ადამიანებისაგან ჭკუა-გონებით, ცხოვრების გამოცდილებით, სიღინჯითა და სიღარბაოსლით. იგი არავის მიერ არ იყო არჩეული სოფლის ხელმძღვანელად, მაგრამ მას სოფლის მოსახლეობა ჭკუის მასწავლებლად თვლიდა. ჭირში, თუ ლხინში მასთან მიდიოდა და სამეურნეო, თუ ყოფითი ხასიათის საკითხებში მისგან რჩევა-დარიგებასღებულობდა.

„ჩვენი სოფლის შარაზე დარბაისლური, მხნე ნაბიჯით მოაბიჯებდა გრძელ, ჩერქეზულ ჩოხაში გამოწყობილი ახოვანი, ბრგე, სახიერი, თეთრულვაშა ციციკორე — სოფლის დარბაისელი თავისი განუყრელი ყურძნის ლიტაო ჯოხით“. ამ სტრიქონებით იწყებს მწერალი მოთხრობას, რომელშიაც მას მიზნად დაუსახავს მშობლიური სოფლის თავკაცის პორტრეტის დახატვა და შესანიშნავადაც შეუსრულებია თავისი განზრახვა. მოთხრობა „ციციკორე“ 1961 წელს უფრო „მნათობის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა სათაურით „კონსერვატორი“. მოთხრობის ზემოთმოტანილ, პირველსავე, სტრიქონებში მოხაზულია პორტრეტის მთავარი კონტური. იქმნება შთაბეჭდილება: პორტრეტის გარეგნული მონახაზით მხატვარმა თითქოს ყველაფერი თქვა, მაგრამ ციციკორე, თავისი ხასიათით, რთული პიროვნებაა. ამაში ჩვენ თანდათან ვრწმუნდებით, რაც უფრო ახლო ვეცნობით მის ადამიანურ თვისებებს, მის ცხოვრებას, მის

უცნაურობას, მენტორულ დამოძღვრებას.

არქანდელა

ციციკორე ბაქრაძე ზოგჯერ მორალის კანონმდებლად გვევლინება, მაგრამ თუ, ერთი მხრივ, თავისი კეთილშობილური, პატრიოტული მზრუნველობით იგი თანასოფელელთა იმედია, მეორე მხრივ, თავისივე ჩამორჩენილი, კონსერვატული ბუნებით, არა თუ წინ სწევს სოფლის ცხოვრებას, არამედ პარიჩით, ამუხრუჭებს მას. „ყველას ჭკუას არიგებდა და ყველა გმინავდა მისი არამკითხველ კირთების ქვეშ“. სოფელს არ გასცილებოდა, ქალაქში ერთხელაც არ იყო ნამყოფი და ამით ამაყოფდა კიდევ. უყვარდა ყველაფერი ძველი, ივეითა და სიძულვილით ხედებოდა სოფელად ყველა ახალ წამოწყებას. ამ მხრივ იგი ერთგვარად ენათესავენა ჩხოვის გმირს. ვერ ამჩნევს, რომ ცხოვრება წინ მიდის და საჭიროა ადამიანმა ფეხი აუწყოს მას. ახალ ყოფას ახალი მორალი უნდა. და, აი, ციციკორე საჯაროდ ილაშქრებს კახეთის რკინიგზის გაყვანის წინააღმდეგ, მაგრამ საშინლად მარცხდება. გამოდის თბილისის მუშათა გაფიცვების ერთ-ერთი ახალგაზრდა მონაწილე და სიტყვას უბრუნებს „სოფლის მერჯულეს“:

„— ძია კაცო, შენ ვინა გკითხავს სოფლის საქმეს, რა პირისა და პასუხის გამცემი შენა ხარ? ქვეყანა წინ წავიდა, შენ კი ადამის ეამის ამბებს გველაპარაკები!..“ ეს იყო სასტიკი დამარცხება ციციკორესი. ამის შემდეგ სოფელში თანდათან დაეცა მისი ავტორიტეტი. „სოფლის უმანკო წიაღში აღზრდილს, მისტიური შიში ჰქონდა ქალაქის ცივილიზაციისაო!“ — შენიშნავს მწერალი და ციციკორეს სიკვდილიც მოთხრობაში სიმბოლურად არის დაკავშირებული სოფლად ცივილიზაციის შეჭრასთან: „1915 წელს, კახეთის პირველმა მატარებელმა იორის სიდგურიდან რომ შეჰკვივლა პატარძელის მიდამოებს, სწორედ იმ ხანად ჰმარხავდნენ ციციკორეს“.

მოთხრობებში „სოფლის შარაზე“,



„სამთო საბალახე“ ისმის ახალი დროის სუნთქვა. ყოფილი სემინარიელი, ანარქისტი იორამი, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ამხედრებული, მოახლოვებული რევოლუციის ქარიშხალზე, ნგრევაზე, გილიოტინაზე ოცნებობს, იორამის სტიქია ბრძოლაა. იგი წინააღმდეგია ყველაფრის, რაც ადამიანის პიროვნებას ზღუდავს. ორგანიზებული რევოლუციური ბრძოლის მას არა ვაეგებო-რა. ვზის ყურეში იჭერს ნოფლელ ბავშვებს და კარნახით ამეორებიანება: „ძირს მეფე, ბატონი, მღვდელი, პოლიციელი!“ — ავტორს შესანიშნავად აქვს დამუშავებული სოფლის შარახე იორამის შეხვედრის სცენა მღვდელ ზირაქთან. ანარქისტი წინ გადაუდგება მღვდელს და ბოხი ხმით შესძახებს:

— შენ, ჰეი, მღვდლო, მითხარ, რამ შექმნა ქვეყანა?

— ღმერთმა, უფალმა, ფაცხად მიუგებს მღვდელი...

— კარგი და პატიოსანი! მაგრამ ესეც მითხარ, მღვდლო, ვინდა შექმნა ძონძი, ჭუჭყი, ჭლეჭი, ტალახი, ხომ შენმაც ღმერთმა, არა?

— ღმერთს სცოდავ, ჯოჯოხეთის ნახეთქო!...

— ნახვამდის, მამო, მალე შენი თმიანი თავი გილიოტინის ცულქვეშ მშენახოს!“

რევოლუციამ დასწყვიტა. არტახები ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობისა. მოსპო სოციალური უთანასწორობა. ქვეყნის მიწა-წყალი საზოგადო საკუთრებად აქცია. ნათავადარი ყადორი გოდებს:

„წაიღეს ჩემი მამული! სამართალია?... ორი ათასი წელიწადია, ჩემი გვარი თავადობდა! რამდენი იყო ჩემი გვარისა — კაცი, ქალი!.. ყმები ჰყავდათ, მთა-ბარი ჰქონდათ, შეირგეს წუთისოფელი ზომიანზე მეტად და ახლა ამისთანა საწყალ მოხუცის წელზე უნდა გადატყდეს ჯოხი? მათი ცოდვები მერათ უნდა ვზიდო, მარტოღმარტომ? ცოდვა არა ვარ? სამართალია?“ („სამთო საბალახე“).

ავტორს ორიგინალურად აქვს გააზრებული ამ მხატვრული ეტიუდის ფინალი. უეცრად ამოვარდნილი ქარიშხალი, სეტყვა და მეხისტეხა სიმბოლურად რევოლუციის ქარიშხალზე მიგვანიშნებს. ბუნების ბობოქრობა, სახურავზე სეტყვისა და ხორხომას ხმაური, კრამიტების მტვრევა, — ნთქავს, ახშობს ყადორის სიტყვებს, მისთვის აღარავის აღარ სცალია. დგას უფლებაყრილი ნათავადარი დაბის დუქანში ქიქა ღვინით ხელში და ჩივის, თუ რატომ უნდა გადაიტანოს მან, მარტოღმარტომ ორი-ათასი წლის ცოდვა თავისი გვარისა და პასუხს ვერ ღებულობს. „ორგვლივ ყველაფერი ილეწებოდა, ვის ეცალა ყადორის ცოდვებისათვის?“

ყრმობის მოგონებათა წიგნი „ნატვრის ხე“ ჩვენ სურათების გაღერებას შევადარეთ. შევედით ამ გაღერებაში და დავათვალიერეთ მთავარი ექსპონატები. მაგრამ განა შეიძლება უყურადღებოდ დაეტოვოთ დანარჩენი პორტრეტები! თუნდაც სოფლის მშვექალი, სათნო მარიტა, ბუნების მიერ ღვთიური სილამაზით უხვად დაჯილდოებული, „ნიავე ვერხვში შეხიზნული“, რომლის შესახებ მწერალი ამბობს: „მარიტას მერე მე აღარ გამკვირვებია არც ყინცივისის ფრესკა, არც არმაზელი ტურფა სერაფიტა“. მკითხველს აჯადოებს მარიტას მშვენიერება, მაგრამ ზარავს მისი ხვედარი, მისი ცხოვრების ტრაგიკული ფინალი (მოთხრობა „მარიტა“).

აი, სოფლის სინდისი, მისი ალალი ამგადარი, ქვეყნად პურის მომყვანი, ოთხმოც წელს გადაცილებული გლეხი ნინია, სამოცი წელიწადი გუთანს რომ ეკიდა, სიბერისაგან მისუსტებული ჩივის: „ახლა ნაცარმტვერი უნდა გავხდე?“... (ესკიზი „მოხუცი გუთნისღედის სიკვდილი“). ამ სიტყვებში არის სიკვდილის გარდუვებლობის გამო განცდილი უსახლდრო სევდა.

შემდეგ, ბეჩავი, უწყინარი, გაორებული ბუნების ადამიანი იაგორა, ახალგაზრდობაში სოფლიდან ქალაქს გადახვეწილი, ქალაქში ორმოც წელს მეეტ-



ლედ რომ მუშაობდა, ხოლო მოხუცებაში „მიწამ მოიყიბო“, მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა, სადაც მალე საშინელი მარტობა იგრძნო, მოსწყინდა სოფლის ტალახი და სიღარიბე, მოსწყინდა სიცოცხლე და თავი ჩამოიხრჩო („მეტელე იაგორა“).

მეყანწიშვილი ქაშპურა — „პერმარილის ტბილი მამა“, კუჭის მონა, ქაშა-სმით გაუმაძღარი, თვითონ ღარიბი, სხვის სახლში სტუმრის დიდად მოყვარე, „ლობიოს დაუჯდომელს“ რომ წაიკითხავდა ხოლმე დიდი გატაცებითა და სულიერი ტკობით: ახლა მკვდარი, დამიწებული, საფლავიდან კვლავ უსმელ-უქმელობაზე ჩივის:

სიყვდილო, შენ დაწყვედილო,  
უცაბედად მიგვე მატე.  
პერმარილის ტბილი მამა  
რა უქმელად დაეიწარე. („ქაშპურა“).

დალაქი ბუნებულა ფარსმანიშვილი — წერილშვილის პატრონი, რომელიც შეკითხვაზე — რას აქმევ, რითა ჰქვებავ შეილებსო, — უპასუხებდა: „სამართლებლით! ფიქრით სოფელი გადავაბნელე! ბედის ბედაური გავაქენე და ეს მერგო საწუთროშიო!“ („ბუნებულა“).

აი, კიდევ, სოფლის საკეთილდღეოდ თავდადებული ფანტაზიორი — ფორე, მუხათწყაროში ნიშარქელის წყლის გაყვანაზე მეოცნებე, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე ამ ოცნებას შეაღია: შემდეგ დაბრმავდა და თავის ეზოში ჯოხით მოსიარულეს მაინც სჯეროდა, დადგებოდა დრო, როდესაც მის ნატვრას ხორცი შეესხმებოდა, მის ოცნებას საქმიანი თანამგრძობი გამოუჩნდებოდა. ამ იმედით წავიდა იგი ამ ქვეყნიდან („ნიშარქელის წყალი“).

ჩვენი დროის სინამდვილემ ბევრი ფანტაზია საქმედ აქცია. მოთხრობის ბოლო სტრიქონით „ნიშარქელი კი მხოლოდ წრელს ჩამოვიდა მუხათწყაროში“, ავტორი დღევანდელი დღის რეალურ სინამდვილეზე მიგვანიშნებს, კერძოდ, თავის მშობლიურ სოფელ პატარქელში წყლის გაყვანაზე, რომლის განხორციელება მხოლოდ

ჩვენს დროში გახდა შესაძლებელი და ამ სახალხო საქმის ინტერესში წამო-  
თავე თვითონ გიორგი ლეონიძე იყრ.

გიორგი ლეონიძის ყრობის მოგონებათა პერსონაჟები მკითხველის მეხსიერებაში რჩებიან. მათ შესახებ ჩვენ, თითქოს, წიგნში კი არ წაგვეკითხოს, არამედ, საკუთარი თვალით გვენახოს. ახლო ნაცნობობა გვეკონოდეს მათთან. ეს გარემოება ამ პერსონაჟების მხატვრულ და ცხოვრებისეულ სიმართლზე მიგვიბრუნებს. ახლებური, მხოლოდ ლეონიძისებურია მისი პოეტური, ლირიკული თხრობა, მხატვრული წარმოსახვის ხერხები, პერსონაჟთა ხასიათები. გ. ლეონიძის ყველა მოთხრობას, ნოველას, ეტიუდსა თუ ესკიზს ერთი საერთო ლირიკული გმირი ჰყავს. ეს არის თვითონ ავტორი, რომელიც დიდი თანაგრძნობით, სიყვარულით, ფაქიზი გრძნობებით ეფერება, ეალერსება თავის გმირებს. სუსტი, მანკიერი თვისებები ზოგიერთი პერსონაჟისა ავტორში მათდამი მხოლოდ სიბრალულს იწვევს. რადგან მან იცის, რომ აღამიანის ბუნებაში მანკიერების ყოველგვარ გამოვლინებას თავისი გამომწვევი, სათანადო ობიექტური მიზეზები გააჩნია. ვეჭრობთ, თვით უაღრესად კაცთმოპულე ზედღიასადმიც კი (ნოველა „ხვედია“), ავტორი სიბრალულის გრძნობით უფროა გამსჭვალული, ვიდრე სიძულვილით.

გიორგი ლეონიძემ თითქოს ქართულ ხალხურ ზღაპრებში მოხსენიებული ჯადოსნური სარკით ნახევარი საუკუნის მიღმა გადაიხედა და რეოლუციამდელი გარეგანების მხოლოდ ერთი სოფლის, კერძოდ თავისი მშობლიური პატარქელის, მკვიდრთა საინტერესო, მრავალფეროვანი, ზოგჯერ უცნაური ხასიათები დაინახა და წარმოგვიჩინა. ჩვენ უკვე გავეცანით ამ ხასიათებს. ახლა ორიოდ სიტყვა მხატვრული წარმოსახვის იმ საშუალებათა შესახებ, რომელთაც ავტორი ამ ხასიათთა გამოკვეთისას მიმართავს.

ხალხური მეტყველება, მაღლიანი

ქართული ხალხური სიტყვა, მისი ჩინებულ მომარჯვება მხატვრული ჩანაფიქრის ხორცშესასხმელად, — არის უპირველესი ნიშანდობლივი თვისება ყრმობის მოგონებათა წიგნისა. ავტორი უხვად იყენებს ხალხური მეტყველების არა მარტო მდიდარ ლექსიკას, არამედ, აგრეთვე, ხალხურ სხარტულ გამოთქმებს, იდიომებს, ფრთიან ფრაზებს, ხალხური პოეზიის ნიმუშებს. ხალხური მხატვრული მეტყველების მრავალფეროვან ნიმუშებიდან, რომლითაც ავტორს უსარგებლია, ბევრი რამ მკითხველისათვის სრულიად ახალია და მას ზეპირსიტყვიერების დღემდე გამოცემულ ვერცერთ კრებულში ვერ შევხვდებით; იგი პირველად მხოლოდ ლეონიძისაგან გვესმის, ხალხური სიტყვიერების ლეონიძისეული ფონდია. ეს გარემოება ამდიდრებს და ახალ ელფერს აძლევს ლეონიძის პროზას.

წიგნი „ნატურის ხე“ იხსნება დღისადმი მიძღვნილი, გულში ჩამწვდომი შეგონებით, რომლის პირველივე სტრიქონი ავტორის მხატვრული კონცეფციის ერთგვარ გასაღებს წარმოადგენს: „დედის ჩაწვეთებულ ცრემლზე ია ამოდისო! — ასე იტყოფნენ ჩემს ყრმობაში“. ლეონიძისათვის იის სისპეტაკე ქართველი დედის სინდის-ნამუსის, მისი მადლი ზნეობრივი სიწმინდის სინონიმია. ავტორი ვასცქერის მშობლიური სოფლის მიდამოებში უხვად ამოფეთქილ იებს; იასავით სპეტაკი დედა მყავდაო, სიამაყით იგონებს და ნაღვლიანად წამოიძახებს: „უპ, რამდენი უტირნია დედაჩემს!“ დედის მადლი და შთაგონება თანა სდევს ყრმობის მოგონებათა წიგნის მთავარ ლირიკულ გმირს — მის ავტორს. დედის ხსოვნისადმი მიძღვნილი მთელი წიგნი, რომლის ცალკეულ მოთხრობებში ლეონიძე ხატავს იის სისპეტაკით შემკობილ ქართველ დედათა პორტრეტებს. ასეთებად წარმოსდგებიან: აჩრდილი ლასურიძიანთ ხვარაზმისა და ჩახტაურა („სახელის მილოცვა“), დედა მაიკო (ამავე სახელწოდების ნოველიდან), ნინორე (მოთხ-

რობიდან „ხვედია“), თოთოლა (მოთხრობა „თარღიას“ პერსონაჟი), თაშნეჭრა („ჩირიკი და ჩიკოტელა“) და სხვ.

გიორგი ლეონიძის პროზას ახასიათებს ლექსიკური სიმდიდრე, სიტყვათა უხვი მარაგი. მას არა მარტო პოეზიაში, პროზაშიაც არ შეუძლია გულგრილად წარმოსთქვას ეშხიანი ქართული სიტყვა. იგი მიმართავს სახელთა გაზმნურებას და ახალი, ორიგინალური ეპითეტების წარმოქმნას. „ნამქრმა გამუშტა ღვინჯუა“; „ბორბალა ქარი უფრო ბასრმჩხელეტობდა“; „ნინიამ ამრეშილი ყანები შეისაყვარლა“; „ამ ზვირთებიდან ჩემი ყრმობა მეციმიციმება“; „დრო ჩამოიძაფა“; „წუთისოფელს ვესურვილები“; „ცა უეცრივ გაპირბნელებულიყო“; „ვენახის მიჯნისათვის ევინჭრებოდა ჩირიკს გულნამცეცა ჩიკოტელა“; ოში დაღუპული შალისა დედა „გაშავებულ ხატს შეეკვნესებოდა“; „ბროწეული ამოვარავრებულიყო“ და სხვ.

ყურადღებას იპყრობს საგანთა თუ მოვლენათა თვისებების გადმომცემი ახალი, ორიგინალური ეპითეტები: „შუქელვარა“ (დილა), „ვერცხლურა“ (იორი), „ალავარდნილი“ (ვარდები), „დაიისფერებული“, (ზვირთები), „თავკარავიანი“ (ყაყლები), „მზევარდამომავალი“ (პატარძალი), „თვალზე ნისლწაკრული“ (ნათავადარი), „მუცელმერთა“ (თლოშიაური), „გაშალაშინებულ ტბა“, „ჩანაბასრი სიტყვა“, „თვალმცეცხლი“ (შალია), „ფამფარა ბალახი“, „ბუღრუგანა ვენახი“, „მუხლადი ბუდაური, მაძლარი სიტყვა“ და სხვ.

მხატვრული შთამბეჭდაობის გაძლიერების მიზნით, გიორგი ლეონიძე მიმართავს ერთი და იმავე მოვლენების მრავალმხრივი ნიუნსირებით წარმოსახვას.

„ბორჯი, უსმინარი, აღმართი კაცი იყო ხვედია. ვის არ ახსოვს ჩვენ სოფელში უკეთური, გულდორდიანი, ღვარძლია, ჭინჭკულიანი, ენიდან შხამის მდენელი“ („ხვედია“); „ენამთვრალი, ლიკლიკა, როხილა, თავჭარა, ყალაღანა, ქათათა“ („ღვინჯუა“); „გრიგალი ზეი-

მობდა, ქარი-ქარელი ბღღვირს აყენებდა, წიწმბობდა, აფთარივით კბილებს აღრქიალებდა“. (იქვე)

სიტყვისადმი ალერსი-ტრფიალი, მისი ეშხით ანთება-გატაცება უაღრესად პოეტურ ელფერს აძლევს გიორგი ლეონიძის პროზაულ ქმნილებებს. ამ გარემოებას აქვს თავისი ორი მხარე: ერთი, და რაც მთავარია, დადებითი — ლირიკული, სხარტული, მკითხველზე ავტორის განწყობილებათა გადამღები პათეტური თხრობა; მეორე მხრივ, იქმნება საფრთხე ლამაზსიტყვაობით ზედმეტი გატაცებისა, რაც თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც შეინიშნება გიორგი ლეონიძის მოთხრობებში.

ხალხური მეტყველების მაღლით საზრდოობს ლეონიძის მხატვრული სიტყვა. მწერალი უხვად იყენებს ხალხურ ჰუმორს, ფრაზის მოქცევებს, იდიომებს, სხარტულ თქმებს, ხალხური პოეზიის ნიმუშებს.

გიორგი ლეონიძე, როგორც ძვირფას ჩუქურთმას, გამოცდილი სკულპტორის ხელით ძერწავს მხატვრულ დეტალს, რომ იგი გზადაგზა თხრობის პროცესში შეიტანოს, ნაწარმოების მთლიან მხატვრულ ჩანაფიქრს მიუსადაგოს. და ეს ჩუქურთმები მეტწილად იმდენად ხიბლავს და იტაცებს მკითხველს, რომ ეს უკანასკნელი აღარ ფიქრობს მოთხრობის სიუჟეტის განვითარებაზე, ნაწარმოების კომპოზიციურ მხარეზე, რაზედაც ზოგჯერ ავტორსაც შენელებული აქვს ყურადღება. ზემოთ, ცალკეულ ნაწარმოებთა განხილვისას, ოსტატურად დამუშავებული მხატვრული დეტალების რამდენიმე ნიმუში უკვე გვქონდა მოტანილი. გავიხსენოთ ერთიც: პატარა ეპიზოდი მოთხრობიდან „სოფლის შარაზე“. ანარქისტი იორამი „აბორგებულნი და დაუდგვარი ბუნების“ კაცია. მას ყოველგან და ყველადღერში რევოლუცია ელანდება. „კლდეზე გადაეჩნებ თვითმპყრობელობას!“ გაიძახის იგი, მაგრამ რევოლუციაზე, თავისუფლებისათვის ბრძოლაზე მეტად ქაოტური წარმოდგენა აქვს. იორამის ასეთი ბუნება შესა-

ნიშნავად არის გახსნილი მხატვრულ დეტალში. „ერთხელ, მასსოფს აიწიანზე წიგნს კვითხულობდი. გაკარგვარებული შუადღე იყო. ვხედავ, აიწიანზე ამოვარდა ავზნებული, თვალეგაფართოებულნი იორამი და შემომყვირა:

— კაცო, არ გესმის?

— რა?

— მიწის ქვეშიდან ხმა ისმის! აბა, ჩამოდი, ყური დაადე მიწას! — და ძალით ჩამომათრია კიბეზე.

— აბა, ყური დაადე, როგორ გუგუნებს ხომ იცი, რასაც ნიშნავს?

— რასა?

— იმას, რომ მოდის... მოდის!

— ვინა, ვინ მოდის?

მოდის, გუგუნით, ქექით, ძლიერებით მოდის — რევოლუცია!“

ლამაზი, სხარტული თქმები, მეტ ინდივიდუალურ ელფერს აძლევს მწერლის ორიგინალურ ხელრთვას, მხატვრული სიტყვის ბუდექართულობას. „შეღეთის გარეგანო, ურჯულო, უკეთურო, მწარედ ცოდვილო, გაქსუებულო, საქართველოს დამშლულო, დამაქცევილო! ჩემი ცოდვის პასუხი შენ გაეცი!“ ეუბნება ჩორეხი საიდუმლოს გამცემ, მამეზღარა მღვდელს ზირაქს. ხოლო როდესაც საუბარი თამარ მეფეზე ჩამოვარდებოდა, ჩორეხი „გზნებით აღიგზნებოდა: — ჯერ გული გავიწმინდოთ, სიტყვა მოვილამაზოთ, მერე ისე ვახსენოთ ჩვენი ლამაზი დედაო“... მეოცნებე ელიოზზე, რომელიც ივრის ტალღებში ბედის თევზს, ნათელთევზას, დაეჭებდა, მწერალი ამბობს: „მოჩხრიკა, ამოხაბა იორი, დაღალა ბადე“, „კლდეთა ამონაყარ მიწაში ჩასვენდა მარიტა. მიწას არ შერცხვა, მაგრამ ბალახი მიწაში ჩაძვრა სირცხვილით“. „თამადამ სიტყვა ჩასო მარგალიტში“. ეს თამადა გახლავთ ლხინისა და ნადიმის მგოსანი, გლეხი ღვინჯუა, რომელსაც ავტორი ღვინის საიღებელ დითირამბს ასე წარმოათქმევინებს: „ყველა ვინმე გულ-ქუქუიანი... მშობის გამტეხი, პურუხვედრი არ არის ღირსი ღვინის სმისა! ღმერთმა ღვინო სალხინოდ მოგვცა, სა-



ნადიმოდ, სამეგობროდ, განა ჩხუბისა თუ კაცის კვლისათვის? ღვინო ქართველი კაცის ხმალია“. ბროწეულის ყვავილის შესახებ ლეონიძე ამბობს: „მზის ნაბადებია: მის კოკორში დაგუბებულია სხივთა ნაგალობარი; შიგ ჩაწერილია ანკარა სხივთა რაკრაკი; მზისობა უჩანს თვითეულ ნაკვთში. ყვავილი კი არა, მზის ნაკადულის კამკამია! — ასე იტყვის გულისმყოფელი“.

ყრმობის მოგონებათა წიგნში გაფანტულია ხალხური სიტყვიერების საგანძურადან ამოკრეფილი მარგალიტები, რომლებიც ორგანულად არის შერწყმული ავტორის მხატვრულ მეტყველებასთან! „ირემმა ირემს ბალახი მიუშვირაო, განა თუ გაკლიაო! შეიძლება ღარიბები ვიყვნეთო ბალახზე, მაგრამ მდიდრები უნდა ვიყვნეთ სალამზე!“; „სხვას სხვისი მკედარი მძინარე ეგონაო“; „ქირი არ წავა უქიროდ, თუ ქირის დედა მთელია“ („ჩირიკი და ჩიკოტელა“). „კარგი თამადა სახლს პატივად შეემატება“. „დილის საუზმე ცოლის მზითვეს სჯობაოა“. „გზა ყვის წამავალისაო“. „დედამა ჰკითხა მზესაო, — ქვეყანაზე ბეჩავი რა გინახაო? — გასათხოვარი ქალი სახლშიო და სიდედრი სიძის კარსაო!“ („ღვინჯუა“).

მოთხრობებში „მარიტა“, „ციციკორე“, „ჩორები“, „კამპურა“, „სახელის მილოცვა“, „ორი შემოხედვა“, „ფუფალა“, უხვად არის გამოყენებული ხალხური პოეზიის ნიმუშები, რითაც მწერალი აძლიერებს პერსონაჟთა ხასიათების წარმოსახვას, მოვლენებისა და სიტუაციების შთამბეჭდაობას. სოფლის თავკაცი ციციკორე ახალგაზრდობას გმირობისა და ვაჟკაცობისაყენ მოუწოდებს; მეფანდურეს სააშიკო ლექსებს უწუნებს, საგმირო ამოსთქვიო. „აწანწკარებ მაგ ფანდურს და ის კი არ იცი, რომ ჰკუა და გონება მოეთხოვება შაირის გამოთქმელს“. და, აი, ერთხელ, შეზარბოშებული ციციკორე მეჩონგურე ლუთეთას ჩონგურს გამოსტაცებს ხელიდან და თვითონ დაიმღერებს:

გიორგის ებრძვის სიკვდილი,  
ელვა გამოდის ხმლისა,  
შამაქქნია სიკვდილმა,  
მარჯვენას მოპკრისა,  
შამაქქნია გიორგიმ. —  
სიკვდილს შუაზე სკრისა.

ავტორის მიერ პერსონაჟის ხასიათის გამოსაკვეთად მოშველიებული ეს პატარა ხალხური საგმირო ლირიკული შედეგები აქ თავის მიზანს მშვენიერად აღწევს. სიკვდილთან ადამიანის შერკინებაზე ბევრი ხალხური ლექსი არსებობს, მაგრამ ამ ლექსის დამახასიათებელი მოტივი ისაა, რომ მასში ადამიანი ამარცხებს სიკვდილს. რამდენადაც ვიცით, ღღემდე გამოცემულ ხალხურ პოეზიის კრებულებში ეს ლექსი არ არის შეტანილი და იგი ლეონიძის მიერ უნდა იყოს ჩაწერილი. გიორგი ლეონიძე ხომ თვითონ იყო ხალხური სიტყვიერების ჩაწერისა და შეკრების დიდი ენთუზიასტი.

ავტორის მხატვრულ მეტყველებაში ქართული ხალხური პოეზიის ზოგიერთი მოტივი ისეა გადამღნარი, რომ მისი წარმომავლობა ძნელად შესამჩნევი ხდება. ეს არის ჰუმარატი შემოქმედებითი მისელა ხალხური სიტყვიერების საგანძურთან. „დეიდა მაიკოს“ დასაწყისში ახალგაზრდა ქვრივი დედა აყვანში ჩაკრულ ჩვილს ჩაესიტყვება: „გაიციენ, გენაცვალე, გაიციენ! შენს სიცილზე ღრუბლები იფანტებიან, შუბლს თუ შეიკრავ, — შავად იყუმშებიან! გაიციენ, გენაცვალე, გაიციენ, ღრუბლები გადიკარგებიან“. ამ სტრიქონების კითხვისას გვაგონდება ხალხური ლირიკული ლექსი, სადაც საუბარია ადამიანის გულზე, მის ორმაგ ბუნებაზე:

ეს ჩემი გული ორია,  
ერთში წვიმს, ერთში დარია,  
ავტირდ — შევეყრი ღრუბლებსა,  
რომ გავიციოთ — დარია.

გიორგი ლეონიძეს სწამს, რომ მისმა მშობლიურმა ხალხმა ზეპირსიტყვიერების საგანძურში უხვად დააგროვა თავისი სულიერი ძალა, რითაც შესანიშნავად გამოხატა ცხოვრებისა და ბუნების მოვლენებისადმი თავისი დამოკიდებუ-

ლება, სიყვარულისა და მეგობრობის მაღალზნეობრივი იდეალები. სახალხო მთქმელ-მეფანდურეების სახეები დიდი სიყვარულით დაგვიხატა გიორგი ლეონიძემ თავის მოთხრობებში: „სახელის მილოცვა“, „ღვინჯუა“, „ციციკორე“.

დაუეწიარო სახეა „კოკობზიკა მეჩანგურე ცანგალა თავისი ჩანგურით“ (მოთხრობიდან „ღვინჯუა“). იგი თავას ოჯახში გაშლილ ნათლობის სუფრაზე დაგვიანებით გამოცხადდება. მოქეიფეები სიხარულით ხვდებიან მას; როგორც მწერალი ამბობს, „მიესიყვარულენენ სიმღერების მწყემსს“. შეაქეს და შესთხოვეს: „კაკაკო კარიოპელო, ენაზე კორძი არა გაქეს, ამოთქვი და ამოთქვიო!“ ცანგალასაც სჯერა თავისი სიმღერის ძალისა. იგი მზადაა ლექსი გამოუთქვას სულყველაფერს, რაც ამქვეყნად ზდება. მისი სიმღერისათვის უცხოა ყალბი ტონი. „ქერონა ჩიტი ვარ, სიმღერების ამომღები... რასაც გულიდან ამოვიტან, იმას ამოვლექსავ“, აცხადებს იგი და, თავისი აზრით, ჭართული პოეზიის დიდ კორიფეებსაც კი ეტოლება: „უაჟა-ფშაველას ავჯაბრდი, აკაკის—იმის ძმასაო!“

ამ რამდენიმე წლის წინათ, როდესაც ჭართულ ლიტერატურულ პერიოდულ პრესაში გიორგი ლეონიძემ თავისი პროზაული ნაწარმოებების გამოქვეყნება დაიწყო, მათ „ავტობიოგრაფიული ნოველები“ უწოდა, ხოლო შემდგომ, ცალკე წიგნად გამოცემულს („ნატურის ხე“), ეს სახელწოდება შეუცვალა და „ყრმობის მოგონებები“ დაარქვა. ვფიქრობთ, ავტორი სწორად მოიქ-

ცა. ჭერ. ერთი, ცნება „ავტობიოგრაფიული“ სპეციფიკურად ისეთ მხატვრულ ნაწარმოებს შეგვიძლია მივუყუროთ, სადაც თხრობის ყურადღების ცენტრში თვით ავტორია, იგია ნაწარმოების მთავარი გმირი. ამ წიგნში კი ეს ასე როდია. ავტორი აქ იმ მხატვრად გვევლინება, რომელიც მის მიერ დახატულ პერსონაჟთა პროტოტიპების მეზობელი ყოფილა და თავისი ყრმობის პერიოდში ახლონაცნობობა, სიყვარული და ზოგჯერ პირადი მეგობრობა ჰქონია მათთან. რაც შეეხება ყრმობის მოგონებათა წიგნში შემავალ ნაწარმოებთა ეანრობრივ ხასიათს, ყველა მათგანს როდი შეიძლება ნოველა ეწოდოს. წიგნი შეიცავს როგორც ნოველებს, აგრეთვე ეტიუდებსა და ესკიზებს. აქ ჩვენ არ ვაპირებთ გ. ლეონიძის პროზაული ნაწერების ზუსტი ეანრობრივი კლასიფიკაციის წარმოდგენას. ერთი რამ კი მთელი წიგნისათვის საერთოა: ლეონიძის პროზის უაღრესად თავისებური, ინდივიდუალური ენა და სტილი, ნათელი შინაარსით დატვირთული ფრაზები, ხალხური მეტყველების სიმამვილით, სიბრძნითა და სიყვარულით შთაგონებული თქმები, ეშხიანი სიტყვაჭართულობა.

ყოველივე ზემოთქმულის შედეგად, ნათელი ზდება, რომ გიორგი ლეონიძემ, როგორც პროზის ოსტატმა, თავისი საკუთარი ადგილი დაიკავა თანამედროვე ქართველ პროზაიკოსთა შორის, ხოლო მისი ყრმობის მოგონებათა წიგნი „ნატურის ხე“ თანამედროვე ქართულ პროზას ახალ, ორიგინალურ ნაკადად ერთვის.

## ქართული საბავშვო ლიტერატურის კრიტიკის ძირითადი პრობლემები

საუმაწვილო მოთხოვნების კრებულის და განსაკუთრებით კი ქართული საუმაწვილო ჟურნალის გამოსვლამ ისე გამოაცოცხლა ეროვნული საბავშვო ლიტერატურის შესახებ კრიტიკული აზრი, რომ იაკობ გოგებაშვილთან ერთად ბევრი საზოგადო მოღვაწე აქტიურად ჩაება ამ მეტად უმნიშვნელოვანეს საქმეში, რითაც ხელი შეეწყო ქართული ეროვნული საბავშვო ლიტერატურული კრიტიკის განვითარებასა და მის შემდგომ განვითარებას.

რასაკვირველია, ზოგიერთი კრიტიკოსი სიფრთხილეს იჩენდა თავისი კრიტიკული შენიშვნების გამოთქმისას, ზოგს კი საკითხებისადმი მიდგომაში სუბიექტურობა ემჩნეოდა, მაგრამ ყველა მათგანის კეთილშობილურ მიზანს ეროვნული საბავშვო ლიტერატურის აღორძინება, მისი შემდგომი განვითარება შეადგენდა. ეს თვისება იყო ნიშნული ივ. გომართელის, სტ. ჭრეულაშვილის, მ. ნასიძის, ი. მანსვეტაშვილის, თ. ხუსიუაძის, ა. მირიანაშვილის და სხვათა კრიტიკულ-მეტიკურაფიურ წერილებში.

ივანე გომართელი კრიტიკულ წერილებში რეალისტური საბავშვო ლიტერატურის პრინციპებს უჭერდა მხარს და აუცილებლად მიიჩნევდა ყოველი მხატვრული ნაწარმოები ბავშვთათვის მხოლოდ ამ პრინციპების საფუძველზე ყოფილიყო შექმნილი, „როგორც საზოგადო ხელნაწერი ლიტერატურის, ისე საბავშვო ლიტერატურასაც უპირველესათ ნაშედეგი ცხოვრების კუთვნილებათ ხატვა უნდა მოესახლოვებოდეს. ის უნდა გვიჩვენებდეს ადამიანის ყოველგვარ თვისებას, ზნეობისაც, უზნეობისაც, ბოროტებისაც, სიკეთისაც; მხოლოდ ყოველგვარი მათგანი ღირსეულათ უნდა იყოს დაფასებულ, რომ ბავშვმატე კუთვნილებათ წარმოდგენა იქონიოს, კარგი შეიყვაროს, ცუდი შეიძლოს“.<sup>1</sup>

ყოველივე ეს რომ მიღწეულ იქნეს, გომართელის აზრით, აუცილებელია ბავშვს მხატვრული ნაწარმოების კითხვა შეეფარებოდეს, მხოლოდ კითხვისადმი სიყვარულის გრძნობის აღზრდა

აზრის საიმედო საფუძველი წაიკეთების შეგნებულად შეცნობისათვის და წარმოდგენის გამდიდრებისათვის.

ამ მიზნით პატარა ყმაწვილებისათვის საუღლებლო და აუცილებელი არ არის გმირის რელი დანახვა, არამედ პირველ რიგში მთავარია ნაწარმოები ისეთი ცოცხალი ენით იქნეს დაწერილი, რომელიც ათ-თერთმეტი წლის ბავშვს წაიკითხვის სურვილს ისე აღუძრავს, რომ ის იქნება კითხვისადმი წახალისების საფუძველთ საფუძველი. ეს კი ბუნებრივად გამოაწვევს მისი აზროვნების, ფანტაზიის განვითარებას, რაც პატარა ბავშვისათვის ეგზომ საჭიროა; აღზრდის ერთი უმთავრესი მოვალეობათაგანი კი ის უნდა იყოს, რომ ბავშვს კრიტიკული აზროვნება განუვითაროს, კარგიც გააცნოს, გლახაც, კრიტიკულათ აწონ-დააწონოს, ცალმხრივობას ააცილოს და მართო მის რწმენაზე და გრძნობაზე არ იმოქმედოს. იწყებს თუ არა ბავშვი აზროვნებას, მას უნდა გააცნოთ ქვეყნიერება, ადამიანი, ის ქვეყნიერება და ადამიანი კი არა რომლებიც თქვენ სურვილშია გამოხატული, არამედ ის, რომლებიც ნაშედეგლათ არსებობენ“.<sup>2</sup>

ამ მიზნით პირველ რიგში მნიშვნელობა აქვს სადა, ვასაგები ენით, წარმტაცი სიუჟეტით შექმნილ ხალხურ ნაწარმოებებს, რომლის მოსმენა ბავშვებს ძალიან უყვართ და რომელშიც იაქსოვილი აზრები, ემოციები ბავშვებში გარკვეულ მისწრაფებას ავითარებენ, გარკვეულ შეხედულებას უშეშებენ.

ივანე გომართელი ხალხური შემოქმედების ბავშვთათვის საკითხავად გამოყენებას დიდ მნიშვნელობას აძლევდა და ამბობდა, რომ ზღაპარი თავისი შინაარსით, ფორმით ძალიან შეადგენს ყმაწვილების ხასიათს, მათს კუთვნილებასა და მოთხოვნებს. მხოლოდ ყველა ზღაპარს როდი თვლიდა საჭიროდ ან სასარგებლოდ რომ მიეცათ ყრმათათვის წასაკითხავად; ის ზღაპარს

<sup>1</sup> „კვალი“ 1899 წ. № 14, გვ. 262.

<sup>2</sup> იქვე, № 14, გვ. 231.

<sup>3</sup> „ნობათი“ 1878, № 30, გვ. 10.

<sup>1</sup> „კვალი“ 1899 წ. № 14, გვ. 230.

დასასრული იხ. „მნათობი“ № 7

იღვერი შინაარსის მიხედვით სამ ძირითად ჯგუფად ყოფდა და ანსხვავებდა ერთიმეორისაგან.

პირველ ჯგუფს მიაკუთვნებდა ისეთ ზღაპრებს, რომლებიც არავითარ სასარგებლო საზრდოს არ აძლევდა ყრმთა ცნობისმოყვარეობას, პირიქით ზღუდავდა მათ თვითმოქმედებას, თავისუფალ სურვილსა და მიღრეკილებას.

მეორე ჯგუფს აკუთვნებდა ისეთ ზღაპრებს, რომელნიც განსაკუთრებით გვიხატავენ ადამიანსა თუ ცხოველის ხასიათებს.

მესამე ჯგუფს კი აკუთვნებდა ისეთ ზღაპრებს, რომლებშიც აღწერილია ხალხის საყვარელი გმირები და აგრეთვე იგავ-არაყენი, რომლებშიც სიცოცხლით, თვალდათვალ იხატება ბუნება ადამიანისა და სხვა ცხოველების ხასიათებო, ღირსებანი და ნაკლოვანებანი.

ივანე გომართელი ასე ახასიათებს ზღაპრებს, მაგრამ ამ ჯგუფებისთვის ნიშნული თვისებების მიხედვით არ ასახელებს კონკრეტულად არცერთ ზღაპარს და მხოლოდ თეორიულ ვარაუდს სწერდება, ამასთან აქედან ერთი ზოგადი დასკვნა გამოაქვს, კერძოდ — „ზღაპრების ხმარებაში წასაკითხავად გვმართებს ვაჭრობილება, რომ სასარგებლო და შემოგო შინაარსი მსხვერპლად არ იქცეს გარეშე მიმზიდველობისა და ინტერესისა“<sup>1</sup>.

მხატვრული ნაწარმოების ღირსებად და უპირველეს მოთხოვნად ივანე გომართელი თვლის ობიექტური რეალობის ასახვასა და მხატვრულ სახეებში წყნებას; თუ საბავშვო წიგნში აწერია არაა ნამდვილი ცხოვრება, მკითხველი მოტყუებული თვალთ დაუწყებს მას ცქერას, ხოლო რაც მთავარია — ვამოვა თუ არა იგი ცხოვრების ასარგზზე მის ტრიალში დაცარება, რადგან ნამდვილ ცხოვრებაში იგი სულ სხვას დანიხავს, ვინემ წიგნით ვაგო და ისწავლო.<sup>2</sup>

საბავშვო წიგნის რეალისტურ ბუნებას კიდევ უფრო სრულად, გამოკვეთილად განსაზღვრავს იგი შემდეგი სიტყვებით, როდესაც ამბობს: „წიგნი მშველის ნამდვილი ცხოვრების გაცნობას და შესწავლას, იმ ცხოვრების შესწავლას, რომელშიც ბავშვი ყოველ დღე ბრუნავს და რომელსაც იგი ყოველ დღე ჰხედავს“<sup>3</sup>.

ვინაიდან ივ. გომართელის აზრითაც საყმაწვილო ლიტერატურა მძლავრი საშუალებაა, რომელიც შთავგონებით მოქმედებს ბავშვზე, ამიტომ მას უნდა მოვსთხოვოთ ცხოვრების ჰუმანიტარულად ხატვა; მან უნდა გვიჩვენოს ადამიანის ყოველგვარი თვისება; ზნეობა, უხეირობა, პირობებები, სიყუთეც, მაგრამ რაც მთავარია ყოველი მოთვანი ღირსეულად უნდა იყოს დაფასებული, რომ ბავშვმა მასზე ჰუმანიტარი წარმო-

დგნა იქონიოს, კარგი შეიყვაროს და ცუდი შეიძულოს“<sup>4</sup>.

ცხოვრების დადებითი და უარყოფითი მხარეების ჩვენებას მეტად დიდძალი მხატვრული ბავშვთა სწორად აღზრდისათვის და გამოდიან რა პედაგოგიური დებულებიდან ი. გომართელი არა ორპარტოვანდ ამბობს: არავითარი სარგებლობა არ აქვს ბავშვის ცალმხრივ აღზრდას, რაც საბავშვო ლიტერატურაში კარგის გაცნობით და ცუდის დამალვით არის გამოხატული. აუცილებელია ბავშვი თავიდანვე მოვამზადოთ დამოუკიდებელი, საზრდოანი ცხოვრებისათვის, რისთვისაც საჭიროა მას გავაცნოთ მთელი ცხოვრება როგორც მისი კარგი მხარით, აგრეთვე ცუდითაც“<sup>5</sup>.

ივანე გომართელის აზრით ყოველი ჰუმანიტარი საბავშვო ნაწარმოებო პატარა მკითხველის გულისაყენ ბუნებრივად უნდა პოულობდეს გზას, ერთვოდეს მის ფიქრებს, მის გრძნობებსა და ინტერესებს.

ეს მთავარი პირობაა. მაგრამ აქვე იმასაც შენიშნავს, რომ მწერლობა კი არ უნდა ჩამორჩეს ცხოვრებას; მასში ასახული სურათები კი არ უნდა იყოს საზოგადოებრივი ცხოვრების დავიანებული გამოძიბილი, უკვე განვლილი შეხედულებათა არაღირის მოქმელი გამეორება. ასეთ შემთხვევაში მას არავითარი ღირებულება, არავითარი დანიშნულება არ ექნებოდა.

ამიტომ ამბობს კრიტიკოსი: „ყოველი ხელოვანისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს, რომ მისი გრძნობა მკითხველის გრძნობაც იყოს, მისი ფიქრი მკითხველის ფიქრიც. თუ პოეტი იმეორებს მას, რაც საზოგადოებრივი გრძნობის და აზრს უკვე გაიცუდება, რა ნიშნის პატრონიც უნდა იყოს ის, სრულებით უმნიშვნელოდ ჩაივლის“<sup>6</sup>. „შესაძლებელია პოეზიაში აზრიც კარგი იყოს და ფორმაც, მაგრამ მიუხედავად ამისა ასეთ პოეზიას მაინც მნიშვნელობა არა ჰქონდეს. საქმე ისაა, რომ აზრი დროის შენაფერი იყოს, და არა გაცვეთილი, ის მკითხველის გულსა და გონებას რასმის იხალს აძლევდეს და არ იწვევდეს ისეთ ფიქრსა და გრძნობას, რაც ცხოვრებას დიდ ხანია ჰუმანიტარულად უღიარებია“<sup>4</sup> (ხაზი ჩემია ა. ჩ.).

ივანე გომართელი ზნეთსწავლებლის, რეზონანსობის წინააღმდეგეა საბავშვო მწერლობაში: „თავდაპირველად მოთხოვნისაგან ეთხოვოთ ივანე ცხოვრების გადმოცემას, რა მზროვანი უნდა იყოს, მაგრამ ამავე დროს ის ხელოვნური (ე. ი. მხატვრული ა. ჩ.) ნაწარმოებსაც უნდა წარმოადგენდეს და არა ავტობის რეზონანსობას“<sup>5</sup>.

<sup>1</sup> „უკრაინა“ 1878, № 30.  
<sup>2</sup> იქვე.  
<sup>3</sup> იქვე.

<sup>1</sup> „უკალი“, 1899, № 16, გვ. 262.  
<sup>2</sup> იქვე, № 14, გვ. 231.  
<sup>3</sup> იქვე, 1902, № 14.  
<sup>4</sup> იქვე.  
<sup>5</sup> „უკალი“ 1899 № 2, გვ. 26.



ისტორიული ხასიათის მხატვრული ნაწარმოები კრიტიკოსის ყურადღებას იმდენად იქცევს, რამდენადაც მას სწამს, რომ ისტორიის მავალი-თებს ბავშვებზე დიდი, ძლიერი ზეგავლენა აქვს და ამდენად მისი მნიშვნელობაც განუზომებელია: „ასეთი ხასიათის ნაწარმოებებს გავლენა აქვს ყრმათა ჰეგელ-გონებაზე, ზნეობის აღზრდაზე და წარმატებაზე, მაგრამ, ისტორიული მოთხრობის მწერალმა თავის დღეში არ უნდა დაივიწყოს, თუ რა ასაკისათვის წერს მას“.<sup>1</sup>

კრიტიკოსს ყურადღებიდან არ რჩება ის ფაქტიც, რომ განიჭმულ ისტორიულ მოღვაწეთა ბიოგრაფიებს ბავშვებზე მეტად ძლიერი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია: მაღალ ზნეობას, კეთილმოყვარეობას, თვითმომწეველბას აღუჭრავენ ლარსშესანიშნავ პირთა მოქმედება, რომელთაც არც შრომა, არც ქონება და არც სიკოცხლე არ დაუზოგავთ „თავისი სამშობლოსა თუ მშობლის კაცობრიობის ზვირისათვის“.<sup>2</sup> მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის მდგომარეობაც, რომ ყოველი გონებაგახსნალი ადამიანი ზნეობრივად ვალდებულია იცნობდეს ასეთ პირებს და ეს კი ხელს შეუწყობს ისტორიიდან ან მეცნიერებიდან ცოტადენი ცოდნის შექენას“.<sup>3</sup>

შესანიშნავი პირობების „ბიოგრაფიების და მხატვრული აღმზრდელობა უნდა ჩაუნერგოს ბავშვს ის აზრი, რომ ადამიანის ღირსებისათვის მართლმამა და ძილი კი არ არის საჭირო, არამედ შრომა თავისთვის და სხვისთვის (ხაზი ჩემია ა. ჩ.)“ ვარდა ამათ ყოველი გონებაგახსნალი ადამიანი ზნეობრივად ვალდებულია იცნობდეს იმ პირებს, რომლებმაც შესანიშნავი სარგებლობა მოუტანეს კაცობრიობას: როდესაც ბავშვი რომელიმე შესანიშნავი პირის ბიოგრაფიას კითხულობს, უსათოდ შეიძენს ცოტადენი ცოდნას ისტორიიდან, ან მეცნიერებიდან“.<sup>4</sup>

ივანე გომართელი მოითხოვს ქართული საბავშვო ლიტერატურა გამდიდრდეს სათანადო თარგმნითი ლიტერატურით: „ბ. ბოცაყაშვილ... თარგმანებს. ძალიან ნაკლებ მნიშვნელობას აძლევს, რატომ? იმიტომ რომ თარგმანებში ქართული ბუნება და ქართული სახელები არ არის! ნუ თუ რობინზონს, ანდერსენის ზღაპრებს და სხვ. ქართული ბავშვებისათვის არავითარი მნიშვნელობა არ ექნება? ნუ თუ ასე ძნელი ასახსნელია ბავშვებისათვის, რომ უცხოელები სხვანაირ სახელებს მხარობენ, ვიდრე ჩვენ?“<sup>5</sup>

კრიტიკოსი საგულისხმო პედაგოგიურ მითითებებს იძლევა იმის შესახებ, რომ ყმაწვილობა ნაწარმოებს კითხულობდეს გაგებითა და დაკვირ-

ვებით. ასეთი ჩვევის განმტკიცებში მონაწილე იგი რეკომენდაციას იძლევა დრო გაწმენებით გამოვიყიხოთ წაყითხული სატბრებნი და შევარებით, გავარკვიოთ განსაკუთრებულად ყმაწვილთა ყმაწვილის ყურადღება, რომელი მოქმედი პირის მოქმედება მოსწონთ, რომლისა არა და სხვ.

პედაგოგიური კრიტიკისა და მეთოდოლოგიური მიმოხივების უდევს საფუძვლად მხატვრული ნაწარმოების გამოყენება ყრმათა აზროვნებისა და ფანტაზიის განვითარებისათვის, როდესაც კრიტიკოსი წერს: „ჩვენის აზრით პატარა ყმაწვილებისათვის ათ-თერთმეტ წლამდე იმდენათ საჭირო არ არის გვირის სრული დახასიათება, რამდენადაც ცოცხლათ დაწერილი მოთხრობა, რომელიც ბავშვს წახალისებს... შეაფარებს მას კითხვას, განუვითარებს აზროვნებას, ფანტაზიას, — ყოველივე ეს კი პატარა ბავშვისათვის მეტად საჭიროა: სანამ ბავშვს ლიტერატურით აღზრდილი, მას უნდა შეაყვაროთ კითხვა და წაყითხული შეგნებას და წარმოუდგენს მიაჩვიოთ“.<sup>1</sup>

ამგვარად, ივანე გომართელის შეხედულებას, რომელიც შვედეთის ქართული ეროვნული საბავშვო ლიტერატურის ესთეტიკური კრიტიკის ისტორიას, საფუძვლად უდევს ლიტერატურული და პედაგოგიური კრიტიკის პრინციპების ერთიანობა.

ლ. ბოცაყაშვილს კარგად ჰქონდა წარმოდგენილი და პერსპექტივაში სწორად დანახული თუ რას მოითხოვდა ახალი საუკუნე ქართველი ხალხის მათილფალი და ბედნიერი მომავლისათვის ბრძოლის გზაზე შესაფერისი ახალი თაობის აღზრდის ისტორიული ამოცანების განხორციელებისათვის; თუ ერთი მხრივ გაღაუფლებელი ამოცანა იყო სათანადო ცოდნისა და ჩვევის მქონე მებრძოლი ახალგაზრდობის აღზრდა, ხოლო ლ. ბოცაყაშვილს აზრით „კარგი და გონიერი აღზრდა თხოვლობს ბევრ ცოდნას“.<sup>2</sup> მეორე მხრივ ამ საქმეში დიდ როლს მიაკუთვნებდა საბავშვო სიტყვაჯამულ მწერლობასაც. მაგრამ რაც მთავარია მისი სწორი შეხედულებანი საბავშვო მწერლობის თავისებურებაზე იმ პრინციპობიდან მომდინარეობს, რომელიც ილიას, აკაის, ვეისი, იაკობის ესთეტიკური კონცეფციას წარმოადგენს.

ლ. ბოცაყაშვილის ერთ-ერთ უმთავრეს საზრუნავს, მისი მოღვაწეობის პირველ მცენებას ახალი თაობის სწავლა და განათლება წარმოადგენდა. ეს იყო ამ მჯნებაზე პატრიოტის ბრძოლას ცეცხლი და პათოსი. სხვაგვარად მისთვის არაფერი არ არსებობდა. ამ მიზანს უქვემდებარებდა იგი საბავშვო ლიტერატურის სხვადასხვა სფეროში

<sup>1</sup> „ივერია“ 1878, № 30 გვ. 10.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> „კვალი“ 1899, № 17, 274.

<sup>4</sup> „კვალი“, 1899, № 17, გვ. 274.

<sup>5</sup> იქვე.

<sup>1</sup> „კვალი“, 1899, № 17, გვ. 274.

<sup>2</sup> „კვალი“, 1895, № 36, გვ. 10.



გამოწვენილ ნაწარმოების იდეურ-მხატვრულ მიზანდასახულებას.

ეს არ იყო შემთხვევითი მოვლენა. იგი წარმოშვა და მოწინავე საზოგადო მოღვაწისათვის საიმპროვიზო პროგრამად გახდა არსებულმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ვითარებამ: „უხლა კაცის ცხოვრება — ბრძოლა.. ნიადაგ იღაცეას და გვერდების მტერევაა გამართული; სდულს ბრძოლა, რომელშიაც იმარჩევებს ძალში, მცოდნე და მოხერხებელი, და რომელშიაც უღელ-მამურით, უიმედოთ რჩება უძლური, უმეცარი და შტერია“<sup>1</sup>

ასეთ ვითარებაში არ შეიძლებოდა ლ. ბოცვაძეს საჭარბველოში სასწავლებლის, განათლების, საბავშვო ლიტერატურის ბედი საკუთარ საქმედ არ მიეღო: „სასწავლებლისა და განათლების ბედს და ხასიათს ჩვენ მუდამ სწორით ისე უნდა ვაღვივებდეთ თვალს, როგორც ჩვენს შინაურ, საკუთარ საქმეებს, როგორც ჩვენი შეილების ბედს და უბედობას“...<sup>2</sup> „უიველ გონიერ კაცს, როცა ის აღზრდაზე სჯის ან ფიქრობს ერთი უშთაერესი აზრი და კითხვა უნდა ჰქონდეს მხედველობაში: სა ცოდნა უფრო საჭიროა კაცისათვის, რანაირი სწავლის გავრცელება უნდა ჰქონდეს მიზნით ახალგაზრდობის აღზრდას და, განსაკუთრებით, რა გვარ, რის მცოდნე პირებს უნდა უშაბდედეს სასწავლებელი საზოგადოებას“<sup>3</sup>

და სრულიად ბუნებრივია ლ. ბოცვაძის სიხარული თუ გულსტიკილი, მოწონებისა თუ დაწუნების სიტყვები, რომელიც გამოსკვივის საბავშვო ლიტერატურისადმი მიძღვნილ მის კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიულ წერილებში და რომელიც გამოწვეული იყო „ერთი უშთაერესი აზრისა და კითხვისაგან“, რაც ახალგაზრდობას აღზრდის ძირითად მიზნიდან გამოშდინარეობს: რა უფრო საჭიროა კაცისათვის, რა გვარი ცოდნა, წარმოდგენანი უნდა მიეცეს ახალგაზრდობას, როგორი პირები უნდა მოუშალოს საზოგადოებას და ამისათვის როგორი უნდა იყოს საბავშვო მწერლობაც, — აი ის კითხვები, რომლის პასუხი ადვილად მოიძებნება მის კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიულ წერილებში, სადაც საბავშვო მწერლობის ამოცანა და ფუნქცია არის წარმოდგენილი.

ლ. ბოცვაძე თვლის, რომ „უშადლესი ნიჭი ადამიანის ზნეობრივი მხარის არის ესთეტიკური გრძობა, რომელიც მჭიდროდაა შეკავშირებული ადამიანის ყველა ზნეობრივ მხარესთან, ამიტომ ამ გრძობის გახსნა-განვითარებას ადამიანში მოსდევს მისი ზნეობრივად აშაღლება, გაკეთილშობილება და ზნეობრივად გათქაქი-

ვაპატავება. როგორც სხვა გრძობა, განვითარებული ესთეტიკური გრძობაც ბავშვის სუსტი და განვითარებული აქვთ თავდაპირველად, რეკონსტრუქციონი და რა საშუალებებით შეიძლება ამგვარობის განვითარება ბავშვებში? — ერთი უპირველესი საშუალებად ბავშვებში ესთეტიკური გრძობათა განვითარებისათვის, სამართლიანად აღიარებულია საბავშვო მწერლობა“<sup>4</sup>.

ამ ღრმა რწმენას უკავშირებს იგი თავის ესთეტიკურ კონცეფციას ქართული ეროვნული სიტუაციამდელი მწერლობის განვითარების ისტორიულ გზას, რომელიც კონკრეტულად შემდეგნაირად შეიძლება ჩამოვსალობოთ:

ქართული ეროვნული სიტუაციამდელი საბავშვო მწერლობის ასახვისა და ჩვენების საფუძვლად თელის ორ სინამდვილეს: აწმოსა და წარსულს. ბავშვისათვის ეს ორი სინამდვილე ახლომელი და გასაგებია, იგი მისთვის ნაცნობი და საინტერესო სფეროა; შშობლობური პანევი. შშობლობური ქვეყნის აღწერილობა. ადგილობრივი ბუნების მოვლენანი, ჩვენი წარსული ისტორიული ამბები, — აი რა უნდა იყოს შთავგონების წყაროდ გამოყენებული, მხატვრული სიტუაციით მიზანილი წასაითხვად სათანადო ემოციების აღმერისათვის, სათანადო გრძობების აღზრდისათვის.

ამიტომ თელიდა გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე აუცილებელ საპირობად ისეთი მხატვრული ნაწარმოების შექმნას ბავშვისათვის, რომელიც შეეგებოდა ადგილობრივ ცხოვრებას, ასეთი ნაწარმოები აღზრდის თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი იქნებოდა, რადგან ადგილობრივი საგნების, ადგილობრივი მოვლენების, ყოფითი სურათების ჩვენება უფრო ეფექტურ შედეგს მოგვცემა ბავშვებში გამეფებულ ცრუმწერლობის განსამარტავად და მათში ცრურწმენის აღმოსაფხვრელად. ასეთი მასალები დაარწმუნებდა მათ ცრურწმენის შეუღლებლობაში, უსაფუძვლობაში და ამით გონებას გაათავისუფლებდა შემაწუხებელ შეზღუდულობისაგან.

ეს იქნებოდა ახალი აზრი, ახალი მოსაზრება, რომელიც ასეთი გზით შეიძლებოდა წარმოშობილიყო ყრმათა გონებაში და მისი შეგნებულად შეთვისებისათვის. მას სწამდა, რომ „აუცილებელია წარსულის გაუღენისაგან საჭირო ანალიზების გამოყენება, ახლის შეერთება წარსულის გაუღენისთანა“<sup>5</sup>, მაგრამ უკველიც ეს ეროვნული ხასიათის შემცველი უნდა იყოს: „ადგილობრივი ცხოვრება“, „ადგილობრივი მოვლენები“, „ადგილობრივი ყოფითი სურათების ჩვენება“, იყო უპირველესი მოთხოვნა, მკვიდარი

<sup>1</sup> „ქრებული“, 1871, III ნ, სკანდელი „ახალგაზრდობის აღზრდა“, გვ. 190.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> „ივერია“, 1898, № 111.

<sup>5</sup> „ივერია“, 1898, № 71, გვ. 2.

<sup>6</sup> „ივერია“, 1898, № 71, გვ. 2.

საფუძველი ეროვნული საბავშვო მწერლობის განვითარებისათვის.

„ადგილობრივი“ მოვლენების, ყოფითი სტრუქტურის ჩვენებას, რასაკვირველია, მეორე მხარე საფუძველად შედგავიჭირი პრინციპებიც უღუეს, პირველ რიგში ნაცნობი გარემოდან შექმნილი მხატვრული ნაწარმოებებით ბავშვებზე სათანადო იდეურ-ემოციური ზეგავლენის მოხდენა, მაგრამ იგი ხომ ეროვნული ლიტერატურის განუყოფელი თვისებაა. ეს თვისება თუ კი კარგად იქნა წარმოდგენილი საბავშვო ლექსში, მოთხრობაში, მაშინ მისი როლი ეროვნული საბავშვო მწერლობის განვითარებისათვის აუცილებლად მნიშვნელოვანი იქნება.

გამომდინარე ამ დებულებიდან ლ. ბოცვაძე საპროლოხანად აღნიშნავს საბავშვო ლექსის დანიშნულებაზე და ღირებულებაზე შემდეგს:

„ლექსის ღირსებას შეადგენს ის გონებითი საზრდოც, რომელსაც იძლევა ლექსი“ და რომელიც პატარა მკითხველებისათვის ადვილად გასაგებია უნდა იყოს თავისი შინაარსით, უქმნიდეს გარკვეულ წარმოდგენას იმაზე, რასაც მწერალი ეხება და ამავე დროს ბავშვს აძლევდეს გარკვეულ ცოდნას. ეს მიღწეული უნდა იქნეს „ხელოვნურად აღწერილობით“, აგრეთვე „შინაარსით და შიგ გატარებულის აზრით“, ეს „გონებითი საზრდო“, „ლექსითა წყობილებით“ გარკვეული ღირებულების შემცველი უნდა იყოს, და შეეძლოს ბავშვის ყურადღების დაპყრობა მასში მოცემულ „საქმარ ესთეტიკურ მსოფლმხედველობით ელემენტს!“

„უშთაგრესი პირობა საბავშვო მოთხრობისა როგორც ხელოვნურის პოეტური ნაწარმოებისა, ხასიათის დახატვა უნდა იყოს!“

„ყველა საბავშვო მოთხრობათა საგანის ის უნდა იყოს, რომ განაღვიძოს, შეაჩუკოს და ააღორძინო-განავითაროს, რაც საუცუთესო რამ მოიპოვება ადამიანში“

„საზოგადოდ იმისთანა მოთხრობები, სადაც არსებითი რაიგანი ტიპი არ არის გამოყვანილი და მასთან დაშორებულად არის ქართულ ბავშვის გარემომორტყმულ ბუნებას, ბევრ ვერაფერს, შესძენს მკითხველს.“

საკითხავად მართო მხატვრობითი აღწერას სინამდვილისა საქმარისად არ არის; ამასთან საკითხოა შინაგანი გაბრწყინება, ვანათებან..

შესანიშნავ ადამიანთა ცხოვრების აღწერას დიდი აღზრდევლობითი გავლენა აქვს მოზარდ თაობაზედ. „...როცა ბავშვებისათვის ასწერენ რომელსამე შესანიშნავი კაცის ცხოვრებას, საკითხოა მოხსენიონ ამ შესანიშნავის ადამიანის ბავ-

შეობის დროც, მოკლედ მაინც, თუ რა შედეგად იმის სოციალურ და სასურველ საგანს ბავშვობის დროს. ეს ბავშვობის, ხანა შესანიშნავის ადამიანისა მკითხველ ბავშვებისთვისაც სასამართლო იქნება, როგორც უფრო დაახლოებული მათ ცხოვრებასთან.“

გამომდინარე ქართული ეროვნული საბავშვო სიტუაციებში მწერლობის განვითარების პერსპექტიული ამოცანებიდან, თარგმანებს ნაელებ მნიშვნელობას ანიჭებს, რადგან თარგმანებში არ ჩანს ქართული ბუნება, არ არის ქართული სახელები; ყველა საბავშვო წიგნში ადგილობრივ ელემენტს უპირველესი ადგილი უნდა ეჭიროს. ბავშვებს ჯერ უნდა გავაცნოთ ადგილობრივი მასალები—ფლორა, ფაუნა და ამის საფუძველზე უკეთ შეიძლება უცხო ქვეყნების ვაცნობა. ამის გარეშე პირდაპირ უცხო ერის ნაწარმოების თუ საგნების შესწავლა იმავე ადგილობრივი საგნის გარეშე ხელს შეუშლის აგრეთვე ბავშვის მესხიერების კანონიერად განვითარებას, რადგან იგი მძიმე ბარგი იქნება ბავშვის მესხიერებისათვის.“

საბავშვო ნაწარმოების ენა უნდა იყოს გასაგებში, მდიდარი, ბავშვის ლექსიკონის გამომდინარებული. ამ მიზნით აუცილებლად მიაჩნია ისეთი სიტყვების ხმარებაც, რომელიც ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში არ იხმარება, მაგრამ იმ პირობით რომ კითხვის დროს ყველა ბავშვს გაუადვილოს წაკითხვის სრული შეგნება; აუცილებლად მიაჩნია ზოგიერთი სიტყვების განმარტება, წინააღმდეგ შემთხვევაში უცნობი სიტყვები უცნობად დარჩება, ხოლო ბავშვის ლექსიკონს ბევრი არა შეემატება რა. ამასთან ბავშვთა საკითხავ წიგნებში ადგილი არ უნდა ჰქონდეს სრულიად განუცნებელ სიტყვებს.“

აქვე საჭიროა მივყავინია მოკლედ შევეხოთ ლ. ბოცვაძისა და ა. ვომარტელის პაექრობას, რომელიც ძირითადად საბავშვო მწერლობის თეორიისა და კრიტიკის პრობლემებიდან გამომდინარეობდა, თუმცა ამავე დროს პერსონალური ანგარიშების იერი თან დაწყებულა. ცხადია, რომ ამ უქანასკენელა განწყობილებაში გავლენა მოახდინა სერბოზული პრობლემების გადწვევებისა პაექრობის ტონზე, მაგრამ მიუხედავად ამისა „იერიისა“ და „მოამბის“ ფურცლებზე მათ მიერ გამოტყმულ მოსახრებებიდან რაციონალური მარცვალის პოვნა არც ისე ძნელია.

საქმე იმით დაიწყო, რომ ლუარსაბ ბოცვაძემ 1898 წელს „იერიის“ ფურცლებზე გამოაქვეყნა ფართო კრიტიკული მიმოხილვა ეტრნალი „ჩევილის“ მთელი წლის ნომრებისა. იგი თითოეული ნომრის ყველა მასალას სათინალოთ არჩე-

1 „იერიის“, 1898, № 78.  
 2 „იერიის“, 1898, № 161.  
 3 იქვე.  
 4 „იერიის“, 1898, № 209.  
 5 „იერიის“, 1898, № 111.

1 „იერიის“, 1898, № 91.  
 2 „იერიის“, 1898, № 78.  
 3 „იერიის“, 1898, № 91.

ედა და საკუთარი შეხედულებით აფასებდა კოლეცია.

ივანე გამარათელი გამოცხადება ლუარსაბ ბოცაძის კრიტიკულ შენიშვნებს წერილით „შარშანდელი აჭაქილი“-ს კრიტიკოსი“; 1899 წლის აპრილიდან „კვალის“ № 14-დან იწყებს ლ. ბოცაძის წერილების კრიტიკულ განხილვას.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ლ. ბოცაძისა და ივანე გამარათელის კრიტიკულ წერილებში საბავშვო ლიტერატურის ზოგიერთ საკითხზე გამოთქმული ისეთი მოსაზრებანი, რომლებიც განსაზღვრავენ მათს ესთეტიკურ კონცეფციას, ამავე დროს საინტერესოა საბავშვო მწერლობის ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვისაც. ამის გამო მათი ძირითადი დებულებანი, რომელიც განვითარდება მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ქართული საბავშვო ლიტერატურის საინტერესო საკითხები, ჩვენ უკვე ზემოთ ჩამოვყავალბეთ. ახლა ვეცდებით „წყვილით“ გამოწვეული პექტობას იმდენად შევუბოთ, რამდენადაც მასთან არის სხვა ზოგიერთი საკითხი დაკავშირებული.

ლ. ბოცაძის მიერ 1898 წელს გამოქვეყნებულ კრიტიკულ წერილებში განხილულია ერთნაირ აჭაქილი“ „ვანოს“ ფსევდონიმით ხელმოწერილი მოთხრობა „ქალაქელ ძია“.

ეს მოთხრობა ლ. ბოცაძის არ მოსწონებია, რაზედაც ვარკვეულად წერს: „ამ მოთხრობაში ჩვენ არ მოგვეწონა ის, რომ საჩინო ყოველთვის იტყუებდა და სიმართლეს უმაღლავდა თავის მეუღლეს თამარს... ძნელი დასაყრებელია, რომ ქმარმა რამდენსამე წელს დაფარულად შეინახოს იმისთანა ამბავი, რომელიც თავითონ აწუხებს და არ ეუბნება მეუღლეს...“

არ მოგვეწონა აგრეთვე ის ადგილი, სადაც სოსია სახარტლის ვრწმობით აღლევებული მიუხელოვნება თავის სახლს—აქ შეითხველი მოვლის შემდეგ სცენებს, თუ რა მოხდება, როცა დიდი ხნის უნახავი ცოცხალმკვდრად აღიარებული შეილი, გიშნაზიის მოსწავლე შედის თავის ეზოში: იმის ნაცვლად ავტორი მოაკლავს საჩინოს ქალაქში ნახულსა და ვაგონილს ამბავს“<sup>1</sup> (ხაზი ჩემია ა. ჩ.).

ლ. ბოცაძის ამ კრიტიკის საფუძველს წარმოადგენს როგორც პედაგოგიურა პრინციპი, ისე ნაწარმოების სიუჟეტის განვითარების კომპოზიციური მხარე: პედაგოგიური პრინციპის მიხედვით ბავშვთათვის დაწერილ ნაწარმოებებში ლ. ბოცაძის აზრით, საჭიროა ყურადღება მიექცეს კარგი თვისებების ჩვენებას, რათა კარგის მაგალითზე აღზარდოთ ისინი, ზოლო სიუჟეტის, კომპოზიციის თავისებურება საბავშვო ნაწარმოებს მოსთხოვს ამბავის ლოგიკური თანამიმდევრობით, საინტერესოდ გაშლას, რასაც ლ. ბოცაძე „ქალაქელ ძიაში“ ვერ ნახულობს.

ის მოთხოვნა, რომ საბავშვო ნაწარმოებო უნდა ეფუძნებოდეს ბავშვებს ესთეტიკურ გემოვნებას, რასაკვირველია, საბავშვო არის მწერლები „იმ შეცდომას სწავლიან, რომ იღებენ მასალას ხშირად მარტო ბავშვების ცხოვრებიდან პირდაპირ ზნეობრივის აზრის მისაღწევად, მაგრამ ის მზარე მწერლობისა, რომელშიაც უმთავრესს საგანს შეადგენს ესთეტიკური გემოვნება, ჩვენს საბავშვო მწერლების ნაწარმოებში ძალიან დაეძმებულია, ხელოვნება მათს ნაწარმოებში იშვიათი მოვლენაა“.<sup>2</sup>

თქმა არ უნდა ივანე გამარათელი ქართული საბავშვო მწერლობის ერთ-ერთი დიდი ქომაგი და მოამაგეა. მისი წერილები ქართული საბავშვო მწერლობის მტკიცეული საკითხების ობიექტურად განსჯასაც შეიცავს, მაგრამ ამ საკითხებში მაინც ვარკვევით გამოჩნდა მისი ვიწრო სუბიექტივისტური სიფიქსე შემდეგ სიტყვებში:

ა) „ბოცაძის ფელტონებში დამტკიცება ცოცხალი არის, საკეთილი გემოვნება კი ყოველ სტრიქონში გამოსკვივის. ავტორი გიცხადებთ: ეს ლექსი კარგია, ეს მოთხრობა არ ვარგა ე. ი. მე ეს მომწონს, ეს არ მომწონს“<sup>3</sup> (ხაზი ჩემია. ა. ჩ.).

ბ) „ლ. ბოცაძე, როგორც ველურბრყვილი ესთეტიკოსი ვუბნებთ: რაც მე მომეწონა, ის კარგია, რაც არ მომეწონა, ის არ ვარგაო, ჩვენთვის სრულიადაც არ არის საყურადღებო, ესთეტიკოსია ლ. ბოცაძე თუ არა, რა მოსწონს მას და რა არა“.<sup>4</sup>

გ) „მომწონს, ან არ მომწონს მართლაც ის ძახილისულ მეტია და უმნიშვნელო“...

... ავტორს იმიტომ კი არ გამოუყვანია ესა თუ ის პირი, რომ მოგწონებოდათ“ და სხვ.<sup>5</sup>

სიტყვები „ჩვენ არ მოგვეწონა“, „არ მოგვეწონა აგრეთვე...“ და მსგავსი მისანი ლ. ბოცაძის განსაუკუთრებით „ვანოს“ მოთხრობის მისამართით აქვს დაწერილი და კრიტიკოსის გაცხარება ამ ტონის გამო რომ არის გამოწვეული, ეს უკვე ცხადია.

ამგვამდ ვარკვეულია, რომ „ვანოს“ ფსევდონიმით დაბეჭდილი მოთხრობა ეყუთენის ივანე გამარათელს და უდავოა ლ. ბოცაძის კრიტიკული მიმოხილვაზე გამოხატულებაც „წყვილის“ შედეგია.

მაგრამ ამ წერილებში მოიქცეეს უფრადლებას ისეთი საკითხების განხილვა, რომელიც არა მარტო ქართული საბავშვო მწერლობის, არამედ რუსული საბავშვო ლიტერატურისათ-

<sup>1</sup> „ივერია“, 1898, № 16.

<sup>2</sup> „კვალი“, 1899, № 14.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> „კვალი“, 1899, № 14.

<sup>5</sup> იხ. „ლიტერატურული გაზეთი“ 1965, № 24(1453) ვ. წოწელას წერილი „ერთი უცნობი ფსევდონიმის გამო“

ესაც იმ დროს პროვლემატურად საკითხს წარმოადგენდა.

საკითხი ეხება საბავშვო მწერლობაში ცხოვრების ჩვეულებას: რა უფრო მიზანშეწონილია, საბავშვო მწერლობაში აისახოს მხოლოდ ნათელი მხარე თუ მასთან ერთად ჩრდილოვანიც, სიმბალანსი?

ამ საკითხის ირგვლივ ორი აზრი არსებობდა და ამან თავისებური გამოვლინება ჰპოვა. ბოცვაძისა და ი. გომართელის სტატიებში.

აი იგნავი გომართელი ამ საკითხზე რას წერს:

ა) აღზრდის ერთი უმთავრესი მოვალეობათაგანი კი ის უნდა იყოს, რომ ბავშვს კრიტიკული გარემოება განუვითაროს, კარგიც გააცნოს, აზრსაც. კრიტიკულად აწონ-დააწონოს, ცადმხრობას ააყოლოს და მართლ მის რწმენაზე და ვრწმობაზე არ იმოქმედოს... უკრიტიკოთ ამა თუ იმ მოვლენის აწონ-დაწონა შეუძლებელია. თუ თქვენ გააცნით ცხოვრების მართლ კარგი მხარე, ცუდს, რაზე თითონ შეხედება, როგორი შეხედვაგს მას ბავშვი, როგორ დაფასება? (ხაზი ჩემია. ა. ჩ.)

ი. გომართელის ეს მოსაზრება ენათესავება დობროლიტობის აზრს საბავშვო ლიტერატურის შესახებ, სადაც სხვათაშორის აღნიშნულა, რომ ამის ე. ი. საბავშვო ლიტერატურის მთავარი ამოცანაა ბავშვებს აუხსნას ეს საკითხები, რომლებიც აღუდგებენ ახლა საზოგადოებას და მათ შეხედულებათ მაშინვე, როგორც კი შევლენ ცხოვრებაში.

ბ) „როცა ბავშვი... გახდება დიდი, დამოუკიდებელი ადამიანი... მაშინ რა სარგებლობას მოტრანს მას თქვენი ცილმხრივი აღზრდა, კარგის ვაცნობა და ცუდის დამალვა? თქვენ თაუდიანვე უნდა მოამზადოთ ბავშვი ამ დამოუკიდებლობისათვის, თავიდანვე უნდა მოამზადოთ ის საზრიაში ცხოვრებისათვის; ამისათვის კი საჭიროა, გააცნოთ მას მთელი ცხოვრება, როგორც მისი კარგი მხარე, აგრეთვე ცუდიც“.

გ) „საბავშვო ლიტერატურა... უნდა გვიჩვენებდეს ადამიანის ყოველგვარ თვისებას, ზნეობასაც, უზნეობასაც, ბოროტებასაც, სიკეთესაც; მხოლოდ ყოველგვარი მთავანი ღირსეულია უნდა იყოს დაფასებული რომ ბავშვმაც უკმარისი წარმოადგენს იქონიოს, კარგი შეიფაროს, ცუდი შეიძლოს“.

არ იქნება უინტერესო თუ კი ლ. ბოცვაძისა და ი. გომართელის შეხედულებებს შეუბირისპირებთ რუსულ პედაგოგიურ მოძღვრებასა და საბავშვო ლიტერატურაში იმ დროისათვის არსებულ შეხედულებებს.

ამ შებირისპირებით ცხადი იქნება საკითხის როგორი გადამწყვეტა შეიქნა მიღწეული.

იმისათვის, რომ ობიექტურობა იქნეს დაცული ამ შეხედულებათა შეფასებაში, უცილებლად მივგანინა წინასწარ იმაზედაც რატიკული, თუ რატომ დიასა საკითხი ამგვარად? რა ობიექტური მართებულობა არის ნაქარბბები საკითხის ამგვარად დასმა და რამ გამოიწვია აზრთა სხვადასხვაობა?

ცნობილია, რომ ოფიციალური საბავშვო ლიტერატურის ძირითადი მიზანი იყო ბავშვთა, მოზრდილთა ყურადღება აცილებლობათა იმ სოციალური წინააღმდეგობებიდან, ცხოვრების მიერ მწვევედ წამოყენებული ჩაგრულისა და დამწავრულის, ექსპლოატატორისა და ექსპლოატრებულის ურთიერთდამოკიდებულებაში ისტორიულად პრინციპულად დაყენებულ საკითხებს, რომელიც ეპოქისათვის ნიშნულად მოწინავე იდეური ბრძოლის სასიცოცხლო ინტერესებს უკავშირდებოდა.

ამ მიზნით რუსეთში რეაქციული ოფიციალური საბავშვო ლიტერატურის წარმომადგენელი მეტად შენიღბულად მოქმედებდნენ; მათი მტკიცებობა ბავშვის გონება ვერ არ არის მომზადებული, მოწინავეებული იმისათვის, რომ გაურკვეს მას ირგვლივ არსებულ საზოგადოებრივი ცხოვრების რთულ პროცესებში. ბავშვი მეტად გულბრწყული, მეტად მგარწობიარე, ამასთან დამყვრი და მიმბაძველია, ეს მოსაზრება, ოფიციალური საბავშვო ლიტერატურის მიერ გამოყენებული იქნა სანტიმენტუალური, რეზონიორული ნაწარმოებების შესაქმნელად.

მოწინავე პედაგოგიური და ლიტერატურულ კრიტიკაში თანდათან მძლავრად ისმოდა ხმები ცხოვრების შეუფერავად ასახვის შესახებ საბავშვო მწერლობაშიც, რასაც დადებითი აღმზრდელობითი მნიშვნელობაც ჰქონდა.

ასე მაგალითად კ. უშინსკის აზრით საბავშვო ნაწარმოებების ავტორს არ უნდა აშინებდეს ახალგაზრდა, ნორჩ მეთხველ წარმოუბნის რეალური ცხოვრებიდან აღებული ისეთი მძიმე ფაქტი, როდესაც შეიძლება მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულების შედეგად, მხოლოდ გაჭირვება და ტანჯვა მიიღოს, ხოლო საწინააღმდეგო მოქმედებით, ფუფუნებით ცხოვრება. მაგრამ ამ შემთხვევაში მთავარია ცხოვრებაში მომხდარი ასეთი შემთხვევები ბავშვებმა ისე გააზრონ, რომ იმავე წუთის დიდი დაფიქრების გარეშეც, უმაღ ზურგი შეაქციონ არასწორად შექმნილ ოქროს და დამყოფილდნენ პატიოსანი შრომით!

დობროლიტობი როგორც ზემოდ აღნიშნეთ, საბავშვო ლიტერატურას მთავარ ამოცანად უსახვდა ბავშვებისათვის განემარტა, გაეცნო ყველა ის საკითხი, რომლებიც ახლა აღუვლებენ საზოგადოებას.

1 „კვალა“, 1899, № 14.

2 იქვე.

რასაკვირველია, საზოგადოების მოწინავე ნაწილს აღუდგება ცხოვრება მთელი თავისი წინააღმდეგობებით, რომელიც არ შეიძლება დასაბამეო ლიტერატურას ბავშვების ყურადღების გამოწვევად აღტრფინა.

მაგრამ მეორე აზრიც პოტობდა მხარდაც. რას იმ მოტივით, რომ პატარა ბავშვის ვინაობა და მისი ცხოვრების უცვლელადი მოვლენების აღწერით, თვით ბავშვებისათვის არ არის კარგი; მათ ჯერ კრიტიკის, განსჯის უნარი არ აქვთ და შემადარწუნებელი, სევდის მომგვრელი ცხოვრების მიმხედ სურათების აღწერა მათში წახშობს ზალისიან განწყობილებას, ბავშვურ გულბრწყვილობას, სიხარულსა და აღუდგებას.

ბავშვების ხასიათის ეს განსაკუთრებული თვისებებზე, რასაკვირველია, არ შეიძლება უარყოფილი იქნეს. მაგრამ ბავშვების ეს ბუნებრივი თვისებები იმის საფუძველს არ იძლევა, რომ ბავშვებს მწარე სინამდვილის წინაშე თვალი დაეხუჭვიროთ.

არ არის სადავო, რომ ადრეულია კარგი მავალითების ჩვენებით ბავშვებზე გარკვეული ფსიქოლოგიური და მორალური ზეგავლენა მოეხდინათ: დიდი უკრანელი მწერალი ფრანკო სამართლიანად აღნიშნავდა, რომ საჭიროა ბავშვებს მიეცეთ ისეთი ნაწარმოები, რომლებიც გონებას გაუნათლებენ, გრძობებს გაუკეთილშობილებენ, ერთდროულად განუდგებენ გენერაციას და სულს. ეს რასაკვირველია, ჩვენი ძირითადი მიზანია, მაგრამ ამ მიზნის მისაღწევად საბავშვო მწერლობის სათანადოდ გამოყენება ადრეულგებლია ცხოვრების მეორე მხარის ჩვენებისათვისაც.

ოსტროგორსკი ამბობდა, რომ ბავშვებში მსოფლმხედველობა და მხატვრული გემოვნება ფორმირდება მხოლოდ ისეთი ნაწარმოებებით, რომლებიც შენაარსითა და ფორმით მშვენიერია... რომლებიც თავიანთი გენიალობით, ტალანტით, ყველაზე უკეთესად, ყველაზე დიდებულა თავისი უბრალოებით! მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს ამ მიზნით ბავშვებს მოვლენის მხოლოდ ერთი მხარე ვუჩვენოთ, ხალხი მეორე მხარე კი შეგნებულად, წინაწარ განზრახვით დავეშალოთ.

ამ პოზიციიდან აკრიტიკებდა ივანე გომარტილი ლ. ბოცაძის შემდეგი სიტყვებით: „ბატონი ბოცაძე სასტიკი მორალისტია: ლიტერატურაში უზნეობის აღნიშვნა ძალიან ეყარება... მართალია ბავშვები ცხოვრებაში... უზნეო სცენებსაც შედავენ, მაგრამ კრიტიკულის თვალთ გარჩევა რომელისაზე საქციელისა ბავშვს არ შეუძლია, ამიტომ გონიერმა აღმზრდელმა ამისთანა სცენებს უნდა აარილოს

ბავშვი, ბავშვებისათვის საკითხავი მხოლოდ ბოცაძის მოცემული უნდა იყოს, ხოლო ბავშვებს ბავშვს უნდა უჩვენო რაც კარგია და მორალური ყველაფერს, რასაც კი შეუძლია ზნეობრივად ეცადოს იმოქმედოს“. როგორც ვხედავთ, შეიძლება, ლ. ბოცაძე გამოთქვას ამ თავის აზრს ბავშვის აღზრდისა და საბავშვო ლიტერატურის შესახებ; კრიტიკულ თვალთ გარჩევა რომელსაზე საქციელისა ბავშვს არ შეუძლია, ამიტომ მართო კარგი უჩვენეთ ხოლმეო. ი. ბავშვი ატყუეთ, ქვეყნისებრა საჩივრებელ დაუსახეთო.<sup>1</sup>

ივანე გომარტილი უკიდურესობაში ვარდება, როდესაც ლ. ბოცაძის უკითხვებს თათქის მას სურდეს „ბავშვი ვატყუოთ“, „ქვეყნიერება საჩივრებელ დაუსახოთ“, მაგრამ ცნობილია რომ ბოცაძე მოთხოვს საბავშვო მწერლობაში ბავშვებს მისცეს „გონების საზრდო“, ასახოს რეალური ცხოვრება.

თუ ბოცაძე აქცენტობას აკეთებს ცხოვრების ნათელ მხარეზე, თუ მისთვის მთავარია, რომ სიყვით, ეთილიზობილება, აღმზიანის მორალური ცხოვრების კარგი მხარე განაკეთობინოს იყოს წინ წამოწყებული, საბავშვო მწერლობაში, რასაკვირველია, ეს არის ნაწარმოებისადმი წაყენებული პედაგოგიური ზოგადი, პედაგოგიური კრიტიკის პრინციპი, რომელიც მტიკედ არის დაქვემდებარებული ნაწარმოების აღმზრდელითი ფუნქციის შეკაც განსაზღვრისათვის.

მაგრამ მხოლოდ ასეთი მოთხოვნა უთვით ცალმხრივია.

ასეთ ცალმხრივობას ებრაძენენ, როგორც ჩვენში, ისე რუსულ საბავშვო ლიტერატურაშიც. ასე მავალითად, რუსული საბავშვო ლიტერატურის ერთ-ერთი მოამავე ევგ. ელჩინი გარკვევით წერდა: ერთადერთი სავალდებულო მოთხოვნა, რომელიც შეიძლება წაუყენოთ ყველ საბავშვო წიგნს, ეს მოთხოვნაა სრული სიმართლე, ბუნებრივობა, ვულწრფელობა და მხატვრელობა. საბავშვო წიგნი უნდა უხატავდეს ბავშვს მისი ვაგვებისათვის მისაწვდომი ფორმებში რეალური ცხოვრების სეჩათებს, საბავშვო წიგნმა უნდა გააცნოს ცხოვრება თავისი სიყვითა და ბორბტებით, მაგრამ არა გამოგონებულთი, არა სქემატურად, არამედ ისე მთლიანად, როგორც ეს ნამდვილად არის ცხოვრებაში<sup>2</sup> (ხაზი ჩემია, ა. ჩ.).

არ იქნებოდა სწორი საბავშვო მწერლობის ნიმუშების შეფასების კრიტერიუმად მივუღოთ მხოლოდ ცალმხრივი განსჯა ცხოვრების მოვლენისა ე. ი. იქვენიზა კარგი ან კოდე სწინააღმდეგო — ცუდი, უარსყოფი საზოგადოე-

<sup>1</sup> „კვალ“, 1899, № 14.

<sup>2</sup> В. П. Острогорский, Педагогическ. лист. 1895, № 1-3.

<sup>2</sup> Сборник стат. по детск. чтению, П. 1912, стр. 13.



მხოლოდ ცხოვრების კარგი მხარის ჩვენებაზე თუ იყო. ეს, როგორც ზემოთაც იყო ნათქვამი, მხოლოდ პედაგოგიური მოსაზრებებით იყო გამოწვეული და ეს ანსხვავებულა ზოგადი (საერთო) ლიტერატურის ესთეტიკური კონცეფციიდან მათ.

რასაკვირველია, ვიმეორებთ, ასეთი აზრის მატარებელი არ იყვნენ სწორი.

საბავშვო მწერლობის საკითხებს შეეხო ცნობილი კრიტიკოსი კიტა აბაშიძე ექატერინე ვაზაშვილის საყმაწვილო მოთხრობების გარჩევასა<sup>1</sup>; კრიტიკოსი ე. ვაზაშვილის საყვარელი ნიჭიერისა და გრძნობა მდიდარ მწერალს უწოდებს, რომლის ნაწარმოებები მისივე თქმით არის „ტუბალი და მოლდუნე“, „სულის ჩამდგმელი“ ედვარდ შქევეი აღმიაინის გამხმარი გუნდის, აღმიაინის გულის ჰალ-ლონის და შიგ დამარტული სიმდიდრის მატყუნებელი და დამანურთებელია, მიტომ, რომ ავტორის კეთილშობილი სული ყოველთვის იმას ცდილა და შესძლულია კიდევაც, „აუფეხევიბა დამკნარი“ სული აღმიაინისა, „მკედრისა და უფერულის ლეთის შეილისათვის მართლა და აღმიაინური სული ჩაიღვა“.

კიტა აბაშიძეს მეტად მნიშვნელოვნად მიაჩნია ის, რომ ე. ვაზაშვილი აღმიაინში ეძებს მაღალ-სულოვნებას, აღმიაინურ ღმობიერებასა და გულთბილობას. ეხება რა მოთხრობას „როგორ მიეგება სეიმონიკა ახალ წელიწადს“ განსაკუთრებულ მაღალ შეფასებას აძლევს სეიმონიკასა და გუერტი-კაროს მწარე ხვედრის ჩვენებას; მოთხრობას იგი მიიჩნევს შედეურად, რადგან მასში „უხვავდ აჩის გაბნეული სინამდვილას სურათები და სინამდვილითვე (რაკი უამისოდ აღარა გვიქმს-რა) აღსავეს საუცხოვოდ ფსიხოლოგიური მომენტები“<sup>2</sup>.

თუ კიტა აბაშიძის მიერ ექატერინე ვაზაშვილის საყმაწვილო მოთხრობების ანალიზს ღრმად ჩაეუყურებდებით, ადვილად გამოვიტანთ კრიტიკოსის შეხედულებას საბავშვო პროზისა და თვით საბავშვო მწერლის ბუნების შეხახვად.

იგი მოკლედ ასე შეიძლება ჩამოვყალიბოთ: საბავშვო მწერალი უნდა იყოს ნიჭიერი, გრძნობა მდიდარი შემოქმედი, რომელსაც უნდა შეეძლოს აღმიაინის გულის სიღრმეში ჩაწვდომა, მისი ტკივილების თუ გამოუთქმელი მწუხარების, გულში ჩამარტული სევდის ამოცნობა; საბავშვო მწერალს უნდა შეეძლოს იმედის, რწმენის შთაგონება და განმტკიცება „აღამკნარის სულის“ აღმიაინისათვის; საბავშვო მწერალი აღმიაინი უნდა ეცებდეს მაღალ-სულოვნებას, აღმიაინურ ღმობიერებას და გულთბილობას ე. ი. ჰემანიზმი, კეთილმოყვარეობა, გულისხმიერება, რომელიც მწერლის ერთ

ღირსშესანიშნავ თვისებად აქვს კრიტიკოსს მიზნულად, რასაკვირველია, სწრაფდება შექმენუნის მქონედ უნდა წარმოვთქვათ მწერლის ნორჩ მკითხველებზე, მაშინ ასეთივე გრძნობის აღზრდის წყაროდ მიაჩნია კრიტიკოსს და სწორედ ამას უსვამს ხაზს საბავშვო მწერლის ე. ვაზაშვილის საყმაწვილო მოთხრობებში; აღმიაინთა მწარე ხვედრის ჩვენებას, მამინდელი უყელმართი ცხოვრების უხვად გაბნეული სურათებით გადმოცემას, საუცხოვო ფსიხოლოგიური მომენტების რეალისტრად დაბატვას მიიჩნევს რა შედეგად, ამით კრიტიკოსი არა ორთხროვნად მიუთითებს საბავშვო სიტყვაჯამულ მწერლობას მხატვრული რეალიზმის პრინციპების საფუძველზე ნაწარმოებების შექმნისაკენ. მაშასადამე, კიტა აბაშიძეს საბავშვო მწერლობის უბირველეს ამოცანად მიაჩნია სინამდვილის ასახვა, ხოლო „სინამდვილედ უნდა ის მივიღოთ, რაკიუ ხშირი მოყუნენაა ცხოვრებაში და არა იშვიათი“;

საბავშვო მოთხრობა გონების ნაშრომი კი არ უნდა იყოს, არამედ „შეერთებულის გონებისა და გრძნობის ნაყოფი“<sup>3</sup>.

მ. ნასიძის „პედაგოგიური მოსაზრებანი“<sup>4</sup> მეტად საყურადღებო დებულებებს შეიცავს საბავშვო ლიტერატურის პრობლემათკის გაგებისა და გადამწყვეტის თვალსაზრისით; იგი გულისტკივლით აღნიშნავს, რომ საყმაწვილო წიგნები და ჟურნალები არა მარტო ჩვენში, არამედ სხვა დარჩანურებულ ქვეყნებშიც, ხშირად, უყურადღებოდ არის მიტოვებული და მათზე არაიენ ფიქრობს.

საბავშვო ლიტერატურის ძირითად მიზნად ის ბავშვთა ზნეობრივად აღზრდასა და გონებრივი განათლების მიცემას თვლის.

ამ ამოცანის განხორციელებისათვის მ. ნასიძეს საჭიროდ მიაჩნია ბავშვებზე სათანადო ზეგავლენის მიზიდენა, რადგან ბავშვი ცხოვრობს და ცოცხლობს შთაბეჭდილებებით და ამიტომ მხედველობაში უნდა მივიღოთ ის კენზარტება, რომ ბავშვზე „შეიძლება იქნაიოს ზედგავლენა მხოლოდ მან, რაკიუ პირ-დამირ მის გრძნობას შეეხება“<sup>4</sup>. ამიტომ მეტად მნიშვნელოვანია საბავშვო მწერალმა მხატვრული სიტყვით უჩვენოს ის, რაც ცხოვრებაში უნახავს, უგრძენია, გამოუღვია; წარმოუხაზოს ნაცნობი გარემო, ცხოვრება რომელშიც ტრიალებს თვითონ ბავშვი.

მ. ნასიძეს მტკიცედ სწამს, რომ ბავშვის აღზრდა და განათლება, ლიტერატურისაღმე მისწრაფება უფოოდ ეროვნული ხასიათისა უნდა იყოს, რადგან „ბავშვს არ აქვს იმდენად გასასწავლი ანალოგიური მსჯელობა, რომ შეეძლოს

1 „მოამბე“, 1899, № 12.

2 იქვე.

3 „ივერია“, 1884, № 4.

4 „ივერია“, 1884, № 4.

1 „მოამბე“, 1899, № 12.

2 „მოამბე“, 1899, № 12.



უცხო ერის ცხოვრებლად აღებული ფაქტების წარმოდგენა და შედარება მის ნაწილთან და გაგონილთან. ეს ხშირად დიდებისათვისაც მნელ საქმეს შეადგენს.<sup>1</sup>

საბავშვო მწერლობის სირთულის შესახებ თანდთან მტკიცდება ის აზრი, რომ „არც ერთი თხზულების დაწერა არ არის ისეთი მწველი და სადრთხილო, როგორც საყმაწვილო ამბების და მოთხრობებისა: განკვებ ბავშვებისათვის შედგენილ მოთხრობებში განათლებული მწერალი ცდილობს დაუხლოვდეს ბავშვის ფიქრებს, ოცნებებს ბავშვურად და არც ერთი სიტყვა დაწერა არის ამას არა სწავს. სახალხო ზღაპრებში და სხვა ნაწარმოებში კი დიდებულ და პოეზიით სავსე ბავშვი — ხალხია, რომელიც უამბობს ბავშვებს ბავშვურ ფიქრებს და ნაგებობით სწავს, კიდევ ეს ფიქრები; საყმაწვილო ზელოვნებით მწერლობა კი სულ სხვაა.<sup>2</sup>

ასეთივე აზრს ავითარებს საბავშვო მწერალი თეოფილე ხუციყვაძე: „ყოველ გვიან მწერლობაში საყმაწვილო მწერლობა უფრო მწველია. საყმაწვილო მწერლობას დიდი ნიჭი, სიფრთხილე და სიფაქიზე ეჭირვება. მოთხრობების წერა ვერ საზოგადოდ და განსაკუთრებით ყმაწვილების გონება განვითარებას შეადგენს. ამ თეოფილე სიტყვას, თეოფილეს აზრს და მიმართულებას, როგორც გზის ჩვენება ვახსნა და განვითარება შეუძლია, აგრეთვე სრულიად დამახინჯება, ვარყენა და გაოხრებაც შეუძლია მისი მსმენელი ყმაწვილისა.“<sup>3</sup>

თეოფილე ხუციყვაძე, ისე როგორც აკაკი გოგებაშვილი, ახალგაზრდობის აღზრდისა და მათი განვითარების განვითარებისათვის, გამოყენებს მეტად საჭიროდ და სასარგებლო მასალად თვლიდა, რის გამო წერდა: „უწინდელს დროში გამოყენების ახსნა ან შეხმა ერთმანერთთან გამოყენებით იყო დიდი ნიჭის და სიბრძნის ნიშანი. ვის არ ვაგვიჩვენა ზღაპრებში რომ შხით უნახავი ქალი ზნორად იმას მიყვებოდა ცოლად ერჩევა გამოყენების ახსნა კარგად იცოდა. გამოყენების ახსნით თავისუფლდებოდა ყაცი, თუ ვინდა სასიყვდილოდ წაშლდებოდა ყოფილიყო.“<sup>4</sup>

საბავშვო ჟურნალის „ნობათისა“ და ზოგჯერათი საბავშვო ნაწარმოებების იღვურ შინაარსობრივი და მხატვრული ღირებულების ანალიზის დროს სტ. კრელაშვილს მნიშვნელოვანი შეხედულებანი აქვს გამოთქმული საბავშვო სიტყვა-კაზმული მწერლობის პრობლემაზე.

საყმაწვილო ლიტერატურის დიდ მნიშვნელობაზე ამბობდა ეურადღებამ ალ. მირიანაშვილი და წერდა, რომ აუცილებელია შეიქმნას ქართული საყმაწვილო ლიტერატურა

„თუ კი გვსურს პირველიდანვე შეაჩვენოთ ჩვენს ბავშვებს ხალისი და სიყვარული სამშობლოს ენისადმი... ჩვენ გვმართებს ზრუნვა ბავშვების საერთოდ წყნებზედ... ანუ უკარგულეს გამოცემებზედ... წიგნები ბავშვთათვის უნდა იყოს დაწერილი რეალისტური, მშობლიური ქვეყნის ნაცნობ გარემოს შემცველი და ბავშვებისათვის ვასაგებ ქართულ ენაზედ...“

მეტად საყურადღებოა და საბავშვო სიტყვა-კაზმული მწერლობისათვის სასიცოცხლო პრობლემებს ეხება გრ. ყიფშიძე კრიტიკულ წერილში, რომელიც მან მიუძღვნა ე. ვაბაშვილის საყმაწვილო მოთხრობებს.

თუ გრ. ყიფშიძის მოსაზრებებს განვახილავდეთ, იგი შემდეგი სიხით წარმოგვიდგება: „არც კარგია და სახალისო, ვასართობი და სასარგებლო ზელოვნებაში ყმაწვილებისათვის, ის შეუძლებელია იმავე დროს კარგი არ იყოს და გულს-მოსახებდრა დიდებისათვის“.

ამ დებულების საფლგტრაციოდ გრ. ყიფშიძის მოყვას კონკრეტული მაგალითები: ნეკლომურის „ქაჯანა“, ს. მვალბლიშვილის „ყაყატას ჭურდი“, შ. არაგვისპირელის „ჩემო შეინდა“, ე. ვაბაშვილის „მადანას ლურჯა“, ვაჟაფშაველას „აქტოდები“.

გრ. ყიფშიძე საბავშვო მწერლობაში რეალისტური მიმართულების, რეალიზმის განმტკიცებისათვის შებრძოლია. მას კარგად ესმის ასეთი საბავშვო მწერლობისადმი წყენებული პედაგოგიური მოთხოვნაც — საყმაწვილო ნაწარმოებში შენაარსით არ შეეხებოდეს ბავშვის გონებისათვის მიუწვდომელ საგნებს. ეს პირობა აუცილებელია, რათა ბავშვებში აღიძრას ნაწარმოებისადმი კითხვის ინტერესი, შეიყვაროს არა მარტო ნაწარმოები, არამედ მისი ავტორი მიიზნოს როგორც აღმზრდელი, დიდი მოძღვარი.

ამას გარდა გრ. ყიფშიძის აღნიშნული წერილი ერთი ფრიალ სერიოზული საკითხის — ლიტერატურაში ტენდენციურობის პრობლემის კუშმარტაუ სწორად გაგების თვალსაზრისით არის მეტად საყურადღებო: „წინდაწინვე ამგებელი ტენდენცია არ უნდა აჰყვას მწერალს, არ უნდა ეტყოზოდეს ნაწერს, საით არის თანაგრძნობა მწერლისა. სენტენცია, მორალია კარგი, როცა იგი თავით თვისით გამომდინარეობს ნაწერიდან, როცა იგი შექსოვილი აქვს თვით დაბატულ სურათს.“

მიტმასწვლელი ტენდენცია სიყვდილია სახელოვნებო ნაწარმოებისა. ტენდენცია, როგორც ზემოდაცა ესთქვიით, ისე უნდა იყოს შესისხლხორცილებული ნაწარმოებთან, ისე უნდა ჰქონდეს ჩაწული და ჩაბრზილი საერთო სურათს ნაწერისას, რომ ცალკე არ ეჩხირებოდეს კაცს თვალში. დედა-აზრი ეტოდისა, ნაწერისა შიგ

1 „ფერია“, 1884 № 4.

2 „თეატრი“, 1886, № 23.

3 „მწვესი“, 1890, № 23-24.

4 „დროება“, 1883, № 39.

9. „შნათობი“ № 8.

1 „დროება“, 1882, № 51.

2 „მომამე“ 1899, № 3.



ნაწერში ისე უნდა ტრიალებდეს, როგორც სული უყვადებისა ადამიანის სხეულში, განუწორებელი, განუყოფელია" (ნაზი ზემია, ა. ნ.).

საბავშვო მწერლობაში ტენდენციურობის საკითხს შეეხო, აგრეთვე აკაციც ნ. ნიკოლაძესთან იმ პაექრობაში, რომელიც ქუთაისი ჯგუფის<sup>1</sup> კრიტიკულ განხილვასთან დაკავშირებით წარმოიშვა;<sup>2</sup> დიდებული მგოსანიც იმ აზრისაა, რომ საუბავშვო ნაწარმოებებში ტენდენცია თავისთავად უნდა გამოიძინარებოდეს, ძალდაუტანებლად, ბუნებრივად.

ცნობილი საზოგადო მოღვაწე მანსვეტაშვილი დიდი გულსყურით ეკიდებოდა ქართულ საბავშვო მწერლობაში გამორჩეულ ყოველ ნაწარმოებს. მისი კრიტიკული თვალა არ აცილებია ამ ნაწარმოებთა არც იდეურ-მინაარსობრივს და არც პედაგოგიურ მხარეს.

მანსვეტაშვილი მტკიცედ იცავდა ქართულ საბავშვო სიტყვებზე მწერლობაში მხატვრული რეალიზმის პრინციპებს; დედაზარი ღმკისისა ღმკიდანვე უნდა თავის თავად გამოიშვერივალბდეს. მან ყმაწვილებს გრძობაზე უნდა აღძვრას და ტყინსაც საზრდო მისცეს; საბავშვო მოთხრობა ცხოველი მართალი და მიმხილველი უნდა იყოს, რათა მკითხველს გულში ღრმად ემბეჭდებოდეს; მას უნდა შეეძლოს აღტაცებაში მოყვანა, სიამოვნების გრძობის აღძვრა; საყმაწვილო მოთხრობებს არ უნდა ჰქონდეს დიდაქტიური ელვა, თითქმის მოძღვრობის და ქადაგების. ამგვარი მოთხრობებს დიდი ზეგავლენა არ აქვს ყმაწვილების სულსა და გულზე და ამიტომ ხალხიანად არ კითხულობენ... ასეთ მოთხრობებში, თითქმის პირველსავე სტრიქონებიდან მიჰხვდებით, რომ ავტორს ამა და ამ აზრის, დარიცხვის, სენტიმენტის გამოთქმა უნდაო.

მანსვეტაშვილი ამის მგავლითად მოჰყავს ე. წ. ვაბაშვილის მოთხრობა „სახალწლო ფეშქაში“ და დაასკვნის: „იწყობთ კითხვას და მაშინვე თვალბეჭდში გეცემათ რაღაცა მომავლელური ღარიგება. ათავებთ კითხვას და აი რა სენტენციას სცნობლობთ მოთხრობადამ: მხიარულობაში და ბედნიერებაშიც ნუ დაივიწყებ უბედურ და ბედით დამაგრდეს. სწორედ როგორც სახარებაშია: „შვიდჯერ მოყვასი შენი, ეთარცა თავი თვისი“; საუბავშვო მოთხრობებში დაუშვებელია ბუნების გაქიანურებული აღწერა (ასახლებლს კონკრეტულ ნაწარმოებს „კაცაბაქს“); საბავშვო მწერლობაში „კარგად უნდა შეისწავლოს ქართულების ცხოვრება“, და ამით გაამდიდროს ქართული საუბავშვო ლიტერატურა.

ამგვარად, მანსვეტაშვილი ჰეშმარიტი საბავშვო ნაწარმოების მხატვრული რეალიზმის პრინციპზე შექმნის მოთხოვდა.

ეროვნული საბავშვო ნაწარმოებების შექმნასთან ერთად, საბავშვო ლიტერატურული კრიტიკა როგორც რუსეთში, ისე ჩვენშიც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა თარგმანებს და კლასიკოსების ნაწარმოებების ბავშვთათვის გადაცემებას, რითაც სურდათ ბავშვთა კითხვის არც გაფართოება.

თარგმნასა და გადაცემებას, როგორც ცნობილია მიმართავდა თვით იაკობ გოგებაშვილიც. თარგმნიდა ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა და მრავალი სხვა. იაკობ გოგებაშვილმა, როგორც კი გაიყო განზრახულია დანიელ დევოს „რობინზონ კრუზოს“ გადმოთარგმნა, მას მხვრეაღედ გამოეხმარა: „ამ ძვირფასს საუბავშვოლო საუნჯეს შესაფერის საბით დაანახებებს ჩვენს ქართულ ბავშვებს, რომელნიც ესე უწყალოდ აიბან მოკლებულნი, არამც თუ ხეირიანს საკითხავ წიგნსა, არამედ ყოველივე გონების ვაჭიშობას... რუსულ ენაზედ სხენებელი წიგნი ბევრ-გვარად არის გადაცემებულ-გადმოცემული სხვა-დასხვა ავტორებისაგან. ზოგი ძლიერ შემოკლებულია, ზოგი კარგა პრეტად არის დაწერილი; ამასთან ზოგი სულ პატარა ბავშვებისათვის არის შედგენილი, ზოგი კი უფრო ხნიერათათვის...“<sup>3</sup>

კრიტიკას არც საწინააღმდეგო მდგომარეობა გამოარჩენია მხედველობიდან, ასე, მაგალითად, ქალბის მიერ თარგმნილი, ქუთაისში გამოსულ, მოთხრობების კრებულს ასეთი შეფასება მიეცა: „რადგამ გადმოთარგმნეთ ეს უნიკო, უფერული და უზარო აჟია-ბაჟია გრძელნი მართრებისა? ხელში შეუხვდათ და იმიტომ, თუ გირჩიათ ვინმემ...“<sup>2</sup> ამასთანავე მიითვებელია რომ საქირთა ითარგმნოს გამოჩენილ პირთა ბიოგრაფიებში, ამ თანამედროვენი ასეთები, როგორცაა მაგალითად ვიქტორ პიუგო, გამბეტა, გლადატონი, ლასალი ფარფილდი, კასტელიორი, ქორჯ ზანდი, საჩა ბერნარი, ან კიდევ წარსული დროის გირჩინ: ვაშინტონი, ლინკოლნი, ეანა დარკი, რაშელი, მირაბო, ფრანკლინი, შილერი, ბელინსკი, დობროლიუბოვი, ნოვიკოვი...<sup>3</sup>

დიდი დავა გამოიწვია შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ყმაწვილთათვის გადმოცემებაში. ეს ზოგიერთმა პედაგოგიურ შეცდომადა ჩათვალა. ის, რაც აქ ყურადღებას იქცევს, ეს არის ვენიკიანი პოემის ფორმალური ვადმოცემება ე. ი. პოემის მართულ ტექსტად გადაცემება შინაარსის გადმოცემის მხნითი გ. იოსელიანის მიერ მორბილ ყმაწვილებისათვის, რაც გენიალური პოემის ფორმალური ვადმოცემების პირველი შემთხვევა არის ქართულ

<sup>1</sup> „დროება“, 1883, № 57.

<sup>2</sup> „დროება“, 1883, № 87.

<sup>3</sup> „დროება“, 1883, № 88.

<sup>1</sup> „თეატრი“, 1890, № 8, 10.

<sup>2</sup> „ივერია“, 1886, № 6.

ლი საბავშვო ლიტერატურის ისტორიაში. „ივერიის“ ფერწილებზე ლალიგორელის ფსევდონიმით 1893 წელს პირველად დაბეჭდვად გამოვიდა წიგნი: „პედაგოგიური შეცდომა“-ს სათაურით „ვეფხისტყაოსნის“ გ. იოსელიანის მიერ ყმაწვილთათვის გადაკეთების წინააღმდეგ. კრიტიკოსი ავითარებს რა თავის მოსაზრებას თარგმნის საკითხებზე, მიზანშეწონილად მიიჩნია მხოლოდ იმისი „გადამოღება“, რაც აუცილებლად საჭიროა და ამავე დროს შესაძლებელია. ამის საფუძვლად მან მიიჩნია მხოლოდ ერთი გარემოება — ეს უნდა მოხდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც დედების წაქოხლება არ შეუძლია იმას, ვისთვისაც გვესურს ამისი მიწოდება: „მეგავითად, საჭიროც არის, ვაშრსაღებავი და თითქმის სავალდებულოც, ვისაც კი ამისათვის ძალ-ღონე შესწევს, გადმოიღოს და ადვილის, გასაგონის ენით უამბოს სპენსერის ფილოსოფია, დარჩენის სწავლა-მოძღვრება და სხვა ამ გვარ დაწინაურებულ მეცნიერთა ნაწერები, რადგან თუ არ ამ გვარად, სხვა გზით ეს ნაწარმოები ბევრისათვის და ძლიერ ბევრისათვის სრულიად ხელ-მიუწვდომელია“ (გვ. 1).

კრიტიკოსი აყენებს კითხვას, საერთოდ შეიძლება თუ არა შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ გადმოკეთება, „გადმომუშაობურება“? ამ კითხვებზე თვითონვე იძლევა პასუხს, რომ ასეთი რამ შეიძლება, მაგრამ ამისათვის საჭიროა ის მაღალი შემოქმედებითი ძალა, „რომელსაც ზენა მიაჩნებებს ხოლმე მხოლოდ რჩეულთა, ზეით ხელდასხმულთა“.

ამ შემთხვევაში არ შეიძლება არ დავეთანხმოთ კრიტიკოსს იმაში, რომ პოემის ტექსტის „მდაბიურად“ გადაკეთებამ სრულიად დაუკარგა ნაწარმოებს ესთეტიკური და ემოციური ზეგავლენის ძალა. ამიტომ ის გადაკეთებულ პოემას ადარებს „ბუხს მღერას“ და თანაც დასძენს „მოგესხენებათ რომ ბუხს სიმღერა-საზარტელი კვილია და ეს კვილი, არამც თუ ბუხს მაგვარ მღერას, ბუღბუღლის გალობასაც კი საშუადად შეაძლებს ადამიანო“ (გვ. 3).

კრიტიკოსს „კეალი“ ფერწილებზე გამოეხმება გ. იოსელიანი, რომელიც პოემის გადაკეთების აუცილებლობას სხვადასხვა მიზეზით ხსნის. გ. იოსელიანი აღნიშნავს, რომ თუ ჭერ კიდევ პოემის ტექსტი ბევრისთვის გაუგებარია, ამისი მიზეზი გ. იოსელიანის თვალსაზრისით შემდეგია:

„ყველა კარგად ვიცი, რომ დღეს ქართულ ყმაწვილებს დედა-ენას არ ასწავლიან, როგორც საჭიროება მოითხოვს და როგორც სასურველია, არც ოჯახებში და არც სკოლებში. მამ, საიდან უნდა იცოდნენ ჩვენმა შეილებმა ქართული ენა ისე კარგად, რომ „ვეფხისტყაოსნის“ თავისუფლად წაკითხვა და გაგება შეეძ-

ლოთ? არა თუ მოსწავლე ყმაწვილებმა, რამე წუხაროდ ბევრმა მასწავლებლებმა არ იცოდნენ ჩვენი დღეს ქართული ენა“.<sup>1</sup> მართლაც გ. იოსელიანი შემდეგ კლასიკტრულ ნაწარმოებების გადაკეთება-გადართარგმნის საქმის სასარგებლოდ მოყავს კონკრეტული მაგალითები შედარების, ანალიტიკების გაკეთების მიზნით და ადასტურებს, რომ ასეთი ნაწარმოებები ბევრია არა მარტო რუსულ ენაზე, არამედ განვითარებულ ხალხთა ენებზეც — ფრანგულ, გერმანულ, ინგლისურ და სხვ. ასახელებს ჰომეროსის „ილიადას“ და „ოდისეას“, შექსპირის ტრაგედიებს, რომლებიც ყმაწვილთათვის საკითხავად სპეციალურად არის გადაკეთებული და დასაკრისი: „თუ იმ ქვეყნებში, სადაც ყმაწვილებს პატარაობიდანვე ასწავლიან დედუნა ოჯახში და სკოლებში, საჭიროდ მიიჩნიათ ასეთი წიგნების შედგენა და გამოცემა, ჩვენი ყმაწვილებისათვის ხომ უფრო საჭირო უნდა იყოს რათა ამ საშუალებით მიიღონ შევანიჭოთ ცოტაც, არის, დედა-ენაზე წიგნების კითხვა“.<sup>2</sup>

ამ საკითხს დადებითად გამოეხმება „მწვემსოც“, რომელმაც დაბეჭდა „მცირე პედაგოგიური შენიშვნა“.<sup>3</sup>

ამგვარად, კლასიკური ნაწარმოებების ყმაწვილთათვის საკითხავად გადაკეთება იმ დროისათვის როგორც რუსეთში, ისე ჩვენშიც — საქართველოშიც წარმოებდა. ეს ერთი მხრივ იმით იყო გამოწვეული, რომ ერთდროულად საბავშვო მწერლობაში საქმარი რაოდენობით ჭერ კიდევ არ მოიპოვებოდა საინტერესო, კარგი და სასარგებლო წიგნები, რომელიც უპასუხებდა ახალი თაობის აღზრდის ამოცანებს და მეორეს მხრივ, იგი დაკავშირებული იყო ყმაწვილთათვის კითხვის არც ვადართოების მოთხოვნასთან.

საკითხის იმგვარად დაყენება, საშუალებით წიგნების თარგმნა სჯობდა თუ კლასიკური ნაწარმოების გადაკეთება, არ მიგვიჩნია სწორად; მოსწავლეობისათვის პოპულარული ნარკვევები თუ სპეციალურად მათთვის მიწარმოებულ ფორმებში ცოდნის მიწოდება მოწინავე მეცნიერების მიწვევებზე. აუცილებელია, საჭირო და სასარგებლო. ამდენად საშუალებით წიგნების გადაკეთება თუ მეცნიერების მონაპოვარზე და თვით მეცნიერებაზე ყმაწვილთათვის სპეციალური წიგნების დაწერა, კუშმარტილად სააშუალო და საშუალოწიგლო საქმეა. მას თავისი ამოცანები აქვს, თავისი სფერო და საზღვრები.

უფროდ შეცდომა ასეთი წიგნების დაბრუნება მხატვრულ ლიტერატურასთან, რომელიც ასახვის საგნის, ასახვის ფორმისა და გამომსახველობითი საშუალებებით ბუნებრი-

1 „კეალი“, 1893, № 11.  
 2 იქვე.  
 3 „მწვემსოც“, 1893, № 7.

1 „კეალი“, 1893, № 11.

ვად უპირისპირდებოდა, თავისი სპეციფიკურობის გამო, მეცნიერული ხასიათის წიგნებს.

მასაც თავის ამოცანები, სფერო და საზღვრები აქვს. მიუხედავად ამისა ამ შემთხვევაში მხატვრული და მეცნიერული ნაწარმოებები ახალი თაობის აღზრდის პრობლემაში იყრის თავს და მათთვის მიუთვინებელი როლის შესრულებით ერთ დიდ სახალხო საქმეს უნდა ემსახურებოდნენ.

სწორედ უნდა მივიჩნიოთ ის ელემენტარული მოთხოვნა, რომელიც შეიძლება წავუყუროთ ყოველ გადმოკეთებულ და გადმოთარგმნილ ნაწარმოებებს: ასეთი ნაწარმოებები მაღალი ოსტატობით, ძარღვიანი ქართული ენითა და მიწილიველ ფორმით უნდა იქნეს წარმოდგენილი, წინააღმდეგ შემთხვევაში ის კარგავს თავის ფუნქციას.

ამგეარად, ქართული საბავშვო ლიტერატურის კრიტიკის ისტორიაში მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარი, ისტორიულად, ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდია არა მარტო იმიტომ, რომ ზელს უწყობდა ეროვნული საბავშვო ლიტერატურის ჩამოყალიბება-განვითარებას, არამედ იმიტომაც, რომ ის პრობლემები, რომლებმაც პოევეს სათანადო გადაწყვეტა, საფუძველი გახდა ქართული საბავშვო ლიტერატურის კრიტიკის ძირითადი პრინციპის ერთი მთლიანი სისტემით ჩამოყალიბებისა და შემდგომი, ეპოქის თავისებურებათა მიხედვით, განვითარების სა-

ფუძველიც. იაკობ გოგებაშვილთან ერთად ივანე გომართელი, კიტი აბაშიძე, ლ. ბოლქვაძე, ი. შანსვეტაშვილი, სტ. ჭრელაშვილი, წ. ჩხარტიყ თოფილე ხუსცივაძე და სხვ. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ქართული ეროვნული საბავშვო ლიტერატურის კრიტიკის საფუძველს ამტკიცებენ, კრიტიკოსთა ეს ჯგუფი იაკობ გოგებაშვილის ესთეტიკური კონცეფციის განმატკიცებელ-განმავითარებელნი იყვნენ. ისინი ამტკიცებდნენ იმ აზრს, რომ რეალზმის პრინციპებზე შექმნილი ქართული საბავშვო ლიტერატურა არის სინამდვილის მხატვრულად შეცნობის საფუძველი, დადებითი და უარყოფითი მოვლენების ასახვისა და ჩვენების აუცილებელი პირობა; „ადგილობრივი მოვლენის“, „ადგილობრივ ცხოვრების“ ყოფითი სურათების ჩვენება მათთვის იყო მთავარი პრინციპული მოთხოვნა, რომელიც უნდა გამხდარიყო ეროვნული საბავშვო ლიტერატურის შექმნისა და განვითარების მკვიდრი საფუძველი.

ყველა ეს და სხვა უმნიშვნელოვანესი მოსაზრებანი ქართველ სამოციანელთა ესთეტიკურ კონცეფციაში იღებდნენ სათავეს და ამავე დროს პედაგოგიური თვალსაზრისიდან გამომდინარე სპეციფიკურობის გარკვეული მინიშნებით ავითარებდნენ საბავშვო ლიტერატურის კრიტიკის ეროვნული საბავშვო ლიტერატურის წარმოშობა-განვითარებასთან კავშირში.



## ბაუზმბრობა გოეთეს ერთი ბაზმბის ბამო

როგორც მოსალოდნელი იყო, ჩენი ხანდაზმული გოეთელოგი პროფ. გრ. ზავთასი გამოეხმაურა შარშან გამოქვეყნებულ ჩემს წიგნს: „გოეთეს შემოქმედებითი გზა“ (იხ. „მნათობი“, 1967, № 7). უფრო სწორად, ამ წიგნის გამოქვეყნებამ მისცა მას საბაზი თუ იმპულსი ერთზეულად კრიტიკულად განეხილა გოეთეს ის „გაგებება“, რომელიც 1953 წლიდან მოყოლებული სხვადასხვა ნარკვევებში განივიითარებია და მეტნაკლებად სრული სახით სხენებულ წიგნში მაქვს ჩამოყალიბებული.

ასეთი გამოხმაურება, ცხადია, მხოლოდ სასიხარულო შეიძლება იყოს, თუკი მას მიუყვარებელი ხასიათი აქვს. მაგრამ, სამწუხაროდ, წინასწარვე უნდა ვთქვა: გოეთეს შემოქმედების ყველა ძირითადი საკითხის გაშუქებაში გრ. ზავთასი ისე „თანმიმდევრულად“ მიიჩინისპირდება, რომ ძალაუფლებრად გამოყრობს ეჭვი, ნუთუ შეიძლება ობიექტური საფუძველი ჰქონდეს ერთი საგნის ორი მველვაების შეხედულებათა აგრერტივად აბსოლუტურ თანხედენელობას?

ტიანობის ღმერთად“ გამოჰყავს „ფაუსტის

ღმერთი“. თითქოს თავადაც ასეთად არ მიიჩ-  
ნევედს „პროლოგის“ ღმერთს, ხოლო ამასთან  
დაკავშირებით ვერც ასეთ ღმერთს „ავლელით  
ვევარდს მართალია, გრ. ზავთასი“ უბუნთან  
დაეპიეც უარყოფს ფაუსტის „ღმერთთან დაბ-  
რუნებას“, რისთვისაც კვლავ აზღენს „ფაუს-  
ტის“ ამბეტაციას, — ისევე-ისე „აქქმებს“ ტრა-  
გედიის „ეპილოგს“, სადაც, ვიშვორებ, სიმბო-  
ლურადაა გამოსახული ღმერთთან ერთქმნილი  
ფაუსტის ამბელება, — მაგრამ აქ, ვერმანევილი  
მეიბეველისათვის დანიშნულ წერილში, უკვე  
„შეფარვით“ აკეთებს ამ „ოპერაციას“; ისე ლა-  
პარაკობს „ფაუსტის“ დასასრულზე, თითქოს,  
ებრალოდ, ბუნებაშიც არ არსებულყოფს ხე-  
ნებული „ეპილოგის“ ანუ სიტყვაგაყვად აღარ  
წინავე იმანზე, რომ იგი „არ წარმოადგენს ნაწარ-  
მოების ქსოვილის ორგანულ ნაწილს“, რასაც  
შეუქრთამლად ამტკიცებს თავის ჭართულ ვა-  
ფთელოგიურ წრომებში. ჭადრაკის ენაზე ასეთ  
რამეს „ცხენით სვლა“ ეთქმის, რომელსაც, შე-  
ნასძლია, აქ ერთგვარი გამართლებაც მოეძებ-  
ნას: მართლაცდა, ნებისმიერი ნამდვილად  
მხატვრული ქმნილებისა და მეტადრე ვაფთეს  
„ფაუსტის“ ამა თუ იმ „გაგების“ მცდარობა  
და უსაფუძვლობა კიდევ რაღაც უნდა ცხად-  
ჰყოს, როცა ამ გაგების „გასამართავად“ მსგავს  
„ქორტრგული ზარევა“ ხდება საწარო. მა-  
გრამ პრაქტიკული თვალაზრისით ეს გასაგები  
გადაგება („ცხენით სვლა“), უფოფ, მიინც  
არ ამართლებს გრ. ზავთასს როგორც მეცნი-  
ერს, რომელსაც არავითარ სიტუაციოში არ  
მართებს ორნაირი თვალაზრისა ქეონდეს ერთი  
მოვლენაზე „საშინაო“ და „სავარეო“.

დასასრულ, კიდევ ერთი „შეგონება“. რჩე-  
ბა რა „ვაფთეს ერთი გაგების“ ამგვარ „განჩ-  
ხრეკას“, გრ. ზავთასი შესაძლებლად თვლის  
ასე „შემიწინაროს“ და „დამამწვიდოს“: „მაგ-  
რამ აეტორის სასარგებლოდ უნდა ითქვას,  
რომ იგი ასეთ პირობებშიც (!) ახერხებს (!?)  
გამოვლინოს ვაფთეს მსოფლმხედველობისა  
და შემოქმედების, თეთი მოხუცი ფაუსტის  
მხატვრული სახის (!) რიგი დადებითი მომენ-  
ტი...“ კეშმართად გასაკვირია, რა სასწეუ-  
ლით „ავახრებ“ ამას, თუ ეი ერთიანად ვალა-  
ბი და მიუღებელი ის კონცეფცია, ის დედა-  
ზარი. რომელსაც გამოსატყვის ვაფთეს შემოქ-  
მედებითი გზის რეშს მიერ წარმოადგენილი სუ-  
რათი? ამ კითხვის პასუხი პროფესორის ლო-  
გიკისათვის მიმინდვია, ხოლო ამ პასუხის მო-  
ლოდინში ერთი ოპტიმისტური ანდაზის პერიფ-  
რაზით მიინდა „ნუგეშინი“ ევე რეშს თავს ზოჯ-  
ერ კსეთი „კრიტიკაც“ მარგებელია, რამე-  
თუ, როგორც ჩანს, არც ისე უფლად გაიგია  
ვაფთე, რაე ამის უარსაყოფად უკეთესი ზერ-  
ხები და საბუთები არ აღმოჩენია რეშ სასტყე  
ოპონენტს.

პარტიული პარტიის

### უზბეკეთის სახალხო რევოლუციის

უნგრეთის სახალხო რევოლუციის მდებარეობის ცენტრში, უკრაინის დუნაის შუაწელის დაბლობში. მოსახლეობამ ათ მილიონს გადააჭარბა ამის გარდა ოთხ მილიონამდე უნგრელი ცხოვრობს სამშობლოს გარეთ (უნგრეთის მეზობელ ქვეყნებში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, ავსტრალიაში, სკანდინავიაში, ინგლისში...). უნგრელები თავიანთ თავს უწოდებენ მაღიარებს. ისინი ეკუთვნიან უგორ-ფინური მოდგმის ხალხს. აწინდელ მიწაწაღზე უნგრელები დასახლდნენ მე-9 საუკუნის მიწურულში (ზოგიერთი უნგრელი ისტორიკოსის ფიქრით, მათი წინაპრები თავდაპირველად თითქო საქართველოს მთიანეთში ბინადრობდნენ, შავი ზღვის სიახლოვეს).

მაღიართა მომთაბარე ტომმა ევროპაში ბრძოლით მოიპოვა საცხოვრებელი ადგილი, ახალ სამკვიდრებელში შექმნა სახელმწიფო, მიიღო ქრისტიანობა და საუკუნეების მანძილზე იგი ღირსეულად ზედებოდა მტერსა და მოყვარუს. პეტისმეტად მძიმე ისტორიული ცხოვრების გზა განვლო უნგრელმა ხალხმა. 1241-1242 წლებში უნგრეთი უმოწყალოდ მოაოხრეს და მისი მოსახლეობა გაქოლტეს მონგოლებმა. მონგოლების შემდეგ ქვეყანამ წყლულები მოიშუშა და მე-14-15 საუკუნეებში დიდ წარმატებებსაც მიაღწია. მე-15 საუკუნე არის ძველი უნგრეთის პოლიტიკური და კულტურული აყვავების ხანა. ამავე დროს ეს ის ხანაა, როდესაც ევროპის შუაგულისაკენ ცეცხლითა და მახვილით იკაფავდა გზას ბარბაროსული ოსმალები. ერთხან უნგრეთი გმირულად უმ-

კლავდებოდა მოზღვავებულ მტერს, მაგრამ 1526 წელს მოჰაჩთან უნგრელები სასტიკად დამარცხდნენ. ამ დროიდან უნგრეთს ქედზე დაადგეს ოსმალთა ბატონობის მძიმე უღელი. საუკუნეწინახევიარი გაგრძელდა ოსმალთა ავიკირთება. მე-18 საუკუნის დასაწყისიდან (1711 წლიდან) ოსმალები ჰაბსბურგებმა შესცვალეს. ჰაბსბურგები ძალმომრეობის ცივილიზებული ხერხებით ცდილობდნენ უნგრელი ხალხის დამონებასა და გადაშენებას. ამის საპასუხოდ არ ცხრებოდა აჯანყებები ჰაბსბურგთა ტირანიის წინააღმდეგ. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ფერხულში ჩაება უნგრეთის მთელი მოწინავე საზოგადოება. 1848 წელს იფეთქა საყოველთაო სახალხო რევოლუციამ ავსტრიელთა ბატონობის დასამხოზად. რევოლუციის ხელმძღვანელობდნენ სახელგანთქმული პოლიტიკური მოღვაწე ლაიოშ კოშუტი (1802-1894) და უნგრელთა უდიდესი პოეტი შანდორ პეტეფი (1823-1849). გაპირებაში ჩავარდნილ ვერაგ დამპყრობლებს მიეშველა და აჯანყებას ბოლო მოუღო რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ პირველმა. ჯალათებთან ბრძოლაში დაიღუპა შანდორ პეტეფი. კოშუტი უცხოეთში გარდაიხვეწა. უღვთო იყო გამარჯვებული ჰაბსბურგების შურისძიება. უნგრელ ხალხს იარაღი მაინც არ დაუყრია და ბრძოლაზე ხელი არ აუღია.

ქართველთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურები დადალ აფასებდნენ უნგრელ თანამოძქეთა

საბრძოლო საქმეს. ილია ჭავჭავაძის კაზინეტში (საფურცამოში) ახლაც არას დაცული ლაიოშ კოშუტის სურათი შესანიშნავი წარწერით: „არასოდეს ჭეშმარიტებას ამ ქვეყნად ასე მძლავრად არ დაუქუხია“. აკაკი წერეთელი კი გამოტეხილად აღიარებდა: „კოშუტი ყოველი შეგნებული ქართველი პატრიოტის იდეალია“.<sup>1</sup>

როგორც აღვნიშნეთ, ლაიოშ კოშუტი უცხოეთში გარდაიხვეწა. კოშუტის ოჯახის ერთმა შტომ სამკვიდრებელი დაიდგა საქართველოში. ქართველი კოშუტების ორი შთამომავალი ახლა თბილისში ცხოვრობს. ესენი არიან ინჟინერი სტანისლავ კოშუტი და მისი შვილი სვეტლანა კოშუტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

პირველმა მსოფლიო ომმა (1914-1918) უნგრეთის ბურჟუაზიული რესპუბლიკის ჩამოყალიბება შეაპირობა 1919 წელს, 133 დღის განმავლობაში (მარტი-ივლისი), უნგრეთი საბჭოთა რესპუბლიკას წარმოადგენდა. იგი ჩაახშო მტარვალმა კონტრადმირალმა ჰორტემ. მიკლოშ ჰორტის დიქტატორულ-შოვინისტური რეჟიმი გერმანული ფაშიზმის ბუნებრივი მოკავშირე და საყრდენი ძალა გამოდგა უნგრეთის სახელმწიფოში. პიტლერს მიჰყვა ჰორტიც და მისი მემკვიდრე, უნგრული მარკის პიტლერელი სალაში. 1944 წლის სექტემბერში უნგრეთამ მაწა-წყალზე ფეხი შედგა საბჭოთა განმათვისუფლებელმა არმიამ. 1945 წლის 13 თებერვალს განთავისუფლდა ბუდაპეშტი. 4 აპრილისათვის დამთავრდა მთელი უნგრეთის განთავისუფლების დიადი საქმე. გააუბუღლი მტერი ბრძოლით იხევდა უკან, ანგრევდა და მიწასთან ასწორებდა ქვეყანას, არბევდა, აწიოკებდა, ძარცვავდა მოსახლეობას, წინ ერეკებოდა მძევლად გატაცებულ ათასობით ტყვეს.

ცხოვრებამ თავისი გაიტანა. დიდი საბჭოთა ქვეყნის ძმური დახმარებით

უნგრელი ხალხი წელში გაიმართა, თანდათანობით მოიშუშა მძიმე წყლულები და ახალი, სოციალისტური ცხოვრების მშენებლობას შეუდგა. 1948 წლის 18 თებერვალს დაიდგა საბჭოთა კავშირ-უნგრეთის თანამშრომლობისა და ურთიერთ დახმარების ისტორიული პაქტი, რამაც უზრუნველყო უნგრეთის უშიშროება და მისი სახალხო მეურნეობის სწრაფი განვითარების შესაძლებლობა. მართალია, 1956 წლის კონტრრევოლუციურმა აჯანყებამ დროებით შეაფერხა ქვეყნის ეკონომიური წინსვლა, მაგრამ ამ აჯანყების დროულმა ლიკვიდაციამ უნგრეთი კვლავ დააყენა აღმავლობის გაწაღდულ გზაზე.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა ამჟამად სოციალისტური ბანაის ხალხთა მოწინავე რიგებში იმყოფება თავისი მძლავრი ინდუსტრიით, განვითარებული სოფლის მეურნეობით და დიდი კულტურით. 1964 წელს რესპუბლიკის ეროვნული შემოსავალი სამჯერ მეტი იყო, ვიდრე მეორე მსოფლიო ომის წინ. 1939 წელს. უნგრეთში მტკიცედ არის ჩაყრილი სოციალიზმის საძირკველი. სრულდება უმნიშვნელოა კერძო სექტორის წვლილი როგორც მრეწველობაში (3%), ისე სოფლის მეურნეობაში (3,1%). უნგრეთს არ აქვს დაუმუშავებელი და დასვენებული მიწები. მოსავლიანობის ზრდა ხდება ინტენსიფიკაციის ხარჯზე. საგულისხმოა, რომ 1964 წლიდან რესპუბლიკა საქვებით იკმაყოფილებს თავს საკუთარი ხორბლეულით. მაღალია უნგრეთის მოსახლეობის ცხოვრების დონე, მაღალია მოსახლეობის სულიერი მოთხოვნილებანიც.

უნგრეთის რესპუბლიკაში ძლიერ დაწინაურდა სახალხო განათლება, მეცნიერება, ლიტერატურა, ხელოვნება (მუსიკა, მხატვრობა, არქიტექტურა, თეატრი, კინო), სპორტი. პირველი უნივერსიტეტი უნგრეთში დაარსდა ეკესასი წლის წინათ (1367 წელს), ბუდაპეშტის უნივერსიტეტის წინამორბედ უმაღლეს ეროვნულ სასწავლებელს კი 1635 წელს დასდებია საფუძველი. ომამდე უნგრეთში იყო 16 უმაღლესი სასწავ-

<sup>1</sup> გ. ჩიშაკაძე, უნგრეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობა („ლიტერატურული საქართველო“, 6. 11. 64).

ლებელი, ახლა 91-ა, ცხრაჯერ გაიზარდა სტუდენტთა რიცხვი. უნგრეთს ჰყავს მუშურ-გლეხური წარმომადგენლისტა მრავალრიცხოვანი შესანიშნავი კადრი, დიდებული ეროვნული ინტელიგენცია. უნგრეთის მეცნიერებათა აკადემია თავის არსებობას ითვლის 1825 წლიდან, აკადემია მეთაურობს რესპუბლიკის მთელ სამეცნიერო-შემოქმედებით საქმიანობას. უნგრეთის სწავლულთ მსოფლიო მნიშვნელობის წარმატებები აქვთ მოპოვებული მეცნიერების სხვადასხვა დარგში. საყოველთაოდ ცნობილია უნგრული მუსიკისა და მხატვრობის დიდი მიღწევები. მუსიკის სფეროდან საკმარისია თუ დავიმოწმებთ ფერენც ლისტის (1811-1886) და ბელა ბარტოკის (1881-1945) უკვდავ სახელებს. გიგანტური ნაბიჯებით მიდის წინ უნგრელი ნაციონალური თეატრი და კინოხელოვნება (რესპუბლიკაში 4500 კინოთეატრია).

უნგრულმა ლიტერატურამ, უწინარეს ყოვლისა, უნგრულმა პოეზიამ, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მსოფლიო მწერლობის ისტორიაში. შარშან, რუსთაველის საიუბილეო დღეებში, პოეტთა საერთაშორისო ფორუმზე ქალაქ ბორჯომში თანამედროვე გამოჩენილი უნგრელი პოეტი დიულა იიეში აღნიშნავდა: „რამდენად უფრო მკაცრი და სასტიკია ბედი ამა თუ იმ ერისა, იმდენად უფრო მნიშვნელოვანია მისი პოეტის როლი. ხდება ხოლმე, რომ მთელს ერს წინ უძღვიან პოეტები. აქ, საქართველოში, ამის მაგალითია სწორედ რუსთაველი, ამის მაგალითია ჩვენი უნგრული პოეზიაც“<sup>1</sup>. მართლაც და, მოწინავე უნგრული პოეზია, რომელიც უკვე მე-16 საუკუნეში აღწევს განვითარების მაღალ საფეხურს, იმათეთვე ჰუმანისტური მსოფლმხედველობის, სოციალურ-პოლიტიკური და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თავისუფლების კეთილშობილური იდეების გამომხატველ სულიერ საზრდოდ ევლენება

საკაცობრიო პროგრესისათვის მებრძოლ მცირერიცხოვან ერს. ეროვნული და სოციალური თავისუფლების, რბილუგია ასულდგმულზედა უნგრეთის უდიდესი პოეტი-რევოლუციონერისა და მამულიშვილის, შანდორ პეტეფისა (1823-1849) და მისი ერთგული თანამებრძოლის იანოშ არანის (1817-1882) მგზნებარე პოეზიას. პეტეფის შთამავრებელი ლექსების დიდი ნაწილი მშვენიერად ვადმოთარგმნა ქართულ ენაზე პოეტმა გრიგოლ აბაშიძემ. პოეტ კარლო კალაძეს კი ამით უფლება მიენიჭა კმაყოფილებით მოახსენოს თავისი თანამოძმის შორეულ აჩრდილს:

მე უნებლიედ ვფიქრობ, შენს ლექსებს  
თუ რაიგ შეენით ლექსი ქართული!  
ჩემს ბაღში შენი წიგნის ფურცელი  
სანდო კაცს შეხვდა, შანდორ პეტეფი!

ქართველობა იცნობს, სწავლობს და აფასებს უნგრეთის ახალი დროის ისეთ სახელმწიფოებრივ მწერლებს, როგორაც იყვნენ და არიან იოჟეფ კატონი (1791-1830), მიხაი ვერეშმარტი (1800-1855) მორ იოკაი (1825-1904), იმრე მადაჩი (1823-1864), ენდრე ადი (1877-1919), ეიგმონდ მორიცი (1879-1942), ატილა იოჟეფი (1905-1937), მიკლოშ რადნოტი (1909-1944) ფერენც მოლნარი (1878-1952), დიულა იიეში, იოჟეფ დარვაში, იშტვან შიმონი, ლაიოშ მეშტერაზი, შანდორ ვერეში და მრავალი სხვა. სამწუხაროდ, დასახელებული მწერლების ნაწერებიდან მეტად მცირე რამ არის თარგმნილი ქართულ ენაზე.

უნგრულ-ქართულ კულტურულ ურთიერთობას მოდგამს დიდი ტრადიცია. ყოველ შემთხვევაში მე-17 საუკუნიდან მაინც გარკვეულად ისახება ამ ურთიერთობის ღირსშესანიშნავი კონკრეტული ფაქტები. სანიშნოდ ჩვენ მხოლოდ რამდენიმე მათგანს დავასახელებთ

საყოველთაოდ ცნობილია, რა დიდი როლი შეასრულა კაცობრიობის კულტურის ისტორიაში გუტენბერგის გამოგონებამ. ისტორიული ცხოვრების უკუ-

<sup>1</sup> მწერალთა ბორჯომის საერთაშორისო ფორუმში („მნათობი“, 1967, № 3, გვ. 111).

ღმართობის გამო ბეჭდვის საქმემ საქართველოში ძლიერ დაიგვიანა. მხოლოდ მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში და ისიც უცხოეთში, იტალიაში, გამოქვეყნდა პირველი ნაბეჭდი ქართული წიგნი. ქართული ეროვნული სტამბა ჯერ მოსკოვში დაარსდა, შემდეგ თბილისში. მოსკოვის სტამბა უკავშირდება არჩილის (1647-1713) სახელს, თბილისის სტამბა კი მოაწყო ვახტანგ მეექვსემ (1675-1737).. მაგრამ არჩილმაც და ვახტანგმაც თავიანთი საშვილისშვილო წამოწყება განახორციელეს უნგრელი სპეციალისტების დახმარებით.

არჩილს ჯერ კიდევ 1687 წელს, მოსკოვში პირველად ჩასვლის დროს, სახელმძღვანელო უნგრელი მესტამბის მიკლოშ ტოტფალუშ კიშისათვის (1650-1702) ამსტერდამში შეუკვეთია ქართული საბეჭდი შრიფტის დამზადება და მისი ჩამოსხმა. სადოქრებელი ზდება, რომ ამ შრიფტს არჩილი ამზადებინებდა საქართველოში წამოსაღებად და თბილისში სტამბის გასამართავად.<sup>1</sup> სანამდის საქმეს თავი მოეხერხებოდა, არჩილი საქართველოში დაბრუნებულა, ხოლო კიშისეული ქართული შრიფტი სტოკჰოლმში გატანილი აღმოჩნდა. შემდეგ, გვიან, მე-18 საუკუნის დასაწყისში, ამ შრიფტის გამოქვანა და მოსკოვში მისი ტრანსპორტირება არჩილმა შვედეთში ტყვედ მყოფ მის შვილ ალექსანდრეს მიანდო. პეტრე პირველის დიდ მეგობარს, რუსეთის არმიის გენერალფელდცეხმაისტერს.

თბილისის სტამბის მოწყობაში ვახტანგ მე-6-ს გადაწყვეტილი დახმარება აღმოუჩინა დიდმა რუმინელმა განმანათლებელმა ანთიმოზ ივერიელმა (1650-1716), ტომით ქართველმა. ანთიმოზმა ვახტანგ მეექვსეს თავისი ნიჭიერი და სასტამბო საქმეში დახელოვნებული შეგირდი მიხაილ სტეფანეს-შვილი ანუ მიხაი იშტვანოვიჩი გამოუგზავნა. თუმცა მიხაი რუმინეთში (ვალახიაში) მოღვაწეობდა, წარმოშობით უნგრელი უნდა

ყოფილიყო, „უნგრო-ვლახელი“. ხაზგასმით უნგრო-ვლახელად იხსენიებს თავის თავს სტეფანეს-შვილი: „ქართულ დოკუმენტებში. ისე როგორც ანთიმოზის სახელს ამკობდა ეპითეტი ივერიელი (ქართველი), მიხაი სტეფანეს-შვილიც თავის უნგრელობას ვერ ელეოდა. რუმინელი აკადემიკოსი პ. კონსტანტინესკუ-იამი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ რუმინულ გამოცემებში მესტამბე სტეფანეს-შვილი თავის თავს უწოდებს მიხაილ იშტვანოვიჩს-ო და განმარტავს: „შტეან უნგრული ფორმაა სახელი. სა შტეფან“.<sup>1</sup>

ამგვარად, ქართული ეროვნული სტამბის ორგანიზაციის საშვილისშვილო საქმეს განუყრელად უკავშირდება ორი შესანიშნავი უნგრელი მოღვაწის დაუვიწყარი სახელი.

უნგრულ-ქართული ძმური ურთიერთობის უბრაწყინვალეს ფაქტად ეხატება ყველა ჩვენთაგანს ეფეხისტყაოსნის უნგრული თარგმანისა და დასურათების სამაგალითო ისტორია. უნგრულ ენაზე მოპოვება ეფეხისტყაოსნის რევოლუციამდელი სრული პოეტური თარგმანი, რომლის ავტორია მეცნიერი და პოეტი ბელა ვიკარი (გარდ. 1945 წ.). რუსთველის პოემის თარგმნა ვიკარს შთააგონა მისმა გამოჩენილმა თანამემამულემ, მხატვარმა მიხაი ზიჩმა (1827-1906). ბელა ვიკარმა შეისწავლა ქართული ენა, იგი გაეცნო საქართველოს ისტორიულ წარსულს და ისე შეუდგა პოემის თარგმნას. ქართული და უნგრული ენების ჩინებული მცოდნის, ავსტრიელი ქართველოლოგის პუგო შუპართის დაკვირვებით, ეფეხისტყაოსნის ვიკარისეული თარგმანი ერთა საუკეთესოა პოემის არსებულ თარგმანთა შორის. ჩვენ დროში ეფეხისტყაოსანი კიდევ ორჯის ითარგმნა უნგრულ ენაზე, ახალი პოეტური თარგმანი შეასრულა თანამედროვე ცნობილმა პოეტმა შანდორ ვერეშმა, ხოლო პოემა პროზაულად გარდათქვა მწერალმა იოჟეფ რომანმა.

<sup>1</sup> ქრ. შარაშიძე, ქართული შრიფტი ამსტერდამში, თბილისი, 1937.

<sup>1</sup> აკად. კონსტანტინესკუ-იამი, მიხაილ შტეფანი („ლიტერატურული გაზეთი“, 16. 10. 59).



უნგრულ-ქართული კულტურული თანამშრომლობის ისტორიას ამშვენებს განთქმული უნგრელი მხატვრის მიხაი ზიჩის დიდი სახელი. როცა მე-19 საუკუნის ოთხმოციან წლებში ქართველ მწერალთა და მეცნიერთა საგანგებო კომისიამ ილია ჭავჭავაძის მეთაურობით ვეფხისტყაოსნის კრიტიკული გამოცემის თადარიგი დაიწყო, ისიც გადაწყდა, რომ გამოცემა ყოფილიყო დასურათებული. მხატვარ-დამსურათებლად მოიწვიეს პეტერბურგში მცხოვრები უნგრელი ემიგრანტი მიხაი ზიჩი. ზიჩმა კვაყოფილებით იქისრა ეს დავალება. მან რამდენიმეჯერ იმოგზაურა საქართველოში, გაეცნო მის ყოველ კუთხეს, მის ლამაზ ბუნებას, მის ხალხს, შეისწავლა ამ ხალხის ყოფა-ცხოვრება, ადათ-წესები, რამდენადმე სალაპარაკო ენაც. ზიჩი არჩევდა პოემის დასურათებისათვის საჭირო პეიზაჟებს, იძებდა სახე-მოდლებს, იკეთებდა პირველ ჩანახაზებს, აღგენდა მომავალი სურათების ესკიზებს. ჩანახატებს მხატვარი ამოწმებდა სცენაზე დადგმული ცოცხალი სურათებით. ზიჩი არ ზოგავდა არც დროს, არც ენერჯიას, არც ნივთიერ სახსარს, რომ შეექმნა რუსთაველის პოემის საკადრისი მხატვრული სამკაული. ვეფხისტყაოსნის დასურათებას უნგრელმა მხატვარმა ჩააქსოვა უსაზღვრო შრომა, უზადო ნიჭი და უზომო სიყვარული. დიდმა სიყვარულმა დიდი ნაყოფიც გამოიღო. ვეფხისტყაოსნის ზიჩისეული ილუსტრაციები დღემდის საუკეთესოდ რჩება, პოემის შემდგენლოინდელი მრავალგზისი კვალიფიციური დასურათების მიუხედავად. ვეფხისტყაოსნის სურათების ალბომი ზიჩმა ქართველ ერს უსახსოვრა შესანიშნავი მინაწერთ: „ქართველ ხალხს ჩემი თანაგრძნობისა და გულითადი ერთგულების ნიშნად. ს. პეტერბურგი, 10 მარტი, 1889 წ.“ ჩვენ ვერ დავეიწყებთ, რომ ვეფხისტყაოსნის დასურათებისათვის საჭირო ყოველი ხარჯი ზიჩმა გაიღო სრულიად უსასყიდ-

ლოდ. კარგად ამბობს ზიჩის მკვლევარი ბენო გორდენიანი, რომ „დიდ უნგრელ მხატვარს ნივთიერი პონორარის სამხაგეროდ ერგო ქართველობის ღრმა სიყვარული და გულითადი პატივისცემა.

უნგრელი ზიჩის სახელი ერთი უსაყვარლესი სახელია ქართველთა შორის.

უნგრელი და ქართველი ხალხების კეშმარიტი ძმობა-მეგობრობა თანდათანობით გაღრმავდა და განმტკიცდა მას შემდეგ, რაც საქართველოში დამყარდა საბჭოთა წყობილება, ხოლო უნგრეთში დაემხო პორტისტულ-სალაშისტური რეჟიმი და უნგრეთის რესპუბლიკა სოციალისტური ბანაკის ქვეყანათა რიგებში ჩადგა. ამ დროიდან ხშირდება ცოცხალი კონტაქტები ჩვენი ხალხების საუკეთესო წარმომადგენელთა შორის, დელეგაციების გაცვლა-გამოცლა, ტურისტული მგზავრობა, სპორტული შეჯიბრებანი, ინდივიდუალური თუ კოლექტიური მიპატიე-მოპატიეება, სტუმარ-მასპინძლობა. უნგრეთში იმოგზაურეს და თავიანთი შთაბეჭდილებანი მშვენიერი პოეტური ენით გადმოსცეს გიორგი ლეონიძემ, სიმონ ჩიქოვანმა, იოსებ ნონეშვილმა. გიორგი ლეონიძემ თავის დროზე მონაწილეობა მიიღო პეტეფის გარდაცვალების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმში. შარშან, რუსთაველის საიუბილეო დღესასწაულზე, საქართველოს ეწვია უნგრელ მეცნიერთა და მწერალთა დიდი დელეგაცია, რომელშიც შედიოდნენ პროფესორი კაროი ცეგლელი, მწერლები დიულა იიეში, იშტვან შამონი, ტიბორ დერი, გიდაშ ანტალი, ბენიამონ ლასლო, შანდორ ვერეში, ქართველოლოგი მარტონ იშტვანოვიჩი და სხვ. ცოტათი ადრე, სექტემბრის დასაწყისში, თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს სეგედის უნივერსიტეტის პროფესორებმა იშტვან რუკაშმა და არპად ბერციკ-



შა. სხვათაშორის, წელს, სექტემბრის თვეში შედგება ქართულ და უნგრულ სწავლულ მკურნალთა სიმპოზიუმი ჩეხენს დედაქალაქში.

თბილისში სისტემატურად იმართება უნგრეთის ცხოვრებიდან საგულისხმო თარიღების აღსანიშნავი საღამოები. ცალკე უნდა დავიმოწმოთ კომპოზიტორ ბელა ბარტოკის, მწერლების ბელა ილქვისა და მათე ზალკას და ბათუმში დამკვიდრებული უნგრელი რევოლუციონერის ბელა კუბერისადმი მიძღვნილი საღამოები. შარშან, უნგრეთის განთავისუფლების 21 წლისთავის აღსანიშნავ საღამოში მონაწილეობა მიიღეს უნგრეთის ეროვნული გალერეის დირექტორმა ლასლო ბენიმ, ორგანიზტმა იანოშ შობეშეკინიმ და მუსიკალურმა ეურნალისტმა ერვინ ფედენიმ. თბილისში მოეწყო (1965 წ.) უნგრული კავშირგაბმულობისა და „ტრანსელექტროს“ საუცხოო გამოფენები, საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვა აგრეთვე უნგრული მხატვრული ფოტოს გამოფენამ. სახელმწიფო კომერცატორიასა და ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრში მოეწყო უნგრულ კომპოზიტორთა ნაწარმოებების კონცერტები. ჩვენი საზოგადოება ინტერესით ხედება უნგრული ფილმების დემონსტრაციას. უნგრულმა რეჟისორმა იანოშ პატამ ქართული რეჟისორის ევლახიშვილის თანამშრომლობით და ბენო გორდუხიანის კონსულტაციით გადაიღო კინოფილმი „მიზაი ზინი საქართველოში“.

ჩვენ ბევრი შეხვედრები და მეგობრული საუბრები გვქონდა გამოფენების მომწყობ უნგრულ სპეციალისტებთან, სხვადასხვა დარგის წარმომადგენელ უნგრულ ტურისტებთან, მათ შორის უნგრულ ასპირანტებთან და სტუდენტებ-

თან, უნგრეთის ბიბლიოთეკების მუშაკებთან, მასწავლებლებთან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობს ოთხი უნგრული სტუდენტი — ლინგვისტი (მარია ჩაპო, ანიკო დემეტერ, შანდორნე ბავდან და ანდრას კომლოშ). რომლებმაც ჩინებულად შეისწავლეს ქართული ენა. ქართული შეისწავლა და ქართულად დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია იური-სტმა ჟიგმონდ მეღვემ. ქართული სამეცნიერო განათლება მიიღო და მალე სადოქტორო დისერტაციას წარმოადგენს ქართულ ხალხურ ბალადაზე მარტონ იშტვანოვიჩი, ჩვენი გულითადი უნგრელი მეგობარი, რომელიც ქართველოლოგიურ დისციპლინებს ასწავლის ბუდაპეშტის უნივერსიტეტში და ხშირად გამოდის საქარო ლექციებით საქართველოს ისტორიისა და ქართული მწერლობის საკითხებზე. მარტონ იშტვანოვიჩმა უნგრულად გადათარგმნა ქართული მწერლობისა და ხალხური სიტყვიერების არა ერთი და ორი პირველხარისხოვანი ძეგლი, მათ შორის „ქართული ხალხური ზღაპრები“ და ილია ქაქავაძის პოემები („განდეგილი“, „აჩრდილი“, „აკაკო ყაჩაღი“); შეადგინა აკაკი წერეთლის თხზულებათა ერთ-ტომეული და თანამედროვე საბჭოთა პოეტების ნაწარმოებთა კრებული. მანვე მოამზადა გამოსაცემად „ამირანდარეჯანიანი“, ბესიკის რჩეული ლექსები, ეკას პოემები.

ბევრს თარგმნიან ქართულიდან უნგრულად და საყურადღებო ნაწყვეტებს აქვეყნებენ ჩვენ ჟურნალზე ჩვენი მეგობარი მწერლები დიერდ რადო და ლაიონ ტარდი. ამას წინათ დაიბეჭდა მათი მშვენიერი წერილი რუსულ ენაზე «Грузия глазами венгров» („ლიტერატურული ურთიერთობანი“, 1, 1965).

ამეამად უნგრელ მკითხველებს თავი-  
ანთ მშობლიურ ენაზე შეუძლიათ გაეც-  
ნონ როგორც რუსთაველის უკვდავ პო-  
ემას, ისე მე-19 საუკუნის დიდი ქარ-  
თველი კლასიკოსების (ნიკოლოზ ბარა-  
თაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წე-  
რეთლის, ვაჟა ფშაველას) და გამოჩენი-  
ლი საბჭოთა კალმონების (ლეო ქია-  
ჩელის, გიორგი ლეონიძის, სიმონ ჩიქო-  
ვანის, ირაკლი აბაშიძის და გრიგოლ აბა-  
შიძის, იოსებ ნონეშვილის) რჩეულ ნა-  
წერებს

უნგრეთ-საქართველოს კულტურულ  
თანამშრომლობის დაგვირგვინებს წარ-  
მოადგენს შარშანდელი ქართული საზოგადო-  
ებრივი და წლებიანი უნგრული კულ-  
ტურის დღეები საქართველოში. ეპეო-  
არაა, ეს დღეები ხელს შეუწყობს უნგ-  
რული და ქართველი ხალხების კიდევ  
უფრო მეტი ძალით დაახლოების, და-  
მეგობრებისა და დაძმობილების კეთილ-  
შობილურ, ინტერნაციონალურ საქმეს.



## ი ნ ლ რ ე ბ ე ი

ინდოეთის მთავრობის მიწვევით, საბჭოთა კავშირის უმაღლესმა საბჭომ ინდოეთში გაგზავნა აზიური ქვეყნების უმაღლესი საბჭოების დეპუტატთა დელეგაცია. დელეგაციაში საქართველოდან შედიოდა მახარაძის რაიონის სო-

ფელი შრომის კოლმეურნეობის თავმჯდომარე — ამ სტრუქტურის აგტორი.

დელეგაციას ჰქონდა, პროგრამა რომელიც შედგენილი იყო საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის სავაჭრო საქმეთა სამინისტროების მიერ.

### ზოგი რამ იქიდან, რას ვი ვნახი

თითქმის ყველა ქვეყნის საელჩოები ინდოეთის სატახტო ქალაქ დელში ერთ ქუჩაზეა განლაგებული.

ჩვენი საელჩო უმწვენიერეს შენობაშია და ყუაილებში ჩამგდარი კარმიდამოთი გამოიჩინება სხვა საელჩოებს შორის.

ინდოეთში ჩვენი ელჩია ამხანაგი ბენედიკტოვი, სოფლის მეურნეობის ყუაილი მინისტრი, რომელმაც მე ერთხელ (1951 წელს) ჩეხოსლოვაკიაში გამგზავნა, საერთოდ, მას წინაღობის ხეობა შეეხებდრეობა. მოვადგონე, ესამოვნა. ბევრი რამ მქონდა საქართველოზე, მოიკითხა ძველი ნაწარმები, — ხომტარია, ალაივქ და სხვები.

ჩვენი წარმომადგენლობაში შეეხვლით თანამემამულეებს — ქართველ ტიტვისტრებს-სპეციალისტებს, რომლებიც ამოწმებენ შესასყიდი ნაისა და თამბაკოს ხარისხს. ისინი უმთავრესად მადრასსა და კალკუტაში მუშაობენ.

შემდეგ ამბ. ბენედიკტოვი და მისი მეუღლე საელჩოს სხვა თანამშრომლებთან ერთად, თან წავიყვანენ შტატებში მოგზაურობის დროს.

მთელი დელეგაცია დიდად კმაყოფილი და მადლობელი დარჩა ამხანაგი ბენედიკტოვის, მისი მეუღლისა და, საერთოდ, საელჩოს ყველა თანამშრომლისა, უადრესად თბილი მიღებისა და დიდი ზრუნვისათვის.

ინდოეთი მსოფლიოში განთქმულია უმუშე-

ვებუდეთ სოციალისტური შრომის გმირის, მახარაძის კოლმეურნეობის თავმჯდომარის მიხ. ორაგველიძის წიგნის იმ ნაწილს, რომელშიაც ავტორი მოგვითხრობს ინდოეთის სოფლის მეურნეობაზე, რედ.

ვართა არმით და უსახლკარო ღარიბი მოსახლეობით.

უმუშევარი და უსახლკარო ქალაქებისავე ილტვიან.

ბომბეი, ეს ვებებრთელა ქალაქი, გაწმენებულია არაბეთის ზღვის სანაპიროზე. მისი მთავარი ქუჩა (სანაპირო) რვალივით არის გაწოლილი ზღვის სანაპიროზე, სადაც ათასობით ციამბეგნია აღმართული. ამ ძვირფას შენობებში დღეს დ ვადმოდულს ცხოვრება. აქ არის თავმოყრილი ბომბეის შეძლებული მოსახლეობა, უცხოელი, თუ ინდოელი მილიონერები.

სახლების ქვედა სართულებში მოთავსებულია უზარმაზარი სავაჭროები და რესტორნები, საიდანაც ისმის ჯაზის ხმა.

აი, ასეთ ქუჩაზე, რომლის სიგრძე ათი კილომეტრი მაინც იქნება დაახლოებით, ცხოვრობს 1000 უსახლკარო და უმუშევარი ინდოელი.

ქუჩაში, სახლის კედელზე, ჩამოკიდებული აქვთ ბრუგენტის, ან რაიმე ჩეხარის ნაგლეჯი და მთელი ოჯახი აქა თავშეფარებული. ასეთი „მოსახლეობა“ ინდოეთში ათ მილიონზე მეტია. დიდი ოჯახები, რომელთა წევრები ასეთი გადახურების ქვეშ ვერ თავსდებიან, პირდაპირ ქუჩაში წვიბიან და იქ იძინებენ.

გათენდება თუ არა, ოჯახის ყველა წევრი, რომელსაც სული უდგას, ქალია იგი თუ კაცი, გაბრის, იქნებ ქალაქში რაიმე სამუშაო იშოვოს და „ოჯახში“ ლუქა პური შეიტანოს.

ბავშვები და მოხუცები, რომლებსაც მუშაობა არ შეუძლიათ, დიდიანვე ქუჩებში გამოყვინებთან და მათხოვრობენ. თუ ვინმე უცხოელი შეინიშნეს, მუდარით შემოესვენ, ტრო-

ტურაგზე გორვით და ხოხვით, ხელგაფრედ-  
ლები. მერე მოსდევენ, მანამ ბინაში არ ჩაიკეტ-  
ბი. მაგრამ თუ ბინა შორს გაქვს, მისვლამდე  
ორასი მათხოვარის შეავლში აღმოჩნდები.  
მაშინ მოვა ჩასტეხული პოლიციელი და პოლი-  
დოგოვით დაერგვა ამ უბედურ ხალხს, მიუგ-  
ვირებ.

მე ისე შემაწუნა ამ ხალხის ბედმა, რომ გა-  
ბრუნებულავით ფეხს ძლივს მივადგამდი ქერა-  
ში; რა ვშველებათ-თქო, ვფიქრობდი, ამ მილი-  
ონობით ადამიანს, რომლებიც განუტოხავად  
იხოცებიან შიმშილით. უბინაობით. უსუფთაობი-  
საგან გავრცელებული შავი ჭირით, უვაგილით,  
კეთრით. ეს იყო მიზნები, რომ ერთი დიდი კა-  
რი, რომელიც ხელმძღვანელობს დიდი შტატის  
სოფლს მეურნეობას, კინალამ გვაგბარაზე ბან-  
კებზე, სადაც უხვად ეყარა საქმელ-სამშელო.  
უცნაური დილოგი გაიძარა ჩვენს შორის:

მე ყველას ვაინტერესებდი, რადგან გმირის  
წიშანი და ლენინის ოთხი ორდენი მქონდა.  
გამსაკურთხები ოთხი ლენინის ორდენი უცვირ-  
დათ. შეივდისთან ჩემს პირდაპირ ოქდა სოფლის  
მეურნეობის ხელმძღვანელი. გამოირკვა, რომ  
ის ხორცს არ ჰჭამდა, დანდური და შემწვარი  
ჭამის ხორცი მივაწოდე. ჭათამს აქ ისე  
წავავე, რომ მის სუნს ამ კოლომეტრზე იგრ-  
წნობ, რაღაც უჩვეულო ქუნელში აშხადებენ.  
ინდოვით ხომ საერთოდ ძველთაგანვე სანაღე-  
ბელის ქვეყანა იყო და ასე დარჩა. არც დან-  
დური გადაიღო და არც ჭათმის ხორცი. მაშინ  
უკითხე:

— რატომ არ მიირთმევთ. სერ, მშვენიერ  
დანდურს?

— მე ვეგეტარიანელი ვარ. — მიპასუხა ინ-  
დოელმა.

მე ვეღარ მოვიტყინე და იმ წამსვე უკითხე:

— სერ, ხალხი, რომელიც ქუჩაშია დაეროლი  
და შიმშილით იხოცება, ამას აქ რა ჰქვია?

— თარქიმანი ცოტა შეყოვნდა თარგმნაზე. მაგ-  
რამ იგი ქართული იყო, იყოდა ჩემი ახირე-  
ბა და ამიტომ უთარგმნა:

— მისტერ ორაგველიძე გვეითებებით, ვინც  
ზორცს არ სჭამს, ამას რომ ვეგეტარიანი ჰქვია.  
ეს კი ვაგიფი, მაგრამ ვინც სულ არაფერს არ  
სჭამს, მას რას ეძახით?

მე შეგონა, იწყენდა და გაწითლებოდა, მაგ-  
რამ თქვენც არ მომიყვლეთ, სულაც არ დაფიქ-  
რებულა, ისე მიპასუხა:

— მისტერ ორაგველიძე, თქვენ რომ ხალხზე  
შეკითხებით, მას ჩვენი, ინდოელების ერთგული  
უბედურება ჰქვია, რაც კოლონიალიზმმა და  
კასტრუმმა უღელმა გადაგვავაპარაო.

ჩვენს საუბარს ახლა სტეგმაც წამოაყურეს,  
მეც გუფთამაში და განაგრძე კითხვები:

— სერ, თქვენ ვაჩაღლებული კაცი ბრძან-

დებით, რა იქნება; ეს ლატაკი ინდოელები, რომ-  
ლებსაც სამუშაოს ვერ აძლევდნენ უბედურებანი,  
გააერთიანოთ კოოპერატივებში? [წმინდა] შეგნ.  
იცხოვრებენ. ეს ხომ შეირჯისა რამ იქნებოდა  
მათთვისაც და სახელმწიფოს ინტერესისათვი-  
საც.

იცით, რა მიპასუხა?..

— მისტერ ორაგველიძე, მე ვიცნობ თქვენს  
კოოპერატივებს. ერთადერთი მსნა დარბი, უმე-  
წყებართა დიდი არმიისათვის ინდოეთში მხო-  
ლოდ კოოპერატივია. მაგრამ რა გქნათ, როგორ  
შევემნათ კოოპერატივები, როცა მიწა არა  
გვაქვს. მიწა არ გვეყოფნის. საიდან მივეყო  
მიწა კოოპერატივებს. უმიწოდ კი რა კოოპერა-  
ტივი შეიძლება შეიქმნას?

მე მაინც არ მოვეშვი, გამახსენდა, მთელი  
ინდოეთის დაროცელი მიწა-წყალი მცხოვრებ-  
თა შორით 15 პროცენტის ზელში რომ არის,  
და შევეკითხე:

— სერ, თქვენ რამდენი გავით მიწა, ამ  
სტეგს?

— მიღირებს, მეამბეღლებს. ხუთასიდან ორ-  
სამ ათას ჰექტარამდე — რაღაც უცმყოფი-  
ლოდ მიპასუხა მან.

მე ვიფიქრე, ეს არის მიზანს მივალწიე-მეთქი  
და ისევე უკითხე:

— დაროცელი, აი, ამ თქვენს მიწაზე შეიძლ-  
ება კოოპერატივების მოწყობა.

— ალბათ, ვერ გვაგებინეთ. — მიპასუხა  
მან, — მე ჩემი ორი ათასი ჰექტარი მიწა მაქვს.  
თქვენ კი გგონიათ, სახელმწიფოს მიწაზე გე-  
საუბრებოდით. ასეთი ფორდი კი არ გავაანია.

— ღიახ, მეც თქვენს მიწაზე ვამბობ, სერ.  
ღიახ, თქვენს მიწაზე მოწყვეთ კოოპერატივე-  
ბი და ინდოელი ხალხი შევინერაბ იცხოვრებს.

— ეს არ შეიძლება. მისტერ ორაგველიძე,  
იგი ჩვენი საკუთრებაა, მას ინდოეთის დარი-  
ბებს ვერ გადავცემთ. ეს რომ აგრე მოხდეს,  
მაშინ ჩვენ გვეღარობდებით.

მე ისევე დანდურის ჭამა ვანდარბე. ზედ შორ-  
ლანდური ეისკი დაეყოლო და გავიღიმე. გა-  
ვიფიქრე: — რასაც ენენი ინდოელი ხალხი  
უბედურებას ეძახიან, ამის მიზეზი თვითონ არ-  
იან. ღიახ, მთავარი მიზეზი ამ უბედურებისა  
უვითონ არიან და თითქმის ვერ ხვდებიან... აქ  
უფრო ღალი რამ უნდა მოხდეს, რომ ინ-  
დოელმა ხალხმა აშოისუნტოქსი.

მე ნათლად დაეინახე კოლონიალიზმის, კაპი-  
ტალიზმის, ფეოდალიზმის სისხლიანი კლანჭე-  
ბი და, სანამ ეს კლანჭები პირიანად არ მოიკვე-  
თება ინდოელი ღარიბ-ლატაკების საშველი არ  
იქნება.

ღიღი ვაევიგლახით ახერხებენ კაიიკების დაე-  
როკუებას და რიქმის ეტლის შექმნას. ცხენის  
მაგიერ თითო ებმებიან ამ ეტლში და გებუ-  
ღარებთან:

— დარბანდით ჩემს ეტლში; წინ ჩამოსადარე-  
ბელი აქვს. მზე არ დაეცხუნებს, მე საათში

20 კილომეტრს მაგრბევიან, და ძალიან იაფათაი, რაც გნებავთ, ის მაჩუქეთო!"

ასეთი რიქვებით სავსეა უზარმაზარი ქალაქები. — ბომბეი, მაღრასი, დელი, კალკუტა, თუმცა აქ ყველან თველი ათასი ავტომობილია, მაგრამ ამ მანქანებით მხოლოდ მდიდარი ინდოელები ან უცხოელები დაბრძანდებიან. ეტლში გახველი, ფეხშიშველი ინდოელები, რომლებსაც მხოლოდ სასირცხო ადგილი აქვთ დაფარული, ოფლში იწურებიან. სიჩქარეში მანქანებს ეკობრებიან და ლეკმაპურის საშოვნელად გარბიან.

ნ ბ 0

ინდოეთის ჩაი უმაღლესი ზარისხისაა, ჩვენ ვნახეთ ჩაის პლანტაციები, რომლებიც მხოლოდ შემამულეებს ეკუთვნით. თვითველი ასეთი პლანტაცია 200-300-500 და მეტ ჰექტარს შეადგენს.

შემამულეებს ქობმაგებში უკეთესი ჩაისაზღებულნი უსახლარო ინდოელები და ეწვიენ მათ განუზომელ ექსპლუატაციას. ჩაის პლანტაციები, მოზნეით არის ნათესი, მწკრივებს ვერ ნახეთ. მას არც თონიან; კულტავადა კი მოუხერხებელია.

დაჩვილინის უკეთესი პლანტაციები საშუალოდ იძლევა 2-2.5 ტონა მოსავალს ჰექტარზე. ჩაის კარგი მკრეფავი კი დღეში მხოლოდ 20 კილოგრამს უკრეფს. დაბალი მოსავალი აიხსნება იმით, რომ პლანტაციებს არავითარ სასუტეს არ აძლევენ, არც ორგანულს და არც მინერალურს. სავართოდ, ინდოეთში მინერალური, სასუტეების წარმოება თითქმის არც არის. მხოლოდ ახლახანა აღშენებით ერთი ქარხანა, რომელიც მთავრობის ზელშია და წლიურად უშვებს 300.000 ტონა სელენატამონიუმს, ეს კი წვეთია ზღვაში.

პლანტაციების მეპატრონეებს აქვთ ჩაის პაპატარას საყურთარი ფაბრიკები. ეს ფაბრიკები კუსტარულია და მოწყობილია ტრანსპისაზე. ჩაის შუა პროდუქცია იქვე იყრება სპეციალურ ყუთებში და მეპატრონის სახელის და გვარის აღნიშვნით ვაქვთ ბაზარზე.

მთიან არმატულ ჩაის ძალიან შევეწყვეთ. მწვენიერ, სასიამოვნო სუნისა და გემოს ნავენს იძლევა. და ეს, ჩემი აზრით, იმიტომ, რომ ჩაის პლანტაციები ვაშენებელი აქვთ ზღვის დონიდან 1000-2000 და მეტი მეტრის სიმაღლეზე. მასთან, არის უსასუტო. იყრიდება მხოლოდ დრეყები და მოვლარებულა ტრანსპორტირება. დღეს მოკრეტელს მეორე და მესამე დღეს არ აფუშავებენ. ქალი ვერეფს ჩაის და თავისივე საკრეფი კალათით მიდის ფაბრიკაში და იქ აბარებს.

უკეთესია ჩვენი ფაბრიკები თავისი ავტომო-

ბი ეს არის ახლანდელი ინდოეთის სოციალური სურათი. ზოგი უსახლარო ოჯახი, რომელიც სამი-ოთხი მუშახელისაგან შედგება, ოცნებობს შეიძინოს ფორანთ-თუ შეიძენს, მთელი ოჯახი შიგ შეებმება და მიათრებს მიღებ ტვირთს. მიათრებს უკანასკნელ ამოსუნთქვამდე.

ღიახ, ეს ადამიანები მხოლოდ სოციალიზმს შეუძლია გადაარჩინოს და უბედურებიდან გამოიყვანოს. სხვა არავითარი სასწაული ამ ხალხს არ უშველის.

ტიზაციით, სხვადასხვა დანადგარებით, მაგრამ ინდოეთის ჩაის შუა პროდუქცია სჯობს ჩვენსა თანისი საუკეთესო გემოთი და სუნით. ჩვენ ინდოეთში ვიყავით თებერვალსა და მარტში. აი, ამ თვეებში უკვე მომწიფებული იყო პლანტაციები. პურის ნათესები, სიმინდისა და ბრინჯის ყანები.

ბალები დატვირთული იყო მწიფე მანდარინით, ყურძნით, ფორთოხლით, მსხლით, ვაშლით, ყურძნით, ბროწეულით, ანანასით, კოქოსით, ბანანით, კიტრით, ნესვით, სახამორთით და პამიდორით.

ინდოეთის მაღლიანა მიწა ორ-სამ მოსავალს იძლევა წელწადში.

პური და ყველა ერთაწლიანი კულტურა აღებისთანავე ითუება, ირგვება.

მართლაც, ცოცხა ინდოეთში ადამიანი მშინერი კვებობდენ, მაგრამ რა მიწის ბრალია, რომ აქ მიწა ზოგისათვის, მართლაც, დედამიწა ზოგისათვის კი დედინაცვალი.

წვიმები მოდის მხოლოდ მაისსა და ივნისში. იცის ტროპიკული წვიმები, განუწყობადი, რაც აცოცხლებს მზისაგან გადაბუფულ ველ-მინდორებს... ბევრია ვეალებების გამო გამოუყენებელი ადგილები.

ყერ კიდევ ქვეყნის სამსახურში არ არის ჩამდგარი ვეებერთელა მდინარე განგი მისი შენაკდებით, ნაკლებია წყლის გამოყენება, არ არის მოწყობილი სარწყავი არხები. ხოლო იქ სადაც წყალი გაყვანილი, იქაბრება წალკობად არის ქვეაული.

ინდოეთის სოფლას მეტრეობაში სრულებით არ არის გამოყენებული მექანიზაცია; ისე გაიყლი ათას კილომეტრს, რომ ტრაქტორს ვერ შეხედები. ჩვენს სავაპრო წარმომადგენლობას მოწყობილი აქვს გამოყენება ჩვენი სასოფლო-სამეურნეო მანქანა-არალები. ასევე სხვა ქვეყნებსაც. მაგრამ მას ინდოელი შემამულეები არ ყიდულობენ. ზედაც არ შეხედავენ ხოლმე. და ეს იმიტომ, რომ გაცილებით უფრო იაფი უყდებათ მშიერ-ლატაი მუშა-ხელი!

სოფლად ძნელად შეხედებით ელექტრო განათებას. ყველა სოფელი ჩაბნელებულია. სოფლის კეთილმოწყობაზე, სკოლებზე, აბანოებზე, განათებაზე თავს არაფერ იწყენებს. ცხოვრობენ ქობებში; ამუშავენ თოხითა და კავით იმ მიწებს, რომლებსაც გლეხები კაბალურ პირობებში იჯარით იღებენ შემამულეებისაგან.

ვინ არ ეაქრობს ინდოეთში: ინგლისი, ამერიკა, იაპონია, გერმანია, საფრანგეთი, საბჭოთა კავშირი, თითქმის ყველა ქვეყანა.

ზარბეჭში გახსნილ საეპრობებში, რასაც ინტრებთ, ყველაფერს იშოვით.

დიდი მალაზიების პატრონებს ყველა დიდ ქუჩაში დაგზავნილი ჰყავთ ავენტები, რომლებიც უცხოელებს ევედრებიან: იქნებ, გსურთ იყიდოთ რაიმე. წამობრძანდით ჩვენს მალაზიაში, მე თვითონ გავაცილებთ, ჩემს პატრონს ძვირფასი საქონელი აქვს. რასაც ისურვებთ, იმას მოგართმევთ. იგი ყველაზე იაფად ყიდის მთელს ინდოეთში.

მალაზიაში შესვლისთანავე გთავაზობენ ტუბილ ხოლმეს, წყლებს, ვიდგამენ სკამს; ვთხოვენ, დაბრძანდით, შემდეგ კი იწყება ეპრობა. ეს ყველაფერი იმიტომ ხდება, რომ საქონელი უამრავია, მისი მყიდველი კი ძალიან ცოტა.

ყველაზე ძვირია სასმელები, თუმცა მას ინდოეთის მცხოვრებთა მხოლოდ 20% მიირთმევენ. ესენი არიან მდიდრები და მილიონერები. რელიგიაც უკრძალავს სასმელის ხმარებას და მთერალს ქუჩაში ვერასოდეს შეხედებით. არის ქალაქები; მთელი შტატები, რომელთაც „შშრალი

შტატს“ ეძახიან. „შშრალი ქალაქი“, სადაც სასმელის ამჟრად სმა აკრძალულია.

სასმელზედად დიდი პარტულარობით სარგებლობს შოტლანდიური, ამერიკული, ინგლისური, ფრანგული ვისკი.

ვახიანი წყლის წარმოება კი ყველა ქალაქშია, ხოლო რაიმე მინერალურ წყალს ვერ იპოვით.

მძლოლი, რომელიც მე და სომხების მინისტრთა საბჭოს მაშინდელ თავმჯდომარეს კონინიანს გვატარებდა, ინდოელი იყო. ძალიან მარჯვე, ასე 40 წლის კაცი. მას ვითხოვთ, ვისკის თუ სვამთ-მეთქი, გვიპასუხა: მხოლოდ ზოგჯერ, როცა რუსეთის საელჩოს სტუმრები ჰყავს. ისინი გვთავაზობენ, ჩვენ კი, შოფრებს, ამა როგორ შევეიძლია ვიყიდოთ ვისკი; მე პირველი კლასის შოფრები ვარ და თვეში 160 რუპიას ვიღებო, ერთი ბოთლი ვისკი კი — 80 რუპია ღირს.

აი, ასეთია პირველი კლასის მძლოლის თვითრი ბელჟასი; ორი ბოთლი ვისკის ფასს არ აღემატება.

საერთოდ დიდად გვატყინა გული ერთმა გარემოებამ:

ჩვენ გვქონდა შემთხვევები: მძლოლს ივიყვანდით სასტუმროში, ჩავეტყავდით და უხვად ეუშასაპინაღმდობდით ყოველგვარი საჭმელ-სასმელით, ამით განცვიფრებული მძლოლები ამბობდნენ მძლოლის ფასი მხოლოდ თქვენ იცით, სხვები ზედაც არ გვიყურებენო. განსაკუთრებით ავანებდნენ ამერიკელ, ინგლისელ და ინდოელ მილიონერებს.

### რად იცინა ინდოეთში საკართველოზე?

დღეში ერთ ბანკეტს ესწრებოდა ინდოეთის სახალხო პოეტი, კომუნისტი, პარლამენტის წევრი. როდესაც ჩვენმა მეთაურმა ნასრდდინოვამ დასწრებებს ვააცნო ჩვენი თავი, სხვასთან ერთად ჩემზედაც თქვა, მისტერ ორავველიძე ჯორჯიადან არის, კოლმეურნეობის თავმჯდომარე, უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და სოციალისტური შრომის გმირი, ლენინის ოთხი ორდენის კავალერიო. ამის შემდეგ პოეტი გამოვიდა, თავისი სიტყვა ჩემით დაიწყო. აი რა თქვა:

— მე ვიცნობ ჯორჯიას, მე მაქვს შოთა რუსთაველის „ფეხისტყაოსანი“, მას ხშირად ვკითხულობ. მეთორმეტე საუკუნეში ამ დიდმა პოეტმა თავის პოემაში უმღერა ინდოეთს; მეტიც, ის ამბობს, რომ ჩემი პოემის მთავარი პერსონაჟები — ტარიელი და ნესტან-დარეჯანი ინდოელები არიანო.

სიმათლე ვთხარათ. წელში ვავიძარბე, ასე მეკონა, ტარიელი მე თვითონ ვიყავი.

პოეტმა კი ვინაცხო:

— ჯორჯია ფერების ქვეყანაა, მსოფლიოს ულამაზესი ქალები იქ იზადებიან. როცა ინდოელის წარჩინებულ ოჯახში გოგონა იბადება, მას ეუბნებიან: იყავი ისეთი ლამაზი ფერიას მსგავსი, როგორც ჯორჯიაში იზადებო.

დამერწმუნეთ, ჩემი ყურები ამის უკეთესს აქ ვერაფერს ვაიგონებდა. სულ მთლად ავენთე, უკანასკნელი ბოთლი კონიაკი მქონდა შემორჩენილი, „1500 წელი, თბილისი“ და პოეტს ვარქე. მან დიდად გაიხარა, ყველა დამსწრენი კმაყოფილი დარჩნენ ამ სურათით, თანაც დავიხინე:

— ამაში საქართველოს მზის ნაბერწყლებია. მიირთვით, გამით!

ესაღია, საქართველოს შორეულ ინდოეთში ფაქრ რომ იცნობენ, ამასაც უკვდავ შოთას უნდა ეუბნებოდეთ.

რვა მარტმა ქ. მადრასში მოგვისწრო, აქ ჩვენმა საელრომ მოაწყო დიდი ბანკეტი. მას ეს-

წრებოდა ყველა საბჭოთა მოქალაქე, ვინც კი იყო იმ დროს ამ ქალაქში. ამასთან, ბანკეტს ესწრებოდნენ ქალაქის მფრის და სხვა წარჩინებული პირები თავიანთი ცოლებით. მივიდა ჩვენებურად, ქართულ ყაიდაზე იყო გაწყობილი. ჩვენს წარმომადგენლობაში ქართველებიც არიან, და, ალბათ, ეს მათი გავლენით მოხდა.

გამართა სადღეგრძელოები, ერთმა ინდოელმა თქვა, ქალები ჩვენთან მუდამ მონები იყვნენო.

ყირგიზმა დაუმატა, ქალებს არასოდეს ჩვენს ქვეყანაში პატივისცემა არა ჰქონიაო.

ტაჯიკმა განაცხადა, — ქალებს ჩვენთან ისე ჰყოლიდნენ, როგორც რაიმე ნივთსაო.

უზბეკმა თქვა: ჩვენთან ქალებს არასოდეს არ აფასებდნენ, ქალის პატივისცემის გრძნობა უზბეკს არასოდეს ჰქონიაო.

მე მომეცეს სიტყვა. მე არც ინგლისური ვიცი, არც პინდი, ასეთ დიდ საზოგადოებაში, წინასწარ მოუშვადებლად, ჩემი რუსულიც არ გამოდგებოდა. ამიტომ ეზოზე წასრდდინოვას ნება დავართო სიტყვა ჩემს მშობლიურ ენაზე ქართულად შეთქვა. არა მარტო წასრდდინოვასაგან, ბანკეტის ყველა მონაწილისაგან აღფრთოვანებული თანხმობა მივიღე.

მე მინდოდა გამომეჩინა ჩემი ქვეყანა, ჩემი სამშობლო, რამდენადაც კი შემიძლო, თუმცა ამ მხრივ ჩემს თავზე უფრო მეტი იმედი გვერდში მდგომი თარჯიმან ბანკაძისა მქონდა, რომელიც თავისუფლად ლაპარაკობდა ევროპულ ენებზე.

ჯადაგარი ვისკი, მომეცეს სიტყვა და მეც დავიწყე:

— საქართველო ცნობილია თავისი ძველი კულტურით. ქართველმა კაცმა მუდამ იცოდა ქალის ფასი და პატივისცემა. ჩვენში, მეთორმეტე საუკუნეშიაც გათანაბრებული იყო მამაკაცისა და ქალის უფლება და ღირსება. მე-

თორმეტე საუკუნეში საქართველოს სახელმწიფოს ქალი — თამარ მეფე მართადა, რომლის კურა-გონებამ და თავდადებას კური-ყუყუების გზაზე დააყენა ამიტომ იყო, რომ მისი მეფობის ხანას ქართველებმა „ოქროს ხანა“ შეაჩვენეს. მეთორმეტე საუკუნეში თქვა ჩვენმა დიდმა პოეტმა შოთა რუსთაველმა:

„ლექვი ღომისა სწორია, თუ იყოს თუნდა ხეაღია“, რაც მკაფიოდ გამოხატავს ქალისადმი პატივისცემასა და მის დაფასებას საქართველოში.

ახლა კი რუსთაველის ბრძნული აზრის ხორც-შესხმის ფაქტს ჩვენი დღევანდელი შემადგენლობაც ადასტურებს. ჩვენი დღევანდელი ხელმძღვანელი წასრდდინოვა — ქალია, მაგრამ ვის შეუძლია თქვას, რომ იგი რაიმეთი ჩამორჩება მამაკაცს. ამ ჩემმა სიტყვამ დამსწრეთა მოწონება დაიმსახურა.

შეტად ბევრია სათქმელი ინდოეთზე, მის ძველ კულტურაზე, დღევანდელ ცხოვრებაზე. დღევანდელი მწუხარება, მაგრამ მე მეტი ვერ მოეხებოდა და ვთხოვთ მიაბრებოთ.

როცა სამშობლოში მოვდივართ, დღეში აეროდრომზე გამოვაცილებს, როგორც ჩვენმა საელჩოს მეთაურმა აბ. ბენდელიტოვმა, ისე ინდოეთის მთავრობის წევრებმა.

სიმართლე გითხრათ, როცა საბჭოთა თვითმფრინავი დავინახე, გავიხარე დ. გულმა სიამით ძვერა დამიწყო. მე ძალზე დაღლილი ვიყავი, მაგრამ რაღაც სიმსუბუქე ვიგრძენი: მეგონა, ახალგაზრდული ჯანი დამიბრუნდა, რაც უფრო ვუახლოვდებოდი თვითმფრინავს, მით უფრო ვჩქარობდი. ყველა უკან მოვიტოვე. მივედი, ქუდი მოვიხადე და ფრთაზე ვაკაცე. რადგან ვიცოდი, სულ რაღაც შევიდრევა სა.თში ეს დალოცვილი ფოლადის არწივი ჩემს საყვარელ სამშობლოში დამაბრუნებდა. საქართველოზე უმწვენიერესი ქვეყანა ხომ დღდამიწის ზურგზე არ მოიპოვება.





# ათასი უთი ბაღი

## განცხადება და გამოცხადება

როსტომი ბუნება...

ტრაინინს მისი მუდმივი თანამგზავნი და სულიერი მეგობარი დოქტორი პარუშაძე მოჰყვა. სასაცილო ვინმე იყო. ერთი შეხედვით ყანას გავდავებები მგონი ორჯერ უფრო გრძელი ექნებოდა, ვიდრე კორპუსი, გამზადარი, წელში მოხრილი. რატომღაც სათვალე ეკეთა, თუმცა ლაპარაკის დროს სულ ამ სათვალის ზევიდან იყურებოდა. ყველაზე სასაცილო მაინც ცხვირი ჰქონდა, ჯერ სწორად იყო წინ წამოწეული, მაგრამ მერე მოულოდნელად მარჯვნივ უხვევდა და უცნაურ „ვინიეტას“ აყვებდა. მის მავურებულს აუცილებლად გებადებოდა სურვილი ცხვირისთვის ხელი მოეგვიდა და გაეწეწორობინა. უკვე ბინდებოდა და გულამ აკრიფა თავისი მოწყობილობა. ტრაინინი და მისი მეგობარი ჩვენი თან ჩამოსხდნენ.

— ე, ცოტათი მუხლები მოვასვენოთ, — წარმოთქვა ტრაინინმა, თითქოს მართლაც რამე მუშაობით ყოფილიყოს დაღლილად.

პარუშაძე ჩვენი რუმინული გაზეთის რედაქციამი მუშაობდა. ტრაინინივით სულ წუწუნებდა, დოქტორი ვარ და ვერც ერთ უმაღლეს სასწავლებელში ვერ მოვიყვებო დოქტორად. ანტიკური ტექსტების ისტორიის სპეციალისტი იყო და, ტრაინინისა არ იყოს, ისიც სულ ბერძენსა და რომაელ ავტორიტეტებს იმეორებდა ლაპარაკის დროს.

პარკში დაურბულებულ ნაკადად მოედინებოდნენ წყლები — ქალი და ვაგი, ქალი და ვაგი, სამხედრო და სამოქალაქო, ახალგაზრდა და შუაბნის, რუსი თუ რუმინელი, მოდიოდნენ და ჩიმიჩიუხუნ ბნელ ხეივანებში იკარგებოდნენ. მერე იქვე, პირდაპირ მიწაზე ეწყობოდნენ და ხარკს უხდიდნენ სიყვარულის დღურათებს. ომი საოცრად ამარტივებს ურთიერთობას, წყნობისა და მორალის კანონებიც კარგავს აუცილებლობის ძალას. არავითარი სირცხვილი, შირიდება ან უხერხულობა. ყველანი ერთად, ერთხანეთის გვერდით, ისე, როგორც დამსვენებლებით გადატვირთულ პლაჟებზე... ჩვენს ჟარისკაცებსაც

მოჰყავდათ რუმინელი ქალები და ყველაასათვის ვასაგებ ვინაზე „უმუსაიფებოდნენ“ ერთმანეთს.

— სქესობრივი ლტოლვა უფრო ადვილად ამყარებს ხალხთა შორის მეგობრულ ურთიერთობას, ვიდრე პოლიტიკა და დიპლომატია, — ჩაუფიქროსოფოსა ტრაინინმა. პარუშაძე მაშინვე ამყავდა იასკოლევას:

— ასეა, ბატონო! — თქვა მან. — სქესი და ვნების ისტერია მართლაც ქვეყანას, სხვაგვარად არც შეიძლება იყოს, რადგან ყველაფერი, რაც ჩნდება და იწყებს არსებობას, სექსუალური ინტინქტის შედეგია, პირველ რიგში კი — ადამიანში. ბუნებრივ რესპონსია და რა გასაკვირია, რომ ადამიანებიც ამათგან არიან. დედამეფა ხომ ზევსის შრუში ცოლი იყო — გეა. ის ჯერ უჩანთან შრუშობდა, მერე ზევსის უღალატა და ქვეყნების შეუფხვს ტარტაროსს გაყვა. ქვეყნებისა და რესპონსი დედამეფისაგან რა სიკეთე გამოვიდოდა! მან ორმოცდაათთავიანი და ასხელიანი სამხინელები შეა. მერე ციცილოები დაბანდა, შეიღებინა მამის აუჯანყდა და ზევსი დაამხოხინა. ამის შემდეგ ოლიმპის მუფედ თხის რძით გაზარდილი და გარყვნილი ზევსი დაჯდა. იგი დაჯერა მძაფრ ღმერთებსა და ყველა დააარსულა. ზოგი ოქროს წყვამით, ზოგი — ქუქ-ქუხილით. ქალი ყველა შევანდა, ბატონო, ზევსი მათ ხან წვიმის სახით ევლინებოდა, ხან ხარის, ხან გედებს და ხანაც მელის. ისინი ზოგჯერ სახეობასთან შრუშობდნენ. ფერები რომ ფერებიან, ისინიც რესპონსიან, თხისფერებიან სატირებსაც არ თაკილობენ. ადამიანები არ ყოფნით და მათი გარყვნილი გონება კენტატრებს იღონებს. ეს კი სულ იმ რესპონსი დედამეფის ბრალია. ყველა, ვისაც ის შობს — შრუშობს; ცხოველებში, ფრინველებში, მწყერებში, ყვეალებშიც კი. რაყო დედამეფა თვითონ შრუში დედაყვაცა, ადამიანები ბედით მის მსგავსებს აბარია. ბედისწყლის ღმერთები, მორატები ხომ დედაყვაცა. ზის ერთი დედაყვაცა — მორია კლოტა და ასევეს ძაღს. ვაწუჯა ძაღო — მოყვდა ადამიანი, კიდევ ვაწუჯა, კიდევ მოყვდა. მორე დედაყვაცა წილის ყრის და, ვის რა შეხედება იმას მიუზღაფს. მესამე დედაყვაცა ყოველივე



ამას იწყებს ბედისწერის წიგნში, და მორჩა! რაც იქ ჩაიწერება, გათავებულა, იმას ვერაფერს შეცვლის. ესეც შენი დედაშაჟა, ბატონო, ოკანე უარესია! მართალია, ის მამაკაცია, მებრამ ზუთი ათასი შეჭავი ქალიშვილის მამაა. ქვეყნულშიც დედაცააგები ბატონობენ, არც ეს დაანებებს იმ როსკიებშია სხვება— პერსფონას თავისი ერთიუები ჰყავს... ქვეყანა ასეა მოწყობილი და თქვენ ის გიყვართ, რაც ამ პარკში ზღვება? პარკებიც ხომ როსკიანი ფურები იყვნენ! აი. ხომ ზედავთ, მოდიან და ზოდიან. ასეა, ბატონო, მამაკაცები გოგონებს ახლა ისე უკურებენ, როგორც ნამსხვრებს...

საკოდავები! ვიდრე გიმნაზიაში სწავლობენ, ვარდის სურნელთ იყვებებიან, ლექსებს კითხულობენ და ბროლის კომედიებზე ოცნებობენ... მერე?... სადმე ფოსტაში იწყებენ სამსახურს და მთელი დღე ქორთებს ნიწრებს. ომის დროს კი სხვა რა გზა აქვთ. ორში ერთი: ან მონაზვნებად უნდა იქცნენ ან როსკიებდა. მონაზვნობა, მოგესხნებათ, მოდამი აღარ არის, როსკიებია კი, აი, თქვენც ხედავთ რა ვაგრცვლებული ხელობაა. განსაკუთრებით ახლა, როცა ბუნებრივი ურთიერთობები დაარღვეულია. მამაკაცები ფორტზე სიბინ, ქალები შინ... მათ კლავთ უსაქმობა, შიში... მოწყენილობა... სურვილი — ერთობლი ბედნიერი წუთი შინც გამოგლიჯონ ამ აუტანელ ცხოვრებას და... რას არ სჩადიან! ამ პარკში მშვენიერი ტბაა, ახლა მას „ქერას ტბას“ ეძახიან. ხომ მოგესხნებათ, ის რისკიანი ქალღმერთი რომ ყოველი ბნაობის შემდეგ ისევე ქალწული ამოდიოდა რაღაც მდინარადან. ამ სულელებს ჰგონიათ, ესეც ქერას მდინარეაო და დიდიან-პატარაიანად ქვეშეხალობენ შის მორცხვს!... ვინ ვისთან? ანაა შინაშენულობა არც აქვს. გარეშეხებთ, უმარადესობაა ვინაობაც არ იყოს ერთმანეთის... სადმე შეხვდებიან. შემთხვევით... ვაუთლებენ ერთმანეთს და მიდიან. ნაშუადღევს ისეც დამორღებიან და მგორვ დღეს კიდევ რომ შეხვდნენ შესაძლებელია ვერც კი იცნონ ერთმანეთი... ასე ამარტოებებს ომი ურთიერთობებს, ჩემო ბატონო. ჩვენც ვეღუებით ამას. ან სხვა რა გზა გვაქვს! მე აქ ყოველ საღამოს გამოვიდვარ და ვეუდი, როდის ინებებენ ჩემი ძვირფასი მშუღლ დომინიკა და უფროსი ქალიშვილი მამუცი გამოსვლას ჰქვას ამ ბუნაგიდან, რომ სახლამდე მივაყოლო. ეს არის ახლა ჩემი მოვალეობა მათ წინაშე. ჩემი მშუღლ ბრძანებს, ბნელ ქუჩებში მარტო სიარულს ვერ ვტყანო. ამ ბნელ ბუნაგში კი ყველაფერს იტანს... ქალიშვილიც, რომელიც ჯერ 17 წლისაც არ არის, ისიც უძღებს მშუღლების მომხიბლობას. უმცროსი ქალიშვილი ჯერ სახლში მყავს ჩაეჭვილა, მაგრამ თვლი იმასაც ატუთ უძირავს. ასეა, ბატონო! ამბობენ, ევამ იმით შეცვოდა დემონს, რომ ავრტალული ხის ნაყოფი შეჭამაო, იმას კი ვერ ხედავიათ, ის ვაწლი რომ მცვახე იყო. მთელი უმეღურტობაც ამამია. ევამ მყავს ვაწლი შეჭამა და თავი იმართლა, გველმა შეამდინაო... ამის შემდეგ ქალები თავიანთ ცოდვას სულ სხვებს აბრალებენ, საკუთარ წეს-საც ყოველთვის სხვაში ხედავენ. ეს „სხვა“

გამოუღვევლია. მე კი სად შემიძლია ამდენი ყარაულობა.

— პარდონ, მსო, თქვენ აქ რას ყარაულობთ? ვერ მიხვდა გვი.

— ჩემს ცოლს დომინიკას და უფროს ქალიშვილ-მამუციას, ბატონო.

— ისინი სად არიან?

— აი, იქ! — თქვა პარუმბაევი და თითი იმ პარკის ბნელ ხახას ატყავ.

— კიდევ პარდონ, მაგრამ იქ რას აკეთებენ?

— ერთობიან, ბატონო, ვიღაცებთან, ჩემი დომინიკა ვერ იტანს მოწყენილობას, ქალაქში კი ახლასხვა გასართობი არაფერია.

ბები ნელ-ნელა გაგრევა სიტუაციაში და სულ ცნობისმოყვარობად იქვა:

— თქვენ აქ რაში უკეთებ მერე?

— ავი მოგასხნეთ, ბატონო, როცა გითავისუფლებიან, შინ უნდა მივაყოლო.

— რატომ ისინი არ მიაკოლებენ ვისთანაც ვართობიან? — დაუსვა „სურუპულუზური“ კითხვა ბებო.

— უხერხულია, უცხო მამაკაცებთან უნდა რამ ბნელ ქურჩაში დაინახოს, რას იტყვის ხალხი?

— უუ-უ-უ-უ-უ... შენი ტევის ტირიშე, — გაიკვირვა ბებო — ქმარი კი არა, პირდაპირ ანტრეკოტი ხარ!

გაკვირდებოდა, აბა რა იწებოდა! იმ ბნელ ბაღში უცხო მამაკაცებთან დროსტარება თუ არ იყო სირცხვილი, ქურჩაში გავლა რატომ უნდა ყოფილიყო ასეთი საშიშრელება?

...ბოდლერს ვიღაც „ილუსტრაციონი როსკიები“ ფანდიუგული შეუყვარდა — ლითი და გარყენილი დედაცაა, რომელსაც ხიდების ქვეშ ეცინა და ყოველ მსურველს ეძღოდა განუზღვლად. შეყვარებულმა ბოდლერმა ის ერთხელ ხელოვნების ტაძარში, — ლუვრში შეიყვანა. სადაც ზნედაცემული დედალი სირცხვილისგან გაწითლდა, როცა შიშველი დემონ-ქალების სურათები და ქანდაკებები ნახა. გოცნებულმა იკითხა კიდევ, როგორ არა რცხენიათ; რომ ასეთ უსამსოებას უწევებენ ხალხსო...

...ტეც იმ ყანაა პარუმბაეუს ნაამბობს ჰყავს. იგი კიდევ დიდხანს გვმოდერავდა თავისი ფილოსოფიით და ფრანგული ანდაზებით.

— ქალი გელესიაში წმინდანია, ქურაში — ანგლოლოხი, სახლში კი ეკლიანიო, — ამბობდა, მაგრამ ჩვენ შორის, ტრანინის გარდა, თანამაზრებს ვერ პოულობდა; ტრანინა კი სულ ასეილეთით უწნედა თავს ყველაფერზე.

— პირველი მთელიო იმბინდ მგორებდ არც ისეთი დიდი დროა გასული, რომ ადამიანი ილუზიებს მიეცეს, — წარმოთქვა ბოლოს პარუმბაევი... ამიტომ სულ იმაზე უნდა იფიქრო, თავი როგორც გადაირჩინო. მე არაფერს ვმალავ და პატიოსნად ვა-

ღირებ: შირჩვევია მთელი ქვეყანა დაიღუპოს, თორღ მე გადავრჩე ცოცხალი...

— შერ რა ფასი აქვს ასეთ „პატიოსნებსა?! — მავრია მის ჭადავებაში დრუენიყო.

— ხვას რას აქვს ფასი, ბატონო, რომ მაინც-ღამიანე პატიოსნებს ჰქონდეს? ვერ ვუვრებო და ხვებს იქ? — თქვა მან გულდაწყვეტით და ხელი ისევ ჩამიჯიჯო პარკისკენ ვაიშვირა. — ადამიანს ახლა მხოლოდ თავის წინაშე შეიძლება ჰქონდეს პასუხისმგებლობა. მეც ასე ვამზობ: თორღ მე ნუ შემეხებით, ბატონო, და თქვენ რაც ვინდათ ის ქვენიით. მე არც თქვენი გამარჯვება მინდა და არც თქვენი ჭეშმარიტება მე მოსვენება მინდა... სულერთია ამ ქვეყნად წმიდა არაფერია!... არაფერია. — გაიმეორა მან და თავის ნათქვამს ლაითინურად დაუსვა ბეჭედ: Nihil sacri!..

...ცხოვრებაზე გაბოროტებული კაცი იყო ყველაფერზე გულაყრებული და იმედდაკარგული... გრძობდა კიდევ თავის ზედმეტობას ამ ქვეყნად და გულის ჯავრს ჩიმიჯიუტს პარკის კარბთან ვარულობით იქარებდა... იმ საცოდავს ვერა, ამით მანაც დაიცავდა „პატიოსნების“ უკანასკნელ თავშესაფარს უპატიოსნების მორფში... ის პარკი კი ისე აივსო წყვადებით, რომ ტყვეც არ იყო და ახალბოსულენი შესასვლელთანვე ეძებდნენ თავისუფალ ადგილებს.

უკვე გვიან იყო. პარუშაკე დატოვეთ თავის პოსტზე და წამოვიდით. ქალაქი წველიადმი იყო გახვეული და ვნებიანად სუნთქავდა. მხოლოდ ტანვების მუხლუხობის სჩტიალი და თვითმფრინავების გამბული გვეუნი ამდღავენბდა საომარ სიტუაციას...

სადარბაჯო პარათი...

ოტკომრის დასაწყისში განკარგულება მივიღეთ, ვანყოფილება ისევ ფორტის შტაბთან გადავყვანა. რუმინული ჯგუფი ბუქარესტში რჩებოდა. ჩვენ უკვე უნგრეთისკენ ვეშურებოდით და ახალი თანამშრომლები უნდა მიგვეღო. ბეგი, როგორც უნგრულის მცოდნე, ჩვენთან მოდიოდა. ბრძოლები ახლა მის სამშობლო ტრანსილვანიაში მიმდინარეობდა. 10 წლის ზეტილის შემდეგ იგი ისევ უბრუნებოდა თავის კარ-მიღამოს. ვინ იყის, ჩემი „სიგე-შასწავლებელი“ ასევე ცოცხალი იყოსო, ამზობდა. წარმოადგენილი მაქვს როგორი იქნებოდა მათი შესვლა. ბეგი რომ ტაპიტრის ჩინში, ორდენებითა და მედლებით მორთული წარდგებოდა მისეს, ის თვალებს დააქვეტდა გზოდებისაკენ, ბეგი კი სტუკასაგეთ დაფრიადა თავის „ფრანგულს“: ის თუ ნაპოლენი იყო. „საკრამენტო“. ბეგი გაეცნობოდა როგორც სარდლანაპალი, თანაც შარტო „პარდიონია“ და „საკრუელთურით“ კი არ დაემაყოფილდებოდა. უნდა „შასხის“ ეტყოდა, უნდა „ფუწელას“, „ანტრეკოტის“ ამბავსაც მოუყვებოდა და „კოლოსალის“ დაფოლებდა.

შერ ის და მთე შერიდებობდნენ. მსივს გაეპარდებოდა „ამ რეფლენასკან“ კაცო რომ გამოვიდა; ბევის კი ის ენაიზოვნებოდა, „საკრამენტოს“ რომ თავი მოაწინა...

...მე და ბეგი ერთად გავედით ბუქარესტიდან. კილინგერის შიერ დატოვებული „მორისი“ ისარივით მიჰქრთდა ავტოსტრატაზე. შებინდებამდე საშინელი კანაპატება გავიარეთ, ოლტულის სვობას აყვებით და ქ. სიხიუში შევედით. დალოლები და დამშეულები მივიდევით საშხედრო კომენდანტურას. მე ფრონტის სამხედრო სამბოს ისეთი მანდატი მქონდა რომ ყველა საშხედრო კომენდანტზე ვრთნარად რლოურ შთაბეჭდილებას ახდენდა, მიუხედავად იმისა ლეიტენანტი იყო, პოლკოვნიკი თუ გენერალი. სიხიუს სამხედრო კომენდანტი უკრანდელი აღმოჩნდა. ერ-

თი წერთა უღვაშები ქონდა მამოკიდებული. ის მაშინვე დატრიალდა და ღამის გასაფხად ვილაც მხველი ვაქრის ვილაში მოგვანყო.

— დემიტრიე ფლორესკე! — გამოვეყვანურა ქონადქვეული მასპინძელი, რომელსაც საოტრად წყრილი, ქალური ხმა ჰქონდა. შემდეგ მისი ჩაფაშრულ-ჩაბუბუვებელი ოლიფ გამოოტრდა და ბევის კინადმი გული წაუგოდა.

